



**გურამ თავართებილაპის სასწავლო  
უნივერსიტეტის სამაცნეოარო შრომათა  
პრეპული**

**№3**



**გამომცემლობა „უნივერსალი“  
თბილისი 2013**

**გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის  
სამეცნიერო შრომათა კრებულის სარედაქციო საბჭო**

**სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე  
პროფ. გიორგი მათიაშვილი**

**სარედაქციო საბჭოს შემადგენლობა:**

პროფ. **რევაზ ბალანჩივაძე** – მთავარი რედაქტორი  
პროფ. **ამირან თავართქილაძე** – პასუხისმგებელი მდივანი  
პროფ. **გელა ალადაშვილი**  
პროფ. **ჩერეკ ბუსტრა** /ნიდერლანდების სამეფო/  
პროფ. **ინგა დიაკონიძე**  
პროფ. **ვალერი ვაშაკიძე**  
პროფ. **დიკ ვეინანდს** /ნიდერლანდების სამეფო/  
პროფ. **მარინა ვეკუა**  
პროფ. **სერგეი იაკუბოვსკი** /ოდესა/  
პროფ. **გივი ლობჟანიძე**  
პროფ. **ამიდ ნიზჰად** /აშშ/  
პროფ. **თალიკო უვანია**  
პროფ. **თემურ ულენტი**  
პროფ. **ჟილ რუე** /საფრანგეთი./  
პროფ. **ჩარლზ მორგან სტრომე/აშშ/**  
პროფ. **მაია უკლება** — პრორექტორი  
პროფ. **შენგელი ფიცხელაური**  
პროფ. **ლალი ჩაგელიშვილი**  
პროფ. **ბარბარა ჰაინესი** /აშშ/.

© გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი, 2013

**გამომცემლობა „ანივერსალი“, 2013**

თბილისი, 0179, ი. ვაკევაძის გამზ. 19, თე: 222 36 09, 5(99) 17 22 30  
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-22-144-6



**SCIENTIFIC PROCEEDINGS OF GURAM  
TAVARTKILADZE TEACHING UNIVERSITY  
VOLUME  
№3**



Publishing House "**UNIVERSAL**"

Tbilisi 2013

**Scientific Proceeding of Guram Tavartkiladze  
Teaching University**

Head of the Editorial Board –

**Prof. Giorgi Matiashvili**

**Editorial Board:**

**Prof. Revaz Balanchivadze** – Chief Editor

**Prof. Amiran Tavartkiladze** – Secretary Editor

**Prof. Gela Aladashvili**

**Prof. Tjerk Busstra** – /Netherlands/

**Prof. Lali Chagelishvili**

**Prof. Inga Diakonidze**

**Prof. Barbara Haines** /USA/

**Prof. Nezhad Hameed** /USA/

**Prof. Sergei Yakubovskyi** /Ukraine/

**Prof. Givi Lobjanidze**

**Prof. Shengeli Pitskhelauri**

**Prof. Gilles Rouet** /France/

**Prof. Charles Morgan Stromme** /USA/

**Prof. Maia Ukleba**

**Prof. Valeri Vashakidze**

**Prof. Marina Vekua**

**Prof. Taliko Zhvania**

**Prof. Temur Zhghenti**

**Prof. Dik Weijnands** /Netherlands/

ISBN 978-9941-22-144-6

გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომათა კრებული, როგორც მრავალდარგობრივი უურნალი, აერთიანებს ეკონომიკურ, სოციალურ, პუმანიტარულ და სამართლის მეცნიერებებს. ამ უურნალთან თანამშრომლობა, გარდა ჩვენი უნივერსიტეტის პროფესორებისა, შეუძლიათ სხვა უნივერსიტეტების პროფესორებსაც, მათ შორის, უცხოელ ავტორებსაც.

უურნალის მიზანია ხელი შეუწყოს ზემოაღნიშნულ დარგებში, უპირველეს ყოვლისა, უმაღლეს სასწავლებლებში მოღვაწე პროფესორ-მასნავლებლების მეცნიერული კვლევა-ძიების შემდგომ განვითარებას, ორიგინალური კონცეფციებისა და ინოვაციების წარმოჩენას, ამ დარგების წინსვლაში ჩვენს მონაწილეობას, სამეცნიერო საქმიანობაში ახალგაზრდა სპეციალისტების ჩართვას, მათი სამეცნიერო პოტენციალის ამაღლებას.

კრებულის სარედაქციო საბჭოს შემადგენლობაში შედიან ქართველი და უცხოელი მეცნიერები, ზემოაღნიშნული დარგების კვალიფიციური სპეციალისტები. უცხოელ მეცნიერთა მონაწილეობა სარედაქციო საბჭოს შემადგენლობაში აამაღლებს კრებულის ავტორიტეტს, საშუალებას მოგვცემს გავაფართოოთ აკადემიური კონტაქტები და ხელს შეუწყობს სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერთა მოზიდვას კრებულში სათანამშრომლოდ. თავის მხრივ, ეს შესაძლებელს გახდის იმას, რომ მათი სამეცნიერო პროდუქცია, ორიგინალური კონცეფციები და კვლევები გავაცნოთ ქართულ სამეცნიერო ინტელიგენციას, დავგეგმოთ ერთობლივი პროექტები.

საერთაშორისო კონტაქტების გაფართოების მიზნით სასურველად მიგვაჩნია, კრებულში სათანადო ადგილი დავუთმოთ საქართველოში მოქმედი საერთაშორისო ორგანიზაციების კვლევის შედეგებს, მათ მიერ შემოთავაზებული დასკვნებისა და რეკომენდაციების გაშუქებას.

Scientific Proceedings of Guram Tavartkiladze Teaching University are a multi branch journal covers economic, social and humanitarian and law sciences. Professors of other HEI as well as foreign authors can cooperate with our scientific journal.

The purpose of the journal is to foster scientific research development in different scientific fields mentioned above, support the introduction of the innovations, our participation in the development of these fields. It will also support the involvement of the young specialists, raise their scientific potential.

The editorial board of the journal consists of well-known Georgian and foreign scientists, highly qualified specialists. Participation of the foreign authors will support the exchange scientific product between Georgian and foreign scientists that will make it possible to carry out joint scientific projects.

In order to enhance international cooperation, the journal presents and reviews the conclusions and recommendations, the research results carried out by the international organizations acting in Georgia.



## შ ი ნ ა ა რ ს ი

### სამართლის მეცნიერებები

დავით ლობჟანიძე, გივი ლობჟანიძე — იტალიის ადგილობრივი თვითმმართველობის კონსტიტუციური საფუძვლები .....	11
გივი ლობჟანიძე — ილია ჭავჭავაძის შეხედულებანი ადგილობრივი თვითმმართველობისა და მართლმსაჯულების შესახებ .....	16
შენგელი ფიცხელაური — კრიმინალისტიკის საგანი, ცნება, მიზნები და მისი ადგილი იურიდიულ და სხვა მეცნიერებათა სისტემაში .....	22
დავით ხობელია, ნუგზარ თევდორაძე — საერთაშორისო სისხლის სამართალი და მისი თავისებურებანი.....	26

### ეკონომიკური მეცნიერებები

ბესიკ ალადაშვილი — საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია და ეროვ- ნული ეკონომიკური უსაფრთხოების პრობლემები.....	30
ამირან / სიმონ / თავართქილაძე — საქართველოს საგაჭრო პოლიტიკა და ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულობა: რეალობა და მომავალი.....	35
ლია თოთლაძე — ტურიზმის ეკონომეტრიკული მოდელირების თეორიული ასპექტები.....	41
მამუკა თორია — საქართველო სამუშაო ძალის საერთაშორისო მიგრაციის პროცესში.....	45
დავით კბილაძე — კოპაბიტაციის სტატისტიკური ასპექტი.....	49
ზურაბ ლაშვილი, გიულან რაჟიმოვა, გიორგი ზედგინიძე — საქართველოს ტურიზმის უსაფრთხოების გეოინფორმაციული სისტემა.....	53
შალვა მაჭავარიანი — სისტემური მიდგომის საჭიროება საქართველოს აგრარულ სექტორში არსებული ვითარების გასაუმჯობესებლად.....	59
თალიკო უვანია, მაია მიქელაძე — კლასტერული ანალიზის გამოყენების ცალკეული ასპექტები.....	67
პოლ სანკესი — ევროკრიზისმა უნდა გამოალვიძოს. უფრო სავარაუდოა, რომ ევროკრიზისი კომპრომისით ან შემცირებით დასრულდება / ინგლისურ ენაზე/ .....	72
მაია სეთური — კომპანიის მარკეტინგული საქმიანობის ეფექტიანობის შეფასებისათვის .....	75
ჩარლზ მორგან სტრომე — ფინანსური კრიზისი / ინგლისურ ენაზე/ .....	80
ლაშა ტაბატაძე — საგაჭრო ბალანსი — ექსპორტისა და იმპორტის ტენდენციები და საპროგნოზო მაჩვენებლები .....	83
მაია უკლება — ტურიზმის განათლება: დილემა თეორიასა და პრაქტიკას შორის .....	85
ლიანა ყარალაშვილი, დავით კალანდარიშვილი — ერთეულოვანი მატრიცის მსგავსი ზოგიერთი ცენტრსიმეტრიული მატრიცების თვისებები.....	90
ლალი ჩაგელიშვილი - აგლაძე — ცოდნის ეკონომიკა და ცოდნის განვითარების საკითხები საქართველოში.....	96

### სოციალური და კუმანიტარული მეცნიერებები

ნანა გოგიჩაშვილი — სიყვარულის ბიოქიმიური მახასიათებლები .....	101
მაყვალა / ბაია / კოლუაშვილი — პლასტიკური თეატრის განვითარების ძირითადი ტენდენციები / ტენესი უილიამსი „შუშის სამხეცე“ / .....	106
ლაურა კუტუბიძე-ზუბაშვილი — კომუნიკაციის სახეთა ევოლუცია - სიტყვიდან ვირტუალურ რეალობამდე.....	112
სოფიო მორალიშვილი — დისკურსის სტრუქტურული თავისებურებანი .....	115
ალექსანდრე ნონეშვილი, თემურ თოდუა — რომაული არტეფაქტები ქვემო ქედიდან .....	119

<b>ნატო ონიანი — „სანავარდოს“</b>	<b>მითოსური ხატები /დემნა შენგელაიას რომანის მიხედ-ვით/.....</b>	<b>121</b>
<b>თემურ ჟლენტი — „მამული, ენა, სარწმუნოება“</b>	<b>როგორც სამი უმაღლესი ღირებულება</b>	
ილია ჭავჭავაძის პედაგოგიურ მემკვიდრეობაში .....	127	
<b>თამარ ფანცულაია — საინფორმაციო გარემო და მისი ზემოქმედება ადამიანის ფსიქიკაზე .....</b>	<b>132</b>	
<b>მარინე ჩაგელიშვილი — მეორე ენის შეძენა კულტურის გზით.....</b>	<b>136</b>	
<b>ნუნუ ჩარკვიანი — წინადადების წევრთა წყობის ტიპები მოკლე მოთხრობებში / ქართველ</b>		
და ამერიკელ ავტორთა მოკლე მოთხრობების მიხედვით/ .....	139	
<b>დიანა ჭანკოტაძე — როგორ სწავლობენ და ასწავლიან საფრანგეთში პროფესია „უურნალისტიკას“</b>	<b>144</b>	
<b>ლია ჯანგებაშვილი — სამყაროს გრიგოლ რობაქიძისეული გააზრება /ინგლისურ ენაზე/.....</b>	<b>149</b>	
<b>ნათია ჯიქია — ჰატჩინსი — პრესის პასუხისმგებლობის თეორიის ავტორი .....</b>	<b>152</b>	

## რეცეზია

<b>ვენედი ბენიძე — პროფ. გივი ლობჟანიძის ნაშრომი „საერთაშორისო</b>	
„უურნალისტიკას“ ........................	155

## CONTENTS

### SCIENCES OF LAW

<b>David Lobzhanidze, Givi Lobzhanidze</b> – Constitution of Italy and legal evolution of Foundations in the local self-administration .....	11
<b>Givi Lobzhanidze</b> – Ilia Chavchavadze'S view upon local self-Government and Justice.....	16
<b>Shengeli Pitskhelauri</b> – Subject, Concept, Goals and Place of Criminology in Juridical and other Sciences .....	22
<b>David Khobelia, Nugzar Tevdoradze</b> –International Criminal Law and its Specificity .....	26

### SCIENCES OF ECONOMICS

<b>Besik Aladashvili</b> – Concept of National Security of Georgia and National Economic Safety Issues.....	30
<b>Amiran /Simon/ Tavartkiladze</b> – Trade policy of Georgia and Free Trade Agreement with the Europea Union:Reality and Future .....	35
<b>Lia Totladze</b> – Theoretical Aspects of Econometric Modeling of Tourism .....	41
<b>Mamuka Toria</b> - Georgia in the Process of International Labour Migration .....	45
<b>David Kbiladze</b> – Statistical Aspects of Cohabitation .....	49
<b>Zurab Laoshvili, Giulshan Ragimova, Georgi Zedginidze</b> – Tourism Security Geo-information System of Georgia .....	53
<b>Shalva Machavariani</b> – The importance of systematic approach for improving rural situation in Georgia .....	59
<b>Taliko Zhvania, Maia Mikeladze</b> – Some aspect of using the Cluster Analysis .....	67
<b>Paul Sankess</b> – The euro crisis might wake Europe up, but more Likely, it will lead to compromise and decline .....	72
<b>Maia Seturi</b> –For Evolution of marketing efficiency .....	75
<b>Charlz Morgan Stromme</b> – The Financial crisis.....	80
<b>Lasha Tabatadze</b> – Trade Balance-Export and Import Tendencies and Predicted Date .....	83
<b>Maia Ukleba</b> – Tourism education: Dilemma between Theory and Practice .....	85
<b>Liana Karalashvili, David Kalandarishvili</b> – Properties of the Certain Centro-Simmetric Matrices Similar to the Unit Matrix .....	90
<b>Lali Chagelishvili – Agladze</b> - Knowledge Economy and its Development Issues in Georgia .....	96

### SOCIAL AND HUMANIT SCIENCES

<b>Nana Gogichashvili</b> – Bio- chemical Characteristics of Love .....	101
<b>Mayvala /Baia/ Koguashvili</b> – Te main tendencies of development of `Plastic Theatre /Tenessee Williams „Glass Menagerie“/.....	106
<b>Laura Kutubidze-Zubashvili</b> – Evolution of means of communication – From word to Virtual Reality.....	112
<b>Sophio Moralishvili</b> – Structural Characteristics of Discourse .....	115
<b>Aleksandre Noneshvili, Temur Todua</b> – Romanian Artefact from Kvemo Kedi.....	119
<b>Nato Oniani</b> – Mythical Icons of Sanavardo /after a novel by Demna Shengelaia/ .....	121
<b>Temur Zhghenti</b> - `Motherland, Language and Faith as three Highest Values in Ilia Chavchavadze Pedagogical Heritage.....	127
<b>Tamar Pantsulaia</b> – Informational Environment and its Impact of Human Mentality .....	132
<b>Marine Chagelishvili</b> – Second Language acquisition through culture /on the example of Georgian Language/.....	136
<b>Nunu Charkviani</b> – TheTypes of Sentence part order in short stories /According to Georgian and American short stories/.....	139

<b>Diana Chankotadze</b> – The ways of Teaching the Profession of Journalism in France .....	144
<b>Lika Jangebashvili</b> – Grigol Robakidze’s Comprehension of the World .....	149
<b>Natia Jikia</b> - R. M. Hutchens – The author of the pressTheory of social responsibility.....	152

## REVIEW

<b>Venedi Benidze</b> – Review on the book by Prof. Givi Lobzhanidze „International Humanitarian Law” .....	155
---	-----

## სამართლის მეცნიერებები

### დავით ლოგჩანიძე გივი ლოგჩანიძე

#### იფალის ადგილობრივი თვითმმართველობის კონსტიტუციური საფუძვლები

კონსტიტუციონალისტები ერთხმად აღიარებენ, რომ იტალიის კონსტიტუცია, მდგრადობის თვალ-საზრისით, მყარ კონსტიტუციათა რიცხვს განეკუთვნება. ამის თქმის უფლებას იძლევა ის ფაქტი, რომ თითქმის 65 წლის მანძილზე მან მხოლოდ 15-მდე შესწორება განიცადა, მაგრამ არ შეხებია ფუნდამენტალურ პრინციპებს.

რაც შეეხება ადგილობრივი თვითმმართველობას და ადმინისტრაციულ ტერიტორიულ დანაწილებას, იტალიის კონსტიტუციის მე-5 თავის შესაბამისად რესპუბლიკა დაყოფილია ოლქებად, პროვინციებად და თემებად.<sup>1</sup>

იტალიაში ადგილობრივი მმართველობის სამდონიანი სისტემა ჩამოყალიბდა, ქვეყანა დაყოფილია 20 ოლქად, 95 პროვინციად და 8098 კომუნად. ამასთანავე არსებობს ორი კატეგორიის ოლქი, სპეციალური და ჩვეულებრივი. ოლქების ორგანოთა სისტემა შედგება საოლქო საბჭოს, საოლქო ჯუნტას და მისი თავმჯდომარისაგან. საბჭო ნარმომადგენლობითი საკანონმდებლო ორგანოა, რომელიც პროპორციული წესით მოსახლეობის მიერ აირჩევა 5 წლის ვადით, საოლქო საბჭოს წევრთა რაოდენობა დამოკიდებულია მოსახლეობის რიცხვნობაზე და იგი მერყეობს 30-დან 80 - მდე. საბჭოს ჰერცოგი თავმჯდომარე, რომლის განკარგულებაშია პრეზიდიუმის ბიურო ორი ვიცე თავმჯდომარით. თავმჯდომარის და მისი მოადგილეების უფლებამოსილებათა ვადა განისაზღვრება ორწელნახევრით. ოლქის აღმასრულებელ ორგანოს წარმოადგენს ჯუნტა, რომელსაც ხელმძღვანელობს თავმჯდომარე, იგი შედგება ექსი მუდმივი და ორი სა-თადარიგო ასესორისაგან. ჯუნტას გააჩნია საკანონმდებლო ინიციატივის უფლება, მას შეუძლია მოამზა-დოს ბიუჯეტის პროექტი, ტერიტორიული ერთეულის განვითარების გეგმა. ოლქს აკონტროლებს ცენ-ტრალური ხელისუფლების მიერ დანიშნული კომიტეტი ან სამთავრობო კომისია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იტალია ადმინისტრაციული დაყოფის თვალსაზრისით მუნი-ციპლაურ დონეზე შედგება პროვინციებისა და კომუნებისაგან, რეგიონალურ დონეზე კი - ოლქებისაგან. პროვინციის ორგანოთა საქმიანობა ოლქის მმართველობის სისტემის ანალოგიურია და აერთიანებს საბ-ჭოსა და ჯერტას. პროვინციის საბჭო აირჩევა 4 წლით და შედგება 24-დან 45 -მდე წევრისაგან, ხოლო ჯუნტაში 4-დან 8-მდე ასესორია. პროვინციებში ცენტრალური ხელისუფლების მიერ ინიშნება პრეფექტი, რომელსაც ნიშნავს პრეზიდენტი შინაგან საქმეთა მინისტრის რეკომენდაციით. პრეფექტს საქმიანობის წარმართვაში დახმარებას უწევს პრეფექტის საბჭო.

პრეფექტის გამგებლობას მიკუთვნებულ საკითხთა შორის მინიშვნელოვანია ზედამხედველობა სა-ზოგადოებრივი უშიშროების დაცვასა და კონტროლი პროვინციის პოლიციაზე. პრეფექტი უფლებამოსი-ლია გამოიძახოს შეიარაღებული ძალები, მაგრამ მის კონტროლს არ ექვემდებარება ტრანსპორტი, არმი-ის ქვედანაყოფები და მართლმსაჯულები ორგანოები. პრეფექტი პასუხისმგებელია მხოლოდ შინაგან საქმეთა მინისტრის წინაშე. პრეფექტთან იქმნება პროვინციის პრეფექტის სამწევრიანი საბჭო, რომლის დახმარებითა და მონაწილეობით ხორციელდება კონტროლი პროვინციისა და თემების ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობაზე.<sup>2</sup>

სათემო საბჭო ხმათა ასლოლური უმრავლესობით ირჩევს სათემო ჯუნტას, რომლის შემად-გნლობაც 2-დან 14-მდე მერყეობს. საბჭოს სესიებს შორის პერიოდში სათემო ჯუნტა, აღმასრულებელი ფუნქციების გარდა, საბჭოს უფლებამოსილებებსაც ახორციელებს, თუმცა ამ უკანასკნელთა რეალიზაცი-ის პროცესში ჯუნტას მიერ მიღებული გადაწყვეტილებების სათემო საბჭოს მიერ შემდგომ დამტკიცებას ექვემდებარება. სათემო ჯუნტა მეთვალყურეობს კომუნის მუნიციპალურ სამსახურს, ამზადებს სათემო საბჭოს გადაწყვეტილებისა და კომინების ბიუჯეტის პროექტებს და სხვა.<sup>3</sup>

იტალიაში ქვეყნის მასშტაბით ადგილობრივი თვითმმართველობის ადრეულ ფორმად ითვლება კო-მუნა, თემი (სინდიკოსი), ასევე მოსახლეობის მიერ საყოველთაო და პირდაპირი არჩევნების გზით ყალიბ-დება თემის საბჭო, რომელიც მაურიტარული წესით 4 წლით აირჩევა.

<sup>1</sup> ა. დემეტრაშვილი მსოფლიო ქვეყნების კონსტიტუციები, თბ. 1992წ.გვ. 202

<sup>2</sup> ო. მელქაძე, ზ. ეზუგბაია, მინიციპალური სამართალი, თბ. 2002 წ.გვ 152

<sup>3</sup> იქვე, გვ 153



1993 წლიდან იტალიაში დაწესდა მერის თანამდებობა, რომელიც პირდაპირი არჩევნების გზით იკავებს თანამდებობას, მთავარ ქალაქებში კი შეიქმნა სარაიონო სისტემა. ამჟამად საქალაქო დაქვემდებარების 8 ქალაქის ბაზაზე შექმნილია რაიონები, რომელთა თავისებურებად ითვლება არა მარტო ქალაქის, არამედ მასთან ეკონომიკურად დაკავშირებული ოლქების ტერიტორიაზე მყოფი მუნიციპალიტეტების გაერთიანება<sup>1</sup>.

თითოეული მუნიციპალიტეტი შედგება ხელისუფლების სამი ინსტიტუტისაგან ესენია, საბჭო (Consiglio comunale), გამგეობა (giunta comunale) და მერი (sindaco).<sup>2</sup>

ოლქი, პროვინცია, კომუნა ერთმანეთთან ფინანსებით არიან დაკავშირებული, რადგანაც ოლქია კანონით ვალდებული პროვინციებსა და კომუნებს გამოუყოს მათვის გათვალისწინებული ფულადი სახსრები, ის მათ დაფინანსებას პრაქტიკულად ახდენს 3 ძირითადი წყაროს მეშვეობით.

კონსტიტუციაში დადგენილი პრინციპების თანახმად, ოლქები წარმოადგენენ საკუთარი უფლებების და ფუნქციების მქონე ავტონომიურ ერთეულებს.

კანონით დამტკიცებული სპეციალური სტატუსის თანახმად, სიცილიას, სარდინიას, ტრენტინო-ალტო ადიჯეს, ფრაული-ვენეცია ჯულიას და ვალე დ'აოსტას გააჩნიათ ავტონომიის განსაკუთრებული მდგომარეობა და უფლებები. რესპუბლიკის კანონებით დადგენილი ძირითადი პრინციპების ფარგლებში. მაგრამ იმ პირობით, რომ ეს არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საერთო ეროვნულ და სხვა ოლქების ინტერესებს, ამასთან, ოლქს უფლება აქვს მიიღოს საკანონმდებლო ნორმები ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორებიცაა:

ოლქს დაქვემდებარებული უწყებებისა და ადმინისტრაციული დაწესებულებების ორგანიზაცია; თემების საზღვრები;

საქალაქო და სასოფლო ადგილობრივი პოლიცია;

ბაზრობები და ბაზრები;

საზოგადოებრივი ქველმოქმედება, სანიტარული და სამედიცინო დახმარება;

პროფესიული განათლება და სკოლის დახმარება;

ადგილობრივი მნიშვნელობის მუზეუმები და ბიბლიოთეკები;

ქალაქების მშენებლობა;

ტურიზმი და სასტუმროების საქმე;

ტრამვაი და საოლქო მნიშვნელობის საავტომობილო გზები;

საოლქო მნიშვნელობის საგზაო, წყალსადენისა და სხვა საზოგადოებრივი სამუშაოები;

ნაოსნობა ტბებზე და ნავმისადგომები;

მინერალური და სამკურნალო წყლები;

კარიერები და ტორფის მოპოვების ადგილები;

ნადირობა;

თევზჭრა;

სოფლის მეურნეობა და ტყეები;

ხეობები;

ასევე კონსტიტუციურ კანონებში მითითებული სხვა საკითხები, რომელთა ძალით ოლქებს ენიჭებათ კანონების ცხოვრებაში გატარებისათვის საჭირო ნორმების მიღების უფლება.

კანონმდებლობის შესაბამისად ოლქი ასრულებს ადმინისტრაციულ ფუნქციებს, გარდა ადგილობრივი მნიშვნელობის ისეთი საკითხებისა, რომელთა მოწესრიგების უფლება რესპუბლიკის კანონით შეიძლება გადაეცეს პროვინციებს, თემებს ან ადგილობრივ თანასაზოგადოებებს.

სახელმწიფოს შეუძლია საკანონმდებლო წესით ოლქებს გადასცეს სხვა ადმინისტრაციული ფუნქციების განხორციელების უფლებამოსილებაც.

ოლქი თავის ადმინისტრაციულ ფუნქციებს ახორციელებს პროვინციებისა და თემებისათვის სათანადო დავალებების განაწილების გზით, აგრეთვე ამ ტერიტორიული ერთეულების ორგანოთა გამოყენების საშუალებით.

ქვეყნის კანონმდებლობით დადგენილი ნორმების ფარგლებში ოლქები სარგებლობენ ფინანსური ავტონომიით, რაც შეწყვეტილი უნდა იყოს სახელმწიფოს, პროვინციებისა და თემების ფინანსებთან.

ოლქების განკარგულებაში რჩება ადგილობრივი გადასახადები, ასევე მათი ფუნქციების ნორმა-ლური განხორციელებისათვის საჭირო ხარჯების დასაფარად უნარჩუნდება სახელმწიფო გადასახადების ნაწილი.

გარდა ამისა, გარკვეულ ამოცანათა გადაწყვეტისათვის, კერძოდ, სამხრეთისა და კუნძულების განვითარებისათვის, საკანონმდებლო წესით სახელმწიფო ცალკეულ ოლქებს გამოყენების სპეციალურ სახსრებსაც.

რესპუბლიკის კანონების შესაბამისად, ოლქებს გააჩნიათ საკუთარი სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონება. ამასთან ერთად კანონმდებლობა ითვალისწინებს გარკვეულ შეზღუდვებსაც, ასე მაგ. ოლქს არ შეუძლია დაადგინოს ბაჟი შემოზიდვებზე, გატანაზე და ოლქებს შორის ტრანზიტზე, დაუშვებელია

<sup>1</sup> საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური სამართალი კრებული | თბ. 1999წ. გვ 223

<sup>2</sup> Месное Сомоуправление (управление) В зарубежных странах, под.ред. А.С. прудникова М.2008г.стр.140



ისეთი ღონისძიებების გატარება, რომლებიც ხელს შეუშლიან ოლქებს შორის მოქალაქეების ან ქონების თავისუფალ გადაადგილებას. ამასთან დაუშვებელია შეიზღუდოს მოქალაქეთა უფლება, რომ ეროვნული ტერიტორიის ნებისმიერ ნაწილში ეწყოდეს, თავისი პროფესიის მიხედვით სამუშაოს.

ოლქების ხელმძღვანელობს მისი ორგანოების საოლქო საბჭო, აღმასრულებელი კომიტეტი და თავ-მჯდომარე. საოლქო საბჭო ახორციელებს ოლქის კომპეტენციაში შემავალ საკანონმდებლო და განმკარგულებელ ხელისუფლებას, კონსტიტუციით კი უფლება აქვს საკანონმდებლო წინადადებებით შევიდეს პალატებში.

კანონმდებლობით საოლქო აღმასრულებელი კომიტეტი არის ოლქის აღმასრულებელი ორგანო.

აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მოიაზრება, როგორც ოლქის წარმომადგენელი; იგი თავის საქმიანობაში იყენებს ოლქის კანონებსა და დადგენილებებს, ცენტრალური მთავრობის ინსტრუქ-ციების შესაბამისად ხელმძღვანელობს სახელმწიფოს მიერ ოლქისათვის დელეგირებულ ადმინისტრაცი-ული ფუნქციების განხორციელებას.

რესპუბლიკის კანონი ადგენს საარჩევნო სისტემას და მიუთითებს, თუ რის საფუძველზე შეიძლება პირისათვის საოლქო მრჩევლის თანამდებობაზე არჩევის უფლების ჩამორთმევა, ადგენს ამ სახელოსთან კონკრეტული პირის ქვევის შეუთავსებლობას.

არავის შეუძლია ერთდროულად იყოს საოლქო საბჭოსა და პარლამენტის ერთ-ერთი პალატის ან სხვა ოლქის საბჭოს წერი.

მუშაობის უკეთ წარმართვისათვის საბჭო თავის შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარესა და ბიუროს.

თავისი ფუნქციების შესრულებისას გამოთქმული აზრების, ან ხმის მიცემა-არმიცემისათვის საოლ-ქო მრჩეველებს არ შეიძლება დაეკისროთ პასუხისმგებლობა.

რაც შეეხება აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს და წევრებს, მათ თავის წევრთა შემად-გენლობიდან ირჩევს საოლქო საბჭო.

ყოველ ოლქს აქვს თავისი სტატუსი, რომელიც რესპუბლიკის კონსტიტუციისა და კანონების შესა-ბამისად ადგენს ოლქის შინაგანი ორგანიზაციის მარეგულირებელ ნორმებს. სტატუსი ანგარიგებს ოლქის საკანონმდებლო ინიციატივის განხორციელებისა და რეფერენდუმის ჩატარებასთან დაკავშირებულ სა-კითხებს და აგრეთვე ოლქის კანონების, დადგენილებების გამოქვეყნებისა და ადმინისტრაციულ ღონის-ძიებათა ჩატარების წესს.<sup>1</sup>

სტატუსს საოლქო საბჭო იღებს წევრთა ხმების აბსოლუტური უმრავლესობით და ამტკიცებს რეს-პუბლიკის პარლამენტი შესაბამისი კანონის მიღების გზით.

მთავრობის კომისარი, რომელსაც ოლქის მთავარ ქალაქში აქვს რეზიდენცია, ხელმძღვანელობს სა-ხელმიწოდ ადმინისტრაციის საქმიანობას და კოორდინაციას უწევს ოლქის მიერ განხორციელებულ ად-მინისტრაციულ ფუნქციებს.

კონტროლს ოლქის ადმინისტრაციული აქტების კანონიერებაზე დეცენტრალიზებულ ფორმებში, რესპუბლიკის კანონით დადგენილ ფარგლებში ახორციელებს სახელმწიფოს სპეციალური ორგანო. კა-ნონით შესაძლებელია გარკვეულ შემთხვევებში დაუშვას არსებითი კონტროლი, რომელსაც მხოლოდ ერ-თი მიზანი ექნება – მოტივირებული შეკითხვის გზით მოითხოვოს საოლქო საბჭოს გადაწყვეტილების ახა-ლი განხილვა.

რესპუბლიკის კანონით დადგენილი წესით ოლქში ყალიბდება ადმინისტრაციული იუსტიციის პირ-ველი რიგის ორგანოები. შეიძლება შეიქმნას ამ ორგანოთა ქვეგანყოფილებები, რომელთა რეზიდენცია ოლქის მთავარ ქალაქში არ იქნება.

კანონმდებლობა ითვალისწინებს საოლქო საბჭოს დათხოვნას იმ შემთხვევაში, თუ იგი ჩაიდენს კონსტიტუციის სანინააღმდეგო ქმედებებს, კანონის სერიოზულ დარღვევებს, ან არ ასრულებს მთავრო-ბის წინადადებას გადააყენოს აღმასრულებელი კომიტეტი, ან მისი თავმჯდომარე, რომელიც ჩაიდინეს ანალიგიური ქმედებანი თუ დარღვევები. ასევე საბჭო შეიძლება დათხოვნილ იქნას იმ შემთხვევაშიც, თუ გადაცდომების შედეგად ან უმრავლესობის შექმნის შეუძლებლობის გამო მას არ ძალუს ფუნქციონირება. გარდა ამისა იგი შეიძლება დათხოვნილი იყოს აგრეთვე ეროვნული უშიშროების მოსაზრებით.

რაც შეეხება თემის მერის სამართლებრივ მდგომარეობას, იგი ორმაგი სტატუსით ხასიათდება იმის გამო, რომ ერთდროულად სათემო ჯუნტის მეთაური კომუნაში სახელმწიფო წარმომადგენელია. თემის მერს, როგორც წესი, სათემო საბჭო ირჩევს, რის შემდეგადაც ახალარჩეული მერი ფიცის დებს პრეფექტის წინაშე. პრეფექტის უფლება აქვს გააუქმოს საბჭოს გადაწყვეტილება მერის არჩევის შესახებ, რაც შესაძლებელია გასაჩივრდეს მთავრობაში. მერი ავტომატურად კარგავს მანდატს დაკისრებული მოვალეობების შეუსრულებლობის, ან არჩევის შემდეგ ერთი თვის განმავლობაში საპატიო მიზეზების გარეშე სამსახურში გამოუცხადებლობის შემთხვევაში. მერი ინვევს სათემო საბჭოსა და ჯუნტის სხდომებს, თავ-მჯდომარეობს ორივე ორგანოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებას, წარმოადგენს კომუნას სასამართლოში, ასრულებს სანოტარო მოქმედებებს, ანარმონებს სამოქალაქო მდგომარეობის აქტების ჩაწერას, შესაბამისი მოწმობებისა და ცნობების გაცემას, უზრუნველყოფს ქვეყნის კანონებსა და ცენტრალური დაწესებულების სხვა წორმატიული აქტების გამოქვეყნებას, მეთვალყურეობს კომუნის ტერი-ტორიაზე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას, გამოსცემს საკუთარ სამართლებრივ აქტებს – ორდონია-

<sup>1</sup> Муниципальное право зарубежных стран, под.ред. В.В Ереммня М. 2008, стр.105



ნებს და სხვ. მერს, მისი ფუნქციების განხორიცლებაში ეხმარება კომუნის მდივანი. საყურადღებოა, რომ იტალიური სინდიკატორი, ხშირად, ასრულებს შუამავალ-მედიატორის როლს საბჭოსა და ჯუნტაში წარმოდგენილ სხვადახვა პოლიტიკურ ძალას შორის.<sup>1</sup>

ადგილობრივ ხელისუფლებათა დათხოვნის ფორმალური საფუძველია რესპუბლიკის პრეზიდენტის მოტივირებული დეკრეტი, რომელსაც მიღებს რესპუბლიკის კანონის შესაბამისად შექმნილი საოლქო საკითხების დეპუტატთა და სენატორთა ერთობლივი კომისიის აზრის გაგების შემდეგ.

ადგილობრივ ხელისუფლების დათხოვნის დეკრეტით ინიშნება კომისია სამი ისეთი მოქალაქისა-გან, რომელთაც აქვთ უფლება არჩეული იყვნენ საოლქო საბჭოში. კომისია ნიშნავს არჩევნებს არაუგვიანეს სამი თვისა და ახორციელებს აღმასრულებელი კომიტეტის კომპეტენციაში შემავალ ჩვეულებრივ მმართველობას და ყველა გადაუდებელ ღონისძიებებს, რომელიც შემდგომში დასამტკიცებლად უნდა წარედგინოს ახალ საბჭოს.

საოლქო საბჭოს მიერ მიღებული კანონი გადაეცემა კომისარს, რომელმაც ოცდაათი დღის განმავლობაში ვიზა უნდა დაადოს მას, თუ არ არის სანინააღმდეგო აზრი მთავრობის მხრიდან.

კანონი უნდა გამოქვეყნდეს ვიზირებიდან ათი დღის განმავლობაში, ხოლო ძალაში შევა გამოქვეყნებიდან სულ ცოტა თხუთმეტი დღის შემდეგ. თუ საოლქო საბჭომ მთავრობის თანხმობით გამოაცხადა კანონის სასწრავობა, მაშინ იგი ქვეყნდება და ძალაში შედის დაუყოვნებლივ.

იმ შემთხვევაში თუ რესპუბლიკის მთავრობა ჩათვლის, რომ საოლქო საბჭოს მიერ მიღებული კანონი სცილდება ოლქის კომპეტენციას, ერთა აღმდეგება ეროვნულ ან სხვა ოლქების ინტერესებს, იგი ვიზირებისათვის დადგენილ ვადებში აბრუნებს მას საოლქო საბჭოში.

თუ საოლქო საბჭო კვლავ მიღებს ამავე კანონს წევრთა აბსოლუტური უმრავლესობით, მაშინ თხუთმეტი დღის განმავლობაში რესპუბლიკის მთავრობას შეუძლია აღძრას საკითხი საკონსტიტუციო სასამართლოში ან ინტერესთა წინააღმდეგობათა გამო – პალატების წინაშე. დაეჭვების შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლო წყვეტს, ვის კომპეტენციაში შედის ეს საქმე.

რესპუბლიკის საერთო კანონებით დადგენილი ძირითადი პრინციპების ფარგლებში პროვინციები და თემები არიან ავტონომიური ერთეულები. ეს კანონები განსაზღვრავენ მათ ფუნქციებს.

პროვინციები და კომუნები წარმოადგენენ აგრეთვე სახელმწიფო და საოლქო დაყოფის ტერიტორიულ ერთეულებს.

შემდგომში დეცენტრალიზაციის მიზნით პროვინციების ტერიტორია შეიძლება დაყოფილ იქნას მხოლოდ და მხოლოდ ადმინისტრაციული ფუნქციების მქონე ოკრუგებად.

პროვინციების, თემების და ხსვა ადგილობრივი დაწესებულებების აქტების კონტროლს დეცენტრალიზებულ ფორმებში ახორციელებს რესპუბლიკის კანონით დადგენილი წევრი საოლქო ორგანო.

ოლქების დონეზე ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაზე სახლმწიფოებრივი კონტროლის ზემოთ აღნიშნული ზოგიერთი ფორმის გარდა, უდავოდ მნიშვნელოვანია საოლქო ჯუნტის თავ-ჯდომარეობის მიერ, მისივე უფლებამოსილების ვადით ფორმირებული პროვინციის კონტროლის საოლქო კომიტეტი, რომლის სტრუქტურაში რამდენიმე სპეციალიზებული ქვედანაყოფი შედის. კომიტეტს თელი რიგი სამართლებრივი ბერკეტი აქვს პროვინციებისა და კომუნების ორგანოების არასასურველი აქტების მოქმედების შეჩერების ან გაუქმების მიზნით.<sup>2</sup>

ეს კონტროლი შეიძლება განხორციელდეს კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოში გადასინჯვის შესახებ მოტოვირებული მოთხოვნის შეტანის გზით.

კონსტიტუციურ კანონს, საოლქო საბჭოების აზრის გათვალისწინებით შეუძლია დაუშვას არსებული ოლქების გაერთიანება, ან ახალი ოლქების შექმნა, თუ ამ ოლქში სულ ცოტა ერთი მილიონი კაცი ცხოვრობს და ამას მოითხოვენ დაინტერესებული მოსახლეობის ერთი მესამედის მუნიციპალური საბჭოები და თუ ეს წინადადება მოწონებულია რეფერენდუმზე, ამავე მოსახლეობის უმრავლესობით.

საოლქო საბჭოს აზრის გათვალისწინებით, რეფერენდუმისა და რესპუბლიკის კანონის მეშვეობით შეიძლება ნება დაერთოს პროვინციებსა და თემებს მათი სურვილისამებრ გამოვიდნენ ერთი ოლქის შემადგენლობიდან და შევიდნენ მეორეში.

რესპუბლიკის კანონი, თემების ინიციატივის საფუძველზე, შესაბამის საოლქო საბჭოსთან კონსულტაციების შემდეგ ქმნის ახალ პროვინციებს, ან ცვლის პროვინციის საზღვრებს ერთი და იგივე ოლქის ფარგლებში.

ოლქს შეუძლია დაინტერესებული მოსახლეობის აზრის გათვალისწინებით გამოსცეს კანონი, რომელიც ოლქის ტერიტორიაზე შექმნის ახალ თემებს, ან შეცვლის მათ დასახელებებსა და საზღვრებს.

და ბოლოს, იტალიის ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემაში თავის დროზე იმდენად განიცადა ფრანგული გავლენა, რომ შეიძლება მას ფრანგული სისტემის „კოპირებაც“ ენოდოს, მაგრამ ისე შეუძამა ეროვნულ ტრადიციებსა და ინტერესებს, რომ შემდგომში აისახა კონსტიტუციის და მრავალი განვითარებული ნორმა თუ მექანიზმი დაამკვიდრა, რითაც მსოფლიო ქვეყნების კონსტიტუციონალიზმის შედარებითი სამართლის სივრცეში „სავტორო უფლების სტატუსიც“ კი ძეიძინა.

<sup>1</sup> ო. მელქაძე, ზ. ეზუგბაია, მუნიციპალური სამართალი, თბ. 2002წ. გვ. 152

<sup>2</sup> ო. მელქაძე, ზ. ეზუგბაია, მუნიციპალური სამართალი, თბ. 2002წ. გვ. 153



### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ო. მელქაძე, ზ. ეზუგბაია, მინიციპალური სამართალი, თბ. 2002 წ.
2. საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური სამართალი კრებული | თბ. 1999წ.
3. ა. დემეტრაშვილი მსოფლიო ქვეყნების კონსტიტუციები, თბ. 1992წ.
4. Месное Сомоуправление (управление) В зарубежных странах, под.ред. А.С. прудникова М.2008г.
5. Муниципальное право зарубежных стран, под.ред.В.В Ереммня М. 2008

**დავით ლობჟანიძე  
გივი ლობჟანიძე**

**იტალიის კინსტიტუცია და ადგილობრივი თვითმმართველობის სამართლებრივი  
ევოლუცია საფუძვლები**

**რეზიუმე**

ნაშრომში განხილულია იტალიის ადგილობრივ თვითმმართველობასთან დაკავშირებული მთელი რიგი საკონსტიტუციო და საკონსტიტუციო მინიციპალური მმართველობის სისტემა ისტორიულ-პოლიტიკური თვალსაზრისით. ნაშრომში მოცემულია მართვის სისტემის, წყობისა და ფუნქციონირების ქრონოლოგიური აღწერა.

ავტორები ნაშრომში დეტალურად ახასიათებენ ამ სისტემაში შემავალი ყოველი ელემენტის ფუნქციონირებას.

**Davit Lobzhanidze  
Givi Lobzhanidze**

### **CONSTITUTION OF ITALY AND LEGAL EVOLUTION OF FOUNDATIONS IN THE LOCAL SELF-ADMINISTRATION**

#### **Summary**

Presented work presents number of issues connected with the local self-administration of Italy. The authors give detailed description of the governmental system of the state from the historic and political standpoint. They offer the chronological characterization of the state administration system, order and performance. The authors characterize and describe the performance of all the elements within the system.



## გ030 ლოგიკი

### ილია ჭავჭავაძის შეხედულებაზე ადგილობრივი თვითმმართველობისა და მართლმსაჯულების შესახებ

როდესაც მსჯელობა გვაქვს იმ თეორიების შესახებ, რომელიც მეტ-ნაკლებად მისაღებია თანამედროვე მუნიციპალური სამართლის მეცნიერებისათვის, შეუმჩნეველი არ უნდა დარჩეს ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ილია ჭავჭავაძის მიერ ადგილობრივი თვითმმართველობისა და მართლმსაჯულების მიმართ გამოთქმული შეხედულებანი, რომლებსაც არ დაუკარგავს აქტუალობა და ნათლად ეხმაურებიან დღევანდელობას.

ილია ჭავჭავაძე, როგორც იურისტი და პოლიტოლოგიური ხედვის დიდოსტატი, კარგად იცნობდა სახელმწიფო მმართველობის ფორმებს და იმ დროისათვის განვითარებული ქვეყნების პოლიტიკურ სტრუქტურებს. მის პუბლიცისტურ წერილებში დიდი ადგილი აქვს დათმობილი მსჯელობებს იმის თაობაზე, თუ რა როლი და მნიშვნელობა აკისრია ადგილობრივი მმართველობის სისტემის სრულყოფას ქვეყნის წინსვლა — განვითარებისათვის.

სახელმწიფო მმართველობას ი. ჭავჭავაძე ორ ძირითად მიმართულებად ყოფს: ესაა ცენტრალური ანუ ვერტიკალური (ცენტრალიზაცია), „ცენტრალიზაციური სისტემა იმგვარს მოწყობილობას ნიშნავს, როცა უფლება და გამეობა საზოგადოებრივი, ანუ სახელმწიფოებრივი, ერთი კაცის ხელშია, ანუ ბევრთა ხელშია — მაგრამ ერთ ადგილას კი“.<sup>1</sup> დეცენტრალიზაცია გულისხმობს ერთი ხმით ადგილობრივ საქმეთა დაწყობას თვითმმართველობის მიერ, მეორე ხმით უმაღლესი მთვარობის ხელისუფალ ორგანოთა საქმიანობას.<sup>2</sup> ერთიცა და მეორეც უნდა ემსახურებოდეს ქვეყნის ერთიანობას და მთლიანობას. ი. ჭავჭავაძის ნააზრევი განსახილველი პრობლემის ირგვლივ სცილდება იმ საზოგადოებრივ სტანდარტებს, რაც მოცემული და გაანალიზებულია თანამედროვე თეორიებში. ამ მიზეზით გადავწყვიტეთ, მოკლედ ჩამოგვეყალიბებინა ი. ჭავჭავაძის კონცეფცია ადგილობრივი თვითმმართველობის და მართლმსაჯულების შესახებ, რომელაც საყოველთაო მნიშვნელობა გააჩნია.

ი.ჭავჭავაძის აზრით, მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნისათვის მმართველობის ფორმის სფეროში ბევრი რამ საერთოა და უნივერსალურ ხასიათს ატარებს, ამიტომ „ქვეყნიერებაზე მმართველობას ორგვარი წყობა და აგებულება ჰქონდა და აქვს. თუ სადმე რაიმე ცვლილება არის, მაინც შეიძლება, რომ მმართველობა ან ერთისაკენ იყოს მიდრეკილი, ამ მეორისაკენ. „ერთგვარი მმართველობა იგია, საცა სახელმწიფო ადგილობრივი მნიშვნელობის საქმესაც თვით განაგებს და საზოგადოებრივსაც, ყველგან და ყველა ნაწილში. ამ შემთხვევაში მთავრობა ყოველგვარი საქმის დამწყები და მოთავეა, ყოველგვარის საქმის მწარმოებელია — ყოველის მზრუნველი და გამგეა, ასე რომ ყოველივე მისგან წარმოსდგება და ყოველივე მასვე ერთვის. ამგვარ გამგეობისათვის მას თავისი საკუთარი მოხელეებაცნი ჰყვანან, რომელთაც თვით ირჩევს, თვით წინავს, თვით გადააყენებს და რომელიც მხოლოდ მის წინაშე არიან პასუხისმგებელი. ამგვარს მართველობას ცენტრალიზაციას ეძახიან“.<sup>3</sup> რაც შეხება ადგილობრივი თვითმმართველობის „მეორე სახის მმართველობას, იგია, საცა მმართველობა ხელთ საზოგადოებას განუსაკუთრებია, მერე ასე, რომ ყოველს ნაწილს თვისინი ადგილობრივი საქმენი აქვს ხელშეუკალად მინდობილი და განიგებიან უსათუოდ ადგილობრივთა მოხელეთა შემწეობით, რომელთაც ირჩევს თვით ადგილობრივ მცხოვრებთა საზოგადოება და რომელიც ამავე საზოგადოების წინაშე პასუხისმგებელი არიან. ამგვარს გამგეობას თვითმმართველობას უზრდებენ, რადგანაც ამ შემთხვევაში თითოეული წაწილი ერთსა და იგივე სახელმწიფოსათვის თავის საკუთარს საქმეს პატრონობს, თვით უვლის და თვით ჰმართავს.“<sup>4</sup>

ი. ჭავჭავაძის აზრით, თვითმმართელობის ძალა თვით საზოგადოების ერთობაშია და იგი წარმატებას მაშინ აღწევს, როდესაც ადგილობრივი ერთეულის მოსახლეობის ძალისხმევა ერთ მიზანს ემსახურება“. თვითმმართველობა ერთი იმ ძალთაგანია წერს, ილია ჭავჭავაძე, რომელიც შებმულია წარმატების უდელში და ეწევა მას სხვებთან ერთად.<sup>5</sup> მისი აზრით, თვითმმართველობა სოფლისა, როგორც ჭეშმარიტი ორგანო სოფლის გამგეობისა და მზრუნველობისა, ღონემოკლებული არ იქნება, თუ იგი სოფლის ერთობად იქნება დამყარებული, სოფლის თვითმმართველობაში იგი ნებისმიერი დონის თვითმმართველ ერთეულს გულისხმობს, რადგანაც თვითონ ცხოვრება წარმოშობს თავისითავშივე წესს, რჯულსა და კანონს, რომელთაც განმარტება სჭირდებათ, რათა ხალხისათვის გასაგები იყოს, ამ შემთხვევაში იგი აუცილებლად იქნება რეალიზებული და ადგილობრივი საქმები ადგილობრივ მცხოვრებთა მიერ იქნება განგებული.<sup>6</sup> ადგილობრივი თვითმმართველობის ილიასეული კონცეფციები მიესადაგება ევროპულ ქარტიას და შესაძლებელია მის ანალიზს დავუკავშიროთ.

<sup>1</sup> ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ. V, გვ. 316

<sup>2</sup> ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ. VI, გვ. 41

<sup>3</sup> ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ. V, გვ. 33-34

<sup>4</sup> იქვე

<sup>5</sup> ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ. VI, გვ. 48

<sup>6</sup> გ. ლობუანიძე, საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძლები, თბილისი, 2011 წ. გვ. 244



სახელმწიფოს მმართველობის ორი სისტემის დახასაითების შემდეგ სრულიად ბუნებრივი და ლოგიკურია გაჩნდეს კითხვა, თუ საით იხრება ი. ჭავჭავაძე. საკარისია მისი სხვა აზრის შემდგომი ციტირება თვითმმართველობის შესახებ და ნათელი გახდება მისი დამოკიდებულება ამ საკითხისადმი.

„ყოველი სახელმწიფო, თუნდ გვარტომებით ერთისა და იგივე ხალხით იყოს შემდგარი, მანც ადგილობრივის სხვადასხვაობის გამო, ბევრს სხვადასხვა თვისების მხარეებს ნარმოვებიდენს. ყოველს მხარეს, ყოველს ნაწილს ერთისა და იგივე სახელმწიფოსას, თავისი საკუთარი ჭირი და ლხინი აქვს. თავისი საკუთარი გაჭირვება ადგია, თავისი საკუთარი მზრუნველობა და ფიქრი უმძიმებს გულსა.

უმაღლესი მთავრობის პირდაპირი დანიშნულება იგია, რომ ყოველს ქვემევრდომს მისი სატკივარი გაუგოს, მისი წამალი დასდოს, ყოველ სიკეთისა და კეთილდღეობის გზა გაუსხსას. ამისათვის საჭიროა უმაღლესმა მთვარობამ უტყუარად, პირუთვნელად, ზედმინევნით იცოდეს ყოველის კუთხის ნამდვილი ვითარება, მისი ავ—კარგიანობა, რომ საცა შესაძლოა შველა, უშველოს, შემწეობა მიაწვდინოს.“<sup>1</sup>

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არსებობს სრული საფუძველი იმისათვის, რომ დავასკვნათ, — ილიას პოლიტიკური სიმპათიები მთლიანად ქვეყნის მმართველობის დეცენტრალიზაცია-თვითმმართველობის მხარესაა, მაგრამ მისი სრულყოფილი განხორციელებისათვის აუცილებლად მიაჩნია შესაბამისი პირობების შექმნა. ე.ი. სახელმწიფოებრივი განვითარების გარკვეული დონე და შესაბამისი სტრუქტურებისა და მექანიზმების სისტემის ჩამოყალიბება.

„ყველგან უმაღლეს მთავრობასა და ხალხს შორის დაგას ხოლმე მთელი რაზმი მოხელეებისა, რომელიც მახლობელი გამომთქმებინი არიან უმაღლესის მთავრობის წადილისა, მიმართულებისა და ავ—კარგიანობისა. ხალხი თუ იცნობს მთავრობას, ამ მოხელეებით იცნობს, რადგანაც იგინი არიან მისდა მახლობლად, მათ უდგათ მის ცხოვრების დირეზედ ფეხი, იგინი განაგებენ ყოველდღეს მის ავსა და კარგსა და ყოველ-დღე თვალინი ტრიალებენ, უმაღლესი მთავრობა თუნდ კარგიც იყოს, შესაძლოა მოხელეების წყალობით ხალხმა აითვალინებოს იგი და იმდენად დაფრთხეს, რომ მას-პაპეული ბინაც მოშალოს და ცხრა მთას იქით გადავარდეს. ამიტომაც კეთილად, გონიერად და ცნობიერად აგება ხალხის მახლობელ მმართველობისა, კაი კაცების შერჩევა — შეადგენს ერთს იმისთანა უპირველეს და აუცილებელს საჭიროებას, ურომლისოდაც მთავრობა მთვარობა კი არ არის, წერვა—გლეჯვაა, ზედმისევაა, თავზარია ხალხისათვის.“<sup>2</sup>

როგორც ვხედავთ, ილია ჭავჭავაძე უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა სახელისუფლო სტრუქტურებში საკადრო პოლიტიკის გატარებას, ანუ „კარგი მოხელის“ ინსტიტუტის ჩამოყალიბებას.

ილია ჭავჭავაძის სამართლებრივი და პოლიტიკური მოძღვრების მკვლევარები თვლიან, რომ თვითმმართველობის სასარგებლოდ ილია ევროპის იმ პოლიტიკურ ლიდერებსაც კეთილგანწყობით მოიხსენიებს, რომლებსაც სხვა შემთხვევაში კრიტიკულ შეფასებებს არ აკლებდა. მისი აზრით, როცა პრუსიამ საფრანგეთს ელზასი და ლოტარინგია წართვა, გერმანის მთავრობაში დადგა ახალი ტერიტორიების მმართველობის მოწესრიგების საკითხი. ბისმარკმა მხარი დაუჭირა იქ თვითმმართველობის შემოღებას და ადგილობრივი მოხელეების არჩევას მმართველობის ორგანოებში. ი. ჭავჭავაძე თვლიდა, რომ გერმანიიდან დანიშნული მოხელე ადგილობრივთათვის უცხო იქნებოდა და მის ერთ არასწორ წაბიჯს დიდი უარყოფითი შედეგები მოჰყვებოდა ახალ შემოერთებულ ტერიტორიებში.

ილია მმართველობის პრობლემას მრავალგზის უბრუნდება, მაგრამ მისი თეორიული მემკვიდრეობის მკვლევარები ერთ ასპექტს უსვამენ ხაზს და მიაჩნიათ, რომ სამართლიანობის პრინციპი ირგანულად ჯდება მისი თეორიის კონსტრუქციებში და ამავე დროს მნიშვნელოვანია ილიას საერთო მსოფლმხედველობის მნიშვნელოვანი დასკვნებისათვისაც. კერძოდ, ჯერ კიდევ სოფლის თვითმმართველობის წესდების განხილვის პროცესში, მან სერიოზული შენიშვნები გამოიტქვა იმის გამო, რომ ეს წესდება „წილებრიობის“ პრინციპზე იყო აგებული: მას მიაჩნდა, რომ წარმატებისათვის, კეთილდღეობისათვის საჭიროა, რომ ყოველი ძალი ერთობისანი ერთად, ერთგვარად იყვნენ მიღრევილი და მიწვეული. იმპერიულმა ხელისუფლებამ კანონი და შესაბამისად სასოფლო თვითმმართველობა მანც „წილებრიობის“ პრინციპზე ააგო და თვითმმართველობის სფეროში მხოლოდ გლეხები დატოვა, ხოლო ყველა დანარჩენი თავადნი, აზნაური, მღვდელი, დიაკონები, მოქალაქენი, სოფლად მოვაჭრენი, მებატონეების შინამოსამსახურებიც კი თვითმმართველობის გარეთ დარჩა. ამასთან დაკავშირებით, ილია აღნიშნავს, რომ კანონთან თანასწორობის და კანონის მიერ დაწესებული თანასწორობის გარეშე ნამდვილი თვითმმართველობა არ არსებობს. „ამ კანონმა კი უარყო პირადი თანასწორობა, რომელიც სულია და გულია ყველგვარის წყობისა და ნამეტნავად თვითმმართველობისა“<sup>3</sup> ილიას პუბლიცისტური მემკვიდრეობის მკვლევარები ერთხმად აღიარებენ, რომ მისი ისტორიულ-თეორიული წიაღსვლები, ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის კონცეფცია, სახელმძღვანელო იდეებად გამოადგება მომავალ თაობებს, რადგანაც ყურადსალებია ილია ჭავჭავაძის ანალიზი ევროპის სხვადასხვა ქვეყნების დახასიათებისას, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის კუთხით. ეს კარგად სჩანს უცნობი ავტორის („ერთი მწერალი“) აზრის შეფასების დროს, რომ თვითმმართველობა უნივერსალური თვისების ფენომენია, რომელიც გამოსადეგია განვითარების ყველა დონისა და ტერიტორიული სიდიდის, ნებისმიერი პოლიტიკური სისტემის ქვეყნისათვის. ის ერთნაირად მისალებია ინგლისისათვის, სადაც არისტოკრატია გაბატონებული ძალა და ამერიკისათვისაც, სადაც თანასწორობაა მიღებული სახელმწიფოს ქაკუთხედად. თვითმმართვე-

<sup>1</sup> ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ. VI, გვ. 39-40

<sup>2</sup> იქვე

<sup>3</sup> ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ. V, გვ. 34-35



ლობა ერთიანი წარმატებით მოქმედებს ისეთ პატარა ქვეყანაში, როგორიც შვეიცარიაა და ისეთ „უდაბნო მინდვრების“ ქვეყანაშიც, როგორიც ჩრდილოეთ ამერიკაა, იქაც „ეთილგანზებაა“, სადაც „სახელოვანი განათლებაა“, ვთქავთ ლონდონში, და იქაც, სადაც შედარებით დაბალგანათლებული ხალხია — კანადაში, ავსტრალიაში, ინგლისის სხვა კოლონიებში.<sup>1</sup>

არ შეიძლება არ დავეთანხმოთ პროფ. ო. გოგიაშვილის დასკვნებს იმის თაობაზე, თუ რამდენად ეხმიანება ილიას თვალსაზრისი XXI საუკუნის დასაწყისში პოლიტიკურ მეცნიერებაში მიღებულ შეხედულებებს:

1. თვითმმართველობა გაცილებით ეფექტურია თანამედროვე ეკონომიკის სირთულის მიუხედავად და ნებისმიერი სამეურნეო პრობულემის გადაწყვეტის გზები ადგილიდან უკეთესად ჩანს, ვიდრე დაშორებული ბიუროკრატიული ცენტრიდან.

2. თვითმმართველობითი სტრუქტურები ხელს უწყობს დემოკრატიულ კონტროლს ადგილობრივ ხელისუფებაზე, ამდიდრებს და ააქტიურებს მოქალაქეების პოლიტიკურ ცნობიერებას, საკუთარი და საზოგადო კეთილდღეობის ამაღლებისათვის თითოეულ ინდივიდს აქტიურ მონაწილედ ხდის.

3. ფართო თვითმმართველობა უფრო აშკარა და ხელმისაწვდომი ხდება, რადგანაც ერთი სახელმწიფოს მოსახლეობა განსხვავდება ეთნიკურად, კულტურულად, რელიგიურად და საჭიროა მათი უფლებების დაცვა.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ი. ჭავჭავაძის თვალსაზრისი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მართვის მოდელთან და დემოკრატიულ პროცესთან მიმართებაში. მისი აზრით, „დემოკრატიასა და ფედერაციას შორის არსებული ნათესაური კავშირი უნივერსალურია, იგი მაქსიმალურად აახლოებს მოქალაქეებს იმ უფლებამოსილებითან, რაც მათ მიმართ დელეგირებული აქვს ხელისუფლებას და ხელენიფებასა ერთობლემის გადაწყვეტა; ხელს უწყობს ადგილობრივი და რეგიონალური ექსპერიმენტების ჩატარებას და საუკუთესო გადაწყვეტილების საყოველთაო დანერგვას. ფედერალური სტრუქტურის დიდი უპირატესობაა, რომ იგი აადვილებს მოსახლეობის ისეთი ჯგუფების პოლიტიკურ თანაარსებობას, რომელთაც აქვთ სრულიად სხვადასხვა ისტორია, კულტურა, რელიგია ან რომლებიც მიეკუთვნებიან სხვადასხვა რასას.

ფაქტია, რომ სახელმწიფო მმართველობის სფეროში ილია მემარჯვენე კონსერვატორი და კონსტიტუციური მონარქიის მომხრე იყო. ამ თვალსაზრისის გასაძლიერებლად კომენტარს აკეთებს პროფ. ო. გოგიაშვილი, რამდენადაც ილია თავისი ეპოქის შვილი იყო და კვლევის მისივე მეთოდი რომ გამოვიყენოთ, ჭეშმარიტების დადგენისას, ჯერ „იმ დროების ქერქში უნდა ჩავჯდეთ და მერე განვიკითხოთ თვითონ დროების შვილნიცა“. აქ ილიას ეს ციტატა მისი „განკითხვის“ მიზნით კი არაა გამოყენებული, არამედ იმ მოსაზრების განსამტკიცებლად, რომ კონსტიტუციური მონარქია მსოფლიო პოლიტიკური ცივილიზაციის ერთ-ერთი უძალლესი მიღწევა და წარმატებით ფუნქციონირებს მსოფლიოს 50 ქვეყნაში; გარდა ამისა, უდავოდ საინტერესოა ის პოლიტიკური წინამდებრები და საზოგადოებრივი ფონი, რასაც ილიას თვალსაზრისი ეფუძნებოდა.

რუსეთის იმპერიის პოლიტიკური ხელისუფლება პროვინციებსა და რეგიონებს მიიჩნევდა განუვითარებელი ხალხით დასახლებულ ტერიტორიებად, ამიტომ მათთვის ზოგიერთ შემთხვევაში ცალკე წერდა სამართლებრივ აქტებს, ამის თაობაზე ილია ჭავჭავაძე აღნიშნავდა, „ჩვენი ქვეყნისათვის კანონები უნდა იწერებოდეს ჩვენი ქვეყნის მიერ არჩეულ წარმომადგენელთა კრებულისაგან“.<sup>2</sup> აქედან გამომდინარე, ი. ჭავჭავაძის პოლიტიკური და სამართლებრივი შეხედულებების მკვლევარს, პროფ. ვ. მეტრეველს მიაჩნია, რომ ი. ჭავჭავაძე წინააღმდეგია რუსეთის იმპერიისათვის შედგენილი კანონების უცვლელად ან ადგილობრივი ტრადიციების გათვალისწინების გარეშე გავრცელებისა საქართველოში. ეს ეხება 1865 წლის 11 აპრილის წესდების პროექტს, რომელიც ითვალისწინებდა სოფლის თვითმმართველობის რეფორმას, რომელიც არ მოიაზრებდა ყველა ფეხს და სოფლის თვითმმართველობის პროცესს გამოაკლიზოგირთი წინდებანი, რის გამოც ფაქტობრივად გაათავსუფლა ისინი სოფლის მმართველობის ქვემდებარებიდან. ამის არგუმენტად მოტანილია წესდების პროექტის „23—ე, 36—ე და 39—ე მუხლები, რომლის ძალით ყველანი, ვინც კი გლეხვაცობას არ ეკუთვნის – თავადნი, აზნაური, მღვდელნი, დიაკვნები, მოქალაქენი, სოფლად მოვაჭრენი, მებატონების შინა მოსამსახურებიც კი – თავისუფალი არიან სოფლის სამმართველოს გამგებისაგან, ვერც სოფლის სასამართლო მათ ვერ შეეხება. ამით წესდებამ ხელ-ფეხი შეუკრა სოფლის მმართველობას. უფრო მეტიც, ი. ჭავჭავაძის აზრით, წერს ვ. მეტრეველი, წესდების 24—ე მუხლი, (რომლის ძალით სოფლის მამასახლისმა უნდა დაიცვას საზოგადოებრივი წერიგი, ასევე მოქალაქეთა პირადი საკუთრება) და უკამაყოფილებას გამოთქვამს, იმის გამო, რომ თუ სოფელში დანაშაულს გლეხის გარდა სხვა ვინმე ჩაიდენდა, მასზე სოფლის მამასახლისს ხელი არ მიუწვდებოდა, რადგან ისინი სოფლის მმართველობას არ ექვმდებარებოდნენ. სასამართლო სისტემაში ყველაზე დაბალ რგოლს სოფლის სასამართლო წარმოადგენდა, რომლის კომპეტენცია გლეხის დასვა იყო, რომელსაც უსამართლობის გარჩევა მხოლოდ მომრიგებელ მოსამართლესთან შეეძლო, რომელიც რუსეთმა 1864 წლის სასამართლო რეფორმის გატარების შემდეგ შემოიღო. ისინი იქმნებოდნენ მაზრებსა და ქალაქებში. ილიას აზ-

<sup>1</sup> პოლიტოლოგია, ო. გოგიაშვილის რედ. თბილისი, 2004 წ. გვ. 95-96

<sup>2</sup> ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ.IX, გვ. 265



რით, გლეხისათვის ზემდგომი ინსტანციის სასამართლეობისათვის მიმართვა დიდ დაბრკოლებას წარმოადგენდა, რაც დაკავშირებული იყო მის ეკონომიკურ-სოციალურ და დროის პრობლემებთან. ამის თაობაზე ილია ჭავჭავაძე წერდა, „გლეხი იძულებულია ათს, ოცს, ოცდაათს ვერსზედ გაიქცეს, მომრიგებელ მოსამართლეს მიჰმართოს, რამდენიმე დღეს წასვლა-მოსვლაში დაკარგოს, მერე რამდენიმე თვე საქმის გარჩევას ელოდოს, მერე კიდევ დაიპარონ, კიდევ მოსცდეს რამდენიმე დღე წასვლა-მოსვლაში“.

ასეთი ბიუროკრატიული მიდგომა გლეხს აიძულებდა ხელი აელო თავის საჩივარზე, რადგან ამას განაპირობებდა მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა.

საინტერესოა ილია ჭავჭავაძის შეხედულებანი მოსამართლეთა მიმართ. მან, როგორც იურისტმა და მოსამართლემ, კარგად იცოდა, თუ რა თვისებები უნდა ჰქონოდა მოსამართლეს. ამ პოზიციიდან იგი „ცხოვრება და კანონის“-ს მექევსე წერილში მიმოიხილავს მომრიგებელი მოსამართლის ისნტიტუტს და უვარგის მოხელეებს უნიდებს. თავის მონოგრაფიაში პროფ. ვ. მეტრეელი ფართოდ განიხილავს მომრიგებელი მოსამართლის ინსტიტუტის შემოღების ისტორიას.<sup>1</sup>

ი. ჭავჭავაძე თავისი პოზიციით ფარდას ხდის საგლეხო და სასამართლო რეფორმების რეალურ მიზანს. ერთი შეხედვით წესდებებსა და დებულებებში ხაზი ესმება გლეხობის ინტერესების დაცვასა და მათი უფლებამოსილებების გაზრდას თვითმმართველობაში. სინამდვილეში კი მათზე სხვა წოდებების მხრიდან ზენოლის ბერკეტების გაძლიერებას გულისხმობდა.

იმპერიის უმრავლეს ნაწილებში და ამიერკავკასიაშიც იმ პერიოდში მომრიგებელ მოსამართლეებს ირჩევდნენ, ხოლო თბილისში მომრიგებელი მოსამართლები ინიშნებოდნენ. ამიერკავკასიაში შექმნილი იყო რამდენიმე სასამართლო ოკუუგი, რომელიც დაყოფილი იყო მომრიგებელ განყოფილებებად, მოსამართლეებს ჰყავდათ თანაშემნები (ამხანაგები), რომელთა დახმარებით ისინი საგამოძიებო ფუქნციებაც ახორციელებდნენ.

ილია ჭავჭავაძე თვლის, რომ ადგილობრივი პრობლემების ცოდნა და ავტორიტეტი გაცილებით ლირებულია მოსამართლისათვის, ვიდრე სასამართლო პრაქტიკის ხანგრძლივი სტაუ და გამოცდილება. მისი აზრით, „ადგილობრივი ვითარების აკიცა და კარგიც უფრო საჭიროა იცოდეს მოსამართლე, უფრო საჭიროა ჰქონდეს შინაკაცის საქმიანი სიბრძნე, ვიდრე კანონების ცოდნა და მოსამართლეობის გამოცდილება.“ მისი აზრით, ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს იგი უგულვებელყოფდეს კანონების ცოდნასა და მოსამართლის გამოცდილებას, რა თქმა უნდა, არა. მან ორივეს მნიშვნელობა კარგად იცის, მაგრამ უპიროტესობას ანიჭებს ხალხის გულისტყვივილის, მათი გაჭირვების თუ დალენინების გათავისებას, სწორედ ასეთი მიდგომით „არ არის ქვეყანაზედ კაცი, რომელმაც მართალი ყალბს არ ამჯობინოს, რაც უნდა ეს ყალბი სამაცდური იყოს.“

ი. ჭავჭავაძე დიდ დარისა და ადგილს უთმობს თავის ჰუბლიცისტიკაში მომრიგებელი მოსამართლის ინსტიტუტზე მსჯელობას. ამ საკითხზე ჩემზე ადრე გაუმახვილებიათ უურადღება ილიას მემკვიდრეობის მკვლევარებს, მაგრამ თემა იმდენად აქტუალურია, მასზე მსჯელობას მომავალშიც არაერთხელ დაუბრუნდებიან სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის სპეციალისტები.

„მომრიგებელ მოსამართლეს გამჭრიახი გონება უნდა ჰქონდეს, პატიოსანი ხასიათი და უჩირქო ყოფა-ცხოვრება“, რადგან მოვალეობა ხალხის ცხოვრებისა და სახელმწიფო მმართველობის საყოველთაო მხარეს შეეხება, მისი უპირატესი ზემოქმედება საზოგადოებრივი წესრიგისა და მშვიდობის დაცვა—გამყარებას უნდა ემსახურებოდეს.

ილია ჭავჭავაძე არაერთგზის უბრუნდება საკითხს, რომ მომრიგებელი მოსამართლე სასურველია ადგილობრივი მცხოვრები იყოს, მისი აზრით, „მომრიგებელი მოსამართლე უსათუოდ იმ ადგილის შვილი უნდა იყვეს, საცა მოსამართლეობა უნდა და გარდა ამისა, იქაურ ცხოვრებთაგანვე ამორჩეული. ხალხი მხოლოდ ისეთს ირჩევს, ვისაც სანდო და სარწმუნო კაცის სახელი აქეს მცხოვრებთა თვალში“. გაზეთ „ივერიის“ ერთ-ერთ მოწინავე სტატიაში ილია წერდა, „მოსამართლე უსათუოდ უნდა იცოდეს ენა იმ ერისა, საცა პსამართლობს, რადგან, მისი აზრით, მოსამართლეს მომჩივარის ენა უნდა ესმოდეს იმიტომ, რომ თავისი ყურით გაგონილი, თავისი ყურით მოსმენილი, უფრო უტყუარია, უფრო ზედმინევნილია, უფრო მართალია და რადგანაც მართალია, უფრო შეუცდომელს საბუთს მოიპოვებს შეუცდომლის განკითხვისა და განაჩენისათვის. მოსამართლემ თავისი ყურით უნდა მოისმინოს მოწმის ჩევნება, საცა ხშირად ერთი სიტყვა, ასე თუ ისე გამოთქმული, უფრო დიდის და ცხოველის ნათლით მოჰყენს ყოველს საქმის გარემოებას, ვიდრე მთელი ლაქლაქის უვიცის და ბრივის მთარგმნელისა — ის რა მოსამართლეა? მოხელე, რომელსაც მე ჩემსას ვერას გავაგებინებ და ის თავისას, ის რა ჩემი მომვლელია? აქ მარტო სახეა და არა სული და ხორცი“. ამით ი. ჭავჭავაძე აკრიტიკებს და წინამდებეგია რუსული პოლიტიკისა, რომლის რეალიზაცია ხდებოდა პერიფერიებში, სადაც ინიშნებოდნენ რუსი ეროვნების მოსამართლეები, რომლებმაც არაფერი იცოდნენ იმ ქვეყნის, იმ კუთხის ტრადიციებისა, ხალხის ბედ-ილბლისა და მხოლოდ იმპერიის პოლიტიკის გამტარებლად გამოდიოდნენ და არა ხალხის, სამართლისა და სიმართლის მსახურად, სინამდვილებში კი, ილიას აზრით, „მოსამართლეობა, მსაჯულობა, ჩუმია, წყნარია, უხმაურო, უდაფუნდარო, ლვანლი მოსამართლისა, ისეთი ერთნაირი არ არის, როგორც მაგალითებრ ცისის აღება, ქვეყნის დაპყრობა, მოის მოგება და სხვა რამ ამგვარი დიდი, თვალსაჩინო და ერთბაშად დასანახავი საქმე, რომელიც ერთბაშადვე აცვიფრებს ადამიანს, იგი განუწყვეტელი ძენკვია ყოველდღიურის ღვანლისა, იგი ერთი ერთმანეთზედ ზედასხმული მარცვლებია ადამიანის საყოველდღური მოქმედების“.

<sup>1</sup> ვ. მეტრეველი, ილია ჭავჭავაძის შეხედულებანი სახელმწიფოსა და სამართალზე, თბ. 1997 წ. გვ. 130



არა მგონია ამაზე კარგი ფორმულა არსებობდეს სამოსამართლო სამართალში, რაც ილია ჭავჭავაძემ მოგვცა, ნუ ვიქებით უმაღურნი და ყველას თავისი მოვუწყოთ ხოლმე, რადგანაც ლირსება და პატივი ადამიანისათვის ძვირფასი რამ არის, კანონი უნდა ფრთხილობდეს უმართლო განაჩენმა არავის შეულახოს ადამიანური პატივი განზრას თუ განუზრახველად. უამისოდ ბრალდებულთა სკამზე დასმა ადამიანის პიროვნების წარწყმედაა, მიწასთან გასწორებაა, პირქვე დამხობაა იმ საკუცობრიო სიმართლისა, მართლმსაჯულებისა, რომელზედაც აშენებულია მთელი ადამიანური ურთიერთობა, მთელი ადამიანური ყოფა-ცხოვრება.

ილიასათვის სამართალი და სიმართლე ერთი მთლიანი ცნებაა, სამართალი ზოგადად ხომ სიმართლიდან მოდის, ამიტომ მოსამართლის მიერ გამოტანილი სამართლიანი განაჩენი სამართლისა და სიმართლის რეალიზაციაა. ამის დასტურად ილია ამბობს „სამართალი და კანონი უნდა ყველას სწამდეს თავის მფარველად, თავის სახსნელად, სამართალს, სხვა რა აქვს საგნად, თუ არა მართლის მფარველობა, სამართლიანი განკითხვა არავისათვის სათაკილო არ არის, პირიქით, უამისობა სიკვდილია, დედაბოძის გამოცლაა შენობისათვის, და ბოლოს სამართლით მოფრილი ხელი არ მეტკინებაო, ამბობს ჩვენი ქართველი კაცი და რაოდენ ყურადღების ღირსია ამისათვის რწმენა ხალხისა-ასკვნის ი. ჭავჭავაძე.

ასე რომ საქართველოში ადგილობრივი სასამართლო და თვითმმართველობა, როგორც სახელმწიფო მმართველობის ორგანოთა დამოუკიდებული ორი შტო, იყო და პარალელურად არსებობდა. თითო-ეული მათგანის უპირატესი ძალა დამოკიდებული იყო სამეფო ხელისუფლების სიძლიერესა და სისუსტეზე. ისე როგორც მასზე იყო დამყარებული მთლიანად ქვეყნის ბედი.

და ბოლოს, პროფესორმა ლ. სანიკეძემ თავის დროზე ი. ჭავჭავაძის თეორიული მემკვიდრეობის კვლევას „ილიოლოგია“, უწოდა, ხოლო მკვლევარებს, რომლებიც მისი პოლიტიკური, ეკონომიკური, სამართლებრივი მოძღვრების შესწავლით არიან დაკავებული, „ილიოლოგები“. ყველას აზრი ერთია, ი. ჭავჭავაძე ენციკლოპედიური აზროვნების მოღვაწეა, არ არსებობს საზოგადოებრივი ცხოვრების არც ერთი სფერო, სადაც მისი თვალსაწიერი სიღრმემდე არ სწვდებოდეს, ილ. ჭავჭავაძის საქმიანობა ადამიანური დიდბუნოვნება, თეორიული და ლიტერატურული ნააზრევი, პრაქტიკული მოღვაწეობა ნებისმიერ ქვეყანას დაამშვენებდა დედამიწის ზურგზე. ხმირად ვამბობთ, რომ მას მსოფლიო სათანადოდ არ იცნობდა და ამის ერთ-ერთი მიზეზი ჩვენებულობაა, კიდევ კარგი, რომ იგი მართლაც სულით—ხორცამდე ქართველია. რაც შეეხება ცნობადობას და პოპულარობას, ეს ჩვენზეა დამოკიდებული, რისთვისაც ყველაფერი უნდა გავაკეთოთ და ამით არა მარტო ი. ჭავჭავაძეს კი არა, არამედ ერის ანყოფისა და მომავალსაც განვადიდეთ.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ.V
2. ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ.VI
3. ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ.IX
4. გ. ლობჟანიძე, საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძვლები, თბილისი, 2011წ.
5. პოლიტოლოგია, ო. გოგიაშვილის რედ. თბილისი, 2004წ.
6. ვ. მეტრეველი, ი. ჭავჭავაძის შეხედულებანი სახელმწიფოსა და სამართალზე, თბ. 1997წ.



## გივი ლობჟანიძე

**ილია ჭავჭავაძის შეხედულებანი ადგილობრივი თვითმმართველობისა და  
მართლმსაჯულების შესახებ**

### რეზიუმე

მოცემული ნაშრომი ეხება ილია ჭავჭავაძის პოლიტიკურ და სამართლებრივ შეხედულებებს. მისი მოღვაწეობა და მოქალაქეობრივი პოზიცია მუდამ ეყრდნობოდა სამართლიანობასა და ობიექტურ ხედვას. როგორც იურისტმა, ილია ჭავჭავაძემ მშვენივრად უწყოდა პოლიტიკური მმართველობის ფორმები და განვითარებული ქვეყნის სტრუქტურა - რაც ნათლადაა მოცემული მის პუბლიცისტურ ნაშრომებში.

ილია ჭავჭავაძე ცდოლობდა სასამართლო სისტემა გამხდარიყო რაც შეიძლება სამართლიანი, გამჭვირვალე და ხელმისაწვდომი უბრალო ხალხისათვის. მან წამოგვიდგინა მთელი რიგი იმ თვისებებისა, რომლებიც დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო მოსამართლისათვის, რათა გამოეტანა სამართლიანი განაჩენი.

**Givi Lobzhanidze**

### **ILIA CHAVCHAVADZE'S VIEWS UPON LOCAL SELF-GOVERNMENT AND JUSTICE**

#### **Summary**

The article deals with Ilia Chavchavadze's political and legal views. His activities and civil stand were always based upon the justice and objective vision.

As a lawyer, Ilia Chavchavadze perfectly knew the political governmental forms and structures of the developed country - given in his journalistic papers.

Ilia Chavchavadze tried to make Georgian court system as just as possible and he did his best to make the juridical system transparent and accessible for the ordinary people. He presented the number of the qualities, necessary for the objective judge to make a fair verdict.



## შეხელი ფიცელაური

### კრიმინალისტიკის საგანი, ცნობა, მიზნები და მისი აღგილი იურიდიულ და სხვა მაცნეორეგული სისტემი

სამართლის თეორიის მიხედვით ყოველ სამეცნიერო დარგს თავისი კვლევის საგანი (ობიექტი) გააჩნია, რადგანაც მეცნიერების ესა თუ ის დარგი, უპირველეს ყოვლისა, შეისწავლის საზოგადოებრივი პროცესებისათვის ან ბუნებრივი მოვლენებისათვის დამახასიათებელ კანონზომიერებებს.<sup>1</sup>

კრიმინალისტიკას, როგორც იურიდიული მეცნიერების განსაკუთრებულ დარგს თავისი კვლევის საგანი (ობიექტი) აქვს, თუმცა სამეცნიერო წრებასა და სპეციალისტებს შორის ამ საკითხზე აზრის სხვადასხაობაა. ამას განაპირობებს კრიმინალისტიკის სპეციფიკურობა. იგი, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერება, სათავეს იღებს XIX საუკუნის დასასრულიდან, რომლის ფუძემდებლად ითვლება ჰანს გროსი, რომელიც კრიმინალისტიკას თვლიდა სისხლის სამართლის დამხმარე დარგად. საბოლოოდ იგი ჩამოყალიბდა, როგორც გამოყენებითი მეცნიერება, თუმცა თანამედროვე კრიმინალისტები მას დამოუკიდებელ იურიდიულ მეცნიერულ მიმართულებად მიიჩნევენ, რომელსაც მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სამართლის სისტემაში. კრიმინალისტიკის, როგორც დარგის ჩამოყალიბების დღიდან საგნის განსაზღვრება ერთ-ერთ პრობლემურ საკითხად იყო ქცეული, კრიმინალისტთა აზრით, საკითხის გადაწყვეტას ართულებდა მისი შინაგანი ბუნება, რადგანაც ის, როგორც მეცნიერება, იყენებს საბუნებისმეტყველო დარგების მოღვაწეთა შედეგებს, საკითხის გადაწყვეტას ასევე აძლევბდა საგნის ერთიანი მწყობრი სისტემის არარსებობა.

დღემდე მეცნიერებს არ მიუციათ საგნის შესახებ ცალსახა ცნება, რადგანაც თანამედროვე კრიმინალისტიკა ისევე ევოლუციურ პროცესში, როგორც საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივი მეცნიერებანი, მიუხედავად ამისა, სწორად მიგვაჩინია ცნება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს: „კრომინალისტიკა არის იურისპუდენციის სფეროს სპეციალური დარგი, რომელმაც შეიძინა დამოუკიდებლობა დანაშაულთა გახსნისა და თავიდან აცილების პროცესში, რასაც იგი აღწევს საექსპერტო, საგამოძიებო, სასამართლო პრაქტიკის, საბუნებისმეტყველო მეცნიერების მიღწევების კრიმინალისტიკური მიზნებისათვის შესაძლო გამოყენების გათვალისწინებით. კანონმდებლობის ფარგლებში ადგენს მტკიცებულებათა აღმოჩენის, ფიქსაციის, დამაგრების, შემოწმების, გამოკვლევისა და შეფასების გზებს: შეიმუშავებს ტაქტიკურ ხერხებს და მეთოდოლოგიას დანაშაულთა გახსნისა და პრევენციის მიზნით. შესაძლოა, ჩვენს მიერ შემოთავაზებული ცნება არ იყოს ყოვლისმომცვლელი, მაგრამ იგი ძირითადად ასახავს კრიმინალისტიკის, როგორც დარგისა და მეცნიერების სამართლებრივ ბუნებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კრიმინალისტიკა ის მეცნიერებაა, რომელიც იკვლევს დანაშაულებრივ ქმედებათა კანონზომიერებას. მისი მიზანია საინფორმაციო წყაროებში ასახოს ყველა სახის დანაშაულის გამოძიების თავიდან აცილების და მათი თავისებურების მექანიზმები, რომლის საფუძველზე შეიმუშავებს იურიდიულ და სხვა მეცნიერებათა მონაცემების გამოყენების გზით დანაშაულებრივი ქმედებების გახსნის საშუალებებსა და მეთოდებს. ასევე უზრუნველყოფს მატერიალური და პროცესუალური ნორმების სათანადო გამოყენების შესაძლებლობას.

კრიმინალისტიკის ადგილი სისხლის-სამართლებრივ მეცნიერებათა სისტემაშია და სისხლის სამართალსა და პროცესთან განისაზღვრება, პირველ რიგში დანაშაულის შესახებ კრიმინალისტიკური ფუნქციისა და დანაშაულებრივი ქმედების გახსნის აუცილებლობით. იგი მოიაზრება სისხლის-სამართლის მეცნიერებაში ცოდნის დაგროვების ერთ-ერთ წყაროდ, ამ თვალსაზრისით გამოყოფენ 4 დონეს: კრიმინალისტიკურს, პროცესუალურს, კრიმინოლოგიურს და მატერიალურ-სამართლებრივს.

კრიმინალისტიკური ცოდნა (ინფორმაცია გამოსაკვლევ მოვლენაზე), რომელიც მიღებულია კრიმინალისტიკური ძიებისა და ობიექტების კვლევის შედეგად, არის სახყისი, რომელიც უზრუნველყოფს მტკიცებულებითი ინფორმაციის მიღებას და წარმოადგენს კრიმინალისტიკური (მეთოდური, ტაქტიკური და ტექნიკური) და პროცესუალური გადაწყვეტილებების გამოტანის საფუძველს. კრიმინალისტიკური ინფორმაცია შეიძლება იყოს გამოყენებული როგორც სასამართლო მტკიცებულებათა ფორმით, ასევე პროცესუალურად განმტკიცებული მონაცემთა სახით.

პროცესუალური ცოდნა დანაშაულის შესახებ მიღებული შეიძლება იყოს მხოლოდ სასამართლო მტკიცებულებათა კვლევის საფუძველზე საპროცესო მოქმედებების გზით, ანუ ატარებს ნორმატიული ცოდნის ხასიათს. იგი უზრუნველყოფს პროცესუალურ გადაწყვეტილებათა მიღებას, რომელიც დაკავშირებულია სისხლის სამართლის პროცესში საქმის მოძრაობასთან.

კრიმინოლოგიური ცოდნა აძლევს არა მარტო დანაშაულობის, მისი წარმოქმნის, ფორმების არსებობის და ცვლილებების კანონზომიერებების, მისი დეტერმინანტების, დანაშაულის კონტროლის სისტემის და კრიმინალური ციკლის სოციალური ახსნის, არამედ ცალკეული დანაშაულის დახასიათებას.<sup>2</sup> ეს ცოდნა, აგრეთვე, არის კრიმინალისტიკური და პროცესუალური გადაწყვეტილებების მიღების საწყისი,

<sup>1</sup> გ. ლობჟანიძე, სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია. თბ. 2009წ. გვ.8

<sup>2</sup> კრიმინოლოგია. გ. ლლონტის რედაქტორობით. თბ. 2008წ. გვ. 2



რომელიც ეხება პრევენციული მოქმედებების ჩატარებას გამოსაძიებელ სისხლის სამართლის საქმეების რეაგირების პარალელურად.

**მატერიალურ-სამართლებრივი ცოდნა** არის ინფორმაცია სისხლის სამართლის დანაშაულის შემადგენლობის შესახებ მიღებული პროცესუალური მტკიცების შედეგად, აგრეთვე წარმოადგენს ნორმატიულ ცოდნას. იგი უზრუნველყოფს საქმის არსებით გადაწყვეტას, ანუ ქმედების კვალიფიკაციას და ჩადენილი დანაშაულისათვის სასჯელის დანიშნვას.

გასათვალისწინებელია კრიმინალისტიკის მჭიდრო კავშირი სისხლის-სამართლებრივი ციკლის სხვა მეცნიერებებთან (ს/ს პროცესი, ს/ს ოპერ-სამძებრო საქმიანობის თეორია, სასამართლო სტატისტიკა, კრიმინოლოგია) რაც სრულიად ბუნებრივია და კანონზომიერი. უფრო მეტიც, ეს კავშირი მის დარგობრივ ფუნქციებთან ერთად, ბევრ რამეში განსაზღვრავს იურიდიულ ბუნებას და დანიშნულების გეოგრაფიას. ისტორიულად კრიმინალისტიკა წარმოიშვა ს/ს საპროცესო მეცნიერების წილში. ამიტომაც არ არის გასაკვირი, რომ კრიმინალისტიკის თეორიული საფუძვლები და მათზე დამყარებული რეკომენდაციები პრაქტიკული გამოყენებისათვის, უპირველეს ყოვლისა, მჭიდროდ არის დაკავშირებული ს/ს/ პროცესის მეცნიერებასთან და ბევრ რამეში ეყრდნობა ს/ს პროცესუალურ ცოდნას.

ამასთან ერთად, თავისი მონაცემებით, კრიმინალისტიკა ამდიდრებს ს/ს პროცესის მეცნიერებას და ემსახურება კანონმდებლობის სრულყოფას ამასთანავე არანაკლებ მნიშვნელოვანია კრიმინალისტიკის კავშირი სისხლის სამართალთან, რომლის დებულებებიც ინტეგრირებულია კრიმინალისტიკის ბუნებაში. წიგნის კრიმინალისტიკის ასი წელი – ავტორი ი. ტორვალდი აღნერს სისხლის სამართლის მრავალ კონკრეტულ საქმეს, ხაზს უსვამს მეცნიერულ-ტექნიკურ საშუალებათა და ექსპერტიზის დიდ როლს. მათი კვლევის საქმეში, ყურადღებას აქცევს კვლევის პროცესს. ამასთან ხათელყოფას, რომ სწორად წარმართული კვლევა-ძიება ამხელს დამნაშავეს, რაც უნდა ეშმაკურად ჰქონდეს სუბიექტს ჩაფიქრებული და განხორციელებული დანაშაული.<sup>1</sup>

კერძოდ, ს/ს/ მონაცემები დანაშაულის და მისი მიზეზების შესახებ, აგრეთვე ბრალის, დანაშაულებრივი მოქმედებების სტადიების, თანამონაწილეობის შესახებ მნიშვნელოვანია კრიმინალისტიკისათვის, დანაშაულებათა კლასიფიკაცია გამომწვევი მიზნების შესწავლისა, აგრეთვე საგამოძიებო ვერსიების შემუშავება და ა.შ.

არსებობს მჭიდრო კავშირი კრიმინალისტიკასა და ოპერ-სამძებრო საქმიანობას შორის, რაც განპირობებულია მათი მნიშვნელოვანი როლით დანაშაულობათა გამომწვევი მიზეზების შესწავლისა და მათი წარმატებით გახსნის უზრუნველყოფაში.

ობიექტისა და საგნის შესწავლის, ძირითადი ამოცანების მიღწევისათვის, გამოყენებული საშუალებების, გამოძიების ხერხებისა და მეთოდების ერთობლიობა გვავალდებულებს გავითვალისწინოთ ოპერ-სამძებრო საქმიანობის შესაძლებლობები, ხოლო ტექნიკურ-ტაქტიკური და მეთოდური არსენალის შემუშავებისას – გავითვალისწინოთ კრიმინალისტიკის რეკომენდაციები და სისხლის სამართლის თეორიის დებულებები. ტექნიკურად კარგად ორგანიზებულ და ყოველმხრივ უზრუნველყოფილ დანაშაულებრივ ქმედებებს აუცილებლად დავუპირისპიროთ სათანადო ძალა, მათ შორის „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა“, რათა თავიდან ავიცილოთ ის საფრთხე, რაც შეუძლია მოუტანოს ქვეყანას კონკრეტულმა დანაშაულებრივმა ქმედებამ.<sup>2</sup>

**სასამართლო სტატისტიკის** მონაცემები კრიმინალისტიკაში გამოიყენება თავისი რეკომენდაციების შემდიოთობის შეფასების მიზნით, აგრეთვე კრიმინალისტიკური საქმიანობის იმ მხარეთა განსაზღვრისათვის, რომლებიც საჭიროებენ შესწავლასა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებას.

არანაკლებ მჭიდრო კავშირშია კრიმინალისტიკა და კრიმინოლოგია. კრიმინალისტიკა, რომელსაც აქვს თავისი შესწავლის ასპექტი, ეყრდნობა დანაშაულის თავიდან აცილების კრიმინოლოგიურ თეორიას.

ზემოთ აღნიშნული მოსაზრება ვარაუდობს კრიმინალისტიკაში დანაშაულის აცილების ცალკეული პრობლემების თეორიულ შემუშავებას, რომელიც უზრუნველყოფას კრიმინალისტიკური პრევენციის სათანადო დონეს, ანუ კრიმინალისტიკური საშუალებებით აღიკვეთება დაწყებული და აღიკვეთება მზადებაში მყოფი დანაშაული.

როგორც უკვე აღინიშნა, კრიმინალისტიკა თავისი წარმოშობის მომენტიდან აქტიურად და შემოქმედებითად იყენებს ტექნიკურ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მონაცემებს. მათი როლი კრიმინალისტიკის, როგორც მეცნიერების, ფორმირებაში დიდია, ისინი ამდიდრებენ მას მნიშვნელოვანი ცოდნით, და ამაღლებენ მისი მეცნიერულ რეკომენდაციების ეფექტურობას პრაქტიკაში. მაგრამ მათი გამოყენება არანაირად არ ართმევს კრიმინალისტიკას ცოდნის დამოუკიდებელი დარგის მნიშვნელობას და იურიდიულ არსს. ლიტერატურაში გამოითქმებოდა აზრი დამოუკიდებელი სასამართლო-საგნობრივი მეცნიერებების შექმნის მიზანშენილობაზე (სასამართლო ფიზიკა, სასამართლო ქიმია, სასამართლო ბიოლოგია და სხვა), გამომდინარე იქიდან, რომ ასეთი საბუნებისმეტყველო-სამეცნიერო მეთოდები და კვლევის საშუალებები შემუშავდება არა კრიმინალისტიკაში, არამედ შესაბამის ფუნდამენტურ დარგობრიც მეცნიერებებში.

<sup>1</sup> ი. ტორვალდი, კრიმინალისტიკის ასი წელი, თბ. 1978წ. გვ. 6

<sup>2</sup> მ. მინდაძე, გ. მინდაძე, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები, თბ. 2004წ. გვ. 31



გასათვალისწინებელია ისიც, რომ კრიმინალისტიკაში საბუნებისმეტყველო-სამეცნიერო მეთოდების გამოყენება ხორციელდება არა რომელიმე ცალკეული საგნობრივი მეცნიერული დარგის სფეროში, არამედ კომპლექსური მეთოდოლოგიის ბაზაზე, რომელთა სტრუქტურაც განისაზღვრება აღმოჩენის, ფიქსაციის, კვალის გამოკვლევის, თუ ამ კვლევის ობიექტის იდენტიფიკაციის კრიმინალისტიკური ამოცანით. კვლევის მეთოდების ამგვარი კომპლექსები შეიცავს ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის, მათემატიკისა და კიბერხეტიკის მონაცემთა ერთობლიობას, შესაბამისად აღნიშნულ მეცნიერებათა მონაცემები არ შეიძლება იყოს აღთქმული როგორც დამოუკიდებელი სასამართლო მიმართულება.

აღნიშნული არ ეხება სასამართლო მედიცინას და სასამართლო ფსიქიატრიას, რომელიც მჭიდრო კავშირშია კრიმინალისტიკასთან, ისინი არა მხოლოდ იყენებენ ცალკეულ კრიმინალისტიკურ ცოდნას, არამედ ისტორიულად კრიმინალისტიკაში ფორმირებულ და დამოუკიდებელ ცალკე საკითხებად ერთიანდებიან, რომლებიც დაფუძნებულია ქიმიის, ფიზიკის და პათოლოგიური ანატომიის, ფიზიოლოგიის, ფილოგიის და ფსიქიატრიის კანონზომიერებებზე.

აგრეთვე, მჭიდრო კავშირი არსებობს კრიმინალისტიკასა და იურიდიულ ფსიქოლოგიას შორის, იურიდიული ფსიქოლოგიის მონაცემები ფართოდ გამოიყენება გამოძიების მეთოდიების და კრიმინალისტიკური ტაქტიკის ფსიქოლოგიური საფუძვლების შემუშავების დროს. კრიმინალისტიკა ფართოდ და შემოქმედებითად იყენებს ლოგიკის დეტულებებს, განსაკუთრებით, ლოგიკური მსჯელობის ისეთ ხერხებს, როგორც არის ანალიზი, სინთეზი, დედუქცია და ინდუქცია, ანალოგია, აბსტრაქცია და ა.შ. ლოგიკის დარგიდან მონაცემთა გამოყენებამ საშუალება მისცა შემუშავებულიყო „გამოძიების ლოგიკა“, ანუ კრიმინალისტიკური ტაქტიკის ლოგიკური საფუძვლები.

ფსიქოლოგიის და ლოგიკის ფართო კავშირმა კრიმინალისტიკასთან შექმნა პირობები კრიმინალისტიკური ხერხებისა და გამოძიების შემუშავებაში მათემატიკური მეცნიერული ჯგუფების გამოყენებისათვის (რეფლექსური თამაშების თეორია), აგრეთვე კიბერხეტიკის როლი კრიმინალისტიკური აზროვნებისა და ფორმირების პროცესში.

იმისათვის, რომ უფრო მეტად ეფექტურად წარმართოს საქმეთა გამოძიება, ცალკეული საგამოძიებო ქმედებები, კრიმინალისტიკა ეყრდნობა მართვის მეცნიერების მონაცემებს. წარმოუდგენელია კრიმინალისტიკურ, ტექნიკურ საშუალებათა, ტაქტიკური და მეთოდური ხერხების შემუშავება ეთიკის დებულებათა გათვალისწინების გარეშე.

ყოველი მეცნიერება შედგება ელემენტთა ერთობლიობისგან, რომლებიც არიან ლოგიკურ კავშირში ერთმანეთთან ასეთ ურთიერთობას თანამედროვე კრიმინალისტიკის სისტემა ეწოდება, იგი შეიცავს 4 სტრუქტურულ ელემენტს: კრიმინალისტიკის თეორიას და მეთოდოლოგიას, კრიმინალისტიკურ ტექნიკას, კრიმინალისტიკურ ტაქტიკას და დანაშაულობათა ცალკეული სახეობის გამოძიების კრიმინალისტიკურ მეთოდიკას. კრიმინალისტიკის თეორია და მეთოდოლოგია – ეს არის მისი თეორიული კონცეფციების, მეთოდოლოგიური პრინციპებისა და ცნებათა სისტემა. როგორც კრიმინალისტიკის სტრუქტურული ნაწილი, იგი შეიცავს საკითხებს, რომელიც ერთობლიობაში იძლევა წარმოდგენას კრიმინალისტიკის საგნისა, ობიექტის ძირითად ზოგადთეორიულ, მეთოდოლოგიურ და ინფორმაციულ ასპექტებზე.

დიდი ყურადღება ეთმობა კრიმინალისტიკის მეთოდოლოგიურ საკითხებსა და მეთოდებს. ამავდორულად იხსნება თეორიული კრიმინალისტიკისა და პრაქტიკული კრიმინალისტიკური კვლევის ამოცანათა გადაწყვეტის მეთოდები. რაც შეეხება პრაქტიკულ კრიმინალისტიკურ კვლევებს, განსაკუთრებულად ხაზი ესმება კრიმინალისტიკის მეთოდოლოგიის პრინციპებს მდგომარეობას იმის შესახებ, რომ დანაშაულის გახსნის მეთოდები განიირობებულია კრიმინალისტიკური კვლევის თავისებურებით, რომელიც ვლინდება დანაშაულის ჩადენის ხერხში, მექანიზმსა და გარემოებაში, აგრეთვე დამნაშავის პიროვნულ ტიპოლოგიურ თავისებურებებში.

თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები კონკრეტდება და დეტალურად განიხილება კრიმინალისტიკის დანარჩენ ნაწილებში.

კრიმინალისტიკური ტექნიკის საგანს წარმოადგენს მატერიალურ საშუალებათა ურთიერთქმედების მექანიზმების შესწავლა, რომელიც გამოიყენება სხვა სახეობის დანაშაულებრივ ქმედებათა გასახსნელად.

კრიმინალისტიკური ტექნიკის ძირითადი ამოცანა შედგება გამოსაძიებელი მოვლენის შესახებ ინფორმაციის აღმოჩენის, ფიქსაციის, შენახვისა და კვლევის მეთოდების და საშუალებების შემუშავებაში. როგორიცაა: ბუნებაში მიმდინარე ფიზიკური პროცესის, მექანიკური, სინათლის, ბერებითი, ელექტრო და სხვა მიპულის გამოყენება, შესაბამისად იხსნება კანონზომიერებები, რომლებიც ხსნიან კვალის წარმოქმნის მექანიზმებს, იმ ინფორმაციის მოპოვების და გამოკვლევის ხერხები, რომელსაც შეიცავს კვალი, მისი ფიზიკაცია, კვალის შემცველი მიზექტების იდენტიფიკაციის მიზნით, მისი შედარების ხერხები და ჩატარებული კვლევების შედეგების მიხედვით დასკვნების ფორმირების და შეფასების ხერხები, ამასთან განიხილება კვალის წარმოშობის რეალობის ყველა სახეობა (ადამიანის, ცხოველების, ხელსაწყოების, იარაღის, სატრანსპორტო საშუალებების და სხვა მატერიალური ობიექტები).

კრიმინალისტიკური ტაქტიკის საგანს წარმოადგენს საინფორმაციო – შემეცხებითი ტაქტიკური და ქცევითი ასპექტები დანაშაულებრივი ქმედების და მისი გამოძიების პროცესი. როგორც შემეცნების, პრევენციის და ოპტიმიზაციის ობიექტი.

კრიმინალისტიკური ტაქტიკის ძირითადი ამოცანა მდგომარეობს მისი საქმიანობის აუცილებელი ტაქტიკური არსენალით აღჭურვაში, საქმის გამოძიების მიზნების შესაბამისად.



არსებითი მნიშვნელობა აქვს კრიმინალისტიკური ტექნიკის, ტაქტიკის და გამოძიების მეთოდიების თანაფარდობის საკითხს. კრიმინალისტიკური ტექნიკური საშუალებების და ხერხების რეალიზება ხდება ძირითადად საგამოძიებო მოქმედებების დროს, რომელიც გადაჯაჭვულია მის ტაქტიკაში. ამიტომაც კრიმინალისტიკური ტაქტიკა თავისი მოთხოვნების გათვალისწინებით გამოიყენებს ტექნიკურ საშუალებებს და მიზნად ისახავს საგამოძიებო მოქმედების მოთხოვნებთან მათ შენონადობას. ამასთან კრიმინალისტიკური ტაქტიკის საგანს წარმოადგენს მატერიალური ნივთების, საგნების და პროცესის ურთიერთქმედებების ერთობლივად შესწავლა, როგორც ადამიანური ფაქტორის და მიზანმიმართული ინტელექტუალური გამოვლენა.

და ბოლოს თანამედროვე კრიმინალისტიკა ჩამოყალიბდა, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერება და სასწავლო დისციპლინა, რომელსაც გააჩნია სისტემური ხასიათი და სპეციფიკური წყაროები, რასაც განაპირობებს მისი იურიდიული ბუნება.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. გ. ლობჟანიძე, სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია. თბ. 2009წ.
2. კრიმინოლოგია. გ. ლონგტის რედაქტორობით. თბ. 2008წ.
3. ი. ტორვალდი, კრიმინალისტიკის ასი წელი, თბ. 1978წ.
4. ო. მინდაძე, გ. მინდაძე, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები, თბ. 2004წ.

### შენგელი ფიცხელაური

კრიმინალისტიკის საგანი, ცნება, მიზნები და მისი  
აღგილი იურიდიულ და სხვა მეცნიერებათა სისტემაში

### რეზიუმე

მოცემული წაშრომი დეტლურად აღწერს კრიმინალისტიკის საგნის, ცნების, მიზნების მნიშვნელობასა და ადგილი იურიდიულ მეცნიერებათა სისტემაში.

კრიმინალისტიკა ის მეცნიერებაა, რომელიც იყვლევს დანაშაულებრივ ქმედებათა კანონზომიერებას. მისი მიზანია საინფორმაციო წყაროები ასახოს ყველა სახის დანაშაულის გამოძიების თავიდან აცილების და მათი თავისებურების მექანიზმები, რომლის საფუძველზე შეიმუშავებს იურიდიულ და სხვა მეცნიერებათა მონაცემების გამოყენების გზით დანაშაულებრივი ქმედებების გახსნის საშუალებებსა და მეთოდებს. ასევე უზრუნველყოფს მატერიალური და პროცესუალური ნორმების სათანადო გამოყენების შესაძლებლობას.

**Shengeli Pitskhelauri**

### SUBJECT, CONCEPT, GOALS AND PLACE OF CRIMINOLOGY IN JURIDICAL AND OTHER SCIENCES

#### summary

The presented work thoroughly discusses the subject, meaning and place of criminalistics in the system of juridical sciences.

The criminology is a science researching the regularity of criminal acts aiming to describe investigation activities and mechanisms of preventing crimes in the informational sources based on which the means and methods of opening criminal cases will be possible and also it will assist and provide the proper and corresponding application of the material and procedure norms.



## დავით ხოგალია ცემზარ თევზლორაპი

### საერთაშორისო სისხლის სამართალი და მისი თავისებურება

საერთაშორისო სისხლის სამართალს, როგორც სერთაშორისო საჯარო სამართლის დარგს გააჩნია მასთან საერთაშორისო წყაროები, საერთაშორისო ხელშეკრულებები, შეთანხმებები, სამართლის საყოველთაო პრინციპები და ა.შ.[1] საერთაშორისო სისხლის სამართალი მჭიდრო კავშირშია შიდასახელმწიფოებრივ სისხლისამართლებრივ სისტემებთან მაგრამ იგი ხასიათდება მთელი რიგი უნიკალური თავისებურებებით. ზოგი მათგანი მკვეთრად გამიჯნავს საერთაშორისო სისხლის სამართალს საერთაშორისო სამართლის სხვა დარგებისაგან, ზოგი კი ანსხვავებს მას ნაციონალური სისხლის სამართლისაგან. საერთაშორისო სისხლის სამართლის საგანს წარმოადგენს კონკრეტულ დანაშაულზე პასუხისმგებელთა ბრალის დადგენა. სამართლის აღნიშნულ დარგს კავშირი აქვს საერთაშორისო დანაშაულის ჩამდენ პირებთან. აღნიშნული თავისებურება შეიძლება ითქვას ფუნდამენტურია ვინაიდან იგი გამოყოფს სამართლის აღნიშნულ დარგს საერთაშორისო საჯარო სამართლისგან.

საერთაშორისო სისხლის სამართალი შეიქმნა იმ დანაშაულთა აღსაკვეთად, რომლებიც საშიროებას უქმნიან საერთაშორისო მშვიდობას და სტაბლურობას, მსოფლიოს განვითარებასთან ერთად იზრდებოდა იმ დანაშაულთა რიცხვი, რომლებიც სცილდებიან ერთი კონკრეტული სახელმწიფოს ინტერესებს და შესაბამისად სახელმწიფოები ერთიანდებიან (ხელშეკრულებით, შეთანხმებით) ასეთ დანაშაულთან ბრძოლისათვის, ასეთი გაერთოთანებები არ წარმოადგენს სიახლეს და ისინი არსებობენ ისტორიულად, საერთაშორისო სამართლის წარმოშობამდე. მართალია მათი მიზანი არ იყო ჰუმანიზმისა და საერთაშორისო მშვიდობის პრინციპი, არამედ ეფუძნებოდა კონკრეტულ ინტერესებს, ასე მაგალითად მონათმფლობელური სახელმწიფოს საფრთხეს წარმოადგენდა მონათა აჯანყებები, ამიტომ ისინი დებდნენ ურთიერთ დახმარების შეთანხმებებს მონათა აჯანყების ჩასახშობად. ეგვიპტის ფარაონ რამზეს [2] და ხეთების მეფე ხათუსილ [3] შორის შეთანხმებაში (1926 ჩ.ნ.აღ.-მდე) ნათქვამია “თუ რამზესი გაუნტყრება თავის მონებს, როცა ისინი აჯანყდებიან და წავა მათ დასარცევად ხეთების მეფე მასთან ერთად უნდა მოქმედებდეს”. [4] რომის სამართლის დროიდან მეკომუნიკა ითვლებოდნენ მთელი კაცობრიობის მტრებად (HOSTIS HUMANIS GENERIS). 1815 ვენის კონგრესმა საფუძველი დაუდო მონათვაჭრობის დანაშაულად მიჩნევას.[5] საერთაშორისო სისხლის სამართლის კონცეფცია ლიტერატურაში გამოჩნდა XIX –XX სს.[6]

ხანგრძლივი დროის მანძილზე ითვლებოდა, რომ საერთაშორისო სისხლის სამართლის სუბიექტები შეიძლება იყვნენ მხოლოდ სახელმწიფოები, მხოლოდ მათ შეეძლოთ მონაწილეობა მიეღოთ საერთაშორისო სამართლით რეგულირებად საკითხებში.[7] შესაბამისად თუ რაიმე ქმედება მიჩნეული იქნებოდა საერთაშორისო სამართლის წორმათა უხეშ დარღვევად მხოლოდ სახელმწიფო აგებდა პასუხს ასეთი ქმედებისათვის და არანაერი პასუხისმგებლობა არ მოყვებიდა იმ პირთა ქმედებას, რომლებიც ამა თუ იმ სახელმწიფოს სახელით მოქმედებდნენ.[8] კონკრეტულ დანაშაულთა ჩამდენ პირთა სამართლებრივი დევნა ცალკეულ სახელმწიფოთა პრეროგატივად იყო მიჩნეული. აღნიშნული მიდგომა შეიცვალა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ.

ნიურბერგის პროცესმა მოგვცა დებულებები, რომელთა მიხედვითაც პასუხისმგებლობა ეკისრებათ არა მხოლოდ სახელმწიფოებს არამედ ფიზიკურ პირებსაც. ნიურბერგის ტრიბუნალის განაჩენში ნათქვამია “მიჩნეული იყო, რომ საერთაშორისო სამართალი განიხილავს მხოლოდ სუვერენულ სახელმწიფოთა ქმედებას და არ ადგენს ცალკეულ პირთა პასუხისმგებლობისა და დასჯის საკითხებს. მიღებული იყო, რომ განსახილველი ქმედება წარმოადგენდა სახელმწიფოს მიერ ჩადენილად, ხოლო მისი ჩამდენი პირი პირადად არ აგებს პასუხს, არამედ ის სახელმწიფოს სუვერენიტეტის დოქტრინის დაცვის ქვეშ იმყოფება. ტრიბუნალის აზრით ასეთი მიდგომა უნდა იქნეს ვინაიდან საერთაშორისო სამართლა პასუხისმგებლობა უნდა დააკისროს, როგორც სახელმწიფოებს ასევე ცალკეულ პირებს.”[9] შემდგომ ნიურბერგის ტრიბუნალმა დაასკვნა, რომ საერთაშორისო წორმათა დარღვევისათვის პასუხისმგებლობა ეკისრებათ ცალკეულ პირებსაც.[10]

საერთაშორისო წორმები აღნიშნული მიდგომის განმტკიცებამ და სასამართლო პრაქტიკამ საერთაშორისო დანაშაულისათვის ინდივიდუალური პასუხისმგებლობის პრინციპი საყოველთაო პრაქტიკის წორმად აქცია. როგორც აღნიშნავს პიერ მარი დიუპინი “დღეს ადამიანი გახდა საერთაშორისო სამართლის სრულფასოვანი სუბიექტი, სამართლისა, რომელიც ერთის მხრივ იცავს მას და მეორეს მხრივ აკისრებს მას პასუხისმგებლობას აღნიშნული სამართლის წორმათა დარღვევისათვის”. [11]

დიდი ხნის განმავლობაში აღნიშნული დებულებები გამოიყენებოდა მხოლოდ სახელმწიფოთაშორისო ომის პერიოდში მომხდარ დანაშაულთა მიმართა. მაგრამ XX საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლებიდან დაწყებული აღნიშნული წორმები გავრცელდა შიდასახელმწიფოებრივი კონფლიქტების დროს მომხდარ დანაშაულებებზე. აღნიშნული ქმედებების კრისტალიზაცია ხდება გაეროს რეზოლუციით რუანდაში სამხედრო ტრიბუნალის ჩამოყალიბების შესახებ (1994 წელი), საერთაშორისო ტრიბუნალის სააპელაციო კამერის ისტორიული გადაწყვეტილება (1995) ყოფილ იუგოსლავისათან მიმართებაში, ხდება შემდგომი ფორმირება ამ სასამართლოთა პრეცენდენტული სამართლისა რასაც საბოლოოდ მივყავართ 1998 წლის საერთაშორისო სისხლის სამართლის რომის სტატუტის მიღებამდე.



საერთაშორისო სისხლის სამართლის თავისებურებას აგრეთვე წარმოადგენს მისი განმასხვავებელი ნიშნები შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობისგან. განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ საერთაშორისო სისხლის სამართალში გამოიყენება შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობისგან პრინციპულად განსხვავებული კრიმინალიზაციის მეთოდები. ყოფილი იუგოსლავის ტრიბუნალმა აღნიშნა “თუ შიდასახელმწიფოებრივ საკანონმდებლო სისტემაში კრიმინალიზაციის პროცესი დამოკიდებულია კანონმდებელზე მაგ.: (სისხლის სამართლის კოდექსის მიღება), საერთაშორისო სამართალში კრიმინული მიზანი მიღება შეთანხმებათა და კონვენციათა მიღებით, ან საერთაშორისო ტრადიციების ფორმირებათა გზით“.[10]

საერთაშორისო სისხლის სამართლის შემდგომი განმასხვავებელი ნიშანი არის მისი მკვეთრად გამოხატული ჰიბრიდული ბუნება.[11] მიუწედავად იმისა, რომ საერთაშორისო სისხლის სამართალს გააჩნია რეგულირების თავისი განსაკუთრებული სამართალურთიერობათა საგანი იგი გაუღენილია ეროვნული კანონმდებლობისა და ადამიანის უფლებათა სამართლის პრინციპებითა და კონსტრუქციით.[12] აგრეთვე საერთაშორისო სისხლის სამართალი ზეგავლენას ახდენს ხსენებული დარგების პროგრესულ განვითარებაზე.[13]

საერთაშორისო სამართლის ნორმათა უმრავლესობა, სახელმწიფოს მიერ მათი რატიფიცირების შემდეგ, პირდაპირ შეიძლება იქნეს გამოყენებული, მაგრამ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მთელი რიგი ნორმების გამოყენება შეიძლება მხოლოდ მისი შიდასახელმწიფოებრივ სამართლებრივ აქტებში იმპლამენტაციის გზით. საერთაშორისო სამართლის ნორმების იმპლამენტაცია სისხლის სამართლის სფეროში ნიშნავს სახელმწიფოს მიერ სისხლის სამართლის სფეროში აღებული საერთაშორისო ვალდებულებების შიდასახელმწიფოებრივ ურთიერთობებში ფაქტობრივ რეალიზაციას, რომელიც ხორციელდება საერთაშორისო-სამართლებრივი ნორმების შიდასახელმწიფოებრივ სამართლებრივ აქტებში ტრანსფორმაციის გზით. სახელმწიფომ იმპლამენტაციის ღონისძიებები უნდა გაატაროს ჯერ კიდევ მშვიდობიანობის დროს, რათა შეიარაღებული კონფლიქტის შემთხვევაში შეუფერხებლად იმოქმედონ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის იმ ნორმებმა, რომელთა გამოყენება, სპეციალური იმპლამენტაციის ღონისძიებების გატარების გარეშე შეუძლებელია. უხევის კონვენციისა და პირველი დამატებითი ოქმის თანახმად, ხელშეკრულების მონაბილე სახელმწიფო ვალდებულია ნაციონალურ დონეზე აღკვეთოს ის ქმედებები, რომლებიც განსაზღვრულია როგორც “სერიოზული დარღვევები”, ანუ “ომის დანაშაული”.

თანამედროვე სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს ისტორია იწყება წარუმატებელი წინადადებებით, ჩამოყალიბებულიყო სართაშორისო ტრიბუნალი პირველი მსოფლიო ომის შემდეგ. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ კი წიურბერგისა და ტოკიოს სამხედრო ტრიბუნალმა მსოფლიო საზოგადოების თვალთახედვის არეში წინა პლანზე წამონია მუდმივმოქმედი სასამარტლოს შექმნის აუცილებლობა.

საერთაშორისო სისხლის სამართლის კოდიფიკაციის დასაწყისად და სისხლის სამართლის საერთაშორისო სამართლის ჩანასახად შეიძლება მივიჩნიოთ 1945 წლის საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის წესდება და 1946 წლის წიურბერგის სამხედრო ტრიბუნალის განაჩენი. აღნიშნული დოკუმენტებისათვის იურიდიული ძალის მიზნით, გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 1946 წლის დეკემბერში სპეციალური რეზოლუციით დაადასტურა წიურბერგის ტრიბუნალის სტატუტით აღიარებული საერთაშორისო სამართლის პრინციპები.

1992 წლს ბოსნია-ჰერცოგოვინაში გენოციდისა და ომის დანაშაულებმა, რასაც მოჰყვა იუგოსლავისათვის დროებით “ad hoc” [14] ტრიბუნალის დაფუძნება, გააძლიერა დისკუსიები სახელმწიფოებს შორის სისხლის სამართლის მუდმივი სასამართლოს ჩამოყალიბების შესახებ. 1993 წლს საერთაშორისო სამართლის კომისიამ გაეროს გენერალურ ასამბლეას განხილვისათვის წარუდგინა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სტატუტის პროექტი.

1994 წლს რუანდაში განვითარებულმა მოვლენებმა გაეროს უშიშროების საბჭო იძულებული გახადა და დაერსებინა მეორე ad hoc ტრიბუნალი რუანდისათვის. ამ და სხვა მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენების შემდგომ, 1998 წლის 15 ივლისიდან - 17 ივლისამდე რომში გაეროს ეგიდით ჩატარდა დიპლომატიური კონფერენცია სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს დასაფუძნებლად. კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო 162 სახელმწიფო, აქედან 120 მონონებით შეხვდა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს შექმნის იდეას.

“სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდება” ძალაში შევიდა 2002 წლის პირველივლისს. დღევანდელი მდგომარეობით, რომის სტატუტის რატიფიცირება უკვე მოახდინა 110-მა სახელმწიფომ.

საქართველო თითქმის ყველა იმ უმნიშვნელოვანების საერთაშორისო ხელშეკრულებების მონაწილეა, რომლებმიც მოცემულია საერთაშორისო სამართლებრივი ვალდებულებები სისხლის სამართლის სფეროში. ამ სახის ხელშეკრულებათა რიცხვს განკუთვნება რომის “სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო სტატუტი (1998 წლის 17 ივლისი)“.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი შესაბამისობაშია უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო სამართლებრივ აქტებთან, მათ შორის რომის სტატუტის დებულებებთან. ამიტომაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილში პირდაპირ წერია “ეს კოდექსი შეესაბამება



საქართველოს კონსტიტუციას, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს და ნორმებს".[15]

როგორც ავლნიშნეთ საქართველო საერთაშორისო ხელშეკრულებებში, მათ შორის საერთაშორისო სისხლის სამართლის სფეროში მონაწილეობს, აღსანიშნვია ის გარემოება, რომ საქართველომ მიიღო კანონი სისხლის სამართლის სფეროში თანამშრომლობის შესახებ, რომელიც მიღებულ იქნა 2010 წლის 21 ივნისს, ხოლო ამოქმედდა ი/ზ 1 ოქტომბრიდან.[16] აღნიშნული კანონით განსაზღვრულია სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის, ექსტრადიციის, საქმის მასალების, განაჩენის აღსრულების და სხვაგვარი თანამშრომლობის პირობები, აღნიშნული საკითხები რეგულირდება სიხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის წესდებით და აღნიშნული კანონმდებლობით, რაც მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ საქართველო, როგორც საერთაშორისო სამართლის სრულფასოვანი სუბიექტი ჩაბმულია საერთაშორისო დანაშაულთან ბრძოლის ფერხულში. სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობა, როგორც წესი ხორციელდება საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების საფუძველზე. სისხლის სამართლის სფეროში თანამშრომლობა შესაძლებელია არა-მარტო საერთაშორისო ხელშეკრულებების არამედ ცალკეულ შემთხვევებში ინდივიდუალური შეთანხმების ან ნაცვალგებობის პრინციპის საფუძველზე, ეს პრინციპი საშუალებას იძლევა, რომ თანამშრომლობა მოხდეს ისეთ სახელმწიფოსთანაც, რომელთანაც საქართველოს არ აქვს დადგებული საერთაშორისო ხელშეკრულება, აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ საქართველო არ იზღუდავს თავს საერთაშორისო ხელშეკრულებით და იგი ლია ნებისმიერი თანამშრომლობისათვის საერთაშორისო დანაშაულთან ბრძოლის სფეროში. ნაცვალგებობის პრინციპის საფუძველზე თანამშრომლობა დასაშვებია ნებისმიერ საკითხზე საერთაშორისო სისხლის სამართლის სფეროში გარდა ექსტრადიციისა და განაჩენის აღსრულებისა, ასეთი თანამშრომლობისას აუცილებელია განისაზღვროს ნაცვალგებობის პრინციპები, რომლებიც უნდა შეიცავდნენ სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ საქართველოს კანონით დადგენილ მინიმალურ გარანტიებს. ხოლო ინდივიდუალური შეთანხმებით სხვა რამ არის გათვალისწინებული. სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო დახმარების ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია საქართველოს ტერიტორიაზე დახმარების განხორციელებასთან თავის თავზე იღებს საქართველო. მიუხედავად სახელმწიფოს მიერ საერთაშორისო სისხლის სამართლის სფეროში ნაკისრი ვალდებულებებისა და აუცილებლობის შემთხვევაში გასაწევი ხარჯებისა საქართველო სხვა ქვეყნებთან ერთად სრულუფლებიანი წევრია საერთაშორისო სისხლის სამართლისა.

[1,11,12,13] Antonio Cassese International criminal law, 2003

[2,3,4] [http://www.studylaw.narod.ru/lukashuk2/lukashuk2\\_15\\_1.htm](http://www.studylaw.narod.ru/lukashuk2/lukashuk2_15_1.htm)

[5] Международное право. Ред. Игнатенко Г.В., Тиунов О.И. м.2006 с. 535

[6,9] Pierre Marie Dupuy 2002

[7,8] Нюберский процесс 1968

[10] МТБЮ. Решение Судебной камеры по делу Делалича и др. от 16 ноября 1998г.

[14] [http://ru.wikipedia.org/wiki/Ad\\_hoc](http://ru.wikipedia.org/wiki/Ad_hoc)

[15] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. თბილისი, 1999 წელი

[16] საქართველოს კანონი სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ. თბილისი, 2010 წელი

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. Antonio Cassese International criminal law,2003

2. studylaw.narod.ru

3. Международное право. Ред. Игнатенко Г.В., Тиунов О.И. м.2006

4. Pierre Marie Dupuy 2002

5. Нюберский процесс 1968

6. МТБЮ. Решение Судебной камеры по делу Делалича и др. от 16 ноября 1998г.

7. ru.wikipedia.org

8. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. თბილისი, 1999 წელი

9. საქართველოს კანონი სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ. თბილისი, 2010 წელი



**დავით ხობელია  
ნუგზარ თევდორაძე**

**საერთაშორისო სისხლის სამართალი და მისი თავისებურებანი**

**რეზიუმე**

სტატიაში საუბარია საერთაშორისო სისხლის სამართლის განვითარების ისტორიაზე, იმ თავისებურებზე რამაც გამოიწვია აუცილებლობა იმისა, რომ საერთაშორისო საჯარო სამართლის ცალკე დარგად გამოყოფილიყო საერთაშორისო სისხლის სამართალი. ასევე საუბარია საქართველოს მონაწილეობაზე საერთაშორისო სისხლის სამართლის სფეროში და ნაკისრ ვალდებულებებზე იმისათვის, რომ საქართველო იყოს სრულუფლებიანი წევრი საერთაშორისო სისლის სამართალში მონაწილე ყველა სახელმწიფოსთან ერთად.

**Davit Khobelia  
Nugzar Tevdoradze**

**INTERNATIONAL CRIMINAL LAW AND IT SPECIFICITY**

**Summary**

The article deals with the development history of International Criminal Law and those specificities that caused the necessity to establish International Criminal Law as a separate branch of International Public Law.

The article also discusses Georgia's participation in International Criminal Law sphere and the responsibilities imposed on our country to become an authorized member state among those participating in International Criminal Law.

## ეკონომიკური გეცნიერებები

### პასივ ალაზვილი

#### საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია და ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოების პრინციპები

ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია ქვეყნის კონსტიტუციის შემდეგ მნიშვნელობით მეორე დოკუმენტია, სადაც უნდა აისახოს, თუ რამდენად ადეკვატურად აფასებს ხელისუფლება ქვეყნის შიგნით და მის გარეთ შექმნილ მდგომარეობას და არის, თუ არა მზად არსებული და მოსალოდნელი საფრთხეების თავიდან ასაცილებლად ან გასანეიტრალებლად.

ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია ესაა ქვეყნის უსაფრთხოების საკითხებზე ზოგად შეხედულებათა სისტემა, სადაც ჩამოყალიბებულია ქვეყნის პრიორიტეტული ინტერესები, სტრატეგიული მიზნები და მიზნის მიღწევის ძირითადი გზები კონცეპტუალურ დონეზე. კონცეფციის საფუძველზე უნდა დამუშავდეს ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია.

უნდა აღინიშნოს, რომ ეროვნული უსაფრთხოების საკითხების შესწავლა და მისი თეორიულ დონეზე დამუშავება ჩვენს ქვეყანაში სერიოზულ მეცნიერულ დონეზე ჯერ კიდევ არ წარმართულა, რაც შეხება ეროვნული უსაფრთხოების პრაქტიკულ მხარეს, აյ უფრო სავალალოდაა საქმე — საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების დღევანდელი რეალური დონე ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს.

ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია ფარატინა ქაღალდად დარჩება, თუ მასში დასახული მიზნები რეალურად არ განხორციელდება. მას მოქმედების სტრატეგია უნდა მოჰყვეს, რომელიც ანგიოთარებს და აკონკრეტებს ეროვნული უსაფრთხოების საკითხებს ცალკეული უმნიშვნელოვანესი ინდიკატორებისა და პარამეტრების მიხედვით, გამოყოფს ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრიორიტეტულ მიმართულებებს ქვეყნის წინაშე მდგარი გრძელვადიანი (5-15.). და საშუალოვადიანი (3-5.) ამოცანებიდან გამომდინარე. ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიის ფორმირების ლოგიკური თანმიმდევრობა ამგვარია: **პრობლემა — საფრთხე — მოქმედება.**

სტრატეგიის საფუძველზე უნდა დამუშავდეს ეროვნული უსაფრთხოების მიზნობრივი პროგრამები და მოდელები (მაგ. „ეკოლოგიური უსაფრთხოება“, „ენერგეტიკული უსაფრთხოება“, „სასურსათო უსაფრთხოება“, „კომუნიკაციების უსაფრთხოება“, „სტრატეგიული რესურსებით უზრუნველყოფის უსაფრთხოება“, „დემოგრაფიული უსაფრთხოება“ და ა.შ.), რომლებიც თავის მხრივ ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის გატარების საფუძველს წარმოადგენს.

ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა კი აერთიანებს პიროვნების, საზოგადოების და სახელმწიფო ინსტიტუტების ერთობლივი ძალისხმევით გატარებულ კონკრეტულ ღონისძიებებს ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების დასაცავად. ამ დროს რეალიზდება ეროვნული უსაფრთხოების მიზნობრივი პროგრამები და მიმდინარეობს მათი შესრულების მართვა, კონტროლი და კორექტირება. კონცეფციით დასახული მიზნების ფინანსური უზრუნველყოფა სახელმწიფო ბიუჯეტში უნდა აისახოს, რაც ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის რეალიზაციის ერთ-ერთი უმთავრესი წინაპირობა.

ეს ლოგიკური თანმიმდევრობა თუ დაირღვა, მაშინ კონცეფცია მხოლოდ საერთაშორისო ორგანიზაციების წინაშე თავის მოსაწონებლად შედგენილი ფარატინა ქაღალდი იქნება. სამწუხაროდ ჩვენთან აქამდე სწორედ ასე იყო.

**“აგვისტოს ომი” და ეროვნული უსაფრთხოების მძიმე გაკვეთილები**

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების პირველი კონცეფცია, რომელიც 2005 წელს იყო მიღებული, მხოლოდ “ეთილი სურვილების დოკუმენტად” ჩაბარდა ისტორიას.

ქვეყნის წინაშე არსებული საფრთხეები და გამოწვევები მასში საკმაოდ კარგად იყო ფორმულირებული, მაგრამ ვერც ერთი მათგანის თავიდან აცილება ვერ შევძლით.

“აგვისტოს ომის” დროს ქვეყანაში განვითარებული მოვლენების შედეგად (რუსეთის მიერ ბათუმი-სა და ფოთის პირობების პარალიზება და სატრანსპორტო მაგისტრალების ბლოკირება) შეჩერდა საგარეო ვაჭრობა და ექსპორტ-იმპორტის ოპერაციები. შეფერხდა წარმოება. მნიშვნელოვნად შემცირდა იმპორტის მოცულობა. თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველოს სამომხმარებლო ბაზარი 75-80% იმპორტზეა დამოკიდებული, პანიკა და ქაოსი სამომხმარებლო ბაზარზე არსებული რეზირვების გამოყენების შედეგად იქნა თავიდან აცილებული.

თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის მიერ საზღვაო პორტების, ცენტრალური ავტომაგისტრალისა და რკინიგზის ბლოკირება რამდენიმე დღით კიდევ, რომ გაგრძელებულიყო, საქართველოს აღ-30



მოსავლეთი ნაწილი სურსათის გარეშე, ხოლო დასავლეთ საქართველო საწვავისა და ბუნებრივი გაზის გარეშე დარჩებოდა. ეს კი პირველადი მოხმარების საგნების დეფიციტსა და სამომხმარებლო ბაზრებზე სერიოზულ პანიკას გამოიწვევდა. ამ პერიოდის განმავლობაში რიგი იმპორტირებული საქონლის ფასმა საგრძნობლად იმატა. პრაქტიკულად ჩავარდა ტურისტული სეზონი.

“აგვისტოს ომის” შემდგომ საქართველოს, როგორც სატრანზიტო და ტურისტული ფუნქციის მქონე ქვეყნის სტატუსი საკმაოდ შეირყა. უნდა ავლინიშნოთ ერთი საინტერესო ფაქტი: საომარი მოქმედებებისას რუსული მხარის მიერ აფეთქებული იქნა სარკინიგზო ხიდი, რომელიც აკავშირებს აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს, რამაც პარალიზებულ მდგომარეობაში ჩააგდო სარკინიგზო მიმოსვლა. მართალია ხიდი მაღლევე იქნა აღდგენილი, მაგრამ აღნიშნული ფაქტი აშკარად მიუთითებს სარკინიგზო ინფრასტრუქტურის არასაკმარის განვითარებაზე. ანალოგიური შეიძლება ითქვას ერთადერთ საავტომობილო მაგისტრალზეც, რომელის აღმოსავლეთ და დასავლეთ აკავშირებს.

უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ერთერთი აუცილებელი პირობა ქვეყნის პოლიტიკური სტაბილურობაა. აგვისტოში განვითარებული მოვლენებისა და შიდა პოლიტიკური დაპირისპირებების ზრდის შედეგად ქვეყნის საინვესტიციო მიმზიდველობა საგრძნობლად შემცირდა, რაც ინვესტიციების მოცულობის მკვეთრ შემცირებაში აისახა. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა 2007 წლითან შედარებით უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე სამჯერ შემცირდა. ბოლო წლებში საქართველოში მიმდინარე “აგრესიული პრივატიზების პროცესი”, ბიუჯეტის შევსების ძირთად წყაროდ იქცა. თუმცაარ ხორციელდებოდა ამ პროცესის რციონალურად ნარმართვა, ეროვნული ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინება და პრივატიზების პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა. სათანადო ყურადღება არ ექცეოდა ოფშორულ ზონებში დარეგისტრირებული კომპანიების შემოსვლას საქართველოს ეკონომიკაში, ვინაიდან ამ დროს ძალიან ძნელია, ზოგჯერ კი საერთოდ შეუძლებელია იმის გარკვევა, თუ რომელი სახელმწიფო დგას ამ კაპიტალის უკან. “მტრულმა ინვესტიციამ” შეიძლება მნიშვნელოვნად შეარყიოს საქართველოს ეკონომიკური სუვერენიტეტი, რისი საფრთხეც დღეს ჩვენს ქვეყანაში უაღრესად დიდია.

საქართველოს ეკონომიკა აგვისტოს მოვლენების შემდგომ ინვესტიციურ “შიმშილს” განიცდის და ამ პირობებში საქართველოსთვის არახელსაყრელი საპრივატიზაციო გარიგების გაფორმების საშიშროება ძალზე რეალურია.

სამწუხარო ფაქტია ის, რომ საქართველოს გეოსტრატეგიული მდგომარეობა ძალზე არამყარია და მეზობლების (უპირველესად კი რუსეთის) კეთილმეგობრულ დამოკიდებულებაზეა დამყარებული. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენი ქვეყნის სატრანსპორტო არტერიების უმრავლესობა ბლოკირებული იქნება (რაც გვიჩვენა “აგვისტოს ომიაც”), ვერ მივიღებთ სურსათსა და ნედლეულს, ბუნებრივ გაზს, ვერ გავყიდით ჩვენს პროდუქციას სხვა ქვეყნების ბაზარზე და ა.შ.

ამ გეოპოლიტიკურ სივრცეში საქართველოს ნებისმიერი ხელისუფლება უფრო ყურადღებით და ფხიზლად უნდა იყოს და უკვე მომხდარ მოვლენების შემდგომ კი არ უნდა რეაგირებდეს, არამედ წინასწარ უნდა ჰქონდეს მოვლენათა შესაძლო განვითარების სიტუაციური მოდელები დამუშავებული. დღემდე არ მომხდარა “აგვისტოს ომის” სამხედრო-პოლიტიკური, ეკონომიკური და გეოპოლიტიკური შედეგების იმპერიალური ანალიზი და შედეგების შეფასება.

ამ დროს კი “აგვისტოს ომი” უდიდესი გეოპოლიტიკური მოვლენა იყო, რომელმაც “მსოფლიოს ახალი წესრიგის” კონტურები გამოკვეთა. რუსეთმა მაშინ ლიად და აგრესიულად დააფიქსირა საკუთარი ეროვნული ინტერესების პრიორიტეტულობა საერთაშორისო სამართლის ნორმებთან მიმართებაში. მსოფლიოში დღეს არსებული პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისისა და ქაოსის ფონზე რუსეთის მხრიდან ახალი პოლიტიკურ-ეკონომიკური საფრთხეები გამორიცხული არ არის.

ჩვენი აზრით საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების პირველმა კონცეფციამ ტესტირება ვერ გაიარა და სიცოცხლისუნარიანობა ვერ დაამტკიცა. სამწუხაროდ იგივე ბედი ელის 2011 წელს მიღებულ ახალ დოკუმენტსაც, რადგან მასში კვლავ არაა გათვალისწინებული ძველი შეცდომები. დღეისთვის მოქმედ ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში საქართველოს ეროვნული ინტერესები 12 ძირითად მიმართულებადა დაჯგუფებული: სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფა; ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფა; მდგრადი ეკონომიკური განვითარება; ენერგეტიკული უსაფრთხოება; ქვეყნის სატრანზიტო ფუნქციის განმტკიცება; ეროვნული და კულტურული თვითშეყოფადობის უზრუნველყოფა; ინფორმაციული სივრცის უსაფრთხოება და დემოგრაფიული უსაფრთხოების უზრუნველყოფა. ეს ჩამონათვალი, ფაქტობრივად სიტყვა-სიტყვით, 2005 წლის კონცეფციაშიცაა მოყვანილი, თუმცა საქმე-საქმეზე, რომ მიდგა ქვეყნის ეროვნული ინტერესები დაუცველი დარჩა. ასე იქნება ამჟამადაც, თუ მაშინდელი მძიმე გაკვეთილები არ გავითვალისწინეთ და მოსალოდნელი საფრთხეების თავიდან აცილების რეალური მექანიზმი არ გვქონდა.

“მდგრადი განვითარების” ლამაზი ილუზიები

ახალ კონცეფციაში, ძველის მსგავსად, ყველაზე სუსტი წერტილი ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების დაცვის საკითხებია. ამ დროს კი ნებისმიერი ქვეყნის პოლიტიკურ, სამხედრო, სოციალურ, კულტურულ და ა.შ. განვითარებას საბოლოო ანგარიშით ეკონომიკური განვითარება განსაზღვრავს.



ეკონომიკური გლობალიზაციის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტი “თავისუფალი ვაჭრობა” ორლეგული მახვილივთა: პოზიტიურ ეკონომიკურ პროცესებს, ხშირად ეროვნული ეკონომიკისათვის ნებატიური შედეგის მომტანი ფაქტორები ახლავს. ამიტომ ეროვნული ეკონომიკური სივრცის და ადგილობრივი ბაზრის დაცვის მოქნილი სისტემის ფორმირება ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

### ტურიზმი გადაარჩენს საქართველოს?

ჩვენ ქვეყნაში დღეს სახეზეა ეკონომიკის დარგების არათანაბარი განვითარება: ვაჭრობისა და მომსახურების (იგივე ტურიზმი და სასტუმრო ბიზნესი) წინმსწრები განვითარება ადგილობრივ სამრეწველო და სოფლის მეურნეობის დარგებთან შედარებით. რაც ”ნებატიური იმპორტის“ ზრდას, კონვერტირებული ვალუტის გადინებას, ადგილობრივი წარმოების შემცირებას და უმუშევრობის ზრდას იწვევს. იმპორტზე დამოკიდებულება – კი ყოველწლიურად იზრდება – ამჟამად საქართველოს სამომხმარებლო ბაზრის 75-80% იმპორტზე დამოკიდებული. ამიტომ მსოფლიო ფასების ზრდა, სატრანსპორტო არტერიების ბლოკირება, ეკონომიკური ბლოკადა და ა. შ. ეროვნულ ეკონომიკას დიდ საფრთხეს უქმნის. ჩვენი ხელისუფლების მიზანი: ხუთი მილიონი ტურისტი წელიწადში – კიდევ უფრო დამოკიდებულს გაგვხდის იმპორტზე და გარეშე ფაქტორებზე.

### ფულად-საკრედიტო სფეროს სტაბილურობა

ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსი ძირითადად საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებულ გრანტებსა და კრედიტებს ემყარება. საქართველოში ბანკების 70%-ს უცხოური კაპიტალი აკონტროლებს და ამ ვითარებაში საბანკო სისტემა ძალზე არამდგრადია და მთლიანად გლობალურ გეოპოლიტიკურ ფაქტორებზე დამოკიდებული.

ამავე დროს საბანკო სისტემაში ძალზე მაღალია მოკლევადიანი დეპოზიტების ხვედრი წილი ანაბრების მთელ მოცულობაში, ხოლო ”დოლარიზაციაში

კოეფიციენტი“ (ანუ უცხოურ და ეროვნულ ვალუტაში დეპოზიტების თანაფარდობა) 70%-ს აღწევს, მაშინ, როცა ეკონომიკური უსაფრთხოების კრიტიკული ზღვარი 25-30%-ია.

### სასურსათო უსაფრთხოების დონე

სასურსათო უსაფრთხოების დონე განისაზღვრება ძირითადი სასურსათო

პროდუქტების დღიური მარაგებით. ”ფაო“-ს (სურსათის მსოფლიო ორგანიზაცია) მიერ შემუშავებული კრიტერიუმების მიხედვით, უსაფრთხოების მინიმალური დონე შეადგენს სასიცოცხლო მნიშვნელობის სურსათის (ხორბალი, ფქვილი, შაქარი, ზეთი, ხორცის და თევზის კონსერვები და ა. შ.) მოხმარების 60 დღის მარაგს. სამნუხაროდ საქართველოში ეს საკითხები ჯერ კიდევ არ რეგულირდება.

თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი განისაზღვრება სურსათის საერთო

მოხმარების მოცულობის შეფარდებით ადგილზე ნარმოებული სურსათის

მოცულობასთან. ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში ეს კოეფიციენტი

უკანასკნელ ოც წელიწადში 99-დან 113%-მდე გაიზარდა, ხოლო განვითარებად

ქვეყნებში პირიქით, შემცირდა 103-დან 98%-მდე. პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ბოლო ათი წლის მანძილზე თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი 99-დან 94%-მდე შემცირდა. ეს მაჩვენებელი საქართველოში 20-30%-ია.

### ენერგოუსაფრთხოება

ენერგეტიკული რესურსებით შეუფერხებელი უზრუნველყოფა საქართველოსათვის კვლავ „№1“ ეკონომიკურ-პოლიტიკური პრობლემაა. საჭიროა ჩამოყალიბდეს ისეთი ენერგოუსაფრთხოების მექანიზმი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს იმპორტირებულ ენერგიაზე დამოკიდებულების შემცირება საკუთარი რესურსების თანდათანობითი ათვისების გზით. ქვეყანა კვლავ დამოკიდებულია ბუნებრივი გაზის ერთ მომწოდებელზე, რამაც ნებატიური შედეგები შეიძლება მოგვიტანოს.

მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ქვეყნის ენერგეტიკულ უსაფრთხოება ძირითადად სამი გზით მიიღება: ადგილობრივი რესურსების მაქსიმალური მობილიზაციით, რესურსების მომწოდებელთა დივერსიფიცირებით და მარაგების შექმნით. აქამდე თუ მხოლოდ რუსეთი იყო ბუნებრივი გაზის მომწოდებელი, ამჟამად მხოლოდ აზერბაიჯანია. ტერაქტის ან სტიქიური უბედურების შემთხვევაში საკიდან მივიღებთ ბუნებრივ გაზის? ამ რამდენიმე წლის წინ ინტენსიური საუბარი იყო ბუნებრივი გაზის ორი საცავის მოწყობაზე, მათ შორის ეროვნული უსაფრთხოების 2005 წლის კონცეფციაში, შემდეგ კი ეს საკითხი მივიწყებული იქნა. ქვეყანას არ გააჩნია საწვავის მარაგები, რათა ენერგეტიკული კრიზისის დროს ოდნავ მაინც შეძლოს სიტუაციის დაბალანსება.

სომხეთმა შეძლო ბუნებრივი გაზის საცავების მოაწყობა და ამჟამად რამდენიმე თვე ჩრდილოეთიდან (რუსეთი და საქართველოს გავლით) ტრანსპორტირება რომ შეწყდეს, საკუთარი მარაგები აქვს, რაც



უკვე არაერთხელ გამოიყენა. ახალ კონცეფციაში გაკვრითაა ნახსენები ბუნებრივი გაზის საცავები. ბუნებრივი გაზის საცავის მოწყობა საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა, თუმცა ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოებისთვის აუცილებელი ღონისძიებაა.

### ინტელექტუალური პოტენციალის უსაფრთხოება

ქვეყნის მეცნიერულ-ტექნიკური და ინტელექტუალური პოტენციალი განსაზღვრავენ სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის ტემპებს და ის ქვეყნები, რომლებიც მნიშვნელოვნად ჩამორჩებიან ამ პარამეტრებს ეკონომიკური განვითარების მარგინალურ (პერიფერიულ) შრეებში რჩებიან. მათი როლი და მნიშვნელობა მსოფლიო გლობალურ ეკონომიკურ პროცესებში, მხოლოდ დამხმარე და ვიწროსპეციალიზაციის (ტურიზმი და სასტუმრო მომსახურება) ფუნქციებით შემოიფარგლება. ჩვენი ქვეყნისთვის ასევე მნიშვნელოვანი პრობლემაა მაღალკალიფიციური სპეციალისტების ქვეყნიდან წასვლა (ანუ "ტვინების გადინება"). ამ დროს: იკარგება სპეციალისტის მომზადებაზე განეული თანხები; მცირდება ქვეყნის ინტელექტუალური პოტენციალი; ემიგრირებული სპეციალისტები უკვე სხვა ქვეყნისთვის ქმნიან კონკურენტუნარიან პროდუქტს.

### სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის უსაფრთხოება

კვლავ ერთი სარკინიგზზო ხაზი, კვლავ ერთი საავტომობილი მაგისტრალი.

2008 წლის „აგვისტოს ომმა“ ცხადად დაგვანახა, რომ მონინააღმდეგის ერთ სადაზვერვო-დივერსიულ ასეულს შეუძლია საქართველოს სატრანსპორტო არტერიების ბლოკირება და საქართველოს რამდენიმე, ერთმანეთისგან მოწყვეტილ ტერიტორიულ ერთეულად დანაწილება. სამუშაოობა სატრანსპორტო მაგისტრალების რეალური დივერსიფირებისთვის ჯერ კიდევ არაფერი კეთდება.

### თუ არა სახელმწიფომ, მაშ ვინ?

დღეს მოქმედ ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში ჩანს: „მდგრადი ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფა ეკონომიკის ფუნქციონირებაში სახელმწიფოს მინიმალურ ჩარევის გზით“. ეს სრულიად მცდარი შეხედულებაა, რადგან სახელმწიფოს მდგრადი განვითარება და დამოუკიდებლობის დაცვა სახელმწიფოს მონაწილეობის გარეშე ვერ განხორციელდება. ეს ჩარევა კი ხან, მინიმალური შეიძლება იყოს, ხან უფრო მეტი. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოების დაცვა სახელმწიფო-ადმინისტრაციული მექანიზმის აქტიურ გამოყენებას მოითხოვს. ამ რეალობამ არ უნდა დააფრთხოს „თავისუფალი ბაზრის“ თავისუფალი მცდები, რადგანაც ისტორიული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ეკონომიკური საფრთხის (მით უფრო ომების და გლობალური კრიზისის დროს) ლრმა კრიზისში გადაზრდის თავიდან აცილება, მხოლოდ სახელმწიფოს აქტიური ჩარევითა და მოქმედებით მიღწევა. თვით აშშ, სადაც თავისუფალი საბაზრო სისტემის პრონციპები სახელმწიფო იდეოლოგიის რანგშია აყვანილი, გლობალური კრიზისების დროს სახელმწიფო რეგულირების მექანიზმს ძალზე აქტიურად იყენებს.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბ. ალადაშვილი, „ეკონომიკური უსაფრთხოება: თეორია, მეთოდოლოგია, პრაქტიკა“, თბ. 2011 წ.
2. ბ. ალადაშვილი, „სამხრეთ კავკასია გეოპოლიტიკურ გზაჯვარედინზე: ეკონომიკური ინტეგრაცია თუ ომი?“ თბ., 2010 წ.
3. ჰ. ჰერსტი., გ. ტომპსონი., „გლობალიზაცია, კრიტიკული ანალიზი“, თბილისი 2005.

### ბესიკ ალადაშვილი

**საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია და ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოების პრობლემები**

### რეზიუმე

სტატიაში განხილულია საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციისა და ეკონომიკური უსაფრთხოების პოლიტიკის აქტუალური საკითხები.



ნაჩვენებია, რომ ერთიან მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეში, ამა თუ იმ ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლება დამოკიდებულია ეროვნული უსაფრთხოების უმნიშვნელოვანესი შემადგენელის – ეკონომიკური უსაფრთხოების საკითხების სილრმისეულ დამუშავებაზე.

დასაბუთებულია, რომ გლობალურ მსოფლიოში ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყობა მოითხოვს გლობალიზაციისა თანმხვედრი ნეგატიური შედეგებისა და გეოპოლიტიკური სიტუაციის მუდმივ პროგნოზირებას და თანმიმდევრული სახელმწიფო პოლიტიკის გატარებას.

**Besik Aladashvili**

### **Concept of National Security of Georgia and National Economic Safety Issues**

#### **Summary**

The article deals with the concept of national security of Georgia and actual issues of economic policy.

The paper shows that in economic sphere, the increase in the competitiveness of this or that country depends on deep processing of the economic security issues as of the most significant constituents of the national security.

It is proved that securing the world economics requires constant prognostication of negative outcomes of the globalization and geopolitical situation as well as implementation of consequent state policy.



## აგიან (სიმონ) თავართილაძე

### საქართველოს სავაჭრო პოლიტიკა და ეკონომიკური თავისეულები ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულება, რეალობა და მომავალი

საქართველოს დასავლეთთან ინტეგრაციის ვექტორი რამდენიმე საბაზო მიზანზე გადის. პირველ რიგში, ცხადია, ნატოსა და ევროკავშირში გაერთიანებაზე. თავის მხრივ ევროკავშირმა შექმნა სპეციალური პროგრამა საქართველოსათვის და აღმოსავლეთ ევროპის რამდენიმე ქვეყნისათვის, რათა ისინი რუსეთის გავლენას საბოლოოდ ჩამოაშორონ. ეს არის ასოცირებული წევრობის სპეციალური სტატუსი. ამ სტატუსის მისაღწევად შეიქმნა ე.წ. „ახალი გზა“, ევროკავშირის თავისებური „მაპი“. საუბარია აღმოსავლეთ პარტნიორობის ხელშეკრულებაზე. მის ფარგლებში თანამშრომლობის ძირითადი მიმართულებები გამოხატულია ე.წ. თემატურ პლატფორმებში. რომელიც მოიცავს ისეთ სფეროებს, როგორიცაა ენერგეტიკა, ადამიანის უფლებები და კანონის უზენაესობა, მიგრაციის საკითხები და ა.შ. შეთანხმება აღმოსავლეთ პარტნიორობის შესახებ, რომელიც ევროკავშირმა რამდენიმე წლის წინ ჯერ კიდევ 1999 წელს, ექვს ქვეყანასთან (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელარუსი, უკრაინა და მოლდოვა) გააფორმა, რომელიც ითვალისწინებდა ევროკავშირისა და ამ ქვეყნებს შორის გაღრმავებულ ეკონომიკურ დაახლოებას. ევროკავშირისა და საქართველოს შორის ორმხრივი ვაჭრობის საკითხებში ურთიერთობა რეგულირდება ევროკავშირისა და საქართველოს შორის შეთანხმებით პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ, რომელიც ძალაშია 1999 წლიდან. თანამშრომლობას ეკონომიკურ საკითხებში მოიცავს აგრეთვე, ევროპის სამეზობლო პოლიტიკა და მისი სამოქმედო გეგმაც.

საქართველო სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით კარგახანია სარგებლობს ევროკავშირის მიერ მინიჭებული განზოგადებული პრეფერენციებისგაფართოებული სისტემით, ანუ GSP+-ით. იგი ითვალისწინებს ქართული ექსპორტის თითქმის უტარიფო დაშვებას ევროკავშირის ბაზარზე. ქართული პროდუქცია ევროპულ ბაზარზე საკმაოდ სერიოზული პრეფერენციების სისტემით სარგებლობს. 10000 სატარიფო პოზიციიდან, რომელთაც ევროკავშირის ერთიანი საბაზო კოდექსი ითვალისწინებს, დღეს 9300 დასახელების პროდუქცია, საქართველოდან ექსპორტის შემთხვევაში, გათავისუფლებულია საბაზო გადასახადისაგან. მათგან 2100 სასაქონლო კატეგორიაზე ტარიფები, ქვეყნისთვის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ეგიდით ადრე მინიჭებული უპირატესი ხელშეწყობის რეუიმის ფარგლებში, გაუქმდა, 7200 დასახელების პროდუქციაზე კი — ევროკავშირის მიერ 2005 წლიდან დაწესებული პრეფერენციების განზოგადებული სისტემის დამატებითი სატარიფო დათმობის ფორმატში (GSP+). მანამდე პრეფერენციების განზოგადებული სისტემა (GSP) 6900 დასახელების პროდუქციაზე ვრცელდებოდა და მათგან ნულოვანი განაკვეთით მხოლოდ 3300 სარგებლობდა.

ამის მიუხედავად, ევროპის ბაზარზე საქართველოდან მხოლოდ რამდენიმე ათეული დასახელების პროდუქცია გადის. აქედან GSP+-ის შეღავათების რეუიმს უშუალოდ 34 დასახელების პროდუქცია ექვემდებარება. GSP+ რეუიმის ამოქმედებამდე მინერალურ წყლებზე საბაზო ტარიფი 6,1%—ს შეადგენდა, ამონიუმის სულფატზე — 3%, ხოლო თხილზე — 2,1 %. ევროპის ბაზარზე ქართული კავალი და თხილი განსაკუთრებული მოთხოვნით სარგებლობს.

2008 წლიდან კი ევროკავშირი საქართველოს სთავაზობს ლრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულებას. ყოვლისმომცველი ნიშნავს ვაჭრობის ფართო სპექტრს, ანუ იგი არ შემოიფარგლება მხოლოდ საქონლისა და მომსახურების ცალკეული ჯგუფებით. „ლრმა“ კი იმას ნიშნავს, რომ ხელშეკრულება ტარიფების შემცირების გარდა გაითვალისწინებს არასატარიფი ბარიერების შემცირებასა და ვაჭრობასთან დაკავშირებული სფეროების დაახლოებას.

ევროპა, მხარს უჭერს იმ ქვეყნების წახალისებას, რომლებიც მისი პოლიტიკურად სტრატეგიულ პარტნიორებად მოიაზრებიან. დღესაც, თუ კი ევროკავშირი აშკარად გრძნობს, რომ ნაკლებად განვითარებული ქვეყანა დემოკრატიული სტანდარტების შესაბამისად განვითარებას ცდილობს და ევროპული ცივილიზაციის მნიშვნელოვან პრინციპებს არ ღალატობს, მასთან წახალისების მიზნით, თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულების გაფორმების შესაძლებლობას ქმნის. დღეს საქართველოს სწორედ ამ ჭრილში განიხილება. საქმე სწორედ იმაშია, თუ რამდენად სწორად დაღრულად გამოიყენებთ ამ შესაძლებლობას.

თავისუფალი ვაჭრობა - საბაზო ტარიფების და ქვითების გარეშე ვაჭრობას ნიშნავს და ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის მოთხოვნები (WTO) სწორედ არასატარიფო ბარიერების მოხსნას ემსახურება. თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულება, საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით მარტივად არ ფორმდება. მის მომზადებას წინ უძლვის გრძელვადიანი მოლაპარაკების პროცესი, როდესაც მხარეები ერთმანეთს რეგულაციების შესახებ კონკრეტული ვალდებულებების შესრულების მოთხოვნას აყალიბებენ.

ევროკავშირმა საქართველოსთან ვაჭრობის ლიბერალიზაციის მიმართულებით პროცესების დაჩქარებისათვის პოლიტიკური ნება ჯერ კიდევ ევროპული საბჭოს 2008 წლის 1 სექტემბრის გადაწყვეტილებით დაადასტურა.

2008 წლის 13-15 ოქტომბერს თბილისს სამუშაო ვიზიტით ეწვია ევროკომისიის ექსპერტთა სპეციალური მისია ვაჭრობის საკითხებში გენერალური დირექტორის მოადგილის ბატონი პიტერ ბალაშის



ხელმძღვანელობით. მისი მიზანი იყო, შეესწავლათ საქართველოში არსებული ვითარება, მიმდინარე ეკონომიკური რეფორმები და შეეფასებინათ საქართველოს მზაობა თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შე-თანხმებაზე მოლაპარაკებების დასაწყებად.

2009 წლის მარტში გამოქვეყნდა ზემოთაღნიშნული მისი დასკვნა. დასკვნაში დელიკატურად და დიპლომატიური ენით აღნიშნულია, რომ საქართველომ მიაღწია გარკვეულ პროგრესს ეკონომიკის რე-ფორმირებისა თვალსაზრისით, მაგრამ არსებობს სფეროები რომლებმიც ასევე აუცილებელია შესაბამი-სი რეფორმების განხორციელება. დასკვნაში ასახულია ის სფეროები, რომლებმიც საჭიროა რეფორმე-ბი განახორციელდეს. აქვე მოცემულია შესაბამისი რეკომენდაციები. აღნიშნული რეკომენდაციები და-ყოფილია ორ ნაწილად: პირველი, რომელთა შესრულება მიჩნეულია აუცილებლად თავისუფალი ვაჭრო-ბის შესახებ შეთანხმებაზე მოლაპარაკებების დასაწყებად და მეორე, რომელთა შესრულება მიჩნეულია აუცილებლად ამ შეთანხმების გასაფორმებლად.

2010 წლის ნოემბერში, საქართველოს პრეზიდენტთან შეხვედრისას, ევროკომისიის პრეზიდენტმა უოზე მანუელ ბაროზომ ლიად მიანიშნა, რომ ქვეყანას მათ განსახორციელებლად „მეტი ძალისამებელი“, სჭირდება, რათა ევროკავშირთან ლრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება-ზე დაინტენსიურობით მოლაპარაკებები. რაც შეეხება ხელშეკრულების გაფორმების ვადებს, ბაროზომ ისიც აღ-ნიშნა, რომ „სავაჭრო მოლაპარაკებებისთვის დროის განსაზღვრა საქართველოს ხელშია..“ მაგრამ გავიდა კიდევ 2 წელი და აღმოჩნდა, რომ ჩვენი ქვეყანა თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების გასა-ფორმებლად კი არა, მოლაპარაკებების დასაწყებადაც არ იყო მზად. ასეთი მემკვიდრეობა დახვდა ახალ არჩეულ ხელისუფლებას. ინტენსიური საქმიანობის მიუხედავად, ჯერჯერობით დასრულებული არ არის ევროკავშირის მხრიდან შეფასებებისა და კონსულტაციების პროცესი. ევროკავშირს უბრალიდ არ აქვს ნათევამი, რომ მათ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი საქართველოსთან დაიდოს მსგავსი ხელშეკრუ-ლება, ასევე მტკიცედ ითქვა ისიც, რომ ეს ხელშეკრულება უნდა დაიდოს მხოლოდ მაშინ, როდესაც სა-ქართველო ამისთვის მზად იქნება. საქარ-

თელოს ყოფილმა მთავრობას მრავალჯერადად დეკლარირებული სურვილის გარდა, რომ მსგავსი ხელშეკრულება უნდა გაფორმდეს, კონკრეტული ნაბიჯები არ გადაუდგამს. მის თვალსაჩინო დადას-ტურებაა ის, რომ ევროკავშირის და ევროკომისიის მრავალჯერადი შეხსენების მიუხედავად, რამდენი-მე წელია საქართველოს მთავრობა ჯიუტად არ ასრულებდა ევროკავშირის 4 მოთხოვნიდან არც ერთს. აღნიშნულ მოთხოვნებს ევროკავშირი განიხილავს საქართველოსთან თავისუფალი ვაჭრობის დადების წინაპირობად. ეს ოთხი მოთხოვნაა: სტატისტიკის უწყებისა და სტატისტიკის სისტემის რეფორმი-რება, შრომის კოდექსის შეცვლა, სურათის უვნებლობის პრობლემის მოგვარება, ანტიმონპო-ლიური რეგულირების საკანონმდებლო უზრუნველყოფა და ანტიმონპოლიური სრულფასოვანი მარეგულირებელი უწყების შექმნა. არც ერთი მიმართულებით საქართველოს 2013 წლამდე ემედითი ნაბიჯები არ გადაუდგამს. ძირითადად, კარგად ორგანიზებული პიარ კომპანიით, ამ მოთხოვნების ფარ-გლებში მხოლოდ „ზოგიერთი“, და ისიც „ფასადური“, ცვლილებები განხორციელდა. მაგალითისთვის, თითქოსდა შეცვალა ანტიმონპოლიური კანონმდებლობა, მაგრამ ის პუნქტები და მუხლები რაც ამ კა-ნონმდებლობაში შევიდა, რეალურად ქართულ ბაზრებზე არსებულ მდგრამარეობას არ და ვერ ცვლის. ყოველივე ადვილად შეამჩნიეს ევროკავშირის ექსპერტებმა, ჯერ კიდევ კანონპროექტის გან-ხილვამდე და განხილვის პროცესში არაერთი რეკომენდაცია გამოიგზავნა, მაგრამ..... ევროკომისიის რეკომენდაციის თანახმად უნდა მოხდეს კონკურენციის შესახებ ახალი კანონის შემუშავება.

ევროკავშირს მკაფიოდ აქვს ჩამოყალიბებული პოლიტიკა. მოლაპარაკების „ლუფტი“, დიდი არაა, მაგრამ შედეგი - მოლაპარაკებით აღებულ ვალდებულებათა იმპლემენტაციაზეა დამოკიდებული. ამო-ცანა იმაში მდგომარეობს, რომ საქმე გაკეთდეს სწორად. რა აუცილებელი პირობები აქვს საქართველოს მთავრობას შესასრულებელი იმისათვის, რომ ევროკავშირმა მოლაპარაკებები დაინტენსიურებანს ს-თან? ამ რეკომენდაციების შესრულება მოლაპარაკებების დაწყების წინაპირობადგანისაზღვრა.

მოლაპარაკებების დასაწყებად აუცილებელი პირობების შესრულებასთან დაკავშირებით, 10 მი-მართულებიდან (სატარიფო და არასატარიფო ბარიერები, სანიტარული და ფიტოსანიტარული ლონის-ძიებები, სახელმწიფო შესყიდვები, საბაზო ადმინისტრირება, ინვესტიციები და მომსახურება, წარმოშო-ბის სერტიფიკატი, ტექნიკური ბარიერების მოხსნა ვაჭრობისთვის, კონკურენციის პილიტიკა, ინტე-ლექტურული საკუთრების დაცვა, მდგრადი განვითარება (გარემო, სოციალური საკითხები) ევროკავ-შირმა საქართველოსთვის 4 შედარებით პრობლემატური სფერო გამოყო. რეკომენდაციების საფუძველ-ზე საქართველოს მთავრობამ აიღო შესაბამისი ზომების მიღების ვალდებულება ოთხივე მიმართულე-ბით:

1. ტექნიკური ბარიერების მოხსნა ვაჭრობისთვის - საქართველოს მთავრობამ თითქოსდა ვადებში შეიმუშავა ყოვლისმომცველი სტრატეგია და სამუშაო გეგმაც, მაგრამ პრაქტიკულად რეალურად ხელ-შესახები ქმედებები არ განხორციელებულა.

2. სანიტარული და ფიტოსანიტარული ლონისძიებები სოფლის მეურნეობაში; — საქართველოს მთავრობამ ხანგრძლივი პერიოდისა და ვალდებულებების რამდენჯერმე გადავადების შემდგომ, აამოქმე-და მხოლოდ სურათის უვნებლობის კანონმდებლობის შეჩერებული მუხლები და 2010 წლის 1 ივლისი-დან დაინტენსიურდ საექსპორტო პროდუქციის კონტროლი. ევროკავშირის მოთხოვნა ახალი კანო-ნის შემუშავება არ და ვერ მოხდა.



3. კონკურენციის პოლიტიკა — ანტიმონოპოლიური რეგულაციების საკითხი და ეფექტური კონკურენციის პოლიტიკა არ განიხილებოდა წინა მთავრობის დერეგულაციის პოლიტიკის პირობებში პრიორიტეტულად. შესაბამისად, ფასადურმა საკანონმდებლო რეგულაციამ ევროკომისის მოთხოვნა მინიმალურ დონეზეც კი ვერ დააკმაყოფილა.

4. ინტელექტუალური საკუთრების დაცვა — საყურადღებო რომ, ევროკომისის რეკომენდაციების თანახმად, საწყის ეტაპზე საქართველოს მხარეს უნდა ჩატარებინა შესაბამისი კვლევა, მაგრამ რამდენადაც იგი ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე არ ჩატარდა. კვლევა დაიგეგმა და ჩატარებული იქნა UNDP-მიერ. საქართველოს მთავრობამ თითქოსდა შესასულა მოთხოვნა მიიღო კანონი სამრეწველო პროდუქტების დიზაინის შესახებ, ჩამოყალიბდა ინტელექტუალური საკუთრების სამსახური. რომელიც სრულად არ შეესაბამება ევროკომისის რეგულაციებს და საქართველოს მხარეს მოუწევს ევროკავშირის სტანდარტებთან თანდათან ჰარმონიზაცია.

**მოკლედ, გავიდა 5 წელი მოლაპარაკებები ჯერ კიდევ არ დაწყებულა. ანუ საქართველომ ვერ შეასრულა მოლაპარაკების დაწყებისათვის საჭირო მინიმალური მოთხოვნები. ევროკავშირის ექსპერტები ღიად აფიქსირებდნენ თავიანთ საფურცლიან ექვნარევ აზრს: „თუ რამდენად არის მზად საქართველო ინტენსიური მოლაპარაკებების ეტაპზე გადასასვლელად. თუ რამდენად არის საქართველოს მთავრობა და მისი სტრუქტურები მზად სამისი სტრუქტურები უნდა ხედავდნენ, რამდენად შესაძლებელია სხვადასხვა სახეობის ვალდებულებების აღება და მათი რეალურად გადაწყვეტა დადგენილ ვადებში..”**

მკითხველისათვის ამით ყველაფერი ნათქვამია, ევროკავშირის შეფასებები მკაცრი და სრულიად სამართლიანია. ამავდროულად, მათი მხრიდან კვლავ დარჩა საქართველოს მიმართ (სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით) კეთილგანწყობის დამოკიდებულება. შემთხვევითი არ იყო ევროპარლამენტის ძირითადი რეზოლუციის პათოსი გამსჭვალულია აზრით, რომ: „სავაჭრო მოლაპარაკებებისათვის დროის განსაზღვრა საქართველოს ხელშია„, საყურადღებო, რომ ამ პროცესების პარალელურად საქართველოში ე.წ. სახელისუფლებო ბეჭდურ და ტელე მედიაში სულ უფრო და უფრო მეტად ნარმოჩნდა იმ ექსპერტ სპეციალისტთა მოსაზრებები, რომელიც მკითხველისა და მსმენელისათვის აჩენდა კითხვას, „თუ რამდენად მისალებია მსგავსი ხელშეკრულება ისეთი სახით, როგორსაც ევროკავშირი მოითხოვს? რამდენად მოვახერხებთ ბაზრის, ინსტიტუტებისა და კანონის მკაცრი, ევროპული მოთხოვნების შესაბამისობაში მოყვანას? რომ ევროპას მხოლოდ თავისი ინტერესები ამონავებს და თავისი საქონლის ბაზარი სჭირდება“, და სხვა. რითაც თითქოსდა შეფარულად ხდებოდა საზოგადოებრივი აზრის ფორმირება თავისუფალი ვაჭრიბის ხელშეკრულების საწინააღმდეგოდ. მით უმეტეს, როცა ხელისუფლებაში მყოფმა ლიბერტარიონაული მსოფლმხედველობის ადამიანებმა საქართველოს ეკონომიკა გარკვეულ კალაპოტში უკვე მოაქციეს. მათი ხედვით, ეს იყო ღია ბაზრის პრინციპი, რითაც ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობ შესაძლებლებების დამკვიდრებას ცდილობდნენ. ამ კონცეფციის ოპონენტთა აზრით კი, რამდენიმენლიანი პერიოდის შემდეგ ჩანს, რომ საქართველოს სინამდვილეში ეს სტრატეგია უშედეგო აღმოჩნდა. ცალხმრივად ბაზრის გახსნითა და ნულოვანი ტარიფებით ინვესტიციების მოზიდვის პერსპექტივას აგვისტოს ომში წერტილი დაუსვა. ამიტომაც, გლობალური თვალსაზრისით, ჩვენთვის უკვე ძალზე მნიშვნელოვანია ევროკავშირის მიერ შემოთავაზებული ეკონომიკური შეთანხმება.

ცალსახაა, რომ საქართველოსთან ღრმა და ყოვლისმომცემი სავაჭრო ხელშეკრულების ამოქმედება ევროპელთა მხრიდანაც კეთილგანწყობილი და მხოლოდ პოლიტიკური გადაწყვეტილებაა, რადგან პრაგმატულ თვალსაზრისით საქართველო ძალზე მცირე ბაზარია – ევროპული სავაჭრო სივრცის საერთო ბრუნვაში ჩვენი ნილი, ალბათ, 00,01 პროცენტი თუ იქნება.

ზოგადად, ევროკავშირი, რომელიც დახვეწილი და კომპლექსური სავაჭრო ბერკეტების მქონეა, მსგავს თემაზე მძიმე მომლაპარაკებელია. მით უმეტეს, როცა ვსაუბრობთ ახალი თაობის თავისუფალი ვაჭრიბის ხელშეკრულებაზე, რომელიც მისთვისაც სიახლეა. საყურადღებო, რომ დღეისათვის ევროპელებს იგი მხოლოდ სამხრეთ კორეასთან აქვთ გაფორმებული.

რას მოუტანს თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება საქართველოს?

ეს იქნება ძალიან ღრმა და ყოვლისმომცემელი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება. საექსპორტო მიმართულებით საქართველოს გაეხსნება ძალიან დიდი პოტენციალი. ბერკად უფრო გაადვილდება საქართველოდან ნებისმიერი სახეობის პროდუქტის ექსპორტი ევროკავშირში. ჩვენ ვიცით, რომ ვაჭრობაში ძირითადი ბარიერები არის არა ტარიფები, ისინი ევროკავშირს საკმაოდ დაბალი აქვს. დაბრკოლებებს პროდუქტისათვის უფრო მეტად ქმნის არასატარიფო, ტექნიკური ბარიერები. ყოველივე, კი იმის გამო იქმნება, რომ ერთი ქვეყნის სტანდარტები და საკანონმდებლო გარემო განსხვავდება მეორესგან და ამის გამო ძალიან რთულდება საქონლის შეღწევა ბაზარზე. აქ, უწინარეს ყოვლისა, საუბარია ტექნიკურ რეგლამენტებზე. მაგრამ, თუ ტექნიკური რეგლამენტები იქნა ჰარმონიზებული ევროკავშირთან, უკვე შესაძლებელი იქნება შეთანხმების დადება ხარისხის შესაბამისობის შეფასების სისტემების ურთიერთცობაზე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საქართველოში გაცემულ ხარისხის შესაბამისობის სერტიფიკატებს ავტომატურად აღიარებენ ევროკავშირის ტერიტორიაზე. ამის მიღწევა ძალიან მნიშვნელოვანია.

ყველასათვის გასაგები ხდება, რომ ევროპული სტანდარტები მაღალი და მომსახურება ხარისხიანია და თუ საქართველო ამ სტანდარტებში ჩაჯდება მისთვის ღია არა მარტო ევროპული არამედ



ყველაზე მსყიდველუნარიანი ქვეყნის ამერიკის შეერთებული შტატების ბაზარიც. შესაბამისად, ბევრად უფრო ადვილად მიიღწევა აშშ-სთან ანალოგიური თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების გაფორმება. ასევე გაადვილდება ქართული პროდუქციის მარკეტინგი.

მას შემდეგ, რაც ახალი ხელშეკრულებით საქართველო ევროპული ბაზრის ნაწილად იქცევა, ბევრად მიმზიდველი ვხდებით ფინანსურად ყველაზე დიდი შესაძლებლობების მქონე ქვეყნების, ამერიკელი და ევროპელი, იგივე იაპონელი დათუნდაც ჩვენი მეზობელი ქვეყნის ინვესტორების-თვის. რადგან, საქართველოში მუშახელის და ადგილობრივი ხედლეულის სიიაფის, სოფლის მეურნეობაში ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის ნარმობის გათვალისწინებით, საკუთარ ბრენდულ ნაწარმს უკვე ჩვენთან შექმნიან. ბიზნესის ყველა ლოგოკით, ინვესტორი აქ აამუშავებს მაღალი ტექნოლოგიური პოტენციალის მქონე სანარმოს, რადგან საქონელს ევროპულ ქვეყნებში ყოველგვარი ბარიერის, ბაჟისა და დამატებითი ფორმალობების გარეშე შეიტანს. ამასთან, მათ უკვე უკეთ იციან, საქართველოდან ევროპულ ქვეყნებში რისი შეტანა აჯობებს, ბაზარიც კარგად აქვთ შესწავლილი და მოთხოვნა მიწოდების მარკეტიც განსაზღვრული.

ამასთან, ევროპასთან ღრმა და ყოვლისმომსცველი ხელშეკრულების გაფორმება ეფექტიან საშუალებად იქცევა იმ თალასაზრისითაც, რომ იგი წინაღობად ექცევა ჩვენთან უხვად შემომავალ უხარისხო, მავნე თურქულ ან ჩინურ იაფთასიან პროდუქციას. ჩინური პროდუქცია ევროპაშიც თითქმის იგივე ფასობს, რაც საქართველოში, მაგრამ იქ შეტანილი მათი საქონელი ბევრად ხარისხიანია. ხელშეკრულების ამოქმედების შემდეგ კი იძულებული გახდებიან აქაც სწორედ ის მაღალხარისხიანი პროდუქტი გაყიდონ.

ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ ცნობილი კვლევითი ჯგუფის CASE - ს კვლევამ, Global Insight თან ერთად აჩვენა, რომ ევროპასთან ღრმა და ყოვლისმომსცველი ხელშეკრულებას (DSFTA-ს) მნიშვნელოვანი პოზიტიური გავლენის მოხდენა შეუძლია საქართველოს ეკონომიკაზე. განსაკუთრებით იმ დარგებში, სადაც ქვეყნას უკვე აქვს გამოვლენილი ფარდობითი უპირატესობები. კვლევის მიხედვით, მაგალითისთვის: ხელშეკრულების დადებიდან 5 წლის განმავლობაში შესაძლებელია საფეიქრო პროდუქციის გამოშვება დაახლოებით 55 % ით გაიზარდოს. DCFTA-ამ დადებითად შეიძლება იმოქმედოს სამთომოპოვებითი მრეწველობისა და კარიერების დამუშავების გამოშვებაზე, რამაც 5 წლის შემდეგ შეიძლება 21 % ით მოიმატოს. 19 % ზრდა შეიძლება ჰქონდეს ქიმიური, რეზინის და პლასტმასის პროდუქციის ნარმოებასაც. ვაჭრობის რეჟიმის პოზიტიური გავლენა აისახება მეტალურგიაზეც, რომლის წარმოება შესაძლებელია 30 % ით გაიზარდოს. მნიშვნელოვანია ასევე ის გარემოება, რომ DCFTA ს ამოქმედებამ რეალურად შესაძლებელია საქართველოში ხელფასების დონე გაზარდოს და ა.შ. ყოველივე ეს იქიდან გამომდინარეობს, რომ ზრდის მეტი პერსპექტივა შესაძლებელია იმ დარგებს ქონდეთ, რომლებიც შრომის მაღალი ინტენსივობით ხასიათდებიან. (მეტალურგია, საფეიქრო ნარმოება და ა.შ) ამასთანავე, თავისუფალმა სავაჭრო რეჟიმმა შესაძლებელია მნიშვნელოვანი დადებითი იმპულსები შემატოს საექსპორტო პროდუქციის ზრდას. მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში მთლიანი ქართული ექსპორტის ზრდის ტემპმა შესაძლებელია 13 % ზრდას მიაღწიოს. შესაძლებელია მნიშვნელოვნად მოიმატოს ლითონის ნაწარმის ექსპორტმა, ასევე სასურსათო პროდუქტებისა და სასმელის ექსპორტმა. (განსაკუთრებით ნატურალური ღვინოებისა და სპირტიანი სასმელების) საფეიქრო პროდუქციის ექსპორტის ზრდამ კი მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში შესაძლოა 158 % შეადგინოს. ზრდის პერსპექტივა აქვს ავეჯის, ტყავგალანტერიის, საიუველირო ნაკეთობების, სათამაშოების, სპორტული ინვენტარის ექსპორტს და სხვა.

რა არის ის მთავარი მოთხოვნები, რომელიც საქართველომ უნდა შეასრულოს მოლაპარაკებების ეტაპამდე მისასვლელად?

იმ მისიამ, რომელიც საქართველოში ევროკავშირიდან იყო ჩამოსული ჯერ კიდევ 2009 წლის შემოდგომაზე შეისწავლა ეს სფეროები და წარმოადგინა დასკვნები. მოლაპარაკებების დასაწყებად აუცილებელია საქართველომ გაითვალისწინოს მათი დირექტივები და შენიშვნები და გამოასწოროს სიტუაცია. უხდა მოხდეს წინავლა კანონმდებლობისა და ინსტიტუტციონალური მშენებლობის თვალსაზრისით. ყველაზე მნიშვნელოვანი სფეროებად განიხილება ტექნიკური რეგლამენტები. საქართველოში უნდა აენიჭოს სისტემა მომხმარებლის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. აუცილებელია სამრეწველო საქონელზე ტექნიკური რეგლამენტების დაწესება. უნდა გვქონდეს სტანდარტების ისეთი განვითარებული სისტემა, რომელიც ევროპულ სტანდარტებს უახლოვდება; ასევე, შესაბამისი ევროპული სტანდარტის დონე უზრუნველყოფილი უნდა იყოს სტატისტიკაში; კონკურენციის სფერო უნდა იყოს რეგულირებადი. მნიშვნელოვან სფეროდ განიხილება ასევე ინტელექტუალური საკუთრების დაცვა. ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სფეროში სახელმწიფოს სტირდება ქმედითი სტრუქტურები და ინსტიტუტები, რომლებიც მოახდენენ ამ კანონების განხორციელებას. მაგალითად, იმისათვის, რომ სათანადო დონეზე ანარმოონ ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული დავები, სასამართლოები უნდა იყოს აღჭურვილი შესაბამისი კადრებითა და სპეციალისტებით. ასევე, პოლიციას ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებით უნდა ჰქონდეს მოკვლევის უფლებები; საბაჟოზე უნდა იყოს შესაბამისი სამსახურები, რომლებიც აქტიურად შეამონებენ ინტელექტუალურ საკუთრებას და დაიცავენ. უნდა არსებოდეს არაერთი ინსტიტუტი, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს არა მარტო კანონების არსებობას, არამედ მათ იმპლემენტაციას. ძალიან მნიშვნელოვანი სფერო, რომელსაც ევროკავშირი ასევე



დიდ ყურადღებას უთმობს, არის სანიტარია და ფიტოსანიტარია. საუბარია სურსათის უვნებლობაზე. აქ ძალიან ბევრი რამ არის გასაკეთებელი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სანიტარიული და ფიტოსანიტარიული კონტროლი, რომელიც უნდა ტარდებოდეს როგორც იმპორტირებული პროდუქციის ხარისხისა და უვნებლობის შემომებისას, ასევე ადგილობრივი ნაწარმის შემთხვევაშიც.

მოლაპარაკებების პროცესზე კეთილსასურველ გავლენას მოახდენს ახლახანს საქართველოს პარლამენტში ინიცირებული შრომის ახალი კოდექსი. ძალზე მნიშვნელოვანი იქნება, რომ საქართველოს შრომის კანონმდებლობა მოვიდეს სრულ თანხვედრაში შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მოთხოვნებთან.

თუმცა, წარსულში ევროკავშირის ექსპერტებთან კონსულტაციების თითქმის ყველა ეტაპზე ძალიან მკაცრად მახვილდებოდა ყურადღება მასზე და შრომის ახალი კოდექსის მიღების აუცილებლობა ევროკავშირის ძირითად პირობებში თავიდანვე, ჯერ კიდევ 2008 წელს განისაზღვრა, მაგრამ „ნაციონალურ“ ხელისუფლებას მის შესრულებაზე არც უფირია. უფრო მეტიც, დღესაც პარლამენტში ამჟამად უკვე „ოპოზიციური ძალა“, კვლავ არ ეთანხმება ახალი კანონის მიღებას.

სახეცვლილება დასჭირდება ასევე საგადასახადო (საბაჟო) კანონმდებლობასაც, რადგან მოთხოვნები აიწევს იგივე რეექსპორტთან დაკავშირებითაც — საქართველოში გამავალი პროდუქციის წარმოშობის ნამდვილობა მეტად გაკონტროლდება. ბუნებრივია, DCFTA ასევე სოფლის მეურნეობის პროდუქტების სანიტარიულ და ფიტოსანიტარიულ კონტროლსაც გულისხმობს, ანუ ქართველ ფერმერებს უკვე ისეთი ტიპის პროდუქტის შექმნას დაავალდებულებენ, როგორიც ევროსტანდარტებში ჩაჯდება. სხვა საკითხებთან ერთად, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ინტელექტუალურ საკუთრებას. თვალსაჩინო მაგალითად გამოდგება კომპიუტერული პროგრამა WINDOWS. საქართველოში არსებული ასიათასობით კომპიუტერის დიდი უმრავლესობა „გატეხილი“, პროგრამით მუშაობს. მომავალში კი, როგორც ცივილიზებულ სამყაროში, ყველას მოუნევს WINDOWS-ის მოხმარებისთვის სალიცენზიონ თანხის გადახდა.

ქართული პროდუქცია, რომ ევროპაში შევიდეს საექსპორტო საქონელმა საერთაშორისო აღიარების მქონე სასერტიფიკაციო ცენტრებში სერტიფიცირების პროცესი უნდა გაიაროს და ჰარმონიზებული სტანდარტები დაინერგოს. რასაც, რამდენიმე წელი და სერიოზული ინვესტიციის მოძიება დასჭირდება. სერიოზული ინვესტიცია კი რეალურად, მხოლოდ ამ ქვეყნებთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებით მიიღწევა. სწორედ ამიტომ ევროპასთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების გაფორმება უმნიშვნელოვანეს სახელმწიფო სტრატეგიულ მიზნად უნდა იქცეს.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ხელისუფლებისთვის ევროკავშირთან ლრმა და ყოვლის-მომცველი სავაჭრო ურთიერთობების დაწყება პრიორიტეტული საკითხია, ექსპერტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ აღნიშნული ხელშეკრულება საქართველოს მყიფე ეკონომიკას მძიმე ტვირთად დააწვება, რაც ცხოვრების გაძვირებაზე აისახება. ყველაზე უფრო რთულად მოსახერიგებელი სავარაუდო სურსათის უვნებლობისა და ინტელექტუალური საკუთრების სფეროები იქნება. მაგალითისთვის: სურსათის უვნებლობის რეგულაციების გამკაცრების მოთხოვნა, ეკონომიკის ექსპერტების აზრით, კიდევ უფრო გაზრდის ისედაც მაღალ ინფლაციას. „ახალი ეკონომიკური სკოლა საქართველოს“, ვიცე პრეზიდენტი გია ჯანდიერის განცხადებით, იმ მოთხოვნების დროის მოკლე მონაკვეთში შესრულება, რომელსაც ევროკავშირი DCFTA ს ფარგლებში ითხოვს, დიდ ზიანს მოუტანს საქართველოს ეკონომიკას და ა.შ. აქ შეიძლება დავეთანხმო მონაცენტრებს, უბრალო ჭეშმარიტებაა: ნებისმიერ ცუდად შესრულებურ საქმეს, რათქმა უნდა უარყოფითი შედეგი მოსდევეს.

ამ შემთხვევაში ჩვენთვის ევროკავშირის მიერ შემოთავაზებული ლრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულება პროგრესისკენ მიმავალი გზის გარკვეული მონაკვეთია. თუ, როგორ გავივლით ამ „მონაკვეთს“, ჩვენზეა დამოკიდებული. მაგრამ, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ყოველივე ზემო ჩამოთვლილს ცივილიზებული სამყარო ითხოვს და ეს გარდაუვალი პერსპექტივაა.

თავისთვის, ნებისმიერ ერთ კონკრეტულ ქვეყანასთან „თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების“ გაფორმება გარკვეულ დადებით შედეგზეა ორიენტირებული. მაგრამ, ისეთ ქვეყნების გაერთიანებასთან, როგორიც ევროკავშირია, ასეთი დონის თანამშრომლობა შეიძლება, განვიხილოთ, როგორც საქართველოს უსაფრთხოების ერთგვარი არაპირდაპირი გარანტია. შესაბამისად, ასეთი ხელშეკრულების პერსპექტივა სრულიად განსაკუთრებულ და განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს.

აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულება თავისუფალი ვაჭრობის თაობაზე, ასოცირების შესახებ შეთანხმების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. შესაბამისად, სანამ არ დასრულდება DCFTA-ის შესახებ მოლაპარაკებები, ვერ მოხერხდება ასოცირების შესახებ შეთანხმების ხელმოწერა. ასოცირების ხელშეკრულებაში განისაზღვრება მიზანი, რომ შეიქმნას თითოეულ პარტნიორ ქვეყანასთან ლრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების შეთანხმება და მოხდეს მასთან დაკავშირებული ვალდებულებების მიღება.

ეს არ არის ფანტაზია და ამისი მიღწევა საქართველოსთვის აბსოლუტურად შესაძლებელია. ამ ეტაპზე მთავრობა ევროკავშირის რეკომენდაციების შესრულებაზე აქტიურად მუშაობს. ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში საკითხთა უმრავლესობა დამუშავდა და შესაბამისი დოკუმენტა-



ცია ევროკავშირში გადაიგზავნა. სავარაუდოდ, 2013 წლის ბოლომდე იმ ვადების განსაზღვრაც მოხდება, როდესაც ფორმალური მოლაპარაკებების დაწყება შესაძლებელი გახდება. ეს, ალბათ, 2014 წლის მეორე ნახევარი იქნება. თავად ის ფაქტი, რომ ევროპასთან თავისუფალი ვაჭრობა შეიძლება, რეალობა გახდეს, ძალზედ დადებითია, მაგრამ ჯერ-ჯერობით ეს ყველაფერი მისაღწევია.

### ამირან (სიმონ) თავართქილაძე

**საქართველოს სავაჭრო პოლიტიკა და ევროკავშირთან  
თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულება, რეალობა და მომავალი**

### რეზიუმე

საქართველოს სავაჭრო პოლიტიკა და ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულება, რეალობა და მომავალი.

საქართველოს დასავლეთთან ინტეგრაციის ვექტორი რამდენიმე საბაზო მიზანზე გადის. პირველ რიგში, ცხადია, ნატოსა და ევროკავშირში გაერთიანებაზე. ევროპა, მხარს უჭერს იმ ქვეყნების წახალისებას, რომლებიც მისი პოლიტიკურად სტრატეგიულ პარტნიორებად მოიაზრებიან. თუ კი ევროკავშირი აშკარად გრძნობს, რომ ნაკლებად განვითარებული ქვეყანა დემოკრატიული სტანდარტების შესაბამისად განვითარებას ცდილობს და ევროპული ცივილიზაციის მნიშვნელოვან პრინციპებს არ ღალატობს, მასთან წახალისების მიზნით, თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულების გაფორმების შესაძლებლობას ქმნის.

დღეს საქართველოს სწორედ ამ ჭრილში განიხილება.

თავისთვის, ნებისმიერ ერთ კონკრეტულ ქვეყანასთან “თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების” გაფორმება გარკვეულ დადებით შედეგზეა ორიენტირებული. მაგრამ, ისეთ ქვეყნების გაერთიანებასთან, როგორიც ევროკავშირია, ასეთი დონის თანამშრომლობა შეიძლება, განვიხილოთ, როგორც საქართველოს უსაფრთხოების ერთგვარი არაპირდაპირი გარანტია.

აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულება თავისუფალი ვაჭრობის თაობაზე, ასოცირების შესახებ შეთანხმების ერთ-ერთი შემადგენელი წარმოადგენს. სავარაუდოდ, 2013 წლის ბოლომდე იმ ვადების განსაზღვრაც მოხდება, როდესაც ფორმალური მოლაპარაკებების დაწყება შესაძლებელი გახდება. ეს, ალბათ, 2014 წლის მეორე ნახევარი იქნება.

**Amiran (Simon) Tavartkiladze**

### **Trade Policy of Georgia Free trade Agreement with the European Union-Reality and Future**

#### **Summary**

Trade Policy of Georgia and Free Trade Agreement with the European Union – Reality and Future.

The track of Georgia's integration with the West crosses several basic goals. First and foremost, of course, it is membership of NATO and the European Union. Europe supports those countries, which are considered its strategic partners politically. Today, when the EU really sees that less developed country tries to follow democratic standards and does not give up important principles of the European civilization, as an encouragement, the EU creates opportunities to sign a free trade agreement with such country. Today, Georgia is put on such a lookout. Definitely, signing of a free trade agreement with any concrete country is oriented on some positive result. However, cooperation of this scale with such conglomerate as the European Union can be viewed also as kind of an indirect guarantee of Georgia's security.

It is worth emphasizing that a free trade agreement is one of the components of the association agreement. Presumably, until the end of 2013 the dates when formal talks could be started on this issue will be agreed upon. It looks like it will be the first half of 2014. The very fact that free trade with Europe may become real, is very positive.



## ლია თოთლაძე

### ტურიზმის ეკონომიკური მოდელირების თეორიული ასპექტები

XXI საუკუნის დასაწყისში ტურიზმი გახდა მსოფლიოს მრავალი ქვეყნისა თუ რეგიონის სოცია-ლურ-ეკონომიკური, კულტურული და პოლიტიკური მოღვაწეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება. მოგზაურობა გადაიქცა არა მხოლოდ სიამოვნებად და გართობად, არამედ თანამედროვე ადამიანის ყოფის განუყოფელ ნაწილად.

ტურიზმის უმნიშვნელოვანების ადგილი უკავია სოციალური პრობლემების გადაწყვეტაში, ასტიმულირებს რა დამატებითი სამუშო ადგილების წარმოქმნას, უზრუნველყოფს დასაქმებასა და მოსახლეობის ცხოვრების დონის ზრდას. იუნესკოს განსაზღვრის თანახმად ტურიზმი წარმოადგენს კულტურული და პუმანიტარული განვითარების ერთ-ერთ მთავარ ფაქტორს, რომელიც ხელს უწყობს მშვიდობასა და ხალხთა დაახლოებას „კულტურათა შორის დიალოგის“, წარმოების გზით. ტურიზმთან პირდაპირ თუ ირიბად დაკავშირებულია ეკონომიკის 30-ზე მეტი დარგი. მისი წარმატებით განვითარებისათვის აუცილებელია ხარისხიანი ინფრასტრუქტურა.

რამდენად მიზანშენონილია ტურიზმის ცალკე დამოუკიდებელ დარგად განხილვა? შემთხვევითი არაა რომ რიგი მკვლევარებისა განიხილავენ ტურიზმის არა როგორც დარგს, არამედ ერთმანეთთან დაკავშირებული დარგების ჯგუფს. საყოველობრივი ალიარებულია ტურიზმის დეფინიცია, რომელიც თავის თავში მოიცავს საქმიანობისა და მომსახურებების შემდეგ ჯგუფებს:

➤ ტურისტული ორგანიზაციების - ტუროპერატორებისა და ტურისტული სააგენტოების - საქმიანობა;

- სამგზავრო ტრანსპორტის უმეტესი სერვისი ავტომობილების არენდის და ტრანსპორტის ექსკურსიებისათვის გამოყენების ჩათვლით;
- განთავსებისა და კვების ობიექტები;
- რეკრეაციული, კულტურული, სპორტული და სხვა გასართობი უსლუგები;
- დამატებითი (დამზარე) ესლუგები.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე ტურიზმის ცალსახად განსაზღვრა და დახასიათება რთულია. შეუძლებელია მისი რომელიმე სტრუქტურული ასპექტის აბსალუტურიზება. ტურიზმი განხილული უნდა იყოს როგორც დიდი ეკონომიკური სისტემა მრავალფეროვანი კავშირებით მის ცალკეულ ელემენტებს შორის.

ტურიზმი თავადაც მრავალნახნაგოვანი ობიექტი, განიცდის სხვადასხვა ფაქტორების ზემოქმედებას. მათი როლი დროის ცალკეულ მომენტში სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს როგორც სიძლიერით, ასევე ზეგავლენის ხანგრძლივობით.

ეკონომიკის დღევანდელი განვითარებისათვის დანახასიათებელია არა იმდენად განცალკევებული დარგების განვითარება, რამდენადაც სხვადასხვა დარგთაშორისი კომპლექსების ფუნქციონირება. შესაბამისად ტურიზმი უნდა განვიხილოთ, როგორც ეკონომიკის მსხვილ დამოუკიდებელ დარგთაშორის კომპლექსი. რამდენადაც ტურიზმის სფერო აერთიანებს სხვადასხვა დარგებს, მოიცავს საწარმოებსა და ორგანიზაციებს სხვადასხვა დარგობრივი მიკუთვნებით. გაჩნდა ახალი დეფინიციები: ტურისტული პროდუქტი, ტურისტული მომსახურება, ტურისტული ბაზარი და ა.შ. ტურისტული ბაზარი განიხილება როგორც ეკონომიკური კატეგორია, რომელიც გამოხატავს სოციალურ-ეკონომიკური პროცესების ერთობლივობას და დამოკიდებულებას მომხმარებელს შორის მომსახურების გაცვლის სფეროში.

აქედან გამომდინარე, ტურიზმის შესწავლა მიზანშენონილი იქნებოდა ამ კავშირების რაოდენობრივი კავშირების შესწავლისა და ანალიზის ასპექტში. ეს საშუალებას მოგვცემს შევაფასოთ მისი რეალური პოტენციალი, გამოიკვეთოს სწორედ ის ფაქტორები, რომლებიც არსებითად მოქმედებენ მის დინამიკაზე.

მიზან-შედეგობრივი კავშირების ანალიზისა და შესწავლისათვის კი საუკეთესო ინსტრუმენტს ეკონომიტრიკული მოდელირება წარმოადგენს. მოდელირების პროცესის ეტაპობრივი განხორციელება საშუალებას მოგვცემს განისაზღვროს ტურიზმის მთავარი დეტერმინანტები, მისი ეფექტიანობის გამოხატვილი მაჩვენებლები.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამ პროცესში შედეგობრივი - დამოუკიდებელი ცვლადის განსაზღვრაა (ეს ცვლადი უნდა იძლეოდეს ტურისტული ინდუსტრიის შეფასების საშუალებას), ასევე მნიშვნელოვანია სწორად შეირჩეს ის ფაქტორული ცვლადები, რომლებიც ზემოქმედებენ შედეგობრივ ცვლადზე (მაკროეკონომიკური და სხვა სახის მაჩვენებლების რომლებიც განაპირობებენ შედეგობრივი ცვლადია დინამიკას). ცხადია მოდელირების პროცესის სწორად წარმართვა საჭიროებს სტატისტიკური ბაზის არსებობა-სა და ალრიცხვიანობის სრულყოფილ სისტემას.

ყველაზე უფრო გავრცელებულია მოსაზრება, რომლის მიხედვითაც შედეგობრივი ცვლადის ეკონომიკური შინაგარსი შემდეგია - ესაა ქვეყანაში შემოსული ტურისტების მიერ განეუდი დანახარჯები. ტურისტის დანახარჯები ერთ-ერთი საზომია, რომელსაც შეუძლია უმუალო ზეგავლენა მოახდინოს ეკონომიკაზე, მაგრამ ამ მონაცემთა მიღების სირთულისა და ცდომილებათა დიდი ალბათობის გამო (მისი გა-



ანგარიშება კი დიდ სირთულეს წარმოადგენს და ხშირ შემთხვევაში შეუძლებელია) შემოსულ ტურიზმის საზომად ხშირ შემთხვევაში გამოიყენება ტურისტული ნაკადი.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, უკანასკნელ წლებში ტურიზმზე მოთხოვნის ყველაზე პოპულარული საზომი არის ცვლადი - შემოსული ტურისტის რაოდენობა. იგი გაიგარიშება ტურისტთა სრული ნაკადით წარმოშობის ადგილიდან დანიშნულების ადგილამდე. შემდგომში ხდება ნაკადების კლასიფიკაცია ჩამოსვლის მიზნების მიხედვით: შევებულება, ბიზნესი, მეგობრებთნ და ნათესავებთნ ვიზიტი. თუმცა ზოგიერთი მკაფიოვარი მაინც იყენებს ტურისტთა დანიშნულების ადგილზე განეულ დანახარჯებს, როგორც მოთხოვნის ცვლადს. ჩვენი მისაზრებითაც მიზანმენტის შემოსული ტურისტების რაოდენობის განხილვა დამოუკიდებელ ცვლადად.

ტურიზმზე მოთხოვნის დეტერმინანტებია:

1. ესაა ფაქტორები - ტურისტული ბაზრის მახასიათებლები, რომლებიც ხელს უწყობენ მოგზაურობას, როგორიცაა მოსახლეობის რიცხოვნობა, მშპ-ს ან შემოსავლების დინამიკა, შემოსავლების განაწილება, ასაკისა და განათლების განაწილება, დასვენებისათვის გამოყოფილი დრო, ოჯახების სტრუქტურა, ქვეყანაში მუშეუმების, ეროვნული პარკების, ნაკრძალების, სასტუმროების და სხვა დასასვენებელი კერების რაოდენობა, ინფრასტრუქტურა (სახმელეთო, საწყალოსნო, საპარავლის)

2. დანიშნულების ბაზრის ფაქტორები, მეგობრებისა და ნათესავების არსებობა, კლიმატი და ამინდი, კომერციული, სოციალური და კულტურული კავშირები, მარკეტინგული პროგრამების მიმართულება, განაწილების არხები.

3. არსებობს ფაქტორები, რომლებიც ზღუდავენ მოგზაურობას დანიშნულების ადგილსა და წარმოშობის ადგილს შორის: ფასები, კონკურენტების ქმედებები, მიწოდების მოცულობა, მანძილი, მოგზაურობის დრო, სასაზღვრო კონტროლი, ომები, ტერორიზმი, დამნაშავეობა, ბუნებრივი და ხელოვნური კატასტროფები, ფიზიკური ბარიერები.

კლასიკური ეკონომიკური თეორიის მიხედვით მთვარი დეტერმინანტები ტურიზმზე მოთხოვნისა არის ტურისტების შემოსავლები, საქონლისა და მომსახურების ლირებულება, სახელმწიფო და კერძო სექტორის ტურიზმის მარკეტინგი და რეკლამა, პოლიტიკური სიტუაცია. დანიშნულების ადგილზე საცხოვრებლის ლირებულება, გაცვლითი კურსიც ასევე დიდ გავლენას ახდენენ საერთაშორისო მოთხოვნაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე ეკონომიკრიკულ მოდელში ამხსნელ ცვლადებად განხილული უნდა იქნას:

- შემოსავლები, იგულისხმება ტურისტების პირადი შემოსავლები (ამ მონაცემების მიღება ხშირ შემთხვევაში შეუძლებელია) - მიზანშენონილია მის ალტერნატივად განხილული იქნას მშპ ერთ სულ მოსახლეზე ან ეროვნული შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე. ამ შემოსავლების ზრდა გამოიწვევს ტურისტთა ნაკადის ზრდას;

- მოსახლეობის რიცხოვნობა ან ეკონომიკაში დასაქმებულთა საშუალონლიური რაოდენობა. ეს მაკროეკონომიკური მაჩვენებელი გამოხატავს ქვეყნის პოტენციალს სამუშაო ძალის თვალსაზრისით. მასზეა დამოკიდებული ტურისტული სექტორის განვითარებაც;

- სატრანსპორტო დანახარჯები. იგი წარმოადგენს დასვენებაზე განეული საერთო დანახარჯების მნიშვნელოვანი წილს და რა თქმა უნდა მოქმედებს ტურისტულ ნაკადზე. სხვა დანახარჯებისაგან განსხვავებით, მათი განსაზღვრის პრობლემა დიდ სირთულეს არ წარმოადგენს ვიზადან ავიაბილეთების ლირებულება (ცნობილია (ასევე შესაძლებელია განვიხილოთ არა მხოლოდ საპარავო, ასევე სარკინიგზო, წყლის ტრანსპორტზე ბილეთების ლირებულება);

- დანიშნულების ადგილზე საცხოვრებლის ლირებულება. მოდელში მეორე საფასო ცვლადი სწორედ შეიძლება იყოს ტურისტულ ცენტრში ცხოვრების ლირებულება (შესაძლებელია განხილული იქნას სასტუმროს ნომრების დღიური ლირებულება). აქ შესაძლებელია განვიხილოთ ასევე ტურისტული სერვისებზე სამომზმარებლი ფასების ინდექსიც;

- ტურიზმის სფეროში დასაქმებულთა როცხოვნობა, ასევე შესაძლებელია განვიხილოთ ამ სფეროში დასაქმებულთა საშუალონლიური ხელფასი (ცხადია საშიალო ხელფასის ზრდა მოტივაციაა სფეროში დასაქმებისათვის და შესაბამისად მისი პოტენციალის ზრდისათვის);

- გაცვლითი კურსი. მომხმარებელმა უკეთ იცის გაცვლითი კურსი, ვიდრე ცხოვრების ლირებულება ქვეყანაში ამიტომ მოდელში მიზანშენონილია ჩართული იქნას სწორედ ეს პარამეტრი, როგორც ფასების ფარდობითი საზომი (თეორიულად შეიძლება ვიფიქროთ რომ გაცვლითი კურსის შემცირება გაზრდის ტურისტულ მოთხოვნას).

- ლაგური დამოუკიდებელი ცვლადი. ლაგურ დამოუკიდებელ ცვლადად შესაძლებელია განხილული იქნას ისეთი ფაქტორები როგორიცაა დამოკიდებულება იმ ადგილებთან სადაც უკვე იმყოფებოდა ტურისტი (საკმაოდ ხშირია როდესაც ტურისტები ისევ მიდიან უკვე ნაცნობ ადგილებში რამდენჯერმე, ანუ ირჩევენ უკვე ნაცნობ ადგილებს)

- მოდელში შესაძლებელია ფიქტიურ ცვლადის ჩართვაც. ეს უკავშირდება ისტორიულ მოვლენებს, რამაც საგრძნობლად შეიძლება გაზარდოს ტურისტული ნაკადი.



ანალიზის შედეგად უნდა შეირჩეს ის ფაქტორები, რომლებიც განაპირობებენ შემოსული ტურისტების ნაკადის ვარიაციას. უნდა განისაზღვროს თუ კონკრეტულად რომელი ფაქტორების ჩართვა მოხდება მოდელში. უპირველესი პრობლება, რაც ამგვარი კვლევის განხორციელების დროს ნარმოიშობა სტატისტიკური ინფორმაციაა. ცხადია ყველა ზემოთაღნიშნულ პარამეტრზე უნდა არსებობდეს საიმედო მონაცემები.

მოდელში ჩასართვი ფაქტორების განსაზღვრისათვის კი უნდა ჩატარდეს მათი კორელაციური ანალიზი (აგებულ იქნას კორელაციური მატრიცა) რაც საშუალებას მოგვცემს განისაზღვროს ფაქტორებს შორის დამოკიდებულების სიმჭიდროვე და მოხდეს იმ ფაქტორთა გამორიცხვა რომელთა შორის საკმაოდ ძლიერი კორელაციური კავშირია. ფაქტორების გამორიცხვისას ცხადია უნდა ვიხელმძღვანელოთ ეკონომიკური მოსაზრებებით.

ამის შედეგ კი შეგვიძლია ავაგოთ ეკონომეტრიკული მოდელი, რომელიც აღწერს დამოკიდებულებას შედეგობრივ ცვლადს - შემოსული ტურისტების რაოდენობასა და მასზე ზემომქმედ ფაქტორებს შორის. მოდელისა და კოეფიციენტების სტატისტიკური მნიშვნელოვნების შეფასება (t-ტესტი, F-ტესტი, ავტოკორელაციის დარბინ-უოტსონის ტესტი, მულტიკოლინიარობის შემოწმება) საშუალებას მოგვცემს შევაფასოთ მოდელის მნიშვნელოვნება, მოვახდინოთ მისი ვერიფიკაცია.

უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთლინიშნული მოდელის პრაქტიკული რეალიზაცია მნიშვნელოანი ანალიტიკური ინსტრუმენტი შეიძლება გახდეს:

- მისი გამოყენება ხელს შეუწყობს ტურისტულ სფეროს კომპლექსური ანალიზს;
- იგი საშუალებას მოგვცემს გამოიკვეთოს ის ფაქტორები, რომლებიც უფრო მნიშვნელოვანია შედეგობრივ ცვლადზე ზემოქმედების სიძლიერის თვალსაზრისით;
- ეკონომეტრიკული მოდელი შესაძლებელია გამოყენებულ იქნას პროგნოზირებისათვის, რაც საშუალებას მისცემს გატარებულ იქნას სწორი პოლიტიკა ამ სფეროში.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. Haiyan Song, Stephen F. Witt, Gang Li The Advanced Econometrics of Tourism Demand. Taylor and Francis. UK, 2008
2. Nikolaos Dritsakis Spiros Athanasiadis. AN ECONOMETRIC MODEL OF TOURIST DEMAND: The Case of Greece. Studies in Economics and Econometrics Vol. 22, No 1 p. 115 - 122.
- 3.. [www.hse.ru/data/2012/03/11/1266392615/](http://www.hse.ru/data/2012/03/11/1266392615/)
4. Беднова М.А., Ратникова Т.А. Эконометрический анализ спроса на въездной туризм в России. Ж Прикладная эконометрика, 2011. № 1. С. 97—113

### ლია თოთლაძე

#### ტურიზმის ეკონომეტრიკული მოდელირების თეორიული ასპექტები

#### რეზიუმე

ტურიზმის სფერო აერთიანებს სხვადასხვა დარგებს, მოიცავს რა საწარმოებსა და ორგანიზაციებს სხვადასხვა დარგობრივი მიეუთვნებით. აქედან გამომდინარე, ტურიზმის შესწავლა მიზანშენონილია იმ კავშირების რაოდენობრივი ასპექტების შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე. ამისათვის კი მისი მიზანშენონილი სწორედ ეკონომეტრიკული მოდელირებაა.

სტატიაში განხილულია ტურიზმზე მოთხოვნის ეკონომეტრიკული მოდელირების თეორიულ-მეთოდოლოგიური საკითხები. გამოკვეთილია ის დეტერმინანტები, რომლებიც განხილულ უნდა იქნეს მოდელირების პროცესში და რომლებიც განაპირობებენ ტურიზმზე მოთხოვნის დინამიკას.

აღნიშნულია, რომ ეკონომეტრიკული მოდელის პრაქტიკული რეალიზაცია მნიშვნელოვანი ანალიტიკური ინსტრუმენტი შეიძლება გახდეს:

- მისი გამოყენება ხელს შეუწყობს ტურისტულ სფეროს კომპლექსური ანალიზს;
- იგი საშუალებას მოგვცემს გამოიკვეთოს ის ფაქტორები, რომლებიც უფრო მნიშვნელოვანია შედეგობრივ ცვლადზე ზემოქმედების სიძლიერის თვალსაზრისით;
- ეკონომეტრიკული მოდელი შესაძლებელია გამოყენებულ იქნას პროგნოზირებისათვის, რაც საშუალებას მოგვცემს გატარებულ იქნას სწორი პოლიტიკა ამ სფეროში.



Lia Totladze

**Theoretical Aspects of Econometric Modeling of Tourism**

**Summary**

Article deals with the issues of econometric modeling of tourism. It discussed the determinants of modeling process that course dynamics of tourism demand.

Econometric modeling is an important analytical tool to:

- Carry out the complex analysis of the sphere of tourism;
- Give the chance to allocate factors which strongly influence dependent variable;
- The econometric model can be used for forecasting and for the corresponding policy in the sphere.



## მამუკა თორია

### საქართველო სამუშაო ქალის საერთაშორისო მიგრაციის პროცესი

თანამედროვე მსოფლიოს სამეურნეო საქმიანობისა და სოციალურ-კულტურული ცხოვრების ინტერნაციონალზაფირისა და დემოკრატიზაციის ერთ-ერთ გამოვლინებას მოსახლეობისა და სამუშაო ძალის მსხვილმასშტაბიანი საერთაშორისო მიგრაცია წარმოადგენს.

მიგრაცია საზოგადოებრივი ცხოვრების ურთიერთების მოვლენაა, რომელიც ასახავს ქვეყნებისა და რეგიონების სოციალურ-პოლიტიკურ და ეკონომიკური განვითარების სხვადასხა მხარეებს. მიგრაციული მოძრაობის კვლევის აქტუალობა იმითაცაა გამოწვეული, რომ იგი მჭიდროდაა დაკავშირებული საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა მხარესთან, გააჩნია მრავალმხრივი და მნიშვნელოვანი შედეგები. ამასთან, მიგრაციული პროცესები ყოველთვის როდი მიმდინარეობენ ოპტიმალურად საზოგადოებრივი ინტერესების თვალსაზრისით. ამიტომ, მისი ეფექტიანი მართვისათვის აუცილებელია იმ მექანიზმები გარკვევა, რომლებიც განაპირობებენ მიგრაციის წარმოშობის მიზეზებს, მის მიმართულებებს, ინტენსიობას და ა.შ.

სამუშაო ძალის საერთაშორისო მიგრაცია, საერთაშორისო სამეურნეო ცხოვრების ინტერნაციონალზაფირის პროცესის განუყოფელი ნაწილია. შრომითი პოტენციალი, რომელიც წარმოების უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს, როგორც ეროვნული სახელმწიფოს ფარგლებში, ასევე საერთაშორისო დონეზე, ეძებს ადგილსა და სამუშალებებს, სადაც მისი შედარებით ეფექტიანი გამოყენება იქნება შესაძლებელი.

თანამედროვე პერიოდში სამუშაო ძალის საერთაშორისო მიგრაცია - ესაა მრავალმხრივი საზოგადოებრივი პროცესი, რომელიც განპირობებულია ეკონომიკის სტრუქტურული ძვრებითა და წარმოების განლაგების ცვლილებით, ასევე სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეთა სოციალური და ტერიტორიული მობილურობის ამაღლებით. იგი ხელს უწყობს ამა თუ იმ ქვეყნის შრომის ბაზრის რაოდენობრივ და ხარისხობრივი პარამეტრების ფორმირებას ყველა დონეზე. სამუშაო ძალის საერთაშორისო მიგრაცია როგორც სხვადასხვა სახელმწიფოებს შორის ადამიანების სივრციობრივი გადაადგილება დაკავშირებულია მუდმივი საცხოვრებელი ადგილის შეცვლასთან და განპირობებულია სხვადასხვა ფაქტორებით. შრომითი მიგრაცია წარმოდგენილია შრომისუნარიანი ასაკის ადამიანებით, რომლებიც ტოვებენ სამშობლის და გარკვეული ვადით უფრო მაღალი ანაზღაურების საძებრად მიემართებიან სხვა ქვეყნებში. ამასთან, ისინი უმეტეს შემთხვევაში არ წყვეტენ კავშირს ოჯახის წევრებთან და ახლობლებთან, ანუ სამშობლოში დარჩებილ ნათესავებს ფულად გზავნილებით ეწმარებიან, რაც მათი მატერიალური უზრუნველყოფის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს. გარე შრომითი მიგრაცია როგორც წესი დაბრუნებითი ხასიათისაა. თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის ფუნქციონირებაში შეულ უფრო მზარდ როლს ასრულებენ შრომითი მიგრანტები, რომლებიც დამსაქმებენ—ბელთათვის იაფ სამუშაო ძალას წარმოადგენენ. მიუხედავად ამისა, რომ თანამედროვე პერიოდში, მომსახურებისა და საქონლის საერთაშორისო მოძრაობის სფეროში გაპატონებულ ტენდენციას საგარეო ეკონომიკური კავშირების ლიპერალიზაცია წარმოადგენს, შრომით რესურსებთან მიმართებაში მოქმედებენ მიგრაციის სახელმწიფო და სახელმწიფოთაშორისი რეგულირების მკვეთრი სისტემები, რომელიც ვითარდება სულ უფრო მეტად გამაცრების მიმართულებით. სწორედ ამაში მდგომარეობს სამუშაო ძალის საერთაშორისო მიგრაციის ძირითადი განსხვავება საქონლითა და მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობისგან.

გლობალურმა ეკონომიკურმა კრიზისმა, რომელსაც ბოლო წლებში ქონდა ადგილი ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის წევრ ქვეყნებს შორის მიგრაციული ნაკადების მასშტაბების შემცირება გამოიწვია. თუმცა, 2011 წლიდან მან კვლავ ზრდის ტენდენცია შეიძინა. ამ პერიოდისათვის ევროზონის ცალკეულ ქვეყნებში, კერძოდ საბრძნეოში, ირლანდიაში, იტალიაში, პორტუგალიასა და ესპანეთში ადგილი ქონდა ეკონომიკური განვითარების პირობების გაუარესებას, რამაც ამ ქვეყნებიდან ემიგრი—რებულთა რიცხვის უმნიშვნელო, მაგრამ მაინც გადიდება გამოიწვია. მიგრაციის მასშტაბები ჩამოთვლილი ქვეყნებიდან ყველაზე მაღალი ირლანდიისათვის იყო დამახასიათებელი. დროებითი შრომითი მიგრაციის მასშტაბები მკვეთრად შემცირდა 2008-2009 წლებში, რაც ეკონომიკური კრიზისით იყო განპირობებული, თუმცა 2009 წლისთვის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის წევრ ქვეყნებში მიგრანტი სტუ—დენტების რაოდენობა 6 %-თ გაიზარდა და 2,6 მილიონი ადამიანი შეადგინა. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სტუდენტ მიგრანტებს შორის ჩინეთსა და ინდოეთზე მოდის 25 %-ი. მთლიანობაში, მიგრაციულ ნაკადებში ყველაზე მრავლრიცხვობან ჯგუფს ჩინელები წარმოადგენენ, რომლებზეც მოდის მიგრანტთა საერთო რაოდენობის 10%, რუმინეთის, იტალიისა და პოლონეთის წილი დაახლებით 5-5 პროცენტს შეადგენს.

მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის წევრ ქვეყნებში დროებითი შრომითი მიგრაციის მასშტაბები მცირდებოდა, იმ ადამიანების რიცხვი, რომლებიც სასწავლებლად ჩამოდიოდნენ მუდმივად იზრდებოდა.

საქართველოში 1990-იან წლებში განვითარებულმა პოლიტიკურმა, სოციალურ-კულტურულმა კრიზისმა, ყოფილი ეკონომიკური კავშირების მოშლამ, ქვეყანაში განვითარებულმა ეთნოკონფლიქტებმა, სამოქალაქო ომმა, მნიშვნელოვანად განაპირობა მოსახლეობის ტერიტორიული მობილობის ზრდა. შედეგად, ბოლო ათწლეულის განმავლობაში განვითარდა მიგრაციული პროცესები, რომელსაც თავისი მას-



შტაბებითა და სოციალური შედეგებით უპრეცენდეტო მოვლენაა საქართველოს ისტორიაში. ასე მაგალითად, საქართველოს მოსახლეობა 1897-1992 წლებში მუდმივ მატებას განიცდიდა. კერძოდ, ამ პერიოდში იგი 2.5-ჯერ გაიზარდა. მოსახლეობის ასეთი მატება განპირობებული იყო, მისი, როგორც ბუნებრივი, ასევე მექანიკური მოძრაობის ტენდენციებით. ცნობილია, რომ თბილისა და საქართველო ყოველთვის წარმოადგენდა მეზობელი ქვეყნებიდან მოსახლეობის მიზიდვის ცენტრს.

სრულიად საპირისპირო მოვლენები განვითარდა 1992 წლის შემდგომ პერიოდში, როცა 1992-2003 წლებში საქართველოს მოსახლეობა 5467 ათასიდან 4571 ათასამდე ანუ 16.4 %-ით შემცირდა. ცხადია, რომ მოსახლეობის რიცხოვნობის ასეთი შემცირება არ იყო გამოწვეული მხოლოდ ბუნებრივი მოძრაობის ტენდენციებით, თუმცა მისი უარყოფითი გავლენაც სახეზეა. კერძოდ, 1990 წელს საქართველოში ბუნებრივი მატების სართო კოეფიციენტი 7.8 პრომილეს წარმოადგენდა, მაშინ როდესაც 2001 წელს მან 0.3 პრომილე შეადგინა. აღნიშნულიდან შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ 1992-2003 წლებში საქართველოში მოსახლეობის რიცხოვნობის შემცირება, უმნიშველოვანეს წილად გარე ანუ საერთაშორისო მიგრაციის შედეგად იყო გამოწვეული. სამწუხაოდ, ქვეყნის ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები საშუალებას არ იძლევიან ზუსტად განვსაზღვროთ საერთაშორისო მიგრაციის მასტები, თუმცა მათში ძირითადი ტენდენციები მაინცაა ასახული. ჩვენ სავსებით საიმედოდ მიგვაჩინა ქართველ მკვლევართა საექსპერტო შეფასებები საქართველოში გარე მიგრაციის მასტების შესახებ. კერძოდ, გ. ნულაძის, ნ. მაღლაფერიძის და ა. ვადაჭკორიას<sup>1</sup> შეფასებით 1990-2001 წლებში გარე მიგრაციის უარყოფითმა სალდომ საქართველოში 1008.9 ათასი კაცი შეადგინა. იგივე ავტორთა მოსაზრებით აღნერათაშორის პერიოდში (1989-2002წნ.) სსსდ მონაცემებიდან გამომდინარე, გარე მიგრაციის უარყოფითმა სალდომ საქართველოსათვის 998.5 ათასი კაცი შეადგინა.

ამგვარად, საქართველოში გარე მიგრაციის არსებული მასტები, მიმართულებები, სოციალურეკონომიკური და დემოგრაფიული შედეგები მოითხოვენ ამ პროცესს სიღრმისეულ შესწავლას, არსებული ტენდენციების ანალიზასა და მათზე მოქმედი ფაქტორების გამოვლებას, რაც უნდა დაედოს საფუძვლად ქვეყანაში იპტიმალური მიგრაციული პოლიტიკის შემუშავებასა და რეალურ გატარებას. ცხადია, რომ ყოველივე ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს სამუშაო ძალის საერთაშორისო მიგრაციის შესწავლის აქტუალობაზე.

საკვლევ პერიოდში ემიგრირებული სამუშაო ძალის მიგრაციული ნაკადების ანალიზიდან ჩანს, რომ საქართველოდან ემიგრირებული სამუშაო ძალის 39 % მიემროთებოდა რუსეთში, მიუხედავად ამ ქვეყანასთან გართულებული სავიზო რეჟიმისა, 14 % მიემართება საბერძნეთში, 13 % — გერმანიაში, 14 % — აშშ-ში.

აღნიშნულთან დაკავშირებით გვინდა აღვნიშნოთ შემდეგი: ის, რომ საქართველოდან ემიგრირებული სამუშაო ძალის უმეტესი ნაწილი რუსეთისკენ მიემართებოდა, არ შეიძლება აიხსნას მხოლოდ ეკონომიკური ფაქტორის მოქმედებით. მართალია ეკონომიკური ფაქტორი აქ უკანასკნელ როლს ნამდვილად არ ასრულებდა, მაგრამ ისინი მოქმედებენ კულტურული, პოლიტიკური და გეოგრაფიული ფაქტორების სიღრმეში და მხოლოდ მათი ურთიერთკავშირის სწორად გაგების საფუძველზეა შესაძლებელი წარმოვიდგინოთ იმ გარემოებათა რთული კომპლექსი, რომლებიც გავლენას ახდენდნენ სამუშაო ძალის საერთაშორისო მიგრაციაზე. იქნება ეს ათწლეულების მანძილზე ჩამოყალიბებული კულტურული ურთიერთობები, ენობრივი ბარიერის არ არსებობა თუ გეოგრაფიული სიახლოეს და ა.შ. ამასთან, ქვეყნიდან გასულებს შორის მნიშვნელოვანი ხედირითი წილით არაქართული მოსახლეობა ხასიათდებოდა. ბუნებრივია, რომ დროთა განმავლობაში საქართველოდან წასული მიგრაციული ნაკადების მიმართულებები შეიცვლება, რაზეც აუცილებლად იქნიებს გავლენას ჩვენი ქვეყნის კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური კავშირების განმტკიცება მსოფლიოში მიზიდვის ისეთ ცენტრებთან, როგორიცაა აშშ-ი და დასავლეთ ევროპა.

სამუშაო ძალის საერთაშორისო მიგრაცია თანამედროვე პერიოდში მსოფლიო ეკონომიკის ინტერნაციონალიზაციის პროცესის განუყოფელი ნაწილია. მე-20 საუკუნის ბოლოს ევროპაში დაახლოებით 6-12 მლნ. უცხოელი მომუშავის შრომა გამოიყენებოდა. უცხოური სამუშაო ძალის გამოყენება მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა ევროკავშირის ქვეყნების ეკონომიკის განვითარებაში. მიუხედავად ამისა, ევროკავშირის სტატისტიკური უწყების მიერ გამოქვეყნებული მონაცემების თანახმად, ევროპა ნაკლებად მიმზიდველი ხდება უცხოელი მომუშავებისათვის, რაც უპირველეს ყოვლისა ევროპული ქვეყნების მიერ მიგრაციის რეგულირების პოლიტიკის გამკაცრების შედეგია. ამ ქვეყნებში სამუშაო ძალის მიგრაცია სულ უფრო სელექციურ ხასიათს ატარებს. ეკონომისტთა უნივერსიტეტის სამუშაო ძალის საერთაშორისო მიგრაციის ძირითად გამომნევე მიზეზად ეკონომიკურ ფაქტორებს მიიჩნევენ. მართლაც, უმეტეს შემთხვევაში გამოკითხული შრომით ემიგრანტები უცხოელთში სამუშაოდ წასვლის ძირითად მიზეზად მატერიალური პირობების გაუმ—ჯობებებას ასახელებენ.

მაღალკალიფიციური უცხოური სამუშაო ძალის გამოყენების შედეგად მიღებული ეფექტი მეტად მაღალია. ამასთან, უცხოელი მომუშავები გამოიყენებიან არაპრესტიულ, მძიმე და მაღნე სამუშაოებზე, რომელთა შესრულებასაც ადგილობრივი მომუშავები არსებული ანაზღაურების პირობებში უარს ამბობენ. ბუნებრივია ასეთი სიტუაცია ხშირად ხდება კონფლიქტის საგანი ადგილობრივ და უცხოელ მომუშავებს შორის, რაც შესამჩნევად ძაბავს სიტუაცია შრომის ბაზარზე. მსგავსი სიტუაცია ხშირად უბიძგებს

<sup>1</sup> წულაძე გ. მაღლაფერიძე ნ. ვადაჭკორია ა. საქართველოს დემოგრაფიული წელიწერი 2001, თბილისი 2002, გვ. 153.



სა-მუშაო ძალის იმპორტიორ ქვეყნებს მიმართოს მეცნიერების მიგრანტების მიმართ. კერძოდ, გასული საუკუნის 70-იან წლებში აშშ-ში მექსიკიდან, როგორც ლეგალურმა, ასევე არალეგალურმა მიგრაციამ კოლონიალურ მასშტაბებს მიაღწია, რამაც ცალკეულ სენატორს უბიძგა წარედგინათ სენატში კანონიროექტი, რომელიც მნიშვნელოვნად შეზღუდავდა სამუშაო ძალის მიგრაციას ამ ქვეყნებს შორის<sup>1</sup>.

მიუხედავად იმისა, რომ უცხოელი მიგრანტები დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში აბალანსებენ შრომის ბაზარის მოთხოვნას, წარმოადგენენ რა იაფ სამუშაო ძალას, ამავდროულად ამ ქვეყნებს მრავალ სოციალურ-ეკონომიკურ, დემოგრაფიულ და პოლიტიკურ პრობლემას უქმნიან. ასე მაგალითად, გასული საუკუნის ბოლოს ლუქსემბურგში მუშათა 34% უცხოელი იყო, შევიცარიაში — 19%, გერმანიაში — 8%, საფრანგეთში — 7%, შვეციაში — 5%. ასეთი დიდი დემოგრაფიული დაწოლის გამო ამ ქვეყნების მოსახლეობას დაახლოებით 15 მლნ. უცხოელი მიგრანტი შეერწყა. ბუნებრივია, რომ მსგავსშა მდგომარეობამ დასავლეთ ევროპის ქვეყნებში განაპირობა მიგრანტთა მიმართ შეზღუდვების გატარება. დაიწყო ნებაყოფლობითი რეპატრიაციის სტიმულირება. გერმანიდან დაახლოებით 300 ათასი მიგრანტი დასთანხმდა რეპატრიაციას, რაც გერმანიის მთავრობას 600 მლნ. დოლარი დაუჯდა. მიუხედავად მიგრანტთა მიმართ გამკაცრებული ზომებისა 4.5 მლნ. მიგრანტმა მაინც მოახერხა საფრანგეთში კანონიერად ჩასახლება.

თანამედროვე პერიოდში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რიგი დაწესებულებები, ასევე რეგიონული საერთაშორისო ორგანიზაციები ამუშავებენ პრობლემებს, რომლებიც მოსახლეობისა და შრომითი რესურსების საერთაშორისო მიგრაციას ეხება. ასე მაგალითად გაეროს კომისია ხალხთმოსახლეობის შესახებ ფლობს შესაბამის ფონდებს, რომელთა ნაწილიც გამოიყენება იმ ეროვნული პროგრამების სუბსიდირებაში, რომლებიც მოსახლეობის მიგრაციას ეხება. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის საქმიანობა ერთ-ერთ თავის მიზნად ისახავს მოსახლეობის საერთაშორისო მიგრაციის რეგულირებას. რიგი საერთაშორისო შეთანხმებებისა, რომლებიც ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ იქნა მიღებული, შეიცავს სპეციალურ ნორმებს, რომელიც ეხება მომუშავე მიგრანტების ჯანმრთელობის მდგომარეობას.

საერთაშორისო შეთანხმებების მიღწევისას იზრდება მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის როლი და ავტორიტეტი, რომლის მიზანსაც წარმოადგენს საერთაშორისო მიგრაციული ნაკადების მოწესრიგება, მის თრგანიზაციას, ასევე ინფორმაციისა და გამოცდილების გაზიარების თვალსაზრისით. დასავლეთ ევროპაში მომუშავე მიგრანტების უფლებების დაცვაზე ზრუნვავს მიგრაციის საკითხებთან დაკავშირებული სამთავრობოთაშორისი კომისია. აქვე უნდა ავლინიშნოთ, რომ შრომითი რესურსები საერთაშორისო მიგრაციული პოლიტიკის ფორმირებისას ნაციონალურმა მთავრობებმა უნდა გაითვალისწინონ საერთაშორისო კონვენციების მოთხოვნები.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენციის ერთ-ერთი უმთავრესი მოთხოვნა მომუშავე მიგრანტებთან დაკავშირებით არის იმ სახელმწიფოების მიერ, რომლებმაც მოცემული დოკუმენტის რატიფიცირება მოახდინეს, მიგრანტებთან დაკავშირებით მათი თანასწორუფლებიანობის აღიარება მათი ეროვნების, რასის, აღმსარებლობის, თუ სხვა ნიშნების მიუხედავათ. მოცემული კონვენცია შეიცავს მუხლებს, მიმართულს იმ პირობების რეგულირებისაკენ, რომლებშიც მიგრანტი მუშებიც იმავე უფლებებით ისარგებლებენ, როგორი უფლებითაც ადგილობრივი მომუშავეები სარგებლობენ.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. მ. თორია, სამუშაო ძალის საერთაშორისო მიგრაციის რეგულირება ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში, ჟ., „სოციალური ეკონომიკა“, N 6. 2008 წ.
2. პ. ლინდდერტი, საერთაშორისო ეკონომიკა თარგმანი, „სიახლე“, თბ. 2001 წ.
3. მ.ტუხაშვილი, მ. თორია, აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულთა შრომითი ემიგრაცია, შრომების კრებული „მიგრაცია“, ტ. 3, თბ. 2009 წ.
4. . წულაძე, მალლაფერიძე ნ. ვადაჭკორია ა. საქართველოს დემოგრაფიული წელიწელი 2001, თბილისი 2002 წ.
5. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები.

<sup>1</sup> პ. ლინდდერტი. საერთაშორისო ეკონომიკა. თარგმანი. „სიახლე“, თბ. 2001 წ. გვ.8

**მამუკა თორია****საქართველო სამუშაო ძალის საერთაშორისო მიგრაციის პროცესში****რეზიუმე**

თანამედროვე მსოფლიოს სამეურნეო საქმიანობისა და სოციალურ-კულტურული ცხოვრების ინტერნაციონალიზაციისა და დემოკრატიზაციის ერთ-ერთ გამოვლინებას მოსახლეობისა და სამუშაო ძალის მსხვილმასშტაბიანი საერთაშორისო მიგრაცია წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, მიგრაციული პროცესები ყოველთვის როდი მიმდინარეობენ ოპტიმალურად საზოგადოებრივი ინტერესების თვალსაზრისით. ამიტომ, მისი ეფექტიანი მართვისათვის აუცილებელია იმ მექანიზმებში გარკვევა, რომლებიც განაპირობებენ მიგრაციის წარმოშობის მიზეზებს, მის მიმართულებებს, ინტენსიონებს.

საქართველოში გარე მიგრაციის არსებული მასშტაბები, მიმართულებები, სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული შედეგები მოითხოვენ ამ პროცესის სიღრმისეულ შესწავლას, არსებული ტენდენციების ანალიზასა და მათზე მოქმედი ფაქტორების გამოვლენას, რაც უნდა დაედოს საფუძვლად ქვეყანის მიგრაციული პოლიტიკის შემუშავებასა და გატარებას.

**Mamuka Toria****Georgia in the Process of International Labour Migration****Summary**

International labor migration is one of the consequences of the modern world economy, internationalization of social-cultural life and the democratization process. However, migration process is not always carried out for the best interests of the society. Therefore, for effective management of migration, it is absolutely necessary to study the mechanisms that govern the appearance, directions and intensity of the migration process.

Scales of outer migration, its tendencies, social-economic and demographic consequences in Georgia require thorough investigation and study of the process, tendencies and the factors influencing them. This will form a solid basis for working out and realization of the optimal migration policy throughout the country.



## დავით კპილაძე

### კონკიტაციის სტატიკიკური ასპექტები

კოპაბიტაცია ლათინური წარმოშვების სიტყვაა და თანაცხოვრებას ნიშნავს. საქართველოში, ისევე როგორც მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში კოპაბიტაციის პროცესი გარკვეული სირთულეებით მიმდინარეობს, რაც იმაში გამოიხატება, რომ პოლიტიკური პროცესების შედეგად (პარლამენტის არჩევნები) ძველ სახელმწიფო შტოებს არ სურთ სრულად დათმონ ძალაუფლება, ხოლო ახალ ხელისუფლებას არ უნდა შეეცემოს იმას, რომ სრულად ვერ ფლობს ძალაუფლებას და საფუძვლიანად ვერ აკონტროლებს სიტუაციას ხელისუფლების აღმასრულებელს, საკანონმდებლო და სასამართლო შტოებში.

საქართველოს ეკონომიკური და პოლიტიკური დამოუკიდებლობის აღდგენის პერიოდიდან მოყოლებული, 1990 წლიდან, მეოთხედ მოხდა ხელისუფლების ცვლა. პირველი, 1990 წლებში, როდესაც ბატონი ზვიად გამსახურდის ხელმძღვანელობით მრგვალი მაგიდა, თავისუფალი საქართველო მოვიდა ხელისუფლებაში და ქვეყნის პირველ პეტიონტად 1991 წელს ბატონი ზვიად გამსახურდია აირჩიეს. მართალია, ხელისუფლებადათმობილი კომუნისტები მზად იყვნენ ახალ სახელისუფლებო ძალასთან ერთად მშვიდობიანი თანაარსებობის პირობებში წარემართათ საზოგადოებრივი ცხოვრება, მაგრამ ზვიად გამსახურდის მთავრობის ყველაზე რადიკალური წევრები მოითხოვდნენ კომუნისტებისათვის ნიურბერგის პროცესის მოწყობას. იმდროინდელმა უზენაესმა საბჭომ მიიღო სამარცვინო გადაწყვეტილება კომუნისტი დეპუტეტების დათხოვნის შესახებ. რადიკალიზმით და სეპარატიზმით გამორჩეულმა ხელისუფლებამ ვერ მოახერხა ქვეყნის გაძლიერა, ეკონომიკის განვითარების მყარი საძირკველის ჩამოყალიბება და ნაცვლად საზოგადოებაში წონასნორიბის აღდგენისა და მშვიდი თანაცხოვრებისა მივიღეთ სამხედრო გადატრიალება და ზვიად გამსახურდის მთავრობის დამხობა.

სამხედრო გადატრიალების შემდეგ დროებითი მთავრობა არა თუ ძველ ხელისუფლებასთან მშვიდი თანაცხოვრებისა და ქვეყნის აღმშენებლობის გზას დაადგა, არამედ გამეფდა ეროვნული სიმდიდრის ძარცვის, კულტურულ მემკვიდრეობათა დაუფასებლობის და ადამიანთა სიცოცხლის ხელყოფის გარემო.

ამის შემდეგ, იწყება ბატონი ედუარდ შევარდნაძის და მისი მთავრობის უკვე მეორედ მოსვლა ხელისუფლებაში და ბუნებრივია, რევანშისტულად განწყობილ ძალებთან (ბატონი ზვიად გამსახურდისა მთავრობის მომხრეები) ეკონომიკის გაძლიერასა და სახელმწიფოს აღმშენებლობის საკითხებში ყოვეგვარ კოპაბიტაციაზე ლაპარაკი ზედმეტი იყო. 1996—2003 წლების მმართველობის შემდეგ უკვე არა იარაღით, არამედ ეგრეთნოდებული ვარდების რევოლუციით მოხდა მოქალაქეთა კავშირის წაციონალური მოძრაობით ჩანაცვლება. მიხეილ სააკაშვილის მთავრობამ არა თუ უარი განაცხადა წინა ხელისუფლებასთან თანამშრომლობაზე, არამედ სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის თითქოსდა ნულიდან დაწყებით, თითქმის არ დარჩა სახელმწიფო სტრუქტურა საიდანაც არ დაეთხოვათ ძველი ხელისუფლების მუშაკები, მათ შორის ღირსეული სპეციალისტებიც. პეტიონტი სააკაშვილი არა ერთჯერ აკეთებდა საჯარო განცხადებებს, თითქოს საქართველოში ადგილი ჰქონდა ეკონომიკურ სასწაულებს, რაზედაც ქვემოთ უფრო დაწვრილებით შევჩერდები.

პრეიდენტი სააკაშვილის და წაციონალური მოძრაობის მმართველობით უკმაყოფილო საქართველოს მოსახლეობამ თავისი აზრი გამოხატა 2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე და ხელისუფლებაში მოვიდა ახალი ძალა კოლეგია „ქართული ოცნება“ და მისი ლიდერი ბატონი ბიძინა ივანიშვილი. კოპაბიტაცია კვლავ არ შედგა, აგვიანებს, თუმცა, ხელისუფლებათა ცვლილების ფორმებსა და მეთოდები ქვეყანაში პროგრესი შეინიშნება. მისი თანმიმდევრობა ასეთია: იარაღით დამხობილ ზვიად გამსახურდის მთავრობა, ვარდების რევოლუციით ჩანაცვლებული ედუარდ შევარდნაძის მმართველობა და საპარლამენტო არჩევნებით ხელისუფლებაში მოსული კოალიცია „ქართული ოცნება“.

ახლა შევეცადოთ დავახასიათოთ ქვეყანაში შექმნილი ეკონომიკური მდგომარეობა და მისი განვითარების ტემპები.

პოსტსოციალისტურ პერიოდში საქართველოს ეკონომიკის განვითარების (ტრანსფორმაციის) ერთმანეთისაგან გარკვეული და განსხვავებული 4 ძირითადი ეტაპი შეიძლება გამოვყოთ. ესენია: I ეტაპი 1991—1995 წლები, II ეტაპი 1996—2003 წლები, III ეტაპი 2004—2008 წლები და IV ეტაპი 2008 წლის სექტემბრიდან დღემდე.<sup>1</sup>

მანამ სანამ თითოეული ეტაპის ძირითად მაჩვენებლებს დავახასიათებთ, გავარკვიოთ თუ რა მაჩვენებლებზე შევჩერდეთ. მიღებულია, რომ საბაზო ურთიერთობების პირობებში სახელმწიფო მართვის ორგანოების ძირითად მიზანს წარმოადგენს ისეთი მაჩვენებლების კონტროლი როგორიც არის: ეკონომიკური ზრდის მდგრადი ტემპები, დასაქმების მაღალი დონე, დაბალანსებული საგარეო—ეკონომიკური ურთიერთობები და ინფლაციის დაბალი მაჩვენებლები.<sup>2</sup>

პოსტსოციალისტურ საქართველოს ეკონომიკური განვითარების I ეტაპზე სწრაფად დაქვეითდა მთლიანი შედა პროდუქტის მოცულობა. 1994 წელს მან შეადგინა 1990 წლის მშპ—ის 28%. ამავე წლებში დასაქმება შემცირდა ერთი მესამედით. ინფლაცია კუპონებში 1992—1994 წლებში 220—ჯერ გაიზარდა.

<sup>1</sup> ნოდარ ჭითანავა. საქართველოს ეკონომიკის მეტამორფოზები და პერსპექტივები. თბილისი, გამომცემლობა „ივერიონი“ 2012 წ. გ.59

<sup>2</sup> Экономическая статистика под редакцией профессора Ю.Н. Иванова. М.2006 г.



სამამულო ეკონომიკის სწრაფი დემონტაჟის პირობებში მოსახლეობის ყოველდღიური მოხმარების საგნებით უზრუნველყოფაში წამყანი ადგილი იმპორტმა დაიკავა.

ახლა ვნახოთ თუ როგორი პარამეტრებით ხასიათდებოდა საქართველოს ეკონომიკა პოსტსოციალისტური პერიოდის მეორე ეტაპზე (1996—2003წწ.).

მთლიანი შიდა პროდუქტი მუდმივ ფასებში დროის მოცემულ მონაკვეთში ყოველწლიურად მართალია 6,6 პროცენტით იზრდებოდა, მაგრამ 2003 წელი ეკონომიკის განვითარების მიღწეული დონის მიხედვით 1990 წლის მხოლოდ 94,4 % იყო.<sup>1</sup>

მოსახლეობის დასაქმების მაჩვენებელმა პროცენტებში 2003 წლის 58,6 პროცენტი შეადგინა, რაც უმნიშვნელოდ 2,4 პროცენტით არის გაზრდილი 1996 წელთან შედარებით.<sup>2</sup>

როგორც უკვე მაღლა აღვნიშნეთ, მოსახლეობის და სანარმოების საქონლითა და მომსახურებით უზრუნველყოფა უმეტესწილად იმპორტის ხარჯზე მიმდინარეობს. 1996—2003 წლებში ექსპორტ—იმპორტის უარყოფითი საღლო 103,1 პროცენტით გაიზარდა.<sup>3</sup>

სამომხმარებლო ფასების ეროვნული ინდექსის საშუალონწლიური მაჩვენებლის ცვლილებამ ეკონომიკის განვითარების მოცემულ ეტაპზე 222% შეადგინა.<sup>4</sup>

III ეტაპზე (2003—2008 წლები) წინა ეტაპთან შედარებით ძირითადი ეკონომიკური პარამეტრების გაუმჯობესების ტენდენცია აღინიშნა, რაც კორუფციასთან ბრძოლისა და მომთხოვნელობის ზრდის ფონზე მიმდინარეობდა.

მოცემულ პერიოდში მშპ ყოველწლიურად საშუალოდ 8,4%—ით იზრდებოდა, თუმცა ეკონომიკის განვითარების მიღწეული დონით 1990 წლის 68,8% —ს შეადგენდა.

III ეტაპზე მოსახლეობის დასაქმების დონე 2008 წლის მიხედვით 52,3% იყო, რაც 2004 წელთან შედარებით 4,4%—ით არის შემცირებული.<sup>5</sup>

წინა ეტაპთან შედარებით კიდევ უფრო გაზრდილია პროდუქციისა და მომსახურების ექსპორტ—იმპორტის უარყოფითი საღლო (იმპორტის ზრდამ ექსპორტზე 141,5 პროცენტი შეადგინა).<sup>6</sup>

ინფლაციის საშუალო წლიური მაჩვენებელი 2008 წელს 2004 წელთან შედარებით 142 % იყო.<sup>7</sup>

IV ეტაპი რიგით თავისებურებებით ხასიათდება. ეკონომიკის განვითარებაზე უარყოფითი გავლენა იქონია, როგორც რუსეთ—საქართველოს საომარმა მოქმედებებმა, ისე მსოფლიო ფინანსურმა (ეკონომიკურმა) კრიზისმა. 2009 წელს მშპ 3,8 %—ით შემცირდა, 2010 წელს 6,3%—ით გაიზარდა, 2011 წელს 7,2 %—ით გაიზარდა და 2012 წელს ასევე გაიზარდა 6,1%—ით.

მოსახლეობის დასაქმების დონე 2011 წლის მაჩვენებლებით 55,4 % იყო, რაც 3,1%—ით მეტია 2008 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე.

2012 წლის საშუალონწლიური ინფლაცია 2008 წლის ანალოგიურ მაჩვენებლთან შედარებით 117,2% იყო.

პროდუქციისა და მომსახურების ექსპორტ—იმპორტის უარყოფითმა სალდომ 2012 წელს 2008 წელთან შედარებით 113,7 პროცენტი შეადგინა.

როგორც მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, პოსტსოციალისტური საქართველოს ეკონომიკის განვითარების ოთხი მოტანილი ეტაპიდან ზოგიერთი მაჩვენებლის მიხედვით აღინიშნება წარმატება, ეს უპირველეს ყოვლისა ეხება მთლიან შიდა პროდუქტს. თუმცა, საქართველოს ეკონომიკა კვლავაც სისტემური კრიზის წინაშეა, რაზეც ქვემოთმოტანილი მაჩვენებლები მეტყველებს.

<sup>1</sup> [www.geostat.ge](http://www.geostat.ge)

<sup>2</sup> იქვე

<sup>3</sup> იქვე

<sup>4</sup> იქვე

<sup>5</sup> [www.geostat.ge](http://www.geostat.ge)

<sup>6</sup> იქვე

<sup>7</sup> იქვე

50

მშპ დინამიკა 1990—2008 წლებში (1990=100%)<sup>1</sup>

ცხრილი №1

ქვეყნები	1994	1998	2003	2007	2008
აზერბაიჯანი	47,5	48,9	73,6	162,6	192,8
სომხეთი	49,4	62,0	96,1	156,0	171,6
ბელორუსი	72,9	80,2	103,3	142,5	152,7
საქართველო	27,5	35,5	45,7	65,2	71,1
ყაზახეთი	66,9	61,5	94,5	136,4	143,3
ყირგიზეთი	55,4	62,7	77,2	92,0	98,4
ლატვია	57,6	66,4	91,7	135,9	140,9
ლიტვა	56,1	69,6	89,8	121,8	129,7
მოლდოვა	40,7	35,8	43,1	54,3	58,2
რუსეთი	64,7	57,5	79,4	105,2	112,3
ტაჯიკეთი	43,4	33,9	50,5	129,4	138,5
თურქეთი	67,2	55,0	124,1	199,2	218,1
უზბეკეთი	81,8	88,1	107,7	145,8	157,5
უკრაინა	54,7	41,1	54,6	72,2	76,3
ესტონეთი	67,2	86,5	118,0	167,6	172,7

როგორც მოტანილი მაჩვენებლები მეტყველებს ისეთმა სახელმწიფოებმა როგორიცაა: მოლდოვა, საქართველო, უკრაინა და ყირგიზეთი ეკონომიკური განვითარების მხრივ (ცნობილი ანომალიური მოვლენების (სამოქალაქო ომები, სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის არასწორი ფორმით ჩატარება, რუსეთის მიერ გამოცხადებული ეკონომიკური ემბარგო, საომარი მოქმედებები და სხვა მიზეზები) შედეგად ჯერ-ჯერობით ვერ მიაღწიეს XX საუკუნის 90-იანი წლების დონეს.

არანაკლებ შთამბეჭდავია ეკონომიკური განვითარების ისეთი განზოგადებული მაჩვენებელი, როგორიცაა მთლიანი შიგა პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების მიხედვით.

მშპ მოსახლეობის ერთ სულზე 2007 წ მონაცემებით. (ათასი აშშ დოლარი)<sup>2</sup>

ცხრილი №2

ქვეყნები	მშპ მოსახლეების ერთ სულზე
სომხეთი	2,3
საქართველო	2,4
ყირგიზეთი	0,7
მოლდოვა	1,2
ტაჯიკეთი	0,6
უზბეკეთი	0,8
უკრაინა	3,0
ბელორუსი	4,6
რუსეთი	9,1
აზერბაიჯანი	3,7
ყაზახეთი	6,9
თურქეთი	5,2
ლატვია	12,0
ლიტვა	11,4
ესტონეთი	15,9

მოტანილი მონაცემები მეტყველებს, რომ ეკონომიკური განვითარების ყველაზე მაღალი მაჩვენებებით ხასიათდება ბალტიისპირეთის სახელმწიფოები, რომლებმაც თავიანთი ქვეყნების ეკონომიკური განვითარების მოდელად აირჩიეს რესტრუქტურიზაცია და მომსახურების უპირატესი განვითარება.<sup>3</sup>

ახლა რაც შეეხება ჩვენი საპარლამენტო უმცირესობის ლიდერების განცხადებებს, 2012 წლის დეკემბერში და 2013 წლის იანვარში ეკონომიკის ბრუნვის მაჩვენებლის დაქვეითების და აქედან გამომდინარე, ეკონომიკური კრიზისის დადგომის თაობაზე, გვინდა აღვნიშნოთ, რომ ორი თვის ჯერ კიდევ დაუზუტებელი მონაცემებით არ შეიძლება ასეთი დასკვნების გაკეთება. საჭიროა გავიხსენოთ, რომ რიგი საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყანაში ეკონომიკური დაქვეითება, მართალია, იანგაიშება მთლიან შიდა პრო-

<sup>10.</sup> მსოფლიო ბანკის, საერთაშორისო სავალუტო ფონდის, ეროვნული სტატისტიკური სამსახურების მონაცემები

<sup>2</sup> მსოფლიო ბანკის, საერთაშორისო სავალუტო ფონდის, ეროვნული სტატისტიკური სამსახურების მონაცემები

<sup>3</sup> Л.Григорьев, С.Кондратьев, М.Салихов Трудный выход из трансформационного кризиса (случай Грузии) ж. Вопросы экономики, №10, М.2008г



დუქტზე სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, მაგრამ ეკონომიკური დაქვეითების დასაწყისად ითვლება ისეთი სიტუაცია, როდესაც ქვეყანაში მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპები მცირდება სამი კვარტლის მიხედვით, ზედიზედ მიყოლებით. ამდენად, ახალი ხელისუფლების ძალისხმევა სოფლის მეურნეობის, გადამამუშავებელი მრეწველობის, ენერგეტიკისა და რიგი სხვა დარგების განვითარების თაობაზე იმედისმომცემია, რაც თავის შედეგებს გამოიღებს უახლოესი წლების მანძილზე.

### გამოყენებული ლიტერატურა:

- დავით კბილაძე — ეკონომიკური ზრდისა და სოციალური მდგომარეობის შეფასების სტატისტიკური ასპექტები. გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი 2012 წ;
- ნოდარ ჭითანავა—საქართველოს ეკონომიკის მეტამორფოზები და პერსპექტივები. გამომცემლობა „ივერონი“, თბილისი 2012 წ;
- Экономическая статистика под редакцией профессора Ю.Н. Иванова. М.2006г;
- [www.geostat.ge](http://www.geostat.ge)

### დავით კბილაძე

#### კოპაბიტაციის სტატისტიკური ასპექტები

#### რეზიუმე

საქართველოს ეკონომიკური და პოლიტიკური დამოუკიდებლობის აღდგენის პერიოდიდან 20 წლის მანძილზე ოთხჯერ მოხდა ხელისუფლების ცვლა საქართველოში. რთულად მიმდინარეობდა და მიმდინარეობს კოპაბიტაციის პროცესი თითოეულ შემთხვევაში. ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ეკონომიკის განვითარების ცალკეულ ეტაპზე, მართალია, ადგილი აქვს გარკვეულ წარმატებას, თუმცა საქართველოს ეკონომიკა კვლავაც სისტემური კრიზისის წინაშეა. იმედის მომცემია ქვეყნის ახალი ხელისუფლების ძალისხმევა სოფლის მეურნეობის, გადამამუშავებელი მრეწველობის, ენერგეტიკის და რიგი სხვა დარგების განვითარების თაობაზე.

David Kbiladze

#### Statistical Aspects of Cohabitation Summary

Since economic and political independence of Georgia, government has been changed four times during 20 years. In each case, the process of cohabitation was implementing and is still implementing difficultly. It should be mentioned that on a certain stage of economic development there is some kind of success but the economy of Georgia still faces systemic crisis. However, new government's efforts in agriculture, manufacturing, energy and in development of other fields seem really reassuring.



## ზურაპ ლარჯვილი გიულშან რაჭიმოვა გიორგი ზედგინიძე

### „საქართველოს მურიზმის უსაფრთხოების გარიცვონიაციული სისტემა“

ტურიზმის, როგორც XX საუკუნის სოციალურ-ეკონომიკური ფენომენის აქტუალობა, მიმდინარე ეტაპზე, კიდევ უფრო მზარდ ხასიათს იღებს. მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის (მტო) ექსპერტების მიერ ჩატარებული ანალიზის შედეგების თანახმად 2020 წლისათვის საერთაშორისო ტურისტების რიცხვი მიაღწივს 1.6 მილიარდს, ხოლო აქტივური შემოსავლები 2 ტრილიონ დოლარს. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ იმავე პერიოდისათვის მსოფლიო ტურისტული ბაზრის თითქმის 75%-ს დაიკავებს ევრაზიული სივრცე, რაც სავსებით კონკრეტულ ტურისტულ პერსპექტივებს უსახავს ამიერ-კავკასიას — როგორც რეგიონს, და საქართველოს — როგორც სახელმწიფოს, შესაბამისი გეო-პოლიტიკითა და გეო-სტრატეგით.

ტურიზმის განვითრებას მნიშვნელოვანნილად განსაზღვრავს მისი უსაფრთხოება. სახელმწიფო დონეზე დარგის დაგეგმარება უნდა ეყრდნობოდეს მონაცემებს უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით. მათი ეფექტურად გამოყენების მიზნით საჭიროა შეიქმნას ქვეყნის ტურიზმის უსაფრთხოების გეო-ინფორმაციული სისტემა, რომელიც ხელს შეუწყობს უსაფრთხოების შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმარებასა და განხორციელებას<sup>1</sup>.

ტურისტი მუდმივად იმყოფება საშიშროების რისკების ქვეშ, რადგან უმეტესწილად მას უცხო გარემოსთან უხდება ურთიერთობა. რისკების შემცირების მიზნით აუცილებელია იგი მაქსიმალურად ინფორმირებული იყოს მოსალოდნელი საფრთხეების შესახებ. უნდა იცოდეს მათგან თავის არიდების რეკომენდაციები, ამა თუ იმ მარშრუტზე ქცევის ნორმები და ა.შ. ამ ინფორმაციის მპერატიულად დამუშავება და მიღება შესაძლებელია გის-სისტემების დახმარებით. მას შეუძლია კონკრეტული მარშრუტის სარეკომენდაციო თემატური რეკების გენერირება საშიში ადგილების ჩვენებით.

ტურიზმის უსაფრთხოება რისკების დონეზე ორ ძირითად ჯგუფად შეიძლება განვიხილოთ, რაც შესაბამის ასახვას ჰქონდება გის-ის სტრუქტურაში. პირველი ჯგუფი ტურისტის უსაფრთხოებას და მისი ქონების დაცვას ეხება. მეორე კი — ტურისტული მარშრუტის უსაფრთხოებას, რაც გულისხმობს ბუნების (გარემოს), ნივთიერი და სულიერი ძეგლების დაცვას.

ამჯერად მხოლოდ პირველ ჯგუფს შევეხებით, სადაც რამდენიმე რისკის ჯგუფი გამოიყოფა:

1. გეოპოლიტიკური რისკები;
2. ბუნებრივ-ლანდშაფტური რისკები;
3. სამედიცინო რისკები;
4. სანიტარულ-ჰიგიენური რისკები;
5. სოციალური რისკები.

#### 1. გეოპოლიტიკური რისკები.

ტურისტული თვალსაზრისით გეოპოლიტიკური რისკები თანამედროვე მსოფლიოს ბევრ რეგიონში არსებობს. თუმცა სახელმწიფოს ასეთ შემთხვევაშიც შეუძლია მეტნაკლებად უზრუნველყოს ტურიზმის უსაფრთხოება. მაგალითისთვის იერუსალიმის ტერიტორიაც იკარებდა.

გეოპოლიტიკური რისკები შეიძლება იყოს ხანგრძლივი და დროებითი. პირველი მათგანი განპირობებულია სხვადასხვა მიზნებით გამოწვეული დღემდე გადაუჭრელი სამხედრო კონფლიქტებით. ამის კლასიკური მაგალითია ისრაელ-პალესტინის ტერიტორია. მიუხედავად ამისა, კონფლიქტში მონაწილე სახელმწიფოები ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე ცდილობები ტურისტულ-რეკრეაციულ ზონაში (მაგალითად, იერუსალიმი) მაქსიმალურად შეინარჩუნონ სიმშვიდე და უზრუნველყონ ტურისტების უსაფრთხოება.

დროებითი ანუ სტიქიური რისკები შეიძლება გამოიწვიოს ქვეყნის შიგნით მიმდინარე პოლიტიკურ-მა ან სოციალურმა ცვლილებებმა. ამის ნათელი მაგალითია ეგვიპტე, სადაც გასულ წლებში სამოქალაქო ომმა ტურისტული ჯგუფები მნიშვნელოვანი საშიშროების წინაშე დააყენა.

საქართველოში ასეთ რეგიონებს ოკუპირებული ტერიტორიები (აფხაზეთი და სამაჩაბლო) და ჯავახეთის ნაწილი წარმოადგენს.

<sup>1</sup> გეოინფორმაციული სისტემა (გის) სივრცეში განთვესებული მონაცემების შეგროვების, სისტემატიზაციის, შენახვის, ანალიზის და ვიზუალიზაციის თანამედროვე საშუალებაა, რომელიც გეომონაცემთა ბაზებს და ციფრულ (კომპიუტერულ) რეკებს ეყრდნობა.



გეოინფორმაციულ სისტემებში აღნიშნული უნდა იქნას კონფლიქტის საზღვრები ბუფერული ზონებით და ცხელი წერტილები შესაბამისი გეომონაცემებით (კონფლიქტში მონაბეჭდის მხარეები, კონფლიქტის სხვანანება, კონფლიქტის რეგულირება, არსებული ვითარება, ბუფერულ ზონაში მოქცეული ტურისტულად საინტერესო ობიექტები და სხვა).

საჭიროების შემთხვევაში დანართულებულ პირს ან ორგანიზაციას შეუძლია მიიღოს ინფორმაცია, როგორც ციფრული ისე ამობეჭდილი სარეკომენდაციო რუკების სახით.

## 2. ბუნებრივ-ლანდშაფტური რისკები

გაცილებით მრავალფეროვანია ბუნებრივ-ლანდშაფტური რისკების სპექტრი. აქ შეიძლება გამოიყოს შემდეგი მოსალოდნელი საფრთხეები:

1. სტიქიური ბუნებრივი პროცესები:
  - წყალმოვარდნა,
  - თოვლის ზვავი,
  - კლდეზვავი,
  - ქვათაცვენა,
  - მენყერი,
  - ღვარცოფი,
  - სეტყვა.
2. ცოცხალი სამყარო:
  - მტაცებელი ცხოველები,
  - ქვეწარმავლები,
  - გაუვალი ტყე,
  - ჭაობი.
3. რთული რელიეფი

აღნიშნული რისკები შეიძლება იყოს მუდმივი (მაგ., გაუვალი ტყე ან მტაცებელი ცხოველები) და სეზონური (მაგ., წყალმოვარდნა, თოვლის ზვავი, ქვეწარმავლები და სხვა).

ტურიზმის უსაფრთხოების გეოინფორმაციულ სისტემაში თითოეული ზემოაღნიშნული საფრთხეები უნდა განთავსდეს ცალკეული თემატური ფენების სახით. ისინი შეიძლება გამოისახოს ხაზოვანი (მაგ., წყალმოვარდნის საშორისოების ქვეშ მყოფი მდინარის მონაკვეთები) და პოლიგონური (მაგ; გიურზას გავრცელების არეალები) სახით.

თითოეული თემატური ფენა უნდა შეიცავდეს დეტალურ ინფორმაციას საფრთხის შესახებ. მაგ.; ზვავების ფენის (გრაფიკულად წარმოდგენილი იქნება ზვავსაშიში არეალების და გადაადგილების ვექტორის სახით) მონაცემთა ატრიბუტულ (ცხრილში განთავსებული უნდა იყოს შემდეგი სივრცითი და თემატური ინფორმაცია: გეოგრაფიული მდებარეობა, ადმინისტრაციული მდებარეობა, ზვავსაშიში ფერდობის ფართობი, კოორდინატები, მოქმედების ვადები (რომელი თვითდან რომელ თვემდე წარმოადგენს საფრთხეს), გადაადგილების აზიმუტი, თოვლის საფარის საშუალო სიმძლავრე, საფრთხის სახე მასთან დაკავშირებული უბედური შემთხვევები, კომუნიკაციების შესაძლებლობა და ხარისხი, უახლესი სამაშველო სამსახურები მისამართის მითითებით რეკომენდაციები და სხვა<sup>1</sup>.

მოვიყენოთ კიდევ ერთი მაგალითი. გიურზას გავრცელების არეალების თემატური ფენის მონაცემები შემდეგი სახით შეიძლება წარმოვადგინოთ: გეოგრაფიული მდებარეობა, ადმინისტრაციული მდებარეობა, არეალის ფართობი, კოორდინატები, პოპულაციის რაოდენობა, საფრთხის ვადები, საფრთხის სახე, საფრთხის საწინააღმდეგო საშუალებები, უახლესი სამედიცინო დაწესებულებები მისამართის მითითებით, რეკომენდაციები და სხვა.

## 3. სანიტარული რისკები

სანიტარულ რისკებს შეიძლება მივაკუთვნოთ გაჭუჭყიანებული გარემო (ნაგავსაყრელები, ნაგვის კერები, გაჭუჭყიანებული წყალი და სხვა). ასეთი ადგილები ტურისტების მონამვლისა და სხვადასხვა დაავადებების გაჩენის კერა შეიძლება იყოს.

გეოინფორმაციულ სისტემაში უნდა განთავსდეს გაჭუჭყიანების კერები და გაჭუჭყიანებული არეალები შესაბამისი სივრცითი და თემატური ინფორმაციით. კერძოდ, გაჭუჭყიანების წყარო კოორდინატების მითითებით, გაჭუჭყიანების მასშტაბები, გამომწვევი მიზეზი, საფრთხის სახეები, არეალის ფართობი, უახლესი სამედიცინო დაწესებულებები მისამართის მითითებით, რეკომენდაციები და სხვა.

<sup>1</sup> მონაცემთა ატრიბუტული ცხრილი გის-ის თემატური ფენის მონაცემთა ბაზას წარმოადგენს. მასში სტრიქონი შეესატყვისება სივრცით მითითებით, ხოლო სვეტი საინფორმაციო ველებს.



#### 4. სოციალური რისკები

სოციალური რისკები რეგულირებადია, თუმცა მასაც ჭირდება შესწავლა და გის სისტემაში გან-  
თავსება. ასეთ რისკებს მიეკუთვნება:

1. ტერაქტები;
2. კრიმინოგენური ვითარება;
3. ადგილობრივი ტრადიციების პატივისცემა.

გეოინფორმაციულ სისტემაში განთავსდება წერტილოვანი (სამართლდამცავი ორგანოები) და პო-  
ლიგონური (ადგილობრივი ტრადიციების გავრცელების, ტერაქტების, კრიმინოგენური თვალსაზრისით  
დაძაბული არეალები) თემატური ფენები შესაბამისი ინფორმაციით (არეალის გეოგრაფიული და ადმი-  
ნისტრუაციული მდებარეობა, საფრთხის სახე და მასშტაბები, რეკომენდაციები და სხვა).

#### 5. სამედიცინო რისკები

სამედიცინო რისკებს მიეკუთვნება სხვადასხვა სახის ეპიდემიები (მაგ., გრიპი). გეოინფორმაციულ  
სისტემაში უნდა განთავსდეს ეპიდემიის კერა, გავრცელების არეალები, გამავრცელებლები (მაგ., ქათმის  
გრიპის შემთხვევაში მიზანშეწონილია გადამფრენი ფრინველების ტრასების დატანა), სამედიცინო დაწე-  
სებულებები და სხვა. გეომონაცემთა ბაზებში უნდა ინახებოდეს ინფორმაცია პრევენციული ღონისძიე-  
ბების შესახებ.

გარდა ზემოაღნიშნული მონაცემებისა ტურიზმის უსაფრთხოების გის-ში სხვადასხვა წერტილოვა-  
ნი თემატური ფენების სახით განთავსდება თავშესაფრები, მწყემსების სადგომები და საველე ექსპედი-  
ციების დროებითი ბაზები, მეტეოროლოგიური სადგურები და სხვა. ექსტრემალურ სიტუაციაში ისინი  
თავშესაფრად შეიძლება გამოიყენონ.

მონაცემთა ძიება განხორციელდება სპეციალური საძიებო სისტემით, რომელშიც ინფორმაცია თე-  
მატურ ბლოკებში იქნება გაერთიანებული (სურ. 1). იგი მომხმარებელს საშუალებას მისცემს მიიღოს  
უსაფრთხოების თვალსაზრისით საინტერესო ნებისმიერი ინფორმაცია კონკრეტულ ტურისტულ ობიექ-  
ტზე თუ მარშრუტზე. მონაცემთა ბაზებში ასევე განთავსებული იქნება ობიექტის ტურისტულ-რეკრეა-  
ციული შინაარსის მონაცემები.

zogadgeografiuli Zieba			
მცენარეული—საფარი ადმინ—დაყოფა	რელიეფი გზათა—ქსელი	პიდროვრაფია ტურისტული ობიექტი	განსახლება
წადა	გზა	გვარაბა	
რკანიგზა	რკან-სადგური	უდელტეხილი	

სურათი 2. მონაცემთა საძიებო სისტემის „ინტერფეისი“

საძიებო სისტემის დახმარებით შესაძლებელი იქნება მარშრუტის საშიში მონაკვეთების მონიშვნა,  
რომელიც სეზონების მიხედვით განსხვავებული იქნება.

თითოეული მარშრუტი ან საფრთხის თემატური ფენი ასევე აღჭურვილი იქნება შესაბამისი სარე-  
კომენდაციით პაკეტით. თოთოეულ ობიექტზე იქნება შემდეგი სახის რეკომენდაციები: აღჭურვილობა,  
სასმელ-საკვები, ქცევის წესები და პირველადი რეაგირება.

აღჭურვილობა, განსაკუთრებით ექსტრემალურ ტურებზე, უსაფრთხოების ერთ-ერთი მნიშვნელო-  
ვანი კომპონენტია. სისტემას შეუძლია სეზონების, მოსალოდნელი ამინდის და არსებული რისკების გათ-  
ვალის ნინებით თოთოეულ მარშრუტზე რეკომენდაცია გაგვიძინოს აუცილებელი აღჭურვილობის ვარიან-  
ტებზე. არჩევანი ფინანსური შესაძლებლობებიდან გამომდინარე გაკეთდება, თუცა შესაბამისად პრო-  
პორციულად შეიცვლევა უსაფრთხოების ხარისხიც.

ასევე მნიშვნელოვანია თოთოეულ მარშრუტზე საკვების და სასმელი წყლის საკითხიც თუკი მარ-  
შრუტი ამისა აუცილებლობას მოითხოვს. სისტემა შემოგვთავაზებს აუცილებელ ოპტიმალურ რაციონს და  
რაოდენობას. ასევე სათადარიგო მარაგს. ეს ყველაფერი ასაკობრივ ჯგუფებზეც არის დამოკიდებული  
და მონაცემთა ბაზებში ესეც იქნება გათვალისწინებული. საჭიროა მხოლოდ შესაბამის გრაფაში ტურის-  
ტის ასაკის მითითება.



ამა თუ იმ ტიპის მარშრუტზე გადაადგილების წესები განსხვავებულია. ისინი სეზონების და ამინდის მიხედვით ცვალებადია. რეკომენდაციები რამდენიმე კატეგორიად შეიძლება დაყოს:


რეკომენდაციების წინადადებები სისტემაში განთავსებული იქნება როგორც ტექსტური, ისე გრაფიკული მასალით (რუკების და სქემების სახით).

უსაფრთხოების გეონიფორმაციული სისტემის შესაქმნელად საჭიროა მისი კონცეფტური სქემის დამუშავება. წარმოგიდგენთ მის ძირითად საკითხებს:

1. სამუშაო ჯგუფების ფორმირება;
2. სამეცნიერო კვლევა;
3. მონაცემთა სისტემატიზაცია და ანალიზი;
4. უსაფრთხოების გის-ის სტრუქტურის დამუშავება;
5. ციფრული საფუძვლების ორგანიზება;
6. თემატური ფენების დიგიტალიზაცია (აციფრვა);
7. გეომონაცემთა ბაზების ორგანიზება;
8. მონაცემთა შევსების ფორმების შექმნა და მონაცემთა შევსება;
9. საძიებო-ანალიტიკური პროგრამის შექმნა;
10. ტურიზმის უსაფრთხოების ინტერაქტიური ვებრუკის შექმნა;
11. უსაფრთხოების სანავიგაციო რუკების შექმნა.

სისტმის შესაქმნელად აუცილებელია სპეციალური სამეცნიერო კვლევების ჩატარება, რომელიც დაეფუძნება, როგორც არსებულ ლიტერატურულ და კარტოგრაფიულ წყაროებს, ისე საველე ექსპედიციებს. მოპოვებული მონაცემების დახარისხება, სისტემატიზაცია და ანალიზი მოხდება შესაბამისი დარგის მეცნიერების მინანილეობით გის-ის ექსპერტებისა და გეომონაცემთა ბაზების სპეციალისტების მიერ. შემუშავდება მონაცემთა ურთიერთ კავშირების და სისტემის მუშაობის ალგორითმები.

ტურიზმის უსაფრთხოების გის-ის სტრუქტურა სქემატურად შეიძლება წარმოვიდგინოთ (სურ. 2).



სურ. 1. ტურიზმის უსაფრთხოების გის-ის სტრუქტურა

მონაცემები მუდმივად განახლებადი უნდა იყოს. მათი ოპერატორული განახლება განხორციელდება სხვადასხვა წყაროებიდან (ადგილობრივი თვითმართველობები და ტურისტული საინფორმაციო ცენტრები, სამეცნიერო დაწესებულებები, ცალკეული ექსპედიციები და სხვა). მონაცემთა განახლებისათვის გამოყენებული იქნება აერო და კოსმოსური სურათებიც.

სისტემის გამართულად ფუნქციონირება და მონაცემთა განახლება სისტემის ჯგუფის კომპეტენცია იქნება. იგი დაკომპლექტდება გის ოპერატორებისაგან, გის პროგრამისატისაგან, გის კარტოგრაფებისაგან, გის ექსპერტისაგან, მონაცემთა ბაზების სპეციალისტისაგან, რედაქტორ-კორექტორებისაგან. მის გამართულად ფუნქციონირებას უზრუნველყოფს სისტემური ადმინისტრატორი.

ძირითადი პერსონალის გარდა ტურიზმის უსაფრთხოების სისტემას მომსახურებას ასევე გაუწევენ შესაბამისი დარგის მოწვეული სპეციალისტები (გეოგრაფები, გეოლოგები, კლიმატოლოგები, ბიოლოგები, სამაშველო სამსახურის სპეციალისტები, ექიმები და სხვა), რომლებიც ახალი მონაცემების საიმედოობას და იდენტურობას გაუწევენ ექსპერტიზას.

ტურიზმის უსაფრთხოების სისტემის ძირითადი მომხმარებელი იქნება შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურა (მაგ., ეკონომიკის სამინისტრო და ტურიზმის დეპარტამენტი), რომლებიც მას ტურიზმის დაგეგმარებისა და მართვისთვის გამოიყენებენ. სავარაუდოდ სისტემა სწორედ ტურიზმის დეპარტამენტში იქნება დანერგილი. მონაცემთა ნაწილი მომხმარებლისთვის უფასო იქნება ნაწილი კი — ფასიანი.



თავისთავად ცხადია უსაფრთხოების კუთხით სივრცითი ინფორმაცია გამოადგებათ კერძო ტურისტულ ფირმებს და სააგენტოებს, რომლებიც გააუმჯობესებენ ტურისტული მარშრუტების და ჯგუფების უსაფრთხოებას. მისი გამოყენება, ძირითადად ვებ-რუკის სახით, შესაძლებელია კერძო პირების მიერაც. სისტემა დიდ დახმარებას გაუწევს სამაშველო სამსახურებსაც.

სისტემის ფუნქციონირების შედეგები მრავალწახლავანია:

1. ხელს შეუწყობს ტურიზმის დაგეგმარებას;
2. გაუმჯობესდება ტურების დაგეგმარება;
3. გაუმჯობესდება ტურისტული სააგენტოების სერვისის ხარისხი;
4. შემცირდება საფრთხის რისკი;
5. შემცირდება უბედური შემთხვევების რიცხვი;
6. უფრო ეფექტური გახდება სამაშველო სამსახურების რეაგირება.

ტურიზმის უსაფრთხოების გის-ის ბაზაზე შეიქმნება ინტერაქტურის ვებ რუკა. იგი ნებისმიერ მომხმარებელს საშუალებას მისცემს მიიღოს პერატული სივრცითი ინფორმაცია კონკრეტულ მარშრუტის უსაფრთხოების ნორმებზე. მონაცემთა ბაზებში არსებული გეომონაცემების ანალიზის საფუძველზე მომხმარებელი მოახდენს თემატური რუკების, გრაფიკების, დიაგრამების და ტიპიური ანგარიშების გენერირებას. მომხმარებელს გაუადვილდება მარშრუტების დაგეგმარება.

უსაფრთხოების სანავიგაციო რუკები კი მარშრუტზე უზრუნველყოფენ უსაფრთხოების მოთხოვნებს და ექსტრემალურ სიტუაციაში ტურისტულ ჯგუფებს დახმარებას გაუწევენ ოპერატიულად გამონახონ რაციონალური გამოსახული.

სამწუხაროდ საქართველოში უბედური შემთხვევები, განსაკუთრებით ექსტრემალურ მარშრუტებზე, არც თუ იშვიათია. ტურიზმის გის-სისტემა მინიმუმამდე დაიყვანს რისკებს და გააუმჯობესებს სამაშველო სამსახურების მუშაობის ეფექტურობას.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. არაბული კ. დაგეგმვის საფუძვლები ტურიზმში. თბილისი, 2010.
2. არაბული კ. ტუროპერეიტინგის საფუძვლები. თბილისი, 2010.
3. კობალაძე ლ. საქართველოს ტურიზმისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოკლევადიანი და გრძელვადიანი განვითარება. თბილისი, 2010.
4. ოქროცვარიძე ა., ვადაჭკორია მ., ოქროცვარიძე ლ. ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი. თბილისი, 2011.
5. Mansfeld Y. Pizam A. Tourism Security and Safety (theory to practice). Burlington, 2006
6. Буйленко В. Ф. Основы профессиональной деятельности в туризме и экотуризме. Ростов н/Д, 2009.
7. Сапронов Ю.Г. Занина И. А. Безопасность жизнедеятельности: обеспечение безопасности в туризме и туристской индустрии. Ростов н/Д, 2009.

**ზურაბ ლაოშვილი  
გიულშან რაჭიმოვა  
გიორგი ზედგინიძე**

**„საქართველოს ტურიზმის უსაფრთხოების  
გეოინფორმაციული სისტემა“**

### რეზიუმე

ტურიზმის განვითარების ხელშეწყობისათვის აუცილებელია მისი უსაფრთხოების უზრუნველყოფა. ტურისტს უცხო გარემოში მრავალი საფრთხე ემუქრება. ეს ტურიზმის თანმხელები მოვლენაა. უბედური შემთხვევების მინიმუმამდე შემცირებისა და უსაფრთხოების ზომების გაუმჯობესების მიზნით საჭიროა არსებობდეს ტურიზმის უსაფრთხოების გეოინფორმაციული სისტემა. მასში თავმოყრილი იქნება სივრცითი და თემატური ინფორმაცია საშიშროების რისკებისა და მათგან თავის დაცვის რეკომენდაციების შესახებ. იგი ოპერატიულ ინფორმაციაზე დაყრდნობით თემატური რუკებისა და ტექსტის სახით შემოგვთვაზებს მარშრუტის მაქსიმალურად უსაფრთხო ვარიანტს.

ტურიზმის უსაფრთხოების გის-ის გამოყენება გააუმჯობესებს ტურისტული საგენტოების მომსახურებას და უფრო ოპერატიულს და ეფექტურს გახდის სამსახურების საქმიანობას. სისტემის



ერთ-ერთი შედეგი იქნება ინტერაქტიური ვებრუკა, რომელიც ტურისტს უსაფრთხო მარშრუტის დამოუკიდებლად დაგეგმარების საშუალებას მისცემს.

**Zurab Laoshvili  
Giulshan Rahimova  
Giorgi Zedginidze**

### **Tourism Security Geo-information System of Georgia**

#### **Summary**

If we want to develop tourism in Georgia, it's necessary to ensure its safety. In foreign environment tourists are in danger and this is accompanying event for tourism. To minimize the reduction of accidents and to improve the safety measures, we need to create the GIS safety system. This system will collect thematic and spatial information and recommendations how to avoid the risks. This system with thematic maps and texts will offer the safest version of route, which will be based on the operative information.

Application of the GIS safety system will improve a service of touristic firms and improve the performance of rescue operations. One of the results of this system will be the intellectual web map, which will help tourists to independently plan their safe route.



## შალვა მაჭავარიანი

### სისტემური გიდგომის საჭიროება საქართველოს აგრარულ სექტორში არსებული ვითარების გასაუმჯობესებლად

საქართველოში სოფლის მეურნეობა ძლიერ რეგრესს განიცდის მრავალი პრობლემის გამო. 2005 წლიდან სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალური წარმოება 20%-ით, ხოლო ნათესი ფართობი 43%-ით შემცირდა<sup>1</sup>. ეს იმას ნიშნავს, რომ 1 300 ათას ჰექტარის მიერთება სასოფლო-სამეურნეო სავარგული რჩება დაუმუშავებელი ქვეყანაში, სადაც სოფლად ცხოვრობს<sup>2</sup> მთელი მოსახლეობის 47% (ცხრ. 1). არსებული სტატისტიკის შესაბამისად, მარცვლეული კულტურების საშუალო მოსავლიანობა აღწევს შესაძლების მხოლოდ 20%-ს და მრავალწლოვანი კულტურებისა 30%-ს. გასული საუკუნის ოთხმოციან წლებთან შედარებით მორწყული მინის ფართობი თითქმის 3,5-ჯერ არის შემცირებული. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის წარმოებამ შეადგინა 1989 წლის დონის 70%, ლორის წარმოებამ 14%, ცხვრისა და თხის 42%, რძის წარმოებამ 90%, ხოლო კვერცხის წარმოებამ 51%<sup>3</sup>. არ შეიმჩნევა ცვლილდებები სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურაში (სასაწყობო და სამაცივრე ნაგებობები, გადამამუშავებელი ქარხნები, სარწყავი და სადრენაჟო სისტემები, სასოფლო-სამეურნეო მანქანა-დანადგარების პარკები და სხვ.).

#### საქართველოში სოფლის მოსახლეობის რიცხოვნობა

ცხრ. 1

წელი	სოფლის მოსახლეობა (ათასი კაცი)	სოფლის მოსახლეობა (% მთელ მოსახლეობასთან)
2001	2121	48.2
2002	2087	47.7
2003	2076	47.8
2004	2063	47.8
2005	2064	47.8
2006	2091	47.5
2007	2086	47.5
2008	2078	47.4
2009	2076	47.3
2010	2086	47.2
2011	2098	47.1
2012	2106	47.0

გასათვალისწინებელია, რომ საქართველო არის სარისკო მინათმოქმედების ქვეყანა და მიმდინარე კლიმატურ ცვლილებებთან დაკავშირებით, არსებული ვითარება შეიძლება კიდევ უფრო დამძიმდეს.

საქართველოში დაახლოებით 656 ათასი ფერმერული მეურნეობაა, რომელთა საშუალო სიდიდე 1.50 ჰექტარია და იმ ფერმების რაოდენობა, რომელთა მეურნეობის ფართობიც 4 ჰექტარს აღემატება, შეადგენს მხოლოდ 3%, რაც არ იძლევა თანამედროვე ტექნიკური საშუალებებისა და აგრარული ტექნოლოგიის რაციონალურად გამოყენების საშუალებას.


სექტორში წარმოჩნილი მრავალი სირთულის გამო შეინიშნება მთლიან შიდა პროდუქტში სოფლის მეურნეობის პროდუქციის კლების ტენდენცია<sup>4</sup> (ნახ.1)

<sup>1</sup> ევროკავშირის მონაცემები, საქართველოში სოფლის მეურნეობის მდგომარეობა: [http://eeas.europa.eu/delegations/georgia-projects/overview/agriculture\\_and\\_rural\\_development/index\\_ka.htm](http://eeas.europa.eu/delegations/georgia-projects/overview/agriculture_and_rural_development/index_ka.htm)


<sup>2</sup> საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. [http://www.geostat.ge/?action=page&p\\_id=151&lang=geo](http://www.geostat.ge/?action=page&p_id=151&lang=geo)

<sup>3</sup> საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების ძირითადი მიმართულებები: C:\Documents and Settings\Shalva\Desktop\Soflis-soflis\_meurn\_mtliani.htm

<sup>4</sup> საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური: [http://www.geostat.ge/?action=page&p\\_id=427&lang=geo](http://www.geostat.ge/?action=page&p_id=427&lang=geo)




მიუხედავად იმისა, რომ სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია მომუშავეთა 55,6% (ნახ.2), საქმიანობის ეფექტურობა შესამჩნევად დაბალია ეკონომიკის სხვა დარგებთან შედარებით (ნახ.3). ძალის მცირეა სოფლის მეურნეობაში პირდაპირი ინვესტიციების მოცულობა, რომელიც 2007-2011 წლებში შეადგინდა ქვეყნაში განხორციელებული პირდაპირი ინვესტიციების საერთო მოცულობის 0,54% - 3,04%<sup>1</sup>, რაც კარგად გამოხატავს ინვესტორთა მხრიდან სექტორისადმი არსებულ დაინტერესებას. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის კვლევის თანახმად, სოფლის მეურნეობის დაფინანსებით, საქართველო 128-ე ადგილზეა<sup>2</sup>.




ნახ. 2 დასაქმება ეკონომიკის სექტორების მიხედვით

<sup>1</sup> საქართველოს სოფლის მეურნეობა 2011: <http://www.geostat.ge/?action=wnews&lang=geo&npid=182>

<sup>2</sup> მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი, 2012, <http://www.commersant.ge/?id=13879>



ნახ. 3. ეკონომიკის სხვადასხვა დარგების წილი მთლიან შიდა პროდუქტში



ნახ. 4 საქართველოში სოფლის მეურნეობის პროდუქტებით თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი (პროცენტებში ერთ სულ მოსახლეზე)

აღნიშნული მიზეზების გამო, საქართველოში ძალზე დაბალია მოსახლეობის სოფლის მეურნეობის პროდუქციით თვითუზრუნველყოფის მაჩვენებელი (ნახ.4). სხვადასხვა



მონაცემით, კვების პროდუქციის 34%<sup>1</sup>-დან - 47%<sup>2</sup>-დე მოდის იმპორტზე. ექსპორტი შემცირდა 39%-დან (2005 წ.), 25%-მდე (2010 წ.)<sup>3</sup>. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლების ნილმა ოჯახური მეურნეობის ფულად შემოსავლებში 2006 -2010 წლებში დაიკლო 10.6% - დან 6.7%<sup>4</sup> -დე.

ქვეყანაში, სადაც მომუშავეთა 55,6% სოფლად არის დასაქმებული, 2011 წელს შეიქმნა 1.27 მილიარდი აშშ დოლარის ლირებულების სასოფლო პროდუქცია, ანუ 572 აშშ დოლარის პროდუქცია სოფლად და-საქმებულ ერთ ადამიანზე გადაანგარიშებით, მაშინ როცა ევროკავშირში სოფლად დასაქმებულია მომუშავეთა 6,6%<sup>5</sup> (ცხრ. 2) და მათ მიერ 2011 წელს წარმოებულია 268 400 მილიარდი აშშ დოლარის აგრარული პროდუქცია, რაც სოფლად დასაქმებულ ერთ ადამიანზე შეადგენს 13 636 აშშ დოლარს. აღსანიშნავია, რომ ევროკავშირში სასოფლო პროდუქციის გადამამუშავებელ მცირე და სამუალო ბიზნესსა და სოფლი-სათვის საჭირო ინფრასტრუქტურულ ობიექტებში მუშაობს დასაქმებული მოსახლეობის 25%-30%.

სოფლის მეურნეობისა და სოფლის რეგიონების განვითარების ერთიანი სტრატეგიისა და სახელ-მწიფო პოლიტიკის უქონლობა, დაუხვერავი კანონმდებლობა და გაუმართავი ინფრასტრუქტურა, საბან-კო სესხების მაღალი ლირებულება, დაზღვევის უქონლობა, მიწების პარცელაცია, სტანდარტების, ფიტო-სანიტარიის და მცენარეთა დაცვის ღონისძიებების

ნაკლებობა, შინაური ცხოველებისა და ფრინველების დაავადებათა სუსტი კონტროლი და ა.შ., გა-ნაპირობდნებები აგრარული სექტორისა დაბალ ეფექტიანობას, შემოსავლების შემცირებას, სოფლად მნიშვნელოვანი ეკონომიკური და სოციალური სახის სირთულეების წარმოჩენას.

ქართველი და უცხოელი სპეციალისტების მიერ გამოკვეთილია შექმნილი ვითარების გამომწვევი სხვა მნიშვნელოვანი მიზიზებიც. მათგან აღსანიშნავია:

- კომპიუტინგის დაბალი დონე, რომლის გამო (ცხრ. 3) ფერმერები სუსტად არიან ინფორმირებულები ადგილობრივ და უცხოურ ბაზრებზე შექმნილი კონიუქტურისა და პროგნოზირებული მონაცემების, აგრეთვე ადგილობრივი და უცხოური გამოცდილების შესახებ;
- ფერმერების ცოდნის დეფიციტი თანამედროვე პირობებში საქმიანობის წარმართვის, მეურნეობის პროდუქციის მომგებიანი რეალიზაციისა და მაღალი კონკურენტუნარიანობის მისაღწევად;
- სირთულეები აგრარული სექტორისა და მისი უზრუნველყოფელი ინფრასტრუქტურისათვის კვალიფიციური სპეციალისტების მომზადებაში;
- აგრარული სექტორისათვის საჭირო კვლევების უკმარისი დაფინანსება, ფერმერთა მხრიდან კვლევით პროდუქციაზე მოთხოვნილების უქონლობა;
- აგრარული სექტორისა და ფერმერებისათვის შეთავაზებული სიახლეების უმნიშვნელო რაოდენობა, მათი კომერციალიზაციისა და ინოვაციების ჯეროვნად გამოყენების დაბალი მაჩვენებელი;
- აგრარული მეცნიერებისა და უმაღლესი განათლების სუსტი კავშირი, გადამზადების მუდმივ-მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების არ არსებობა;
- ფერმერთა მარკეტინგული მომსახურების ერთიანი სისტემის უქონლობა;
- უწყვეტი ხასიათის, ინდივიდუალური კონსულტირების თანამედროვე სისტემის (სამეურნეო, სამართლებრივ, მმართველობით, საფინანსო, საგადასახადო, საკრედიტო რესურსების მოძიების, საინვესტიციო საქმიანობის განხორციელების, მომწოდებლების, ინვესტიონებისა და მომხმარებელთა წრის გაფართოების, ინფრასტრუქტურის სათანადოდ მოწყობისა და სხვა საჭირო საკითხებზე) ჩამოუყალიბებლობა;
- აგრარული პროდუქციის გადამამუშავებელი, კონკურენტუნარიანი, ექსპორტზე ორიენტირებული მცირე და საშუალო წარმოებების განუვითარებელობა;
- სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისათვის აუცილებელი ტექნიკითა და ტექნოლოგიებით ფერმერთა არასათანადოდ აღჭურვა;
- ფერმერისათვის ინდივიდუალური დახმარების პაკეტების უქონლობა.

<sup>1</sup> საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების ძირითადი მიმართულებები: C:\Documents and Settings\Shalva\Desktop\Soflis-sofis\_meurn\_mtliani.htm

<sup>2</sup> საქართველოს სოფლის მეურნეობის სფეროს ტრანსფორმაცია: <http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0ekonomik-00-1--0-10-0--0-0---0prompt-10---4----4---0-0l-11-en-10---10-about-50-00-3-1-00-0-00-11-1-0utfZz-8-10-0-11-1-0utfZz-8-00&a=d&c1=CL4.2&d=HASH611428d35ab6e96ac30284.99>

<sup>3</sup> მსოფლიო ბანკისა და საქართველოს თანამშრომლობის მიმოხილვა: [http://siteresources.worldbank.org/INTGEORGIA/Resources/Georgia\\_Snapshot\\_Geo.pdf](http://siteresources.worldbank.org/INTGEORGIA/Resources/Georgia_Snapshot_Geo.pdf)

<sup>4</sup> საქართველოს სოფლის მეურნეობა 2011: <http://www.geostat.ge/?action=wnews&lang=geo&npid=182>

<sup>5</sup> <http://www.agri-ergonomics.eu/background/Background/summary.htm>

<sup>6</sup> საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემები: [http://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%A5%E1%83%95%E1%83%94%E1%83%94%E1%83%A7-%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%97%E1%83%90\\_%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%90\\_%E1%83%9B%E1%83%A8%E1%83%9E%E1%83%98%E1%83%A1\\_\(PPP\)\\_%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%93%E1%83%95%E1%83%98%E1%83%97](http://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%A5%E1%83%95%E1%83%94%E1%83%A7-%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%97%E1%83%90_%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%90_%E1%83%9B%E1%83%A8%E1%83%9E%E1%83%98%E1%83%A1_(PPP)_%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%93%E1%83%95%E1%83%98%E1%83%97)



### ევროკავშირში აგრარული სექტორის წილი მთლიან შიდა პროდუქტში

ცხრ. 2

ქვეყანა	სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა წილი (%)	წილი მთლიან შიდა პროდუქტში (%)
ავსტრია	5,5	1,2
ფინეთი	5,3	1,0
საფრანგეთი	4,3	2,0
გერმანია	2,4	0,7
საბერძნეთი	16,3	5,4
ირლანდია	6,4	1,9
იტალია	4,7	2,2
ნიდერლანდები	2,7	2,0
ესპანეთი	5,6	5,4
გაერთიანებული სამეფო	1,2	0,7
ჩეხეთი	4,5	1,1
ესტონეთი	6,3	2,2
უნგრეთი	5,4	2,7
ლატვია	14,6	2,1
ლიტვა	18,7	2,6
პოლონეთი	18,2	2,3
სლოვენია	8,4	1,6
სლოვაკია	6,6	1,2
ბულგარეთი	11,1	8,7
რუმინეთი	37,7	11,2
საშუალოდ ევროკავშირში	6,6	1,7

საერთაშორისო გამოცდილება ცხადყოფს, რომ მრავალმა ქვეყანამ წარმატებით დაძლია მსგავსი სირთულეები აგრარული სექტორისათვის საჭირო “უზრუნველყოფები ერთიანი სისტემის” (კომპეტანციის ცენტრები, სხვადასხვა პროფილის ბიზნეს-ინკუბატორები, საინოვაციო (ცენტრები, სიახლეებისა და საინოვაციო იდეების ბანკები, ცოდნის ტრანსფერისათვის განკუთვნილი საინფორმაციო ქსელები), სათანადო დაგეგმვითა და მათი გამართული საქმიანობით.

**საინფორმაციო ტექნოლოგიების გავრცელების დონე (კომპიუტინგი)  
საქართველოსა და ევროპული ქვეყნების ფერმერულ მეურნეობებში (2009 წ.)<sup>1</sup>**

ცხრ. 3

ქვეყანა	ფერმერთა რაოდენობა	კომპიუტერები ფერმებში, რა-ბა / %	ინტერნეტის ქსელში ჩართულ ფერმერთა რა-ბა / %
საქართველო	1 000 000	720 / 0,0072	240 / 0,0024
ჩეხეთი	175 000	30 000 / 17,1	4 000 / 2,3
დანია	60 000	48 000 / 80	30 000 / 50
ფინეთი	80 000	50 000 / 62,5	40 000 / 50
საფრანგეთი	330 000	110 000 / 33,3	25 000 / 7,5
გერმანია	170 000	75 000 / 44,1	55 000 / 32,4
იტალია	260 000	80 000 / 30,8	10 000 / 3,8
პოლონეთი	100 000	60 000 / 60	50 000 / 50
ნორვეგია	70 000	52 000 / 74,3	40 000 / 57,1
პოლონეთი	200 000	100 000 / 50	5 000 / 2,5
ესპანეთი	100 000	45 000 / 45	10 000 / 10
შევედეთი	30 000	24 000 / 80	14 000 / 46,7

<sup>1</sup> USAID პროექტის კვლევები საქართველოში: <http://www.tetrebi.org/wp-content/uploads/2012/02/%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%98.pdf>



დიდი ბრიტანეთი	80 000	60 000/75	30 000 /37,5
----------------	--------	-----------	--------------

აგრარული სექტორის განვითარების „უზრუნველყოფელი სისტემა“ წარმოადგენს ერთგვარ „დამაკავშირებელ ხიდს“ ფერმერულ მეურნეობას, სამეცნიერო კვლევებსა და განათლებას (უმაღლესი, პროფესიული) შორის. უზრუნველყოფელი სისტემის საშუალებით შესაძლებელია არსებული პრობლემების (ფერმერული მეურნეობისა და გადამამუშავებელი წარმოებების მომგებაზე) საქმიანობა, სწავლების ხარისხის ამაღლება და კვლევების ეფექტური განხორციელება) კომპლექსური გადაწყვეტა.

პირველი უზრუნველყოფელი სტრუქტურა ჩამოყალიბდა 1959 წელს ბატავიაში (აშშ). 2012 წლის დასაწყისში მსოფლიოს 102 ქვეყანაში ფუნქციონირებდა 4480 ბიზნეს-ინკუბატორი და ტექნოლოგიური პარკი<sup>1</sup> (აქედან თითქმის 35% სოფლის რეგიონებში). ამჟამად აშშ-ში მოქმედებს 1810 ხელშემწყობი სტრუქტურა, ევროკავშირში - 1140, იაპონიაში - 350, სამხრეთ კორეაში - 300, ჩინეთში - 250, ბრაზილიაში - 410, მალაზიაში - 110 და ა.შ.

უზრუნველყოფელი სტრუქტურების დახმარებით ხდება სექტორისათვის საჭირო, მრავალნაირი სახის საქმიანობის შესრულება |Barrow, Colin, 2001, p.18-24|. განსაკუთრებით აღსანიშნავია:

- ფერმერების, მცირე და სამუალო ბიზნესის (დამწყებისა და მოქმედის) სწავლება თანემედროვე პირობებში საქმიანობის განსახორციელებლად |Edward Zablock, 2007, p.7|;
- კონსულტირება სამუშაო ოპერაციების შესასრულებლად, საგადასახადო, საბუღალტრო და სამართლებრივი საკითხების მოსაგვარებლად |Keanan Hunt, John Hayden and John Regan 2011, p.9|
- დახმარების განვეა საქმიანობისათვის საჭირო ფინანსური სახსრების მოსაზიდად |Perumal Koshy, 2011, pp. 104-112|;

• ხელშეწყობა ახალ ბაზრებზე გასასვლელად, საქმიანი პარტნიორებისა და მომხმარებლების მოსახებნად |Jeremy Phillipson, Mark Shucksmith and other, 2011, p.3|;

- საქმიანობისათვის საჭირო ბიზნეს-იდეების მიწოდება, უნივერსიტეტებიდან ცოდნის ტრანსფერი ბიზნესისათვის |Association of Business Incubation and Techno Parks, 2011, pp. 1-4| და სხვადასხვა სახის ინტელექტუალური სახის მომსახურების განვეა |João Paulo Coelho Marques, J.M.G. Caraç and H. Diz, 2010, pp.15-29|;
- დახმარება თანამედროვე ტექნოლოგიების დასაწერგად და ინოვაციური პროდუქციის კომერციალიზაციისათვის |Ashok Jhunjhunwala, 2006, p.11|;

• საქმიანობის წარმოებისათვის სათანადო პირობების შექმნა (სამუშაო ფართი, საოფისე ტექნიკა და ტექნოლოგია, საინფორმაციო საშუალებები და ა.შ. |Ali Ahmad, 2012, p.16|.

„უზრუნველყოფელი სტრუქტურების“ წარმატებული მოქმედებისათვის რეკომენდირებულია საქმიანობის უმთავრესი ხელშემშლელი ფაქტორების დადგენა, სათანადო მეთოდებით მათი იდენტიფიკაცია |Teresa Gillotti and Ryan Ziegelbauer, 2006, pp.4-6| და სამოქმედო გეგმის შემუშავება |National Business Incubation Association, 2001, pp.12-17|. შემდგომ ეტაპზე, დასახული გეგმის აპრობირების მიზნით გამოიყენება ე.წ. საპილოტე სტრუქტურები |Thomas R. Harris, Robert Dick, 2005, p. 4, 9|, რომელთა საშუალებით ხდება მიღებული შედეგების განზოგადოება, ქსელში შემავალი „უზრუნველყოფელი სტრუქტურების“ სახეობის დადგენა |Zoltan Sipos, Altan Szabo, 2006, pp. 24-36| და ამ სტრუქტურების ქსელების ჩამოყალიბება ლოკალურ, ეროვნულ, ან გლობალურ დონეზე |Wang Rong, 2007, pp.8-20|.

საქართველოში „უზრუნველყოფელი სტრუქტურების“ ქსელების ამოქმედებისათვის საჭირო პირობების შესწავლის მიზნით, უცხოელი და ადგილობრივი სპეციალისტების მიერ შესრულებულია გარკვეული კვლევები |შალვა მაჭავარიანი, 2012, გვ. 12-24|. მრავალი ქვეყნის გამოცდილების გათვალისწინებით, „უზრუნველყოფელი სტრუქტურების“ ქსელების დეტალური დაგეგმვის მიზნით (ზემოთ აღნერილი თანმიმდევრობით), საჭიროა ფართომასშტაბიანი სამუშაოების შესრულება.

## დასკვნა

საქართველოში კარგად დაგეგმილი „უზრუნველყოფელი სისტემების“ მეშვეობით შესაძლებელია:

• ფერმერული მეურნეობების, გადამამუშავებელი წარმოებასა და სოფლის ინფრასტრუქტურაში მოქმედ მცირე და სამუალო ბიზნესების, კვლევითი ინსტიტუტების, საუნივერსიტეტო მეცნიერებისა და უმაღლეს სასწავლებლების სასწავლო პროცესების ერთმანეთთან დაკავშირება, ქვეყნის მასშტაბით სასურველი სინერგიის მიღება;

• აგრარულ სექტორში ინოვაციური ტექნოლოგიების ფართოდ დანერგვა, ფერმერული მეურნეობებისა და ბიზნესების კონკურენტუნარიანობის ამაღლება, მათთვის ახალი პარტნიორებისა და გასაღების ბაზრების მოძიება;

• სოფლის მეურნეობაში და მასთან დაკავშირებულ ბიზნესში დასაქმებულებისათვის საჭირო ცოდნის გადაცემა, აგრარულ სექტორში კერძო სტრუქტურების მიერ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა

<sup>1</sup> Business Incubators. [http://professionalpractice.asme.org/Entrepreneurial/Incubators/History\\_Incubators.cfm](http://professionalpractice.asme.org/Entrepreneurial/Incubators/History_Incubators.cfm)



ბისათვის დაფინანსება, სასწავლო პროგრამების ორიენტირება სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელი წარმოების რეალურ მოთხოვნებზე.

რაც საბოლოო ჯამში გაზრდის ფერმერებისა და გადამამუშავებელი ბიზნესების საქმიანობის ეფექტიანობას, სამეცნიერო კვლევებისა და სწავლების ხარისხს.

აგრარულ სექტორში სისტემური ცვლილებების გასატარებლად, საჭიროა: სოფლის მეურნეობისა და სოფლის რეგიონების განვითარების ერთიანი სტრატეგიის შემუშავება და შესაბამისი სახელმწიფო პოლიტიკის გატარება, კანონმდებლობის დახვეწა, თანამედროვე ინფრასტრუქტურის აგება, საკრედიტო და სადაზღვევო საქმიანობის სრულყოფა.

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. **Barrow, Colin.** Incubators: A Realist's Guide to the World's New Business Accelerators. Chichester; New York: John Wiley & Sons, 2001, p.18-24;
2. **Edward M. Zablocki,** Formation of a Business Incubator, Handbook of Best Practices, State University of New York, 2007, p.7;
3. **Keanan Hunt, John Hayden and John Regan,** Business Incubators in Rural Ontario: Observing Strategies, OACFDC Conference, Ontario, 16-18 may, 2011, p.9;
4. **Perumal Koshy,** Role of Rural Business Incubators in translating micro finance to sustainable micro enterprises, International NGO Journal Vol. 6(4), pp. 104-112, Kerala, India, April, 2011
5. **Jeremy Phillipson, Mark Shucksmith and other,** RURAL ECONOMIES: INCUBATORS AND CATALYSTS FOR SUSTAINABLE GROWTH, Newcastle University, 2011, p.3;
7. **Rural business incubators and innovation,** Advancing Innovation in ECA, Internrnational Conference, Yerevan, September 18, 2007, p.14;
8. **Association of Business Incubation and Techno Parks,** The Rural Business Centre, Business Incubators, Shedule of Business Services, Myerscough College, 2011, p. 1-4;
9. **João Paulo Coelho Marques, J.M.G. Caraç and H. Diz,** Do Business Incubators Function as a Transfer Technology Mechanism from University to Industry? Evidence from Portugal, The Open Business Journal, 2010, 3, p. 15-29;
10. **Ashok Jhunjhunwala,** Rural Technology and Business Incubator (RTBI), Indian Institute of Technology, Madras, 2006, p. 11;
11. **Ali Ahmad,** On the Structure and Internal Mechanisms of Business Incubators, Dublin City University, Dublin, 2012, p.16;
12. **Teresa Gillotti and Ryan Ziegelbauer,** Seven Components of a Successful Business Incubator, Guide to the World's New Business Accelerators, New York: John Wiley & Sons, 2006, p.4-6;
13. **National Business Incubation Association,** Identifying Obstacles to the Success of Rural Business Incubators, Contractor Paper 01-08, May 2001, p.12-17;
14. **Thomas R. Harris, Robert Dick,** PRELIMINARY ANALYSIS OF RURAL BUSINESS INCUABTORS, University of Nevada, Reno, 2005, p. 4, 9;
15. **Zoltan Sipos, Altan Szabo,** Benchmarking of Business Incubators in SEE and CIS Transitiio Ecinomy, Corvinus University, Budapest, 2006, p. 24-36;
16. **Wang Rong,** The Networking System of Business Incubator, Shanghai Technology Innovation Center, Shanghai, 2007, p. 8-20;
17. **შალვა მაჭავარიანი,** საკითხები საქართველოში ბიზნეს-ინკუბატორების ქსელის ჩამოსაყალიბებლად, კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო შრომების კრებული, თბილისი, 2012, გვ.12-24.



## შალვა მაჭავარიანი

### სისტემური მიდგომის საჭიროება საქართველოს აგრარულ სექტორში არსებული ვითარების გასაუმჯობესებლად

#### რეზიუმე

საქართველოში სოფლის მეურნეობა უკანასკნელ წლებში შექმნილი მრავალი პრობლემის გამო ძლიერ რეგრესს განიცდის, რაც მნიშვნელოვანილი განაპირობებს ქვეყანაში ეკონომიკური და სოციალური სახის ნეგატიური შედეგების არსებობას.

საერთაშორისო გამოცდილება ცხადყოფს, რომ სოფლის მეურნეობის განვითარების ე.ნ. “უზრუნველყოფელი სისტემის” (კომპეტიტურის ცენტრები, სხვადასხვა პროფილის ბიზნეს-ინკუბატორები, საინვაციო ცენტრები, სიახლეებისა და საინვაციო იდეების ბანკები, ცოდნის ტრანსფერისათვის განკუთვნილი საინფორმაციო ქსელები) სწორი გამოყენებით შესაძლებელია:

- ფერმერული მეურნეობების, გადამამუშავებელი წარმოებასა და სოფლის ინფრასტრუქტურაში მოქმედ მცირე და საშუალო ბიზნესების, კვლევითი ინსტიტუტების, საუნივერსიტეტო მეცნიერებისა და უმაღლეს სასწავლებლების სასწავლო პროცესების ერთმანეთთან დაკავშირება, ქვეყნის მასშტაბით სასურველი სინერგიის მიღება;
- აგრარულ სექტორში ინოვაციური ტექნოლოგიების ფართოდ დანერგვა, ფერმერული მეურნეობებისა და ბიზნესების კონკურენტუნარიანობის ამაღლება, მათთვის ახალი პარტნიორებისა და გასაღების ბაზრების მოძიება;
- სოფლის მეურნეობაში და მასთან დაკავშირებულ ბიზნესში დასაქმებულებისათვის საჭირო ცოდნის გადაცემა, აგრარულ სექტორში კერძო სტრუქტურების მიერ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისათვის დაფინანსება, სასწავლო პროგრამების სრულყოფა.

აგრარულ სექტორში სისტემური ცვლილებების გასატარებლად, საჭიროა: სოფლის მეურნეობისა და სოფლის რეგიონების განვითარების ერთიანი სტრატეგიის შემუშავება და შესაბამისი სახელმწიფო პოლიტიკის გატარება, კანონმდებლობის დახვეწა, თანამედროვე ინფრასტრუქტურის აგება, საკრედიტო და სადაზღვევო საქმიანობის სრულყოფა.

**Shalva Machavariani**

#### The Importance of Systematic Approach for Improving Rural Situation in Georgia

##### Summary

Rural sector in Georgia is under severe retrogression because of lots of problems evoked during last years in the country. This significantly stipulates the existence of negative economic and social results.

International experience reveals that with the right use of so called “maintenance system~ of rural sector development (competence centers, business incubators of various profile, innovation and novelty idea bank, and information networks of knowledge transfer) it is possible:

- To set up connections among active small and medium sized businesses of farming, reprocessing production and village infrastructure, research institutions, university research and educational processes in higher education institutions, to get preferred synergy within the country;
- To widely establish innovative products in rural sector, raise competitiveness in farming and businesses, search new partners and sales markets for them;
- To transfer necessary knowledge to employees of rural sector and businesses connected to it, get financial support for scientific research activities in rural sector from private structures, improve educational programs;

In order to make systematic changes in rural sector, it is necessary: to work out unified strategy for developing rural sector and rural regions and to make relevant government policy, to improve legislation, build modern infrastructure, improve crediting and insurance activities.



## თალიპო ქვანია მაია მიქალაძე

### კლასიკული ანალიზის გამოყენების ცალკეული ასპექტები

ბიზნესში წარმატების მისაღწევად კომპანიისთვის მხოლოდ კარგი პროდუქციის გამოშვება არ არის საკმარისი. დიდი კონკურენციის პირობებში კომპანიამ ზუსტად უნდა განსაზღვროს თავისი წილი, რომ შექლის მოგების პროგნოზირება და გაყიდვების პოლიტიკის შემუშავება. ერთი შესედვით, ბაზრის ყველა ნიშის დაკავების მცდელობა (მასიური მარკეტინგი) განაპირობებს მაქსიმალურ მოგებას, თუმცა კომპანიებს უმეტეს შემთხვევაში არ ყოფნით ამისთვის რესურსები. ამიტომ, როგორც წესი, კომპანიები მიმართავენ მარკეტინგულ კვლევებს და გამოკვლევების შედეგების შესაბამისად ირჩევენ ბაზრის იმ ცალკეულ სეგმენტებს, რომლებსაც შეესაბამება მათი რესურსები და სადაც მათ თავისი პროდუქტები მაქსიმალურ მოგებას მოუტანს (მიზნობრივი მარკეტინგი).

მიზნობრივი მარკეტინგი სამი ძირითადი ეტაპისგან შედგება:

1. ბაზრის სეგმენტაცია — ბაზრის დაყოფა მსგავსი მოთხოვნების, მახასიათებლებისა და ქცევების მქონე მყიდველთა ჯგუფებად. ამასთან, ასეთი ჯგუფების მომსახურებისთვის საჭირო იქნება გარკვეული საქონელი და მარკეტინგული კომპლექსი;

2. მიზნობრივი სეგმენტის არჩევა ბაზარზე — თითოეული სეგმენტის შეფასება და ბაზრის ერთი ან რამდენიმე სეგმენტის შერჩევა საკუთარი პროდუქციის გასატანად;

3. ბაზარზე პოზიციონირება — საქონლისათვის ბაზარზე კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა და მარკეტინგის დეტალური კომპლექსის შემუშავება.

მარკეტინგული საქმიანობის უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს ბაზრის სეგმენტაციის საკითხი. სეგმენტაციის პროცესში პირველ ნაბიჯს სეგმენტაციის კრიტერიუმების შერჩევა წარმოადგენს. ბაზრის სეგმენტაციისათვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნას კრიტერიუმების ფართო სპექტრი (გეოგრაფიული, დემოგრაფიული, ფსიქოლოგიური და სხვა). ამასთან, თითოეული მათგანი ხასიათდება ნიშანებით, რომლებიც აღინირება ცვლადებით. მაგალითად, სეგმენტაციის დროს დემოგრაფიული კრიტერიუმით ბაზრის დაყოფა ხდება ისეთი ნიშნების შესაბამისად, როგორიცაა: ასაკი, სქესი, ოჯახის სიდიდე, ოჯახის სასიცოცხლო ციკლი, საქმიანობის სფერო, შემოსავლები, განათლება, ეროვნება, რელიგიური მრნამსი. სეგმენტაციისათვის ნიშნების დეტალური ჩამონათვალი და აღწერა მოცემულია [1]-ში. შემდეგ ბიჯს წარმოადგენს სეგმენტაციის მეთოდის არჩევა და მისი გამოყენება. საბაზრო სეგმენტების გამოყოფის სხვადასხვა მეთოდი არსებობს. ნაშრომში განხილულია სეგმენტაციის სხვადასხვა მეთოდი, ამასთან უფრო დეტალურადაა აღწერილი კლასტერიზაციის მეთოდი.

არსებობს ბაზრის სეგმენტაციის სხვადასხვა მეთოდი. გამოყენებული ცვლადების რაოდენობის მიხედვით სეგმენტაციის მეთოდები იყოფა ერთპარამეტრულ და მრავალპარამეტრულ მეთოდებად. ერთპარამეტრიანი მეთოდი წარმოადგენს მომხმარებლის სეგმენტაციის გამარტივებულ სქემას. ერთპარამეტრიანი მეთოდის გამოყენება ახალი ბაზრებისთვის ზოგჯერ მისაღებია, მაგრამ მომხმარებლების გამოცდილების და გემოვნების ზრდასთან ერთად ის ვერ ასახავს ბაზრის სტრუქტურას.

მრავალპარამეტრიანი მეთოდი ცვლადების დამუშავების თანმიმდევრობის მიხედვით იყოფა ორ ძირითად ჯგუფად: მეთოდები, რომლის დროსაც სეგმენტაციის ცვლადების ანალიზი მიმდინარებობს მიმდევრობით და მეთოდები, რომლის დროსაც ყველა შერჩეული ცვლადის შესწავლა და ანალიზი ხდება ერთდღიულად.

პირველ შემთხვევაში ბაზრის სეგმენტაციის ყველაზე გავრცელებულ მეთოდს წარმოადგენს ერთი ან რამდენიმე ნიშნის მიხედვით დაჯგუფება, ხოლო მეორე შემთხვევაში მრავალგანზომილებიანი სტრუქტისტიკური ანალიზის მეთოდი. დაჯგუფების მეთოდის არსი მდგომარეობს უმნიშვნელოვანესი ნიშნების მიხედვით ობიექტების ერთობლიობის თანმიმდევრულად დაყოფაში. შემდეგ უნდა შეირჩეს რომელიმე ნიშანი სისტემურ კრიტერიუმად და მოხდეს ისეთი ჯგუფის ფორმირება, რომელშიც ამ კრიტერიუმის მნიშვნელობა გაცილებით დიდია, ვიდრე მოცემული საქონლის პოტენციური მომხმარებლების მთელ ერთობლიობაში. ამონარჩევის ორ ნაწილად თანმიმდევრული დაყოფით მიიღება ქვეჯგუფები.

მრავალგანზომილებიან მეთოდებში დაყოფა ხდება კომპლექსურად - ერთდღიულად რამდენიმე ნიშნის ანალიზის საფუძველზე. ამ მეთოდებში ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურს წარმოადგენს კლასტერულ ანალიზის მეთოდები. კლასტერულ მეთოდებში იგულისხმება, რომ ბაზრის სტრუქტურა ცნობილი არ არის. ამ შემთხვევაში მიმდინარეობს პოტენციური მომხმარებლების დაჯგუფება კლასტერებად (ბაზრის სეგმენტებად) — მსგავსი ობიექტების (მომხმარებლების) ქვესიმრავლებად, რომლებიც არ იკვეთება. დაჯგუფების ძირითად კრიტერიუმად გვევლინება გარკვეული წესით განსაზღვრული დაშორება: ერთმანეთთან „ახლოს“, მდგომი ობიექტები უნდა მოხვდნენ ერთ კლასტერში, ხოლო ერთმანეთისგან „საკმაოდ დაშორებული“, ობიექტები უნდა განლაგდნენ სხვადასხვა კლასტერში. ამასთან, ჯგუფების რაოდენობა შესაძლებელია ნინასნარ არ იყოს ცნობილი. შემდეგ უნდა განისაზღვროს ცვლადები (ნიშნები), რომელთა საშუალებითაც შესაძლებელი ხდება კლასტერების ფორმალური აღწერა (საბაზრო სეგმენტი). კლასტერული ანალიზის პოპულარობა განპირობებულია იმით, რომ ბევრი მათემატიკურ—სტატისტიკური მეთოდისაგან განსხვავებით, შესაძლებელია ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე განვიხილოთ მრავალი განსხვავებული ხასიათის საწყისი მონაცემი.



დღეისათვის შემუშავებულია კლასტერიზაციის მრავალი ალგორითმი [2]. უნდა აღინიშნოს, რომ კლასტერიზაციის ანალიზის მეთოდების სიმრავლე და მრავალფეროვნება განპირობებული არ არის მხოლოდ კლასტერიზაციის ალგორითმების არსებობით, არამედ იმით, თუ როგორ უზრუნველყოფს ცალკეული მეთოდი შემდეგი საკითხების გადაწყვეტას:

1. კლასტერიზაციისათვის ობიექტების ამონარჩევის ფორმირებას და მათი მოცულობის განსაზღვრას;

2. ნიშნების და მათი გაზომვის სკალის შერჩევას;

3. ობიექტების „სიახლოების“ (მსგავსების) ზომის შერჩევას.

**ამონარჩევის ფორმირება და მისი მოცულობის განსაზღვრა.** მცირე რაოდენობის ობიექტების შემთხვევაში ხდება თითოეული მათგანის შესწავლა. დიდი რაოდენობის ობიექტების შემთხვევაში კი — მხოლოდ ერთობლიობის გარკვეული ნაწილის (ამონარჩევის) შესწავლა. მარკეტინგულ კვლევებში, როგორც წესი, შეისწავლიან ობიექტების ამონარჩევს. ბუნებრივია, ამონარჩევით მიღებული მონაცემები, გარკვეულად განსხვავებული იქნება ყველა ობიექტის ერთობლიობის მონაცემებისგან. ეს განსხვავება მონაცემებს შორის განპირობებულია შემდეგი ორი ფაქტორით: ამონარჩევის ფორმირების მეთოდით და ამონარჩევის მოცულობით (ზომით).

ფორმირების პროცედურების შესაბამისად, განასხვავებულ ალბათურ და დეტერმინირებულ ამონარჩევებს. ძირითადი განსხვავება მითითებულ პროცედურებს შორის მდგომარეობს იმაში, რომ ალბათური ამონარჩევის შემთხვევაში ნებისმიერი ობიექტი შესაძლებელია აღმოჩნდეს ამონარჩევში და ამასთან ამონარჩევში მოხვედრის ალბათობა თითოეული ობიექტისთვის განსაზღვრულია. დეტერმინირებული ამონარჩევის შემთხვევაში, ობიექტების ნაწილი შესაძლოა საერთოდ ვერ მოხვდეს ამონარჩევში, ამასთან არც ერთი ობიექტისთვის წინასწარ არ არის განსაზღვრული მისი ამონარჩევში მოხვედრის ალბათობა. ალბათურ ამონარჩევებს გააჩნიათ უპირატეობა იმ თვალსაზრისით, რომ ისინი განაწილების მახასიათებლის გათვლის საშუალებას იძლევა. დეტერმინირებული ამონარჩევის შემთხვევაში ეს შეუძლებელია, თუმცა მათი პოპულარობა განპირობებულია დაპროექტებისა და რეალიზაციის შედარებითი სიმარტივით.

ამონარჩევის ოპტიმალური მოცულობის განსაზღვრისათვის არ არსებობს ზუსტი ფორმულა. ამონარჩევის მოცულობა დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია გამოკითხვებზე განეცემი დანახარჯები და შედეგების განსაზღვრული სტატისტიკური საიმედობის უზრუნველყოფა.

**ნიშნების და მათი გაზომვის სკალის შერჩევა.** ამ ეტაპის ძირითად მიზანს წარმოადგენს ნიშნების სწორად შერჩევა და მონაცემთა სიჭარბის თავიდან აცილება. შერჩეული ნიშნების ერთობლიობამ, კონკრეტული მარკეტინგული კვლევის შესაბამისად, ზუსტად და სრულყოფილად უნდა დაახასიათოს ობიექტი. დიდი რაოდენობის ნიშნების შემთხვევაში ანალიტიკოსისათვის საკმაოდ რთულია მიღებული კლასტერების ინტერპრეტირება. ამ ეტაპზე, თუ შესაძლებელია, უნდა მოხდეს ნიშნების რაოდენობის შემცირება.

ერთ-ერთ მეთოდს, რომელიც გამოიყენება ნიშნების რაოდენობის შესამცირებლად, წარმოადგენს ფაქტორული ანალიზი. ფაქტორული ანალიზის საშუალებით, საწყისი ნიშნების სიმრავლე დაიყვანება და-მოუკიდებელი ფაქტორების მინიმალურ რიცხვზე. რამდენადაც ერთ ფაქტორში გაერთიანებულია ნიშნები, რომლებიც ერთმანეთთან მჭიდროდ არის კორელირებული, ეს ნიშნავს, რომ ფაქტორი ფაქტიურად შეიცავს ინფორმაციას რამდენიმე ნიშანზე.

ამ ეტაპზე შესაძლოა საჭირო გახდეს ამა თუ იმ მეთოდის გამოყენებით საწყისი ნიშნების ნორმირება. თუ გამოსაკვლევ ნიშნებს აქვთ სხვადასხვა მასშტაბი, მაშინ თვისებების სივრცეში ობიექტის მდგომარეობის ამსახველ წერტილებს შორის მანძილის განსაზღვრისას, ნიშანი, რომელსაც აქვს დიდი მნიშვნელობა, გაანიჭრალებს მცირე მასშტაბის მქონე ნიშნის გავლენას ობიექტების დაჯგუფების პროცესზე. ნორმირების პროცესი აგვაცილებს ერთი ნიშნით გამოწვეულ შესაძლო დიდ გავლენას ობიექტების შორის მანძილზე. არსებობს საწყისი მონაცემების ნორმირების სხვადასხვა მეთოდი:

$$z = (x - \bar{x}) / \sigma;$$

$$z = x / \bar{x};$$

$$z = x / x_{\max};$$

$$z = (x - \bar{x}) / (x_{\max} - x_{\min}),$$

სადაც  $\bar{x}, \sigma$  არის შესაბამისად  $x$ -ის საშუალო და საშუალო კვადრატულ გადახრა, ხოლო  $x_{\max}, x_{\min}$  -  $x$ -ის უდიდესი და უმცირესი მნიშვნელობებია.

**ობიექტების მსგავსების ზომის შერჩევა.** მსგავსი ობიექტების დასაჯგუფებლად კლასტერებში საჭიროა მსგავსების რაოდენობრივი შეფასება. რადგან ობიექტი, რომელიც აღინერება  $N$  ნიშნით, შეიძლება წარმოვადგინოთ როგორც წერტილი  $N$  განზომილებიან სივრცეში, ამდენად შესაძლებელია ამ ობიექტის სხვა ობიექტთან მანძილის მიხედვით მსგავსების შეფასება: რაც უფრო ნაკლებია ობიექტებს შორის მანძილი, მით მეტად მსგავსია ისინი.

განვიხილოთ ობიექტებს შორის მსგავსების შეფასების რამდენიმე ცნობილი მეთოდი[3]:



1. ევკლიდური მანძილი - ეს არის ყველაზე პოპულარული მეტრიკა კლასტერულ ანალიზში. ის რაოდენობრივი ცვლადებისთვის გამოიყენება. გეომეტრიულად ეს მეტრიკა ყველაზე უკეთ აერთიანებს ობიექტებს სფერულ ფორმაში:

$$d_{ik} = \left( \sum_{j=1}^N (x_{ij} - x_{kj})^2 \right)^{\frac{1}{2}}$$

2. მანქეტენის მანძილი - ეს მეტრიკაც გამოიყენება რაოდენობრივი ცვლადებისთვის. უმეტეს შემთხვევაში, ამ მანძილის გათვლას მივყავართ ევკლიდეს მანძილით მიღებულ გათვლის შედეგებამდე. ამ ზომაში ცალკეული ამოვარდნილი ობიექტების — გამონაკლისების — გავლენა ნაკლებია, რადგან ამ შემთხვევაში, ევკლიდეს მეტრიკისგან განსხვავებით, კოორდინატები კვადრატში არ ადის:

$$d_{ik} = \sum_{j=1}^N |x_{ij} - x_{kj}|$$

3. ჰემინგვის მსგავსების ზომა - ეს მანძილი გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ მონაცემები ნომინალურია.

$$\mu_{ik}^H = \frac{n_{ik}}{N}$$

სადაც  $n_{ik}$  არის  $X_i$  და  $X_k$  ობიექტების იმ ნიშნების რაოდენობა, რომლებიც ერთმანეთს ემთხვევა.

გარდა ზემოთ აღნიშნული მეტრიკებისა, არსებობს მრავალი სხვა მეტრიკაც. აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა მეტრიკის გამოყენებას მივყავართ კლასტერიზაციის სხვადასხვა შედეგთან. ამიტომ მანძილის განსაზღვრის მეთოდის შერჩევისას გათვალისწინებული უნდა იქნას, როგორც გადასაწყვეტი ამოცანის სპეციფიკა, ასევე კლასტერიზაციის ალგორითმის ტიპი.

**კლასტერიზაციის ალგორითმები.** არსებობს კლასტერიზაციის მრავალი ალგორითმი. კლასტერების აგების პრინციპის მიხედვით შესაძლებელია მათი დაყოფა ორ ძირითად ტიპად: იერარქიულ და არაიერარქიულ ალგორითმებად.

იერარქიული ალგორითმები თავის მხრივ იყოფა გაერთიანების და დაყოფის ალგორითმებად. გაერთიანების ალგორითმი იწყება ერთეულებისგანი კლასტერებით, რომლებიც ალგორითმის შესრულების პროცესში ერთიანდება უფრო მსხვილ კლასტერებად მანამ, სანამ საბოლოოდ არ მიიღება ერთი კლასტერი, რომელიც ამონარჩევის ყველა ობიექტს შეიცავს. დაყოფის ალგორითმებში სანინაალმდეგო პროცედურა მიმდინარეობს: თავდაპირველად, ყველა ობიექტი ერთიანდება ერთ კლასტერში, ხოლო შემდეგ მათი დაყოფა მიმდინარეობს მანამ, სანამ თითოეული ობიექტი არ აღმოჩნდება თავის საკუთარ კლასტერში. იერარქიული კლასტერიზაციის დროს ხდება არა მხოლოდ უბრალოდ ჯგუფებად დაყოფა, არამედ უნდა აიგოს დენდროგრამა, რომელიც ასახავს განსაზღვრული მანძილების შესაბამისად ობიექტების თანმიმდევრულ კლასტერებად გაერთიანებას.

იერარქიული გაერთიანების ალგორითმები წარმოადგენს კლასტერული ანალიზის ერთ—ერთ ყველაზე პოპულარულ მეთოდს მარკეტინგულ კვლევებში. ისინი თითქმის ყველა სტატისტიკურ პაკეტში გვხვდება (მაგალითად SPSS, Statistica, Statgraphics). ახალი კლასტერის ფორმირებისას გაერთიანების იერარქიული მეთოდები ერთმანეთისგან განსხვავდება კლასტერებს შორის მანძილის შეფასების წესით:

1. ერთეულოვანი კავშირების („უახლოესი მეზობლის“) მეთოდი. კლასტერებს შორის მანძილი განისაზღვრება ამ ორი კლასტერის უახლოეს ობიექტებს შორის მანძილით:

$$\rho(K_i, K_j) = \min_{x_i \in K_i, x_j \in K_j} \rho(x_i, x_j)$$

ამ მეთოდის გამოყენების შედეგად მიიღება კლასტერების გრძელი „ჯაჭვი“,

2. სრული კავშირის („უშორესი მეზობლის“) მეთოდი. აქ მანძილი სხვადასხვა კლასტერის ყველაზე დაშორებულ ობიექტებს შორის მანძილით განისაზღვრება.

$$\rho(K_i, K_j) = \max_{x_i \in K_i, x_j \in K_j} \rho(x_i, x_j)$$

თუ კლასტერებს გააჩნია მოგრძო ფორმა ან გვაქვს კლასტერების გრძელი „ჯაჭვი“, ამ მეთოდის გამოყენება რეკომენდებული არ არის.

3. არაშენონილი საშუალო კავშირის (**UPGMA**) მეთოდი. ორ სხვადასხვა კლასტერს შორის მანძილი განისაზღვრება მათი შემადგენელი ობიექტების ყველა წყვილს შორის მანძილის საშუალო სიდიდით.

4. შენონილი საშუალო კავშირის (**WPGMA**) მეთოდი. ნინა მეთოდისგან განსხვავებით, ამ შემთხვევაში, ნონით კოეფიციენტად გამოყენებულია კლასტერში ელემენტების რაოდენობა. ეს მეთოდი გამოიყენება მაშინ, როცა სავარაუდოდ ცნობილია, რომ კლასტერებს განსხვავებული ზომა გააჩნია.

5. არაშენონილი ცენტროიდების (**UPGMC**) მეთოდი. კლასტერებს შორის მანძილი განისაზღვრება მანძილით მის ცენტროიდებს ანუ ყველა ცვლადის საშუალო არითმეტიკულებს შორის.



6. შეწონილი ცენტროიდების (**WPGMC, მედიანის**) მეთოდი. ეს მეთოდი წინა მეთოდის იდენტურია იმ განსხვავებით, რომ გათვლების დროს კლასტერებს შორის ზომების სხვაობის დასადგენად გამოიყენება წონები. ეს მეთოდი გამოიყენება მაშინ, როდესაც კლასტერების ზომები ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდება.

7. უორდის მეთოდი. ეს მეთოდი დისპერსიული ანალიზის მეთოდს ეფუძნება. ის იმ კლასტერთა წყვილებს აერთიანებს, რომელთა გაერთიანების შედეგად ხდება კლასტერის თითოეული ობიექტიდან კლასტერულ ცენტრამდე ევკლიდური მანძილების კვადრატების ჯამის მინიმალური ზრდა. ეს მეთოდი გამოიყენება ახლოს მდგრმი კლასტერების გასაერთიანებლად და მისი გამოყენების შედეგად მიიღება მცირე ზომის კლასტერები.

ზემოთ აღნერილი ყველა მეთოდი ხასიათდება დადებითი და უარყოფითი მხარეებით. მათ შერჩევას უმეტესწილად ახდენენ გასაანალიზებელი მონაცემების სპეციფიკიდან გამომდინარე. თუმცა იტერაციული მეთოდების უარყოფით მხარედ ითვლება ის, რომ დიდი რაოდენობის ობიექტების შემთხვევაში ისინი არ იძლევა შედეგს. ასეთ შემთხვევაში, იყენებენ არაიერარქიულ მეთოდებს, რომელთა არსიც მდგომარეობს იტერაციული მეთოდების გამოყენებაში, საწყისი ერთობლიობის დასაყოფად. იტერაციული დაყოფის მეთოდებს განეკუთვნება მიმდევრობითი ზღურბლის მეთოდი, პარალელური ზღურბლის მეთოდი და განაწილების ოპტიმიზაციის მეთოდი.

მიმდევრობითი ზღურბლის მეთოდის დროს ირჩევენ კლასტერის ცენტრს და ყველა ობიექტი, რომლის დაშორება ცენტრიდან არ აღემატება ზღურბლის მოცემულ მნიშვნელობას, ერთ კლასტერში ერთიანდება. შემდეგ ირჩევენ ახალ კლასტერულ ცენტრს და პროცესი გრძელდება დარჩენილი ობიექტებისათვის.

პარალელურ ზღურბლის მეთოდში მიმდევრობითისგან განსხვავებით, ერთდროულად ხდება რამდენიმე კლასტერული ცენტრის შერჩევა და ობიექტები, ზღურბლის მნიშვნელობის ფარგლებში უახლოეს ცენტრთან ერთიანდება.

განაწილების ოპტიმიზაციის მეთოდში კლასტერების რიცხვი წინასწარ განისაზღვრება და ობიექტები კანონზომიერების რაიმე პრინციპის მიხედვით ცალკეულ კლასტერებთან ერთიანდება. შემდეგ ობიექტები კლასტერებში გადანაწილდება ისე, რომ მოხდეს მიზნობრივი ფუნქციის ოპტიმიზაცია, რომელიც წარმოადგენს მიღებული დაყოფის ხარისხის მაჩვენებელს. ალგორითმი დასრულებულია, თუ ელემენტების შემდგომი გადანაწილებით არ ხდება მიზნობრივი ფუნქციის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება. ეს მეთოდები ერთმანეთისგან ცენტრის არჩევის პროცედურით, ასევე კლასტერებს ფორმირების და დასრულების წესებით განსხვავდება. ყველაზე ხშირად გამოიყენება ე.წ. k-საშუალოს ალგორითმი, რომელსაც ასევე უწოდებენ სწრაფი კლასტერული ანალიზის ალგორითმს. ამ მეთოდის გამოყენების დროს წინასწარ უნდა დაფიქსირდეს კლასტერების რაოდენობა. k-საშუალოს ალგორითმი შედგება ბიჯებისგან:

1. ობიექტების პირველადი გადანაწილება კლასტერებში. აირჩევა k ობიექტი, რომელიც წარმოადგენს შესაბამისი k კლასტერების ე.წ. „ცენტრებს“. საწყისი ცენტრების შესარჩევად შესაძლებელია სხვადასხვა მეთოდის გამოყენება, მათ შორის შემთხვევითი შერჩევის მეთოდისაც. შედეგ ხდება დარჩენილი ობიექტების გადანაწილება ისე, რომ მანძილი ობიექტსა და შესაბამისი კლასტერის ცენტრს შორის იყოს მინიმალური.

2. იტერაციული პროცესი. ყოველ იტერაციაზე თითოეული კლასტერისათვის წინა ბიჯზე მიღებული ცენტრის გადაანგარიშება ხდება. შემდეგ კი - ობიექტები გადანაწილდება ისე, რომ ისინი აღმოჩნდნენ კლასტერში, რომლის ცენტრამდეც მათი დაშორება არის მინიმალური.

ალგორითმი დასრულდება კლასტერების სტაბილიზაციის ეტაპზე ანუ მაშინ, როცა კლასტერებში ობიექტების შეცვლა აღარ ხდება.

k-საშუალოს ალგორითმის დადებით მხარეს წარმოადგენს ალგორითმის გასაგებობა, სიმარტივე, გამოყენების სისწრაფე და გამჭირვალეობა. ამ ალგორითმის უარყოფითი მხარეებს განეკუთვნება: კლასტერების რიცხვის წინასწარ განსაზღვრის აუცილებლობა; შედეგის ხარისხის მნიშვნელოვნად დამოკიდებულება საწყისი ცენტრების შერჩევაზე.

კლასტერიზაციის განხილული მეთოდების ანალიზის შედეგად შესაძლებელია დავასკვნათ:

არაიერარქიული მეთოდები ხასიათდება შედარებით მაღალი მდგრადობით ხმაურებისა და გამონაკლისების, ასევე არაკორექტულად შერჩეული მეტრიკის მიმართ. თუმცა ამ მეთოდების დროს საჭირო ხდება წინასწარ განისაზღვროს კლასტერების რაოდენობა, იტერაციების რაოდენობა ან ალგორითმის დასრულების წესი, ასევე კლასტერიზაციის ზოგიერთი სხვა პარამეტრები, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს შედეგის ხარისხზე. თუ არ არსებობს კლასტერების რაოდენობის სავარაუდო მნიშვნელობა, მაშინ რეკომენდებულია იერარქიული ალგორითმების გამოყენება.

იერარქიულ მეთოდებში, არაიერარქიული მეთოდებისაგან განსხვავებით, იქმნება ჩალაგებული კლასტერების ხე და არ არის კლასტერების რაოდენობის წინასწარი განსაზღვრის საჭიროება. ამ ჯგუფის მეთოდების უპირატესობას არაიერარქიულთან შედარებით წარმოადგენს მონაცემთა სტრუქტურაზე დეტალური ინფორმაციის მიღების შესაძლებლობა. გარდა ამისა, იერარქიული მეთოდების გამოყენების დროს შესაძლებელია მონეცემთა ნაკრებიდან გამონაკლისების იდენტიფიცირება, რაც განაპირობებს მონაცემთა ხარისხის ზრდას. კლასტერიზაციის იერარქიული მეთოდების სირთულეს წარმოადგენს: მო-



ნაცემთა სიმრავლის მოცულობის შეზღუდვა, სიახლოვის ზომის დადგენა, მიღებული კლასიფიკაციების მოუქნელობა.

რადგან, კლასტერიზაციის თითოეული ალგორითმი ხასიათდება თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეებით, ამიტომ კლასტერიზაციის ალგორითმის შერჩევა უნდა მოხდეს კონკრეტული ამოცანის მოთხოვნების შესაბამისად.

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. გ. ამსტრონგი, ფ. კოტლერი, მარკეტინგის საფუძვლები (მე—7 გამოცემა), Perosn Education Inc., 2005 წ;
2. ო. ვერულავა, რ. ხუროძე, ამომცნობი სისტემების თეორიის საფუძვლები, ტექნიკური უნივერსიტეტი, 2001 წ;
3. T. Zhvania, O. Verulava, Formation Of The Similarity Measures For The Standard Description Obtained By Clustering

**თალიკ ჟვანია  
მაია მიქელაძე**

### **კლასტერული ანალიზის გამოყენების ცალკეული ასპექტები**

#### **რეზიუმე**

მარკეტინგული კვლევების ერთ—ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს ბაზრის სეგმენტაციის საკითხები. ნაშრომში განხილულია სეგმენტაციის სხვადასხვა მეთოდი, ამასთან დეტალურადაა აღნერილი კლასტერიზაციის მეთოდი და მისი გამოყენების ცალკეული ასპექტები. აღნერილია კლასტერიზაციის ალგორითმების ისეთი უმნიშვნელოვანესი საკითხები, როგორიცაა: ობიექტების ამონარჩევების ფორმირება; ნიშნებისა და მათი გაზომვის სკალის, ასევე მსგავსების ზომების შერჩევა. განხილულია კლასტერიზაციის იერარქიული და არაიერარქიული ალგორითმები, მოცემულია მათი დადებითი და უარყოფითი მხარეები და შედარებითი ანალიზი.

**Taliko Zhvania  
Maia Mikeladze**

### **Some Aspects of Using the Cluster Analysis**

#### **Summary**

Market segmentation is one of the most important task of marketing research. The authors consider several methods of segmentation, methods of clusterization and gives detailed description of its application aspects.

This article describes important tasks of clusterization algorithms: formation of objects sample, selection of features and their measuring scale, selecting of similarity measures. The authors discuss the hierarchical and non-hierarchical algorithms with their positive and negative sides and perform their comparative analysis.

**Paul Sankess**


**The euro crisis might wake Europe up.  
But more likely, it will lead to compromise and decline**

WHEN BRITAIN ABANDONED the gold standard in 1931, it was not only forsaking a system for managing the currency but also acknowledging that it could no longer bear the mantle of empire. When America broke the dollar's peg with gold in 1971, it ushered in a decline that continued until Paul Volcker re-established confidence in the currency in the early 1980s. As Joseph Schumpeter, the great Austrian economist, once wrote: 'The monetary system of a people reflects everything that the nation wants, does, suffers, is.'

In the same way, the crisis that has engulfed the European Union (EU) is about much more than the euro. As government bonds, share prices and banks swoon and global recession knocks on the door, the first fear is of financial and economic collapse. But to understand what is happening to the currency you also need to look at what is happening to Europe.

The euro will not be safe until Europe answers some fundamental questions that it has run away from for many years. At their root is how its nations should respond to a world that is rapidly changing around them. What will it do as globalisation strips the West of the monopoly over the technologies that have made it rich, and an ageing Europe starts to look increasingly like the western peninsula of a resurgent Asia?

Some Europeans would like to put up carefully designed fences around the EU's still vast and wealthy market. Others, including a growing number of populist politicians, want to turn their nations inward and shut out not just the world but also the elites' project of European integration. And a few—from among those same elites, mostly—argue that the only means of paying for Europe's distinctive way of life is not to evade globalisation but to embrace it wholeheartedly.





This is not some abstract philosophical choice. It is a fierce struggle for Europe's future, being waged in Athens as George Papandreou loses power to a temporary government of national unity, in derelict factories in France and Belgium and in the wasted lives of millions of unemployed young Spaniards. This struggle will set the limits on Europe's welfare state. It will determine how the unbalanced partnership between Germany and France, and an increasingly detached Britain, will shape the EU. It will define the high politics of Brussels and the low politics of European populism. And it will decide the fate of the device that Schumpeter would see as the embodiment of all this: the euro.

Just now the euro zone is caught in a dismal downward spiral. Fears about whether the governments in Greece, Portugal, Ireland, Spain and, most alarmingly, Italy will honour their €3 trillion (\$4.2 trillion) or so of borrowing are wrecking European banks, which own their debt. Struggling banks undermine confidence and credit. Coming on top of fiscal austerity, this is bringing on recession, deepening fears that governments will be unable to pay back their debts, which further weakens the banks. And so the vice turns, down towards disaster.

The euro zone still has the capacity to stop this run on its banks and governments. As a block, it is less indebted than America and its public-sector deficit is lower. It has the money to fortify its banks against the default of Greece—and Portugal and Ireland, if need be. And it is minded by the European Central Bank (ECB), which can in principle stand behind those vulnerable governments by buying their debt in unlimited quantities on the secondary market. But the EU has repeatedly failed to put forward a convincing euro rescue. Its latest and bravest attempt, at the end of last month, fell short of the mark—just like all the others. That is because the Europeans are deeply at odds over what the crisis is really about, and riven by disagreement over what each country must contribute towards solving it ([see article](#)). So long as the euro zone's members cannot settle these arguments, or at least agree that their differences matter less than finding a solution, the collective action needed to defend the euro will remain impossible.

### **Many roads to disaster**

While the world waits for Europe to make up its mind, catastrophe is in the air. It could take many forms. A country might storm out of the euro—which the treaty forbids, but who could stop a determined government? European banks might suffer a fatal loss of confidence. Italy or Spain might become unable to borrow on decent terms. Or a government trying to impose austerity might be replaced by one that rejects it. Any of these could cause contagion and plunge the world economy into depression.

Some people speculate that Germany might lead a breakaway core of euro-zone countries. But as the Teutonic euro soared in value, banks and companies would lose huge sums on their assets abroad and its exporters would find themselves at a disadvantage. Besides, for Germany to flout an EU treaty so brazenly would damage all EU law, which argues strongly against it.

Greece is more likely to buckle under austerity and quit after a succession of governments like the new one. But it would be a desperate act. Banks would collapse and capital flee, and many of Greece's companies, unable to pay their euro-denominated bills, would go bankrupt. Already shut out of debt markets, Greece would probably lose all financial aid from the EU.

Amid recession and the contagion of a debt default, bank collapse or Greek departure from the euro, Europe's single market would be in danger. At an EU summit in 2008, when the financial crisis was raging, Nicolas Sarkozy chastised the commission for being too zealous in upholding competition. A senior official reckons that, if the French president had at that moment asked for a vote, the heads of government would have suspended the rules. The crisis today is at least as grave as it was then.

Since it is possible to avoid such a catastrophe, you might think that the worst will not happen. And indeed it is unlikely—but not impossible. Precisely because of the dire consequences, everyone is counting on the next person to see reason. The new Greek government might reckon that Europe would never let Greece collapse. At the same time the ECB and Germany might refuse to step in, because they do not want countries to evade reform. Or perhaps austerity might eventually lead to populists that turn away from the euro—to hell with the consequences.

A euro-zone central banker confesses that he has lately been thinking about historical catastrophes such as the first world war and wondering how the world blundered into them. „From the middle of a crisis“, he says ominously, „you can see how easy it is to make mistakes.“

Economic and Monetary Union (EMU) was supposed to banish the competitive devaluations that threatened the single market in the early 1990s. It promised to bind a unified Germany into the EU and pave the way for some sort of political union in Europe. Today that dream has not vanished altogether, but the single market is under threat once more. Europe's nations are at loggerheads, Germany is in a state of outrage, and the link between the euro and the nation state is more fraught than ever. EMU truly is, writes David Marsh, author of a history of the euro, „Europe's Melancholy Union“.

„The 2008-2011 crisis shows that the dominant economies were not as dominant as they thought,“ says Dominique Strauss-Kahn, the French former head of the IMF. „If Europe fails, it will suffer from low growth, economic domination and cultural domination.“ Can Europe turn back from the abyss? Only if the core countries will support the rest as they submit themselves to radical political, social and economic reform. Nobody should be under any illusions about how difficult that will be.



## პოლ სანკესი

ევროკრიზისმა ევროპა უნდა გამოაღვიძოს.  
თუმცა, უფრო სავარაუდოა, რომ ევროკრიზისი  
კომპრომისით ან შემცირებით დასრულდება

### რეზიუმე

წინამდებარე სტატიაში წარმოდგენილია ევროკავშირის „ევროს“, ზონის ქვეყნებში წარმოჩნდებული ზოგიერთი პრობლემური საკითხი. რომელიც მსოფლიო ფინანსურ კრიზისთან ერთად განვითარდა და რიგ ქვეყნებში ( ესპანეთი, საბერძნეთი, პორტუგალია, კვიპროსი და სხვა) მძაფრი ხასიათი შეიძინა. იმდენად მძაფრი, რომ საერთო ევროპული ვალუტის არსებობის ფაქტიც კი კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენა. ფინანსისტ ეკონომისტების ექსპერტთა შორის აზრთა სხვადასხვაობაა. ერთნი - კრიზისის წარმომჩენ ძირითად მიზეზად ევრო ზონის ქვეყნების განსხვავებული განვითარების დონით ხსნიან. მეორენი ყოველივეს ძირითადში მსოფლიო ფინანსური კრიზისის თანმდევ მოვლენად განიხილავენ. საქმე იმაში გახლავთ, რომ ორივე არგუმენტი სწორია და ობიექტური მიზეზობრივი კავშირით ხასიათდება, მაგრამ არა მხოლოდ ეს ორი. მიმართია, რომ პრობლემატურ საკითხთა წრე ბევრად უფრო ფართოა, რომელსაც სწორი ანალიზი და შესაბამისი დასკვნები ესაჭიროება. მათგან გამოვყოფდი ერთ ერთ უმთავრეს საბიუჯეტო სახსრების მომჭირნეობითი ხარჯების, გამართული მონიტორინგის ინსტიტუციონალური მოწყობის საკითხებს.

მიუხედავად იმისა, რომ სტატიაში აღნერილი სიტუაცია ევრო ზონის ქვეყნებს შეეხება, ვფიქრობ გასათვალისწინებელია საქართველოსათვისაც. როგორც თვალნათელი მაგალითი იმისა, როცა სახელმწიფო საბიუჯეტო ხარჯები გაუაზრებლად ისმარება უცილობელი კრიზისის გამომწვევი მიზეზი ხდება, რის გამკლავებაც საქართველოზე ბევრად უფრო ძლიერი ეკონომიკის მქონე ევროპულ ქვეყნებსაც, ევროკავშირის წამყვანი სახემწიფოების მხარდაჭერის მიუხედავად ძალზე უჭირს.

**Paul Sankess**

**The euro crisis might wake Europe up, but more likely, it will lead to compromise and decline**

### Summary

This article covers several problems which have emerged in the Euro zone of the European Union. They developed along with the world economic crisis, and in some countries (like Spain, Greece, Portugal, Cyprus and others) took a rough turn. So rough that it threatened the very foundations of the existence of the common European currency putting it under a strong question mark. There is a variety of opinions among the community of financial experts. Part of them see different levels of development among European nations – members of the Euro zone as one of the reasons of this crisis. Others see it basically as collateral to the world financial crisis. The point is that both arguments are true and have objective proximate cause and interconnection. But there are other reasons, too. I believe that the bunch of problem issues is much wider and it should be put under right analysis to receive good findings. I would put forward one of the strongest – austerity measures of the budget and institutional issues of its monitoring.

**Despite the fact that the topic of this article deals with the nations of the Euro zone, I think it should be noteworthy for Georgia, too, as an example that unreasonable spending of the state budget funds immediately becomes the cause of the crisis. Such crisis is difficult to tackle even for European countries with much stronger than Georgia economic foundations in spite of the support of the leading EU nations.**



## გაია სეთური

### კომპანიის მარკატინგული საქმიანობის ეფექტიანობის შეფასებისათვის

ჩვენს ქვეყანაში საბაზრო ურთიერთობების დამკვიდრების აუცილებლობას მჭიდროთ უკავშირდება მარკეტინგის როლისა და მნიშვნელობის ზრდა. თუმცა მარკეტინგი გულისხმობს კომპანიების მხრიდან ხარჯების ზრდასაც. ამიტომ კომპანიებში მარკეტინგის დეპარტამენტმა მუდმივად უნდა აწარმოოს მარკეტინგული გეგმების რეალიზაციის და მთელი თავისი მარკეტინგული საქმიანობის მონიტორინგი. აღნიშნული საკითხის მიმართ შეინიშნება სხვადასხვა დამოკიდებულება. მცირე ფირმები ნაკლებად ზრუნავენ მარკეტინგული საქმიანობის შედეგების შეფასების სისტემის ჩამოყალიბებაზე, კომპანიების მნიშვნელოვან ნაწილს არ აქვს ნარმოდგენა თავისი პროდუქტების მომგებიანობის შესახებ, ხოლო ზოგიერთ კომპანიას არ გააჩნია კონტროლის რეგულარული პროცედურა. მარკეტინგული საქმიანობის კონტროლის სისტემას შეუძლია კომპანიის მარკეტინგული საქმიანობის ეფექტიანობის შეფასების საქმეში მნიშვნელოვანი როლის შესრულება.

მარკეტინგის წლიური გეგმების კონტროლის ამოცანაა, კომპანია დარწმუნდეს, რომ წლიური გეგმით განსაზღვრული გაყიდვების მოცულობის, მოგების და სხვა მაჩვენებლების მიხედვით აღნევს დასახულ მიზნებს. კონტროლის პროცესში შეიძლება გამოიყოს ოთხი ეტაპი: მიზნების განსაზღვრა, საქმიანობის მაჩვენებლების გაზომვა, საქმიანობის ანალიზი და კორექტირება.

კონტროლის მოცემული მოდელი გამოიყენება ორგანიზაციის ყველა დონეზე. კომპანიის უმაღლესი ხელმძღვანელობა ადგენს წლიურ მიზნებს მოგებისა და გაყიდვების მოცულობის მიხედვით. მართვის ყოველი მომდევნო დონისათვის ეს მიზნები იყოფა უფრო კონკრეტულ და მცირე მიზნებად. კონკრეტული მიზნები აქვთ გაყიდვების რეგიონულ და რაიონულ მენეჯერებს. გარკვეული დროის გავლის შემდეგ ფირმის უმაღლესი ხელმძღვანელობა აანალიზებს შედეგებს და ადგენს მაკორექტირებელ ღონისძიებათა საჭიროებას.

წლიური გეგმის შესრულების კონტროლისათვის გამოიყენება ანალიზის შემდეგი ტიპები:

- გასაღების ანალიზი,
- საბაზრო ნილის ანალიზი,
- მარკეტინგული დანახარჯების გაყიდვების მოცულობასთან თანაფარდობა,
- ფინანსური და შეფასებითი ანალიზი.

კონტროლის ტიპი	ასულისამართი	კონტროლის მიზანი	მიღებობები
I. ყოველწლიური გეგმების კონტროლი	უმაღლესი ხელმძღვანელობა სამუშაო რგოლის მენეჯერები	დადგინდეს, მიიღწევა თუ არა დაგეგმილი შედეგები	-გასაღების ანალიზი -ბაზრის ნილის ანალიზი -ხარჯებისა და გაყიდვების შედარება -ფინანსური ანალიზი -საბაზრო შედარებითი ანალიზი
II. მომგებიანობის კონტროლი	მარკეტინგის კონტროლიორი (ინსპექტორები)	განისაზღვროს კომპანია რისგან გამოიმუშავებს ფულს, ან სად კარგავს მას	შეფასდეს რენტაბელობა: -პროდუქტების, -ტერიტორიების, -მყიდველების, -ბაზრის სეგმენტების, -გასაღების არხების, -შეკვეთის ზომების მიხედვით
III. ეფექტიანობის კონტროლი	ფუნქციონალური და ხაზობრივი მენეჯერები მარკეტინგული კონტროლიორი (ინსპექტორი)	რესურსების ხარჯების ეფექტიანობის შეფასება და გაუმჯობესება, მარკეტინგული ხარჯების გავლენა	შეფასდეს ეფექტიანობა: -სავაჭრო პერსონალის, -რეკლამის, -გასაღების სტიმულირების, -განაწილების



<b>IV. სტრატეგიული კონტროლი</b>	უმაღლესი ხელმძღვანელობა  მარკეტინგული აუდიტორი	დადგინდეს, იყენებს თუ არა კომპანია თავის ყველა შესაძლებლობებს -ბაზრები, -საქონლის, -განაწილების არხების მიხედვით	მარკეტინგის ეფექტიანობის შეფასების ინსტრუმენტები: -მარკეტინგული აუდიტი; -მარკეტინგის ხარისხის ანალიზი; -კომპანიის ეთიკური და -სოციალური პასუხისმგებ- ლობის ანალიზი
---------------------------------	--	---	---

ნახ. 1. მარკეტინგული კონტროლის ტიპები

გასაღების ანალიზი გულისხმობს გაყიდვების ფაქტიური მოცულობის გაზომვასა და მის შედარებას გეგმიურ მაჩვენებელთან. მაგრამ გასაღება არ გვაძლევს სრულ წარმოდგენას იმის შესახებ, თუ რამდენად კარგად მუშაობს ფირმა თავის კონკურენტებთან შედარებით. ამის დასადგენად შეიძლება გამოვიყენოთ ფირმის საბაზრო წილის ამსახველი მაჩვენებლები. კომპანიის საბაზრო წილის ზრდა მეტყველებს მის ეფექტიან მუშაობაზე თავის კონკურენტებთან შედარებით, ხოლო შემცირება — პირიქით, კომპანიის წარუმატებლობის ამსახველია. ამ უკანასკნელ შემთხვევაში კომპანიამ უნდა დაადგინოს საბაზრო წილის შემცირების მიზეზები. იგი შეიძლება მდგომარეობდეს თავად საქონელში, მომხმარებელთა ჯგუფების მოთხოვნილებათა არასწორ შეფასებაში და ა.შ. საბაზრო წილის ცვლილების ანალიზი შეიძლება ჩატარდეს ოთხი პოზიციიდან.

$$\text{ბაზრის საერთო წილი} = C \times L \times S \times P ,$$

სადაც,  $C$  — ყველა იმ მომხმარებელთა პროცენტული მაჩვენებელია, რომლებიც ყიდულობენ მოცემული კომპანიის საქონელს;

$L$  — ყველა კომპანიებში შესყიდვების საერთო ოდენობიდან შესყიდვების ის პროცენტია, რომლებსაც მყიდველები ახორციელებენ მოცემულ კომპანიაში (ანუ ლოიალურ მომხმარებელთა წილი);

$S$  — მოცემულ კომპანიაში შესყიდვის საშუალო ზომა პროცენტულად საშუალო კომპანიის საშუალო შესყიდვის მიმართ;

$P$  — მოცემული კომპანიის საშუალო ფასი პროცენტულად ყველა კომპანიის საშუალო ფასიდან.

ყოველწლიური გეგმების კონტროლისას ხელმძღვანელობა თვალყურს უნდა ადევნებდეს მარკეტინგული დანახარჯებისა და გაყიდვების მოცულობის თანაფარდობას. მცირე ცვლილებისას რაიმე ღონისძიებების გატარება არ არის აუცილებელი. ხოლო თუ გადახრა დასაშვებ ზღვარზე მეტი იქნება არ შეიძლება მისი უყურადღებოდ დატოვება. რათა მომავალში არ წარმოიქმნას პრობლემები.

დანახარჯებისა და გაყიდვების მოცულობის თანაფარდობა უნდა განიხილებოდეს საერთო ფინანსური მდგომარეობის შესაბამისად, განისაზღვროს კომპანია როგორ და საიდან ლებულობს თავის შემოსავლებს. მარკეტოლოგები ხშირად იყენებენ ფინანსურ ანალიზს, რათა შეიმუშაონ გასაღების ისეთი სტრატეგიები, რომლებიც მოგებას მოიტანს. ფინანსური ანალიზის დახმარებით კომპანიის ხელმძღვანელობა განსაზღვრავს ფაქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენენ კომპანიის მოგების ნორმაზე წმინდა ღირებულების მიხედვით. მოგების ნორმა იქმნება ორი მაჩვენებლისაგან: შემოსავალი აქტივებიდან და ფინანსური აღმასრულობა. წმინდა ღირებულებიდან მოგების წმინდა მოგების თავის აქტივების წმინდა ღირებულებასთან თანაფარდობა, ან გაზარდოს აქტივების წმინდა ღირებულებასთან თანაფარდობა. ხოლო შემოსავალი აქტივებიდან იქმნება მოგების და ბრუნვადობის მაჩვენებლების მიხედვით.

მარკეტინგული საქმიანობის ეფექტიანობის შეფასებისათვის კომპანიებში შეიძლება გამოყენებულ იქნას შეფასების სხვადასხვა სისტემა. მათ შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი სისტემა, რომელიც დაგვეხმარება წინასწარ დავადგინოთ მოსალოდნელი საშიშროება.

1. შეფასება მომხმარებელთა მიხედვით გვიჩვენებს თუ როგორ მუშაობს კომპანია წლიდან წლამდე. ამ შემთხვევაში გამოიყენება შემდეგი მაჩვენებლები:

- დაკარგული მყიდველები,
- დაუკმაყოფილებელ მყიდველთა რაოდენობა,
- ახალ მომხმარებელთა რაოდენობა,



- მიზნობრივი ბაზრის გათვითცნობიერებულობა,
- მიზნობრივი ბაზრის უპირატესობათა მინიჭება,
- პროდუქციის შეფარდებითი ხარისხი,
- მომსახურების შედარებითი ხარისხი.

თითოეული მაჩვენებლისათვის აუცილებელია განისაზღვროს ნორმები. როდესაც მიმდინარე მონაცემები სცდება დადგენილ ნორმებს კომპანიის ხელმძღვანელობამ უნდა გაატაროს საპასუხო ღონისძიებანი.

2. შეფასება აქციონერების მიხედვით. ფირმები მუდმივად უნდა აკვირდებოდნენ, როგორია სხვადასხვა დაინტერესებული ჯგუფების განწყობა და დაადგინონ ხომ არ აქვს ადგილი ცალკეულ პარტნიორთა უკმაყოფილებას. კომპანიებს საქმე აქვთ რიგ დაინტერესებულ ჯგუფებთან: აქციონერებთან, მიმწოდებლებთან, დილერებთან და სხვა. კომპანიის ფილოსოფია უნდა ითვალისწინებდეს მომხმარებელთა დაკმაყოფილების მაღალი დონის მიღწევას და აგრეთვე, დაინტერესებული ჯგუფების დაკმაყოფილების მისაღებ დონეს არსებული რესურსების ფარგლებში. აუცილებელია თითოეული ჯგუფისათვის ნორმების დადგენა და სათანადო ზომების მიღება თუ ერთ-ერთი მათგანი იგრძნობს თავს დაუკმაყოფილებლად.

მნიშვნლოვანი საკითხია კომპანიების მიერ რენტაბელობის შეფასება თავიანთი პროდუქტების, ტერიტორიების, მომხმარებელთა ჯგუფების, ბაზრის სეგმენტების, გასაღების არხებისა და შეკვეთების პარტიის მოცულობის მიხედვით. რასაც ითვალისწინებს მოგებიანობის კონტროლი. შეფასების შემდეგ კი ფირმის ხელმძღვანელობა შეძლებს სწორი გადაწყვეტილების მიღებას: გააფართოოს, ან შეამციროს ან საერთოდ შეწყვიტოს განსაზღვრული საქონლის და სხვადასხვა მარკეტინგული ღონისძიებების მხარდაჭერა.

უშუალოდ ეფექტიანობის კონტროლისას კომპანიამ უნდა გასცეს პასუხი შემდეგ კითხვაზე: არის თუ არა სავაჭრო პერსონალის მართვის, სარეკლამო კომპანიის ჩატარების, გასაღების სტიმულირების ღონისძიებების, მარკეტინგულ ობიექტებში განაწილების ორგანიზაციის უფრო ეფექტიანი ხერხები? ზოგიერთ კომპანიას ჰყავს მარკეტინგის კონტროლიორი ან ინსპექტორი, რომელიც მარკეტოლოგებს ეხმარება გაზარდონ მუშაობის ეფექტიანობა. ისინი დასპეციალებული არიან ბიზნესის მარკეტინგულ მხარეზე, მაგრამ თავად ოფისებში არ მუშაობენ. კონტროლიორები მარკეტინგული ხარჯების და მიღებული შედეგების ფინანსურ ანალიზს ახორციელებენ. ისინი თვალყურს ადევნებენ მოგების გეგმის შესრულებას, ადგენენ სტიმულირების ეფექტიანობას, ანალიზებენ სარეკლამო ხარჯებს.

გასაღების განყოფილების ხელმძღვანელებმა უნდა აკონტროლონ თავიანთი სავაჭრო პერსონალის საქმიანობის ისეთი მაჩვენებლები, როგორიცაა: თითოეულ თანამშრომელზე გარიგების დადების შეთავაზებასთან დაკავშირებული სატელეფონო ზარების საშუალო რაოდენობა დღეში; თითოეული სატელეფონო კონტაქტის საშუალო დრო; საშუალო შემოსავალი ერთ ზარზე; საშუალო ხარჯები ერთ ზარზე; პოტენციურ მყიდველთა მიღების ხარჯები, რომელიც მოდის ერთ ზარზე; 100 ზარზე შეკვეთების პროცენტი; ახალ მყიდველთა რაოდენობა პერიოდის განმავლობაში; დაკარგულ მყიდველთა რაოდენობა პერიოდის განმავლობაში; სავაჭრო პერსონალის შენახვაზე განეული ხარჯები პროცენტულად გაყიდვების მოცულობიდან.

ეფექტიანობის კონტროლისას აუცილებელია ყურადღების გამახვილება რეკლამის ეფექტიანობის შეფასებაზე, რაც ხორციელდება შემდეგი მაჩვენებლების შეფასებით: რეკლამის მოცემული საშუალების დახმარებით ათას მიზნობრივ მომხმარებელზე რეკლამის დაყვანის ხარჯები; აუდიტორიის პროცენტი, რომელმაც შეამჩნია, ნახა ან წაიკითხა სარეკლამო მიმართვის დიდი ნაწილი; რეკლამის შინაარსისა და ეფექტიანობის შესახებ მომხმარებელთა აზრი; დამოკიდებულება პროდუქტისადმი რეკლამამდე და რეკლამის შემდეგ; სარეკლამო მიმართვით გამოწვეული შეკვეთების რიცხვი საქონელზე; ხარჯები ერთ შესყიდვაზე (შეკვეთაზე).

ისმის კითხვა — რა უნდა ვიგულისხმოთ რეკლამის ეკონომიკური ეფექტიანობის ქვეშ? რეკლამის ეკონომიკური ეფექტიანობა ის ეკონომიკური შედეგია, რომელიც მიიღება სარეკლამო კამპანიის (სარეკლამო ღონისძიების) ჩატარების შედეგად. ეს ეკონომიკური შედეგი გამოიხატება საწარმოს მოგების ზრდაში, გაყიდვების მოცულობის ზრდაში და სხვა. ამრიგად, რეკლამის ეფექტიანობის შეფასების პროცესში უნდა განისაზღვროს სარეკლამო ღონისძიების ქმედითობა და მისი ეკონომიკური მიზანშენონილობა დროის გარკვეულ პერიოდში.


რეკლამის ეკონომიკური ეფექტიანობის შეფასების აუცილებლობა გამომდინარეობს თავად მისი არსიდან. რამდენადაც სხვა საინფორმაციო შეტყობინებებისაგან განსხვავებით რეკლამა დაინტერესებულია და მიმართულია სწორედაც საბოლოო შედეგებზე და კონკრეტულ საქონელზე მოთხოვნის გაზრდაზე.

რეკლამის ეფექტიანობაზე დადებითად იმოქმედებს კომპანიის მიერ მისი ეფექტიანობის კონტროლის სისტემის გამოყენება, რაც აუცილებელად გულისხმობს ყურადღების გამახვილებას რეკლამის ეფექტიანობის შეფასებაზე. ეს ხორციელდება შემდეგი მაჩვენებლების შეფასებით: მოცემული სარეკლამო საშუალებით ათას მიზნობრივ მომხმარებელზე რეკლამის დაყვანის ხარჯები; მიზნობრივი აუდიტორიის პროცენტი, რომელმაც შეამჩნია, ნახა ან წაიკითხა სარეკლამო მიმართვის დიდი ნაწილი; რეკლამის შინაარსისა და ეფექტიანობის შესახებ მომხმარებელთა აზრი;



დამოკიდებულება პროდუქტისადმი რეკლამამდე და რეკლამის შემდეგ; სარეკლამო მიმართვით გამოწვეული შეკვეთების რიცხვი საქონელზე; ხარჯები ერთ შესყიდვაზე (შეკვეთაზე).

კომპანიებს აინტერესებთ გაარკვიონ, თუ რამდენად დიდია ან მცირე მათი სარეკლამო ხარჯები. არსებობს მოსაზრება, რომლის თანახმადაც ფირმის სარეკლამო ხარჯების წილი განაპირობებს გარკვეულ „ხმის წილს“ (მოცემული ფირმის საქონლის რეკლამის პროცენტი ასეთი საქონლის მთელ რეკლამაში), რომელიც თავის მხრივ განაპირობებს მომხმარებელთა გონიერისა და გულის წილს და საბოლოო ჯამში ფირმის საპაზრო წილს.<sup>1</sup>



რეკლამის ეფექტიანობის შეფასების შემდეგ შესაძლებელია დაისახოს მთელი რიგი ონისძიებები რეკლამის ეფექტიანობის გასაუმჯობესებლად, მაგალითად: შეტყობინების წინასწარი ტესტირება, რეკლამის ყველაზე უფრო ეფექტიანი საშუალებების შერჩევა, რეკლამის მიწოდების შემდეგ გამოკითხვების ჩატარება.

გასაღების სტიმულირების ეფექტიანობის ასამაღლებლად აუცილებელია განისაზღვროს დანახარჯები სტიმულირების ყოველ ღონისძიებაზე და მისი გავლენა გასაღებაზე. მონიტორინგი ხორციელდება შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით: გაყიდვების პროცენტი, რომელიც განხორციელდა სტიმულირების ღონისძიების ფარგლებში; ხარჯების თანხა საქონლის სტიმულირებისათვის გადახდილი გაყიდვების თითოეულ ფულად ერთეულზე (თითოეულ ლარზე); კუპონების პროცენტი; შესყიდვების (შეკვეთების) რიცხვი, გამოწვეული პროდუქტის დემონსტრაციით. ანალიზის საფუძველზე გასაღების სტიმულირების მენეჯერმა უნდა მისცეს რეკომენდაციები პროდუქტების მმართველებს თუ რომელი პროდუქტებია ამ მხრივ ყველაზე ეფექტიანი. ასევე მნიშვნელოვანია პროდუქციის განაწილების ეფექტიანობის შეფასება. კომპანია უნდა ზრუნავდეს განაწილების ხარჯების შემცირებასა და მათ

ეფექტიან გამოყენებაზე. არსებობს მარაგების, საწყობების განლაგების, ტრანსპორტირების ხერხების კონტროლის სხვადასხვა მეთოდები. ამასთან დაკავშირებით ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ კომპანიის გასაღების მკვეთრი ზრდის პირობებში მისი განაწილების ეფექტიანობა მცირდება. განაწილების ეფექტიანობის კონტროლი გვეხმარება თავიდან ავიცილოთ მსგავსი პრობლემები.

მარკეტინგის ეფექტიანობის შეფასება რეკომენდებულია სტრატეგიული კონტროლის პროცესშიც. მარკეტინგის ეფექტიანობა მთელი კომპანიის ან მისი ერთი განყოფილების მიხედვით ხასიათდება მარკეტინგული ორიენტაციის ხუთი კომპონენტით: მიმართულობა მყიდველზე, მარკეტინგული ინტეგრაცია, ინფორმაციის ადეკვატურობა, სტრატეგიული ორიენტაცია, ოპერატიული ეფექტიანობა. მარკეტინგის ეფექტიანობის შეფასებისას უნდა გაიზომოს თითოეული მათგანი.

არსებობს მარკეტინგის ეფექტიანობის შეფასების მეთოდება, რომლის მიხედვითაც შეფასებები კეთდება ქულების სახით დასმული კითხვების შესაბამისად.<sup>2</sup> კითხვები შედგენილია ხუთივე კომპონენტის ფარგლებში. თავდაპირველად მითითებულ კითხვებზე პასუხობენ მარკეტინგის მენეჯერები და კომპანიის სხვა განყოფილებათა ხელმძღვანელები.

ხელები, შემდეგ კი ხდება შედეგების შეჯამება. ასეთი ანალიზისას ფირმების უმრავლესობა დებულობს ხოლმე „კარგ“ ან „საშუალო“ შეფასებას, რაც იმაზე მეტყველებს, რომ მათი მენეჯერები ხედავენ რომ შესაძლებელია ამ მხრივ მუშაობის გაუმჯობესება. თუ რომელიმე მაჩვენებლი ძალზე დაბალ შეფასებას ღებულობს ეს ნიშნავს, რომ პირველ რიგში ამ საკითხზე უნდა დაიწყოს მუშაობა. ასეთი შეფასების საფუძველზე კომპანიის ქვედანაყოფების ხელმძღვანელებმა უნდა შეადგინონ გეგმა თავიანთ მარკეტინგის სისტემაში სუსტი ადგილების აღმოსაფეხვრელად. მიღებული ინფორმაციის საფუძველზე მუშავდება მაკორექტირებელ მოქმედებათა გეგმა, რომლის შესრულება ზრდის კომპანიის მარკეტინგის საერთო ეფექტიანობას.

<sup>1</sup> Котлер Ф., Келлер К.Л., Маркетинг менеджмент, экспресс-курс, 3-е издание, перевод с англ., изд. «Питер», С.-Пб. 2008, გვ. 419

<sup>2</sup> Ф. Котлер, К. Л. Келлер, Маркетинг менеджмент, экспресс-курс, 3-е издание, изд. »Питер», С.-Пб. 2008, გვ. 475



## მაია სეთური

### კომპანიის მარკეტინგული საქმიანობის ეფექტიანობის შეფასებისათვის

#### რეზიუმე

ჩვენს ქვეყანაში საბაზრო ურთიერთობების დამკვიდრების აუცილებლობას მჭიდროთ უკავშირდება მარკეტინგის როლისა და მნიშვნელობის ზრდა. მარკეტინგული მიდგომა გულისხმობს მარკეტინგული კონცეფციის გამოყენებას. მარკეტინგის მართვის პროცესი მარკეტინგის ანალიზის, დაგეგმვის და ამ გეგმების კონტროლის პროცესია. მარკეტინგის გეგმების კონტროლის პროცესი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია მარკეტინგის ეფექტიანობის შეფასებაში. მარკეტინგულ ღონისძიებათა დაგეგმვა და რეალიზაცია მაშინ არის გამართლებული და მიზანშეწონილი, როდესაც მათ მოაქვთ კონკრეტული დადებითი შედეგები. მიზომ არის მნიშვნელოვანი მარკეტინგის ეფექტიანობის შეფასება. ისმის კითხვა — რა უნდა ვიგულისხმოთ მარკეტინგის ეფექტიანობის ქვეშ? არსებობს მარკეტინგული საქმიანობის კონტროლის რამოდენიმე ფორმა. თანამედროვე მარკეტინგის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია რეკლამა. რეკლამით კომპანია ახდენს თავისი პროდუქტის საუკეთესო თვისებების დემონსტრირებას. რეკლამის ეკონომიკური ეფექტიანობა არის ეკონომიკური შედეგი სარეკლამო კამპანიისა(სარეკლამო ღონისძიებებისა). კომპანიებს აინტერესებთ გაარკვიონ, თუ რამდენად დიდია ან მცირე მათი სარეკლამო ხარჯები. ეფექტიანობის შეფასების შემდეგ შესაძლებელია დაისახოს მთელი რიგი ღონისძიებები ეფექტიანობის ასამაღლებლად.

## Maia Seturi

### FOR EVALUATION OF MARKETING EFFICIENCY

#### Summary

Under conditions of transition to the market economy the role of marketing in the firms of our country grow. A marketing orientation means trying to carry out the marketing concept. The marketing management process is the process of planning marketing activities, directing the implementation of the plans, controlling these plans. Controlling these plans is one of the main part of evaluation of marketing efficiency. Planning and realization of the marketing activities are reasonable if they give results. That is why it is important to evaluate efficiency of marketing. There is a question – what should we mean under efficiency of marketing?

There are some forms of controlling of marketing activities. The modern marketing consists of some elements. Advertisement is an integral part of the modern marketing. The advertisement enables to show off the best characteristics and advantages of the product. Economic efficiency of advertisement is the economic result, which is received as a result of advertising campaign (advertising activities). We will not exaggerate if we say that the necessity to evaluate economic efficiency ensues from its essence itself. As opposed to other information messages the advertising is interested and oriented at the final results and growth of demand of concrete goods. In order to obtain concrete economic results, i.e. to be efficient, we assume it reasonable to focus our attention on the some aspects of marketing.

**Charles Morgan Stromme**

### The financial crisis

INFLATE, stagnate, default. That has been the choice facing highly indebted economies ever since the crisis broke in 2007-2008. It would be nice if growth could lift us out of this mess, but that looks unlikely; see how sluggish growth has become (the 2000 decade ended in 2009, before the Greek crisis hit, so this is not just an issue of austerity).

#### The slowdown

Real GDP growth rate by decade, %

Country	1960s	1970s	1980s	1990s	2000s
Spain	110.0	42.0	31.1	31.1	24.1
Britain	33.9	28.0	33.3	29.7	19.7
US	49.5	38.8	35.9	37.4	17.3
Netherlands	60.3	39.8	21.2	36.9	14.9
France	70.4	41.9	25.8	20.7	11.7
Germany	53.5	39.4	22.9	22.3	8.4
Italy	76.9	43.6	27.6	16.1	4.1

Source: OECD

Why is this? There has been too much focus on government debt; the problem is total debt in an economy, including the financial sector, corporates and consumers. Government debt usually rises sharply when another sector is badly hit; Cypriot government debt, for example, was only 61% of GDP in 2010.

Think of debt as a claim on wealth. If a bank extends you a loan, you now have wealth in the form of money that you can spend on goods and services or use to buy an asset, such as a house; the bank also has an asset in the form of its loan, which it records on its balance sheet. Debt can thus increase rapidly relative to GDP and can help increase output, as the debtors spend their wealth.

All is well as long as the creditor is confident that the debtor can repay the debt. Indeed much debt in the modern economy is simply rolled over; businesses renew loans, homeowners replace one mortgage provider with another. And creditors are likely to be confident if GDP (and thus debtors' incomes) are rising.

One can thus have debt levels that are many times the level of GDP; i.e. there can be more claims on wealth than the annual production of goods and services. Of course, a nation's wealth (in the form of land, mineral resources etc) can be many times the value of its GDP so this may not appear to be a problem. But this is only a partial help since only a small proportion of a nation's wealth can be realised at any given year; if every American wished to sell his house to repay his debts, who would buy?

Similarly, when debt levels are many times the value of GDP, a large proportion of GDP needs to be rolled over every year. Say, debt is 400% of GDP and the average maturity of debt is five years; then 80% of GDP needs to be rolled over every year. If creditors become nervous about the debtors' ability to repay - as they will in the face of falling asset prices or stagnant incomes - they will be unwilling to extend the loan. If debtors are able to pay out of their own resources, they will see a fall in their spending power. If debtors are able to repay by selling an asset, there will be a fall in asset prices. And if they are unable to repay, there will be a hit to the creditors' balance sheet. All three results hurt the economy.

Indeed, think of an indebted economy as like a bank. Just as a bank can function as long as too many depositors do not want to withdraw their money, the economy can function as long as too many creditors do not want repaying. the economy is thus vulnerable to a run.


When the private sector suffers a debt run, then the government can step in, rescue it and take the debt on to its balance sheet. This is fine as long as creditors have confidence in the government. As we have seen in Japan, if all the creditors are domestic, then the situation can be stable for quite a long time (although it is hard to believe that it is sustainable in the very long term). But if the creditors are foreign, as has been the case in parts of the euro-zone, a restructuring (write-off) of part of the debt will be necessary.

Inevitably there will be losers from this process. If you are a Cypriot with more than €100,000 in the two main banks, you will feel pretty hard done by. In reality, of course, a bank deposit is a loan to the bank (it is a liability on the bank balance sheet). It is thus a claim on wealth; if there is not enough wealth to meet all claims, then someone must lose out and as pointed out before, large savers are the most likely victims since they are the ones with the money



### Youth\* unemployment rate

December 2012 or latest, %



An alternative to default is to inflate the debt away, to create so much money that the creditor suffers default in real terms, not nominal ones. As last week's column points out, this is being done in part by financial repression; holding real rates negative. Maybe this is what QE is designed to accomplish. So far, however, the central banks have had very little success in achieving the right kind of inflation; rapid growth in personal incomes. Such income growth will make it easier for individuals to repay their debts. Instead the West has tended to see imported inflation in the form of higher commodity prices. And that of course depresses real wages and makes it *harder* for individuals to repay their debts.

In short, we are nearly six years into this crisis and we have made precious little progress in running down debts and thus are vulnerable to further crises; Cyprus is just the latest example. Nor have we decided whether default or inflation is the preferred option. Either way, savers should beware.

### ჩარლზ მორგან სტრომე

#### ფინანსური კრიზისი

#### რეზიუმე

აღნიშნულ პუბლიკაციაში საუბარია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის, ეკონომიკური განვითარებისა და უსაფრთხოების ერთ-ერთი ძირითადი ინდიკატორის ინფლაციის როლის და მნიშვნელობის შესახებ. სტატიაში მსოფლიოში მიმდინარე ინფლაციური პროცესებისა და ტენდეციების ზოგადი ანალიზის საფუძველზე წარმოჩნდებულია ამ პროცესის თანმდევი მოვლენების განვითარების ის საშიშროებები, რომლებმაც შეიძლება სერიოზული ზემოქმედება იქონიონ ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის, შემოსავლების დიფერენციაციის, სიღარიბისა და უმუშევრობის მაჩვენებლებზე. რის გამკლავებაც საქართველოზე ბევრად უფრო ძლიერი ეკონომიკის მქონე განვითარებულ ქვეყნებსაც უჭირს. ამ მიმართებით წერილში მოყვანილი სხვა ქვეყნებში განვითარებულ მრავალ მაგალითს თქვენს ქვეყანაშიც სწორი საზოგადოებრივი ანალიზი და შესაბამისი სახელმწიფოებრივი დასკვნები ესაჭიროება.

**Charles Morgan Stromme****The Financial Crisis****Summary**

This paper deals with one of the major indicators of the social and economic situation of the country, its economic development and security – the role and importance of inflation. Based on the general analysis and trends of inflation process under way in the world, the article presents menaces that are ancillary to this process and are capable to inflict serious damage to the economic well-being, aggregates of revenues, poverty and unemployment; this damage is difficult to parry even for the much stronger economies than Georgia. Numerous examples from the developments in other countries provided in the letter need correct analysis from the community at large and pertinent conclusions from the state in our country as well.



## ლაპა ფაზატაძე

### სავაჭრო პალაცი — ექსპორტისა და იმპორტის ტენდეციები და საპროგნოზო განვითარების მარვანები

ექსპორტი და იმპორტი, ქვეყანაში განხორციელებული სავაჭრო ოპერაციები ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი განმაზღვრელი ფაქტორია. მიმდინარე გლობალური ეკონომიკური ცვლილებების პირობებში, ქვეყნებს შორის ურთიერთობებში სავაჭრო ურთიერთობებს არსებითი და, შეიძლება ითქვას, უზარმაზარი მნიშვნელობა ენიჭება, რადგანაც სწორედ ვაჭრობაზეა აგებული ქვეყნების წარმატებული ეკონომიკური ფუნქციონირების თითქმის მთელი სისტემა.

ეს კი მთლიანობაში, ხელს უწყობს ქვეყნების განვითარებას და ვაჭრობიდან მაქსიმალური სარგებლის მიღებას. საქართველოს ვაჭრობა ექსპორტის ზრდაზე უნდა იყოს ორიენტირებული, რაც სილარიბის დაძლევის, წარმოების განვითარების, სპეციალიზაციისა და კონკურრენტუნარიანობის ამაღლებისა და, შედეგად, ეკონომიკური ზრდის საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს.

რა დინამიკით იცვლება საქართველოს ექსპორტ-იმპორტი? საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა (საქსტატი) მორიგი კვლევა დაასარულა და ახალი მონაცემები გამოაქვეყნა. ახალი მონაცემებით, 2012 წელს საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 9247 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა<sup>1</sup>, რაც წინა წლის მაჩვენებელზე 36 პროცენტით მეტია. აქედან, ექსპორტი 2189 მილიონი აშშ დოლარი იყო (39 პროცენტით მეტი), ხოლო იმპორტი - 7058 მილიონი აშშ დოლარი (34 პროცენტით მეტი). საქართველოს უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა 2012 წელს 4869 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა (32 პროცენტით მეტი).

სავაჭრო დეფიციტის აბსოლუტური მაჩვენებლის ზრდის მიუხედავად, მისი წილი მთლიან საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 2008 წლის შემდეგ ტენდენციურად კლებადია. ამ მაჩვენებელმა ყველაზე დაბალ ნიშნულს 2012 წელს მიაღწია და 52,7 პროცენტი შეადგინა.

ყოველწლიურად ფართოვდება საქართველოს საგარეო ვაჭრობის გეოგრაფიული არეალი. 2012 წლისთვის საქართველოს სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების რიცხვმა ისტორიულ მაქსიმუმს მიაღწია და 147 ქვეყანა შეადგინა.

2011 წელს, წინა წლებთან შედარებით, ექსპორტის მნიშვნელოვანი ზრდა ფიქსირდება. 2011 წლის დეკემბერში ექსპორტის ზრდამ, წინა თვესთან შედარებით, 28 პროცენტი შეადგინა. განსაკუთრებით დიდი ზრდაა 2009 წელთან შედარებით (93 პროცენტი). იმპორტი და საგარეო სავაჭრო ბრუნვაც გაზრდილია სამივე წლის შესაბამისი პერიოდების მიმართ.

2012 წელს საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ ევროკავშირის ქვეყნებთან 2477 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 41 პროცენტით მეტია; აქედან ექსპორტი 424 მილიონი აშშ დოლარი იყო (46 პროცენტით მეტი), ხოლო იმპორტი - 2053 მილიონი აშშ დოლარი (40 პროცენტით მეტი). საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვაში ევროკავშირის ქვეყნების წილმა 27 პროცენტი შეადგინა, მათ შორის, ექსპორტში - 19, იმპორტში კი - 29 პროცენტი (2011 წელს - შესაბამისად, 26, 18 და 28 პროცენტი). ევროკავშირის ქვეყნებზე მოდიოდა სავაჭრო დეფიციტის 33 პროცენტი (2011 წელს - 32 პროცენტი).

დსტ-ს ქვეყნებთან საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 2012 წელს 2994 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა (2011 წელთან შედარებით, 34 პროცენტით მეტი), აქედან ექსპორტმა 1053 მლნ. აშშ დოლარს მიაღწია (64 პროცენტით მეტი), ხოლო იმპორტმა - 1942 მლნ. აშშ დოლარს (22 პროცენტით მეტი). საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვაში დსტ-ს ქვეყნების წილი 32 პროცენტი იყო, მათ შორის, ექსპორტში - 48, იმპორტში კი - 28 პროცენტი (2011 წელს - შესაბამისად, 33, 41 და 30 პროცენტი). დსტ-ს ქვეყნებზე მოდიოდა სავაჭრო დეფიციტის 18 პროცენტი (2011 წელს - 26 პროცენტი). 2012 წელს, წინა წელთან შედარებით, აღნიშნულ ქვეყნებთან უარყოფითი სავაჭრო სალდო 6 პროცენტით შემცირდა.<sup>2</sup>

2012 წელს ათი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორის წილმა საქართველოს მთლიან საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 67 პროცენტი შეადგინა. უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორებად კვლავ თურქეთი (1500 მლნ. აშშ დოლარი), აზერბაიჯანი (1037 მლნ. აშშ დოლარი) და უკრაინა (847 მლნ. აშშ დოლარი) რჩებიან.

სასაქონლო ჯგუფებიდან საექსპორტო ათეულში პირველი ადგილი კვლავ მსუბუქმა ავტომობილებმა დაიკავა და 450 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც მთლიანი ექსპორტის 21 პროცენტს წარმოადგენს.

ფეროშენადნობების ექსპორტი 255 მლნ. აშშ დოლარს უდრიდა, მისი წილი მთლიან ექსპორტში კი 12 პროცენტია. მესამე ადგილზე აზოტოვანი სასუების ჯგუფი დაფიქსირდა. ამ სასაქონლო ჯგუფის ექსპორტმა 144 მლნ. აშშ დოლარი და მთელი ექსპორტის 7 პროცენტი შეადგინა. უმსხვილესი საექსპორტო პროდუქციის ათეულიდან 2011—2012 წლებში ყველაზე დიდი ზრდა თხილის (103 პროცენტი), აზოტოვანი სასუებისა (100 პროცენტი) და მსუბუქი ავტომობილების (98 პროცენტი) სასაქონლო ჯგუფების ექსპორტში დაფიქსირდა.

<sup>1</sup> საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტი. წლიური ანგარიში 2012

<sup>2</sup> საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტი. წლიური ანგარიში 2012



რაც შეეხება იმპორტს, უმსხვილეს საიმპორტო სასაქონლო ჯგუფად 2012 წელს კვლავ ნავთობი და ნავთობპროდუქტები რჩება, რომლის იმპორტმა 894 მლნ. აშშ დოლარი და მთელი იმპორტის 13 პროცენტი შეადგინა. მეორე ადგილზეა მსუბუქი ავტომობილების სასაქონლო ჯგუფი - 511 მლნ. აშშ დოლარით, რაც იმპორტის 7 პროცენტია. მესამე ადგილზე ნავთობის აირები და აირისებრი ნახშირნყალბადების ჯგუფი დარჩა - 237 მლნ. აშშ დოლარით (იმპორტის 3 პროცენტი).

უმსხვილესი საიმპორტო პროდუქციის ათეულიდან 2012 წელს ყველაზე მეტად შავი ლითონების მეტალოენსტრუქციების (104 პროცენტი), გამომთვლელი მანქანებისა (53 პროცენტი) და ნავთობის აირების (47 პროცენტი) სასაქონლო ჯგუფების იმპორტი გაიზარდა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოსთვის ძალზე მნიშვნელოვანია საექსპორტო პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენება, ვაჭრობის დივერსიფიცირება და, რაც შეიძლება, მეტ უცხოურ ბაზარზე გასვლა. საქართველოს სავაჭრო პარტნიორებს შორის, 2005 წლიდან მოყოლებული, გამოირჩევა თურქეთი, რომელთანაც სავაჭრო ბრუნვა სტაბილურად მაღალია. 2008 წლამდე საქართველოსთან ვაჭრობაში წამყვანი ადგილი რუსეთს ეკავა, რომლის ბაზარზეც საქართველოს პროდუქციის უდიდესი ნაწილი იყო ორიენტირებული. საინტერესოა რუსეთ-საქართველოს შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები: იმ დროს, როდესაც პოლიტიკური ურთიერთობები ორ სახელმწიფოს შორის გაუარესდა, სავაჭრო-ეკონომიკური კონტაქტები არ შეწყვეტილა და რუსეთი დღემდე საქართველოს 10 უმსხვილეს პარტნიორს შორისაა - ეს ქვეყანა, სავაჭრო ბრუნვის მოცულობით, ათეულიდან ბულგარეთს, სომხეთსა და არაბთა გაერთიანებულ საამიროებს უსწრებს.

საქართველოს საუკეთესო შესაძლებლობები და პოტენციალი გააჩნია, რომელთა გამოყენება ქვეყნის წარმატებული ეკონომიკური განვითარებისათვის მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს. საჭირო ღონისძიებების განხორციელებით და ევროკავშირის მოთხოვნების მაქსიმალურად დაკმაყოფილების შედეგად, საქართველო ნამდვილად შეძლებს, ევროპის დიდ ბაზარზე კონკურენტუნარიანი იყოს.

## ლაშა ტაბათაძე

**სავაჭრო ბალანსი — ექსპორტისა და იმპორტის ტენდენციები და  
საპროგნოზო მაჩვენებლები**

### რეზიუმე

დღეს, როდესაც ეროვნული ეკონომიკების როლი დიდია ქვეყნის განვითარებაში, ამ მხრივ, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ექსპორტსა და იმპორტს. საერთაშორისო ვაჭრობა ქმნის რა ქვეყნის სავაჭრო ბალანსს, წარმოადგენს განსაზღვრელს ეროვნული ეკონომიკისათვის. ამდენად, ქვეყნის მთავარი ამოცანაა სავაჭრო ბალასის დეფიციტის დაძლევა.

**Lasha Tabatadze**

### trade Balance – Export and Import Tendencies and Predicted Date

#### Summary

Nowadays, while the role of national economics is vital for the development of the country, special importance is given to export and import.

An international trade, export and import make up the trade balance of a country, thus acquiring defining function for the national economy. Therefore, the main task of the country is to eliminate its trade deficit.



## გაია უკლება

### ტურიზმის განათლება: დილეგა თეორიასა და პრაქტიკას შორის

გლობალური ტურისტული გამოცდილების უმთავრესი მახასიათებელია ურთიერთობები ტურისტსა და ტურისტულ ინდუსტრიას შორის. ტურიზმის ინდუსტრია უაღრესად შრომატევადი მომსახურების ინდუსტრიაა, რომლის სიცოცხლისუნარიანობა დამოკიდებულია მაღალი კვალიფიკაციის პერსონალზე, ოპერატორულ ქმედებებსა და ტურისტული პროდუქტის მართვის ხარისხზე. ტურიზმში ადგილი აქვს მოთხოვნების სუპერსერვენტაციას, რაც ითხოვს ბევრი სპეციალისტის ჩართულობას. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, აქტუალურ ლირებულებას იძენს მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო პროგრამების შექმნა და ამოქმედება, რაც უზრუნველყოფს კვალიფიციური პროფესიონალის მომზადებას, რომლებიც თამამად მიიღებენ ტურიზმის სექტორის, მისი კომპანიებისა და ინსტიტუციების განვითარების მუდმივ გამოწვევებს და უნარიანად გაუძლვებიან მას.

ამდენად, ადამიანური რესურსების როლი ტურიზმის პოლიტიკისა და პრაქტიკის უმთავრესი კომპონენტია, ხოლო თავად ადამიანური რესურსების კვალიფიკაცია და ხარისხი ტურიზმის განათლების ხარისხსა და თავისებურებებზე დამოკიდებული.

ტურიზმი, არც თუ დიდი ხანია, რაც აკადემიური განათლების ყურადღების ცენტრში მოექცა, თუმცა ის უკვე აღიარებულია, როგორც სწავლებისა და კვლევის სერიოზული და ანგარიშგასაწევი სფერო. მეტიც, მისი პრაქტიკული მნიშვნელობისა და მრავალფუნქციურობის გამო ძალზე პოპულარულ დარგად ჩამოყალიბდა სტუდენტთა და მეცნიერთა მიზიდვისათვის, ვინაიდან მრავალფუნქციურობის გამო გვთავაზობს კვლევისა და სწავლების ფართო სფეროებს. ამასთან, როგორც განათლების შედარებით ახალგაზრდა ობიექტს გარკვეული პრობლემები ახასიათებს.

ტურიზმის განათლების სიტუაციური ანალიზისთვის, რაც მნიშვნელოვანია აქტუალური და თვითმყოფადი პროგრამების შესაქმნელად, ჩვენ მიერ გაანალიზებულია საქართველოსა და საერთაშორისო საგანმანათლებლო გამოცდილებები, ასევე არა ერთი სამეცნიერო—მეთოდური ნაშრომი ტურიზმის სწავლების კონცეფციების შესახებ, რომელთაც ჩვენთვის განსაკუთრებული პრაქტიკული ღირებულება გააჩინიათ.

აღნიშნულის საფუძველზე, მივდივართ დასკვნამდე, რომ მიუხედავად ტურიზმის განათლების სფეროს პროგრესისა, იკვეთება სირთულეები როგორც ქართულ, ისე საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში, რაც შემდეგში მდგომარეობს:

#### ❖ პრობლემა 1.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ტურიზმი არც თუ დიდი ხანია, რაც სერიოზული აკადემიური განათლების ყურადღების ცენტრში მოექცა. აქედან გამომდინარეობს პრობლემები, რომლებიც მის სწავლების საკითხებს ახასიათებს, მაგალითად: ჯერ კიდევ ბოლომდე დაუზუსტებელი და დაუდგენერელია ტერმინოლოგიური ბაზა, რაც ინვეცია არა მარტო ტერმინოლოგიურ ქაოსს, არამედ ართულებს ტურიზმის მთელი რიგი მიმართულების ადგიკატურ გააზრებასაც; მეტიც, ტურიზმში ჩართული უაღრესად მრავალფუროვანი სექტორების წარმომადგენლები ტერმინებსა და ცნებებს იყენებენ სხვადასხვა მიზნით და მნიშვნელობით;

#### ❖ პრობლემა 2.

ტურიზმის განათლება, მთელი რიგ ასპექტში, საკუთარი პოპულარობის „მსხვერპლია“, ვინაიდან ის მოექცა ინდუსტრიის დარგებისა და აკადემიური საგნების უდიდესი მრავალფეროვნების გარემოცვაში, რაც წარმომაშენებების შეკითხვას: რასაც ვასწავლით, ეს მართლა ტურიზმია?,

#### ❖ პრობლემა 3.

ტურიზმს, მიუხედავად UNWTO-ს მიერ მიღწეული პროგრესისა, ახასიათებს რაოდენობრივი და ხარისხობრივი მონაცემების მეტად სუსტი წყაროები, რაც ართულებს დარგის უახლეს ინფორმაციაზე დაფუძნებულ სწავლებისა და საფუძვლიანი კვლევის პირობებს;

#### ❖ პრობლემა 4.

ტურიზმის სწავლება მეტად მიმზიდველ საქმიანობად იქცა სხვადასხვა სპეციალობის, პროფილისა და კვალიფიკაციის აკადემიური წრებისათვის. ისინი ცდილობენ შექმნან და დაამკვიდრონ ტურიზმის სწავლების მართვის მისაღები არეალები, რაც ხშირად არა სტუდენტზე ორიენტირებულ და ბაზარზე მოთხოვნად, არამედ პროფესიონალზე და მის ცოდნაზე დაფუძნებულ პროგრამებად მატერიალიზდება; ამგვარი „მეთოდით“, ჩამოყალიბებული საგანმანათლებლო პროგრამები ხშირ შემთხვევაში სუსტად ასახვენ ტურიზმის ინდუსტრიის რეალურ ან სასურველ მოთხოვნებს და მოკლებული არიან ტურიზმის განათლების განვითარებისადმი კონცეპტუალურ მიდგომებს. აღნიშნულის გამო ტურიზმის სწავლება ჰეროგენულ ხასიათს ატარებს და კონკრეტული ვითარების შესაბამისი, ეპიზოდური (*ad hoc*) სტილით ვითარდება.

#### ❖ პრობლემა 5.

სფერო უაღრესად მულტიდისციპლინურია ამასთან, დისციპლინების მკვეთრად გაუმიჯნაობა ინვეციების დუბლირების რისკს როგორც დიციპლინათა, ისე სწავლების საფხურებს შორის;

#### ❖ პრობლემა 6.

არასათანადო არის დამუშავებული ტურიზმის სწავლების მეთოდოლოგია და მეთოდიკა;



#### ❖ პრობლემა 7.

ტურისტული მოთხოვნების ცვლა, უპირატესობების გადაფასება და, ასევე, დარგის კრიზისი, შესაბამისად იწვევს სპეციალისტებზე მოთხოვნის შემცირებას, რაც, რაღა თქმა უნდა, აისახება ტურიზმის განათლებაზეც;

#### ❖ პრობლემა 8.

ტურიზმისთვის დამახასიათებელია უმაღლესი განათლების, განსაკუთრებით II საფეხურისადმი მოთხოვნის შემცირება პროფესიული განათლების სასარგებლოდ. შესაბამისად სტუდენტთა დაინტერესებისა და მიზიდვის მოტივით, ვხვდებით პროგრამებს, რომლებშიც საზღვრები პროფესიულ და უმაღლეს განათლებას შორის მკაფიოდ არ არის გამოკვეთილი;

#### ❖ პრობლემა 9.

ქართულ სინამდვილეში არ არსებობს ტურიზმის განვითარების გრძელვადიანი ეროვნული პოლიტიკა ისევე, როგორც ტურიზმი ადამიანური რესურსების მდგრადი განვითარების პოლიტიკა, რაც ქმის საფრთხეს, რომ საგანმანათლებლო პროგრამები საგანთა და მეთოდთა ქაოტურ ნაკრებად ჩამოყალიბდეს;

#### ❖ პრობლემა 10.

დარგის განვითარების უაღრესი დინამიკურობის გამო, ტურიზმის განათლება ძლიერი გარე წევნის ინტენსიური განვითარების მიზნით, მომზადებლის, სტუდენტების მოთხოვნები და მოლოდინები, ამავდროულად ის უნდა იყოს მდგრადიც. ტურიზმის განათლების ზემოაღნიშნულ ცვლად მოთხოვნებთან თავსებადობა და ერთდროულად მდგრადობა - აკადემიური წრებისაგან დიდ ძალისხმევასა და მაღალ პროფესიონალიზმს საჭიროებს.

ძალზე საინტერესოა **ნეიილ ლეიპერის** ტურიზმის სწავლების კონცეფცია (Neil Leiper, 'Whole Tourism System' 1995. Current issues in tourism, 2010), რომელიც წარმოადგენს ტურიზმის, როგორც ერთიანი სისტემის სწავლების მოდელს. ლეიპერის აზრით, ტურიზმი, როგორც ერთიანი სისტემა მოიცავს ხუთ ურთიერთდაკავშირებულ ელემენტს, კერძოდ ესენია:

- ტურისტი
- ტურისტული დესტინაციის რეგიონები
- ტურისტების გენერაციის რეგიონები
- ტურისტული ინდუსტრია
- გარემო პირობები


ამ მოდელის გათვალისწინებით, ტურიზმის ერთიანი სისტემა მოაზრებულია, როგორც ღია სისტემა, რაც მოიცავს აღნიშნული ხუთი ელემენტის ურთიერთებულებას. ეს ელემენტები საკუთარი, დამოუკიდებელი ფუნქციის მატარებელი არიან და ამავე დროს ავსებენ ერთმანეთს, რაც საბოლოოდ აყალიბებს სისტემას.

ჩვენი აზრით, ტურიზმის განათლება ამ კონცეფციის საფუძველზე უნდა განვითარდეს, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ზემოაღნიშნული ჰეტეროგენობისა და ეპიზოდურობის აღმოფხვრას, თავად განათლებას მისცემს სისტემურ სახეს და მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს მის ხარისხს.

ბოლოდროინდელ რეკომენდაციებში ტურიზმის პროგრამის შედგენის შესახებ, სტრატეგია ფორმულირებულია შემდეგნაირად: „ტურიზმის პროგრამა უნდა წარმოადგენდეს ხიდს ტურიზმის ინდუსტრიასა და განათლებას შორის.“

თავისთავად ამგვარი მიდგომა მცდარი არ არის, თუმცა ვფიქრობთ, რომ ის ერთგვარად აკნინებს ტურიზმის განათლების (მით უფრო უმაღლესი განათლების II-III საფეხურების) მნიშვნელობასა და შესაძლებლობებს. ჩვენი აზრით, საგანმანათლებლო პროგრამები ტურიზმში უფრო ღრმად უნდა იქნეს გააზრებული და ასახავდეს:


1. ტურიზმის ძალზე ფართო გარემოს;
2. განათლების გარემოს;
3. ჩამოყალიბდეს ტურიზმის განათლების კონცეფციის სახით.



ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მივიჩნევთ რომ:

- I. ტურიზმის განათლება კონცეპტუალურად გააზრებული და სისტემური უნდა იყოს;
- II. ტურიზმის განათლების კონცეფციამ უნდა ასახოს:
  1. ტურიზმი, როგორც ტურისტის, ტურისტული დესტინაციის რეგიონების, ტურისტული ინდუსტრიისა და გარემო პირობების ერთიანი სისტემა;
  2. ტურიზმის გარემო და ეროვნული პოლიტიკა;
  3. განათლების გარემო და ეროვნული პოლიტიკა;
  4. დინამიკური ტურიზმისა და საგანმანათლებლო გარემოს თავსებადობა;
  5. „გარე წევზე“, სწრაფი რეაგირება, მოქნილობა და მდგრადობა;
- III. საგანმანათლებლო პროგრამები უნდა წარმოადგენდეს მიზნის, შინაარსის, დისციპლინების, მეთოდების, აქტივობების, სწავლის შედეგების სისტემას;
- IV. ტურიზმის განათლება უნდა ეფუძნებოდეს ტურიზმის, როგორც სოციალურად პასუხისმგებლიანი დარგის კონცეფციას. ასეთი კონცეფციით შექმნილი და განვითარებული პროგრამების მიზანია მომავალი მენეჯერები პასუხისმგებლობით მოეკიდონ საკუთარი ქვეყნის ძირითადი ბუნებრივი და კულტურულ—ისტორიული რესურსების დაცვისა და შენახვის აუცილებლობას, სწრაფი მოგების საპირისპიროდ.

**საგანმანათლებლო პროგრამების მახასიათებლები:**



თავისთვალი კონცეპტუალურად გააზრებული პროგრამების შექმნა ტურიზმის განათლების პრობლემების მოგვარების ერთი მხარეა, ვინაიდან პრაქტიკისაში სხვა პრობლემებიც იჩენს თავს და ადგილი აქვს თეორია Vs პრაქტიკა-ს. ის, რომ ტურიზმის განათლება თანხვედრილი უნდა იყოს დარგის განვითარების ტრენდებთან და ინდუსტრიის მოთხოვნებთან, არახალია და ამ მიმართულებით ტურიზმის განათლების კუთხით სერიოზული ნაბიჯები გადაიდგა.



მიუხედავად ამისა შეიქმნა ერთგვარი დილემა ტურიზმის განათლების სფეროში მიღწეულ პროგრესსა და ამ პროგრესით რეალური სექტორის სარგებლობის არსებულ პრაქტიკას შორის, რასაც ქვემოთ მოკლედ განვიხილავთ.

ტურისტული განათლება ჩვენთან ძირითადად ეფუძნება სპეციალისტთა თეორიულ მომზადებას, ხოლო ტურისტული ბიზნეს-სექტორი ითხოვს პრაქტიკული უნარებით აღჭურვილ პერსონალს და მუდმივად გვახსენებს, რომ ამ ტიპის კადრების დეფიციტს აქვს ადგილი. განსაკუთრებით კი ეს ეხება შუა და დაბალი რგოლის მომსახურე პერსონალს. გამოდის, რომ ბიზნესი ჩვენგან ითხოვს მარტივი ამოცანების შემსრულებელ კადრს, რომელსაც აქვს კონკრეტული პროფესიული უნარები, შეუძლია სწრაფი პროფესიული ადაპტირება და აქვს ე.წ. სერვის-მენტალიტეტი.

უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები კი მიზნად ისახავენ ტურიზმის მენეჯერების მომზადებას ფართო მსოფლმხედველობით, ინოვაციებისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარით, რომელთაც შეუძლიათ ფაქტებისა და მოვლენების სისტემატიზება და ანალიზი, მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენა. ამ ტიპის სპეციალისტების მომზადება, კარგ თეორიულ ბაზასთან ერთად, პრაქტიკული მეთოდების დაუფლებასაც გულისხმობს.

შეიძლება საკამათო იყოს კურსდამთავრებულთა მომზადების დონე (ამჯერად აღნიშნულის ანალიზი არ შედის ჩვენ მიზნებში), თუმცა ფაქტი ერთია - ტურისტულ ორგანიზაციებში ძალზე ხშირია არაპროფესიონალების დასაქმების ფაქტები, რაც იმას ნიშნავს, რომ სპეციალურ განათლებამიღებულ კურსდამთავრებულებს დასაქმების დროს უპირატესობა არ ენიჭებათ.

რატომ ხდება ეს? იქნებ ქართული ტურისტული შრომის ბაზარი გაჯერებულია პროფესიონალი მენეჯერებით?

ჩვენი აზრით - პირიქით, სწორედ დარგის მართვასა და დაგეგმვაში არსებული ხარვეზები წარმოადგენს საქართველოს ტურიზმის სწორი მიმართულებით განვითარების ერთ-ერთ არსებით შემაფერხებელ ფაქტორს.

ცნობილია, რომ:

1. სუსტი მენეჯმენტისა და არასწორი მარკეტინგული სტრატეგიის შედეგია საქართველოში „ეფექტული“, ტურისტული ფირმების არსებობა, რომლებიც სწრაფად იქმნებიან და არაკონკურენტუნარიანობის გამო სწრაფადვე ქრებიან ბაზრიდან;

2. საქართველოს ტურისტული ფირმების უმრავლესობა არ ხარჯავს თანხებს მარკეტინგულ კვლევებისათვის და ორიენტირებულია მხოლოდ რეკლამირებასა და გასაღების სტიმულირებაზე, რაც აშკარად არ არის საქმარისი;

3. სუსტი მენეჯმენტითა და არასწორი მარკეტინგული სტრატეგიით შეიძლება აიხსნას ტურისტული საწარმოების ნაწილის არასათანადო იმიჯი.

აღნიშნული წარმოშობს კითხვებს: როგორია ტურისტული საწარმოების საკადრო პოლიტიკა? აქვთ კი მათ განვითარების საკუთარი მოდელი?

ასეა თუ ისე, სახეზეა პრობლემა: ერთი მხრივ, ტურისტულ განათლებაზე არსებობს მოთხოვნა, რომელსაც აშკარად ზრდის ტენდენცია აქვს. უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებს შეუძლიათ ამ მოთხოვნის დაკმაყოფილება, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ მათი პროგრამები ზემოაღნიშნული კონცეფციით იქნება შექმნილი. მეორე მხრივ, სახეზეა დარგის მმართველობითი ხასიათის ხარვეზები და ბიზნეს-სექტორის მუდმივი აპელირება კვალიფიციური კადრების დეფიციტზე.

რა არის აღნიშნულის მიზეზი?

ჩვენი აზრით, მიზეზი საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და ტურისტულ საწარმოებს შორის არასათანადო კავშირული თერიტორიული ბიზნესი, რაც ერთგვარად განპირობებულია სწორედ ქართული ტურისტული ინდუსტრიის ხარვეზებით, რომელიც წაკლებად ახდენს ადამიანური რესურსების განვითარების საკითხში არსებული გამოწვევების იდენტიფიცირებასა და ანალიზს, არ გააჩნია მკაფიოდ გამოკვეთილი საკადრო პოლიტიკა.

ამდენად, უნდა ვალიაროთ, რომ ქვეყნის ტურისტული ინდუსტრიის შრომის ბაზარი საკმაოდ არა-ცივილიზებულია, ვინაიდან ის არ ახალისებს სპეციალური განათლებით აღჭურვილ კურსდამთავრებულებს, რომლებმაც უნდა შექმნა ფონი შრომის ბაზარზე. მაშინ, როდესაც კონკურენციის პირობებში განვითარებადი თანამედროვე საზოგადოების მოთხოვნა სწორედ მაღალი კვალიფიკაციის ადამიანური რესურსებია.

### გამოყენებული ლიტერატურე:

1. A conceptual study of the Tourism industry (Peters,M.,Frehse,J.,University of Innsbruck, 2009);
2. The concept of sustainable Tourism within the High Education (Busby, Gr., University of Plymouth, 2007);
3. Tourism sciences or Tourism study? (Ritchie,Brent j.r.,Sheehan,L.R.,Timor,S.,2008)
4. Introduction to TEDQUAL: a methodology of WTO for Quality in Tourism Education and Training, (Ed. Eduardo Fayos-Solia, 2009)



## მაია უკლება

### ტურიზმის განათლება: დილემა თეორიასა და პრაქტიკას შორის

#### რეზიუმე

ადამიანური რესურსების როლი ტურიზმის პოლიტიკისა და პრაქტიკის უმთავრესი კომპონენტია. ადამიანური რესურსების კვალიფიკაცია და ხარისხი კი განათლების ხარისხსა და თავისებურებებზეა დამოკიდებული. ტურიზმი, არც თუ დიდი ხანია, რაც აკადემიური განათლების ყურადღების ცენტრში მოქმედა, თუმცა ის უკვე აღიარებულია, როგორც სწავლებისა და კვლევის სერიოზული და ანგარიშგასანევი სფერო. შესაბამისად, როგორც განათლების შედარებით ახალგაზრდა ობიექტს გარკვეული პრობლემები ახასიათებს. ნამრომში გაანალიზებულია ტურიზმის განათლების პრობლემები და მოცემულია ტურიზმის, როგორც ერთიანი სისტემის სწავლების რეკომენდაციები, აგრეთვე განხილულია საქართველოს ტურისტულ შრომის ბაზარზე არსებული პრობლემები და წინააღმდეგობები ტურიზმის განათლების თეორიასა და არსებულ პრაქტიკას შორის.

**Maia Ukleba**

#### Tourism Education: Dilemma between the Theory and Practice

#### Summary

The role of human resources is a main component of tourism policy and practice, while quality of human resources depends on tourism education quality and peculiarity. Tourism became a significant field of education and research not long ago. Correspondingly, as a new object for education, it faces certain challenges.

The article deals with the problems of tourism education and offers recommendations on tourism as a whole system. The article reviews also the problems of tourism labor market and contradictions between theory of tourism education and current practice.



Liana Karalashvili

David Kalandarishvili

### Properties of the Certain Centro-Symmetric Matrices Similar to the Unit Matrix

Let us consider a square matrix  $A_m = \left[ a_{ij}^{(m)} \right]_1^m$  with following elements

$$a_{ij}^{(m)} = \Delta_i^2 A_{j,0}^{0,i-1} = \int_0^{i+1} \int_0^z l_j^{(m)}(t) dt dz - 2 \int_0^i \int_0^z l_j^{(m)}(t) dt dz + \int_0^{i-1} \int_0^z l_j^{(m)}(t) dt dz \quad (1)$$

$\left. \begin{array}{l} \text{where } l_j^{(m)}(t) = \frac{(t-1)(t-2)\dots(t-m)}{(t-j)(j-1)!(-1)^{m-j}(m-j)!}, j = \overline{1, m} \text{ are Lagrange} \\ \text{fundamental polynomials with equidistant integer roots.} \end{array} \right\}$ . This matrix appears in numerical

solutions of linear second order partial differential equations of elliptic type on the symmetric uniform grid. Later it will be shown that  $A_m$  acts as a unit matrix.

It is possible to bring few versions of the above mentioned matrix elements.

$$a_{ij}^{(m)} = \int_{i-1}^i \int_z^{z+1} l_j^{(m)}(t) dt dz \quad (2)$$

$$a_{ij}^{(m)} = 2 \int_0^1 \int_z^{2z} l_j^{(m)}(t+i-1) dt dz \quad (3)$$

$$a_{ij}^{(m)} = \int_0^1 (1-x) [l_j^{(m)}(x+i) + l_j^{(m)}(-x+i)] dx \quad (4)$$

**Definition:** Matrix  $J = \begin{bmatrix} 0 & \dots & 1 \\ \vdots & \ddots & \vdots \\ 1 & \dots & 0 \end{bmatrix}$  is an involutory matrix if it satisfies the following condition:  $J^2 = E$ ,

where  $E$  is a unit matrix. Multiplication of any matrix from the left by  $J$  causes permutation of its rows in the inverse order and multiplication any matrix from the right by the same involutory matrix will change the order of its columns.

**Lemma 1.** Any  $A$  matrix is centro-symmetric ( $a_{ij} = a_{m+1-i, m+1-j}$ ) if and only if it satisfies the following condition:

$$JAJ = A \quad (5)$$

If  $A$  is a centro-symmetric matrix, then  $AJ$  and  $J A$ , on the basis of (5), are also centro-symmetric matrices. In its turn, unit matrix  $E$  and involutory matrix  $J$  themselves are centro-symmetric, as they satisfy (5).

It should be mentioned, that property of central symmetry dislike symmetry is invariant concerning multiplication. Besides, property of central symmetry of centro-symmetric matrices product is a sufficient condition, but not necessary, since product of centro-symmetric matrices is centro-symmetric, but not vice versa. It is not difficult to be convinced, that set of centro-symmetric matrices is a non-commutative ring with zero  $O = [0]^m$ , opposite  $-A = [-a_{ij}]_1^m$  and unit  $E$  (with units on the main diagonal) elements. As it is known, full matrix ring creates algebra.

Starting from this, the following properties of centro-symmetric matrices take place.

**Lemma 2.** Linear combination of centro-symmetric matrices is a centro-symmetric matrix.

**Lemma 3.** Product of finite or countable number of centro-symmetric matrices is a centro-symmetric matrix.

**Lemma 4.** Polynomial of centro-symmetric matrix is also centro-symmetric.

**Lemma 5.** Inverse of nonsingular centro-symmetric matrix is also centro-symmetric.

*Proof:*  $A^{-1} = (JAJ)^{-1} = J^{-1}(JA)^{-1} = J^{-1}A^{-1}J^{-1} = JA^{-1}J$ , Q.E.D.

**Lemma 6.** Adjoint matrix of centro-symmetric matrix is also centro-symmetric.

**Lemma 7.** Kronecker product of centro-symmetric matrices is also centro-symmetric.



*Proof:* Given  $JA_m J = A_m$ ;  $JB_n J = B_n$ . For the involutory matrix  $J$  takes place the following relation:  $J_m \otimes J_n = J_n \otimes J_m = J_m \otimes J_n = J_{mn}$ . Let us check validity of (5) for the Kronecker -product  $A_m \otimes B_n$ . Taking into account properties of Kronecker-product, we will have

$$J_{mn}(A_m \otimes B_n) J_{mn} = J_m \otimes J(A_m \otimes B_n) J_m \otimes J_n = \\ (J_m A_m \otimes J_n B_n) J_m \otimes J_n = (J_m A_m J_m) \otimes (J_n B_n J_n) = A_m \otimes B_n, Q.E.D.$$

**Lemma 8.** Matrix  $A_m = \left[ a_{ij}^{(m)} \right]_1^m$  with given (1)-(4) elements is centro-symmetric.

*Proof:* For the Lagrange fundamental polynomials occurs the following equality

$$l_i^{(m)}(x) = l_{m+1-i}^{(m)}(m+1-x) \quad (6)$$

Taking into account this equality and implement twice substitution, we will have

$$\begin{aligned}
a_{ij}^{(m)} &= \int_{i-1}^i \int_z^{z+1} l_j^{(m)}(t) dt dz = \int_{i-1}^i \int_z^{z+1} l_{m+1-j}^{(m)}(m+1-t) dt dz = \\
&= - \int_{i-1}^i \int_{m+1-z}^{m-z} l_{m+1-j}^{(m)}(t) dt dz = - \int_{m+1-i}^{m-i} \int_z^{z+1} l_{m+1-j}^{(m)}(t) dt dz = \\
&= \int_{m-i}^{m+1-i} \int_z^{z+1} l_{m+1-j}^{(m)}(t) dt dz = a_{m+1-i, m+1-j}^{(m)}, \text{ Q.E.D.}
\end{aligned}$$

**Lemma 9.** Elements of centro-symmetric  $A_m$  matrix satisfy the following relation

$$\sum_{j=1}^m a_{ij}^{(m)} = 1, \quad \forall i = \overline{1, m}.$$

Using expression (2) in the above mentioned relation we will be convinced in the obviousness of the relation.

**Theorem 1.** Spur of the matrix  $A$  with elements (3) equals its order

$$SpA_m = \sum_{j=1}^m a_{jj}^{(m)} = m \quad (7)$$

**Theorem 2.** Root of  $(m-1)$  derivative of  $A_m$  matrix characteristic polynomial equals 1.

By method of mathematical induction we may prove that

$$\frac{d^{m-1}}{d\lambda^{m-1}}|A_m - \lambda E_m| = (-1)^{m-1} (m-1)! \left[ \sum_{i=1}^m a_{ii} - m\lambda \right],$$

Then on the basis of (7) we will have:

$$\frac{d^{m-1}}{d\lambda^{m-1}}|A_m - \lambda E_m| = (-1)^{m-1} m! (1-\lambda),$$

from which follows validity of the theorem. In terms of **Theorems 1** and **2** it is possible to prove  $m$  – multiplicity of the eigenvalue, equaled 1.

**Lemma 10.** For elements of centro-symmetric matrices  $A$  takes place the following recurrence relation

$$a_{ij}^{(m)} = \sum_{k=1}^j \left( a_{ik}^{(m+1)} - a_{i+1,k}^{(m+1)} \right), \quad \forall i, j = \overline{1, m}. \quad (8)$$

*Proof:* Taking into account formula (2), let us rewrite (8) the following way:

$$\begin{aligned} \int_{i-1}^i \int_z^{z+1} l_j^{(m)}(t) dt dz &= \sum_{k=1}^j \left[ \int_{i-1}^i \int_z^{z+1} l_k^{(m+1)}(t) dt dz - \int_i^{i+1} \int_z^{z+1} l_k^{(m+1)}(t) dt dz \right] = \\ &= \int_{i-1}^i \int_z^{z+1} \sum_{k=1}^j [l_k^{(m+1)}(t) - l_k^{(m+1)}(t+1)] dt dz. \end{aligned}$$

Hence, to be convinced in the validity of the lemma, it is sufficient to prove equality of the integrands

$$l_j^{(m)}(t) = \sum_{k=1}^j [l_k^{(m+1)}(t) - l_k^{(m+1)}(t+1)] \quad (9)$$



We will conduct proof by means of mathematical induction. For  $j = 1$  we have

$$\begin{aligned} l_1^{(m+1)}(t) - l_1^{(m+1)}(t+1) &= \frac{(t-2)\dots(t-m)(t-m-1)}{0!(-1)^m m!} - \frac{(t-1)\dots(t-m)}{0!(-1)^m m!} = \\ &= \frac{(t-2)\dots(t-m)[t-m-1-t+1]}{0!(-1)^m m!} = \frac{(t-2)\dots(t-m)}{0!(-1)^{m-1} (m-1)!} = l_1^{(m)}(t) \end{aligned}$$

and validity of (9) is evident.

Now let us assume that (8) is valid for any  $j$  and prove its validity for  $j+1$ . With assumption of induction we have

$$\sum_{k=1}^{j+1} [l_k^{(m+1)}(t) - l_k^{(m+1)}(t+1)] = l_j^{(m)}(t) + [l_{j+1}^{(m+1)}(t) - l_{j+1}^{(m+1)}(t+1)] \quad (10)$$

Since

$$\begin{aligned} l_{j+1}^{(m+1)}(t) - l_{j+1}^{(m+1)}(t+1) &= \\ &= \frac{(-1)^{m-j}}{j!(m-j)!} \left[ (t-1)\dots(t-j)(t-j-2)\dots(t-m-1) - \right] =, \\ &= \frac{(t-1)\dots(t-j+1)(t-j-2)\dots(t-m)}{j!(-1)^{m-j} (m-j)!} \end{aligned}$$

Then (10) will be equal to  $l_{j+1}^{(m)}(t)$ , Q.E.D.

On the basis of Lemmas 9 and 10 we may conclude that for  $j = m+1$  (8) will receive the next form

$$a_{i,m+1}^{(m)} = \sum_{k=1}^{m+1} [a_{ik}^{(m+1)} - a_{i+1,k}^{(m+1)}] = 0, \quad \forall i = \overline{1, m}. \quad (11)$$

**Lemma 11.** The following relation is valid

$$Q_{m+1}^{(m)} A_{m+1} \left( Q_{m+1}^{(m)} \right)^{-1} = \begin{bmatrix} A_m & \vec{0}_m \\ \alpha_m & 1 \end{bmatrix}, \quad \forall m \in N, \quad (12)$$

Where  $Q_{m+1}^{(m)} = [q_{ij}]_1^{m+1}$  and  $\left( Q_{m+1}^{(m)} \right)^{-1} = [q_{ij}^{-1}]_1^{m+1}$  are square matrices with elements

$$q_{ij} = \begin{cases} 1, & i=j \\ -1, & j-i=1, \quad \forall i, j = \overline{1, m+1}, \\ 0, & \forall i \neq j, j-1 \end{cases}$$

$$q_{ij}^{-1} = \begin{cases} 1, & j-i \geq 0 \\ 0, & j-i < 0 \end{cases}$$

$\vec{0}$ - is a zero vector-column of order  $m$ ;  $\alpha_m = (\alpha_m^j)_{j=1}^m$ -is a vector-row with elements

$$\alpha_m^j = \sum_{k=1}^j a_{m+1,k}^{(m+1)}, \quad j = \overline{1, m}$$

Proof: Given

$$\begin{aligned} Q_{m+1}^{(m)} \cdot A_{m+1} &= C_{m+1}, \\ C_{m+1} &= [c_{ij}]_1^{m+1}, \quad c_{ij} = \begin{cases} a_{ij}^{(m+1)} - a_{i+1,j}^{(m+1)}, & i = \overline{1, m} \\ a_{m+1,j}^{(m+1)}, & i = m+1 \end{cases} \end{aligned}$$

Where taking into account (11) we will receive

$$C_{m+1} \left( Q_{m+1}^{(m)} \right)^{-1} = \begin{bmatrix} A_m & \vec{0} \\ \alpha_m & 1 \end{bmatrix}, \text{Q.E.D.}$$



**Lemma 12.** For matrix  $A_{m+1}$  there exists such an upper triangular matrix

$$P_{m+1} = \prod_{i=1}^m Q_{m+1}^{(m+1-i)},$$

that matrix

$$P_{m+1} A_{m+1} P_{m+1}^{-1} = L_{m+1} = \left[ l_{ij}^{(m)} \right]_1^{m+1}$$

is a lower triangular matrix with elements

$$l_{ij}^{(m+1)} = \begin{cases} a_{i-j+1,1}^{(i-j+1)}, & i \geq j, \\ 0, & i < j, \forall i, j = \overline{1, m+1} \end{cases}, \quad (13)$$

where

$$P_{m+1} = \left[ p_{ij}^{(m+1)} \right]_1^{m+1}, \quad p_{ij}^{(m+1)} = (-1)^{j-i} \binom{m+1-i}{j-i}, \quad \left( p_{ij}^{(m+1)} \right)^{-1} = |p_{ij}^{(m+1)}| \quad (14)$$

Proof. Let us prove validity of (14) by mathematical induction. Assume that this formula is valid for matrices of order  $m$  and let prove its validity for  $m+1$ .

For this purpose let us multiply matrix  $\begin{bmatrix} P_m & \vec{0} \\ \vec{0} & 1 \end{bmatrix}$  by  $Q_{m+1}^{(1)}$  from the left, then

$$\begin{aligned} p_{ij}^{(m+1)} &= (-1)^{j-i} \binom{m-i}{j-i} - (-1)^{j-i-1} \binom{m-i}{j-i-1} = \\ &= (-1)^{j-i} \left[ \frac{(m-i)!}{(j-i)!(m-j)!} + \frac{(m-i)!}{(j-i-1)!(m+1-j)!} \right] = \\ &= \frac{(-1)^{j-i} (m-i)!}{(j-i-1)!(m-j)!} \left( \frac{1}{j-i} + \frac{1}{m+1-j} \right) = (-1)^{j-i} \binom{m+1-i}{j-i}, \quad j \geq i, \end{aligned}$$

but when  $j < i$ ,  $p_{ij}^{(m+1)} = 0$ , Q.E.D.

Let us prove validity of (13). We have

$$\sum_{\rho=0}^{m+1-j} \binom{m-\rho}{m+1-j-\rho} a_{m+1,\rho+1}^{(m+1)} = \sum_{\rho=0}^{m+1-j} \binom{\rho+j-1}{\rho} a_{m+1,m+2-j-\rho}^{(m+1)}$$

or since  $A_{m+1}$  is centro-symmetric

$$l_{m+1,j}^{(m+1)} = \sum_{\rho=0}^{m+1-j} \binom{\rho+j-1}{\rho} a_{1,\rho+j}^{(m+1)}. \quad (15)$$

Substituting (3) into (15) we will receive

$$l_{m+1,j}^{(m+1)} = 2 \int_0^1 \int_t^{2t} \left[ \sum_{\rho=0}^{m+1-j} \binom{\rho+j-1}{\rho} l_{j+\rho}^{(m+1)}(x) \right] dx dt.$$

Using properties of Lagrange fundamental polynomials the integrand will be transformed the following way

$$\sum_{\rho=0}^{m+1-j} \binom{\rho+j-1}{\rho} l_{j+\rho}^{(m+1)}(x) = l_j^{(j)}(x) \quad (16)$$

Taking into account (16) and central symmetry we will have

$$l_{m+1,j}^{(m+1)} = 2 \int_0^1 \int_t^{2t} l_j^{(j)}(x) dx dt = a_{1,j}^{(j)} = a_{j,1}^{(j)}$$

Let us prove (13) by means of mathematical induction. Assume, that (13) is valid for matrices of order  $m$  and prove its validity for order  $m+1$ . From (12) we have



$$Q_{m+1}^{(m)} A_{m+1} \left(Q_{m+1}^{(m)}\right)^{-1} = \begin{bmatrix} A_m & \vec{o} \\ a_m & 1 \end{bmatrix} = \begin{bmatrix} P_m^{-1} L_m P_m & \vec{o}_m \\ a_m & 1 \end{bmatrix},$$

From what follows

$$\begin{bmatrix} P_m & \vec{0} \\ \vec{0} & 1 \end{bmatrix} Q_{m+1}^{(m)} A_{m+1} \left(Q_{m+1}^{(m)}\right)^{-1} \begin{bmatrix} P_m^{-1} & \vec{0} \\ \vec{0} & 1 \end{bmatrix} = \begin{bmatrix} L_m & \vec{0} \\ \vec{C}_{m+1} & 1 \end{bmatrix}. \quad (17)$$

It is remained to prove that  $(m+1)$ -st row will have the following expression

$$\vec{C}_{m+1} = (a_{m+1,1}^{(m+1)}, a_{m,1}^{(m)}, \dots, a_{j,1}^{(j)}, \dots, a_{11}^{(1)}).$$

We have

$$c_{m+1,j} = \sum_{s=1}^m \alpha_m^s (P_{sj}^{(m)})^{-1} = \sum_{s=1}^m \binom{m-s}{j-s} \sum_{k=1}^s a_{m+1,k}^{(m+1)}, \quad j = \overline{1, m+1}.$$

(on the basis of Lemma 2,  $\alpha_m^{(m+1)} = 1$ ). Because of the central symmetry of matrix  $A_{m+1}$  and formula (3) we have

$$c_{m+1,j} = 2 \int_0^{1/2t} \left\{ \sum_{s=1}^j \binom{m-s}{m-j} \cdot \sum_{k=1}^s l_{m+2-k}^{(m+1)}(x) \right\} dx dt.$$

Let us transform the integrand:

$$\sum_{s=1}^j \binom{m-s}{m-j} \cdot \sum_{k=1}^s l_{m+2-k}^{(m+1)}(x) = \sum_{k=1}^j l_{m+2-k}^{(m+1)}(x) \sum_{s=k}^j \binom{m-s}{m-j} = l_{m+2-j}^{(m+2-j)}(x), \quad \forall j = \overline{1, m+1}.$$

Here was used the following property of binomial coefficients

$$\sum_{s=k}^j \binom{m-s}{m-j} = \sum_{s=0}^{j-k} \binom{m-k-s}{m-j} = \binom{m+1-k}{m+1-j}.$$

Thus, we will have

$$c_{m+1,j} = 2 \int_0^{1/2t} l_{m+2-j}^{(m+2-j)}(x) dx dt = a_{1,m+2-j}^{(m+2-j)} = a_{m+2-j,1}^{(m+2-j)}, \quad \forall j = \overline{1, m+1},$$

(because of central symmetry) and in terms of (17)

$$\begin{bmatrix} L_m & \vec{0} \\ \vec{c}_{m+1} & 1 \end{bmatrix} = L_{m+1},$$

Which finishes proof of the Lemma.

On the basis of Lemmas 4 and 5 we come to the following theorem:

**Theorem 3.** Matrix  $A_m$ ,  $\forall m \in N$ , is non-singular and has  $m$ -multiple unit eigenvalue.

Proof. The fact that matrix  $A_m$  has  $m$ -multiple characteristic root, equaled 1, follows from the Lemma 5, which is valid for all  $m \in N$ , and the following equality

$$l_{ii}^{(m)} = a_{11}^{(1)} = 1.$$

Consequently, on the main diagonal of the lower triangular matrix  $L_m$  are located units, that proves the validity of the **Theorem 3**.

**Theorem 4.** Sum of the main minors of  $k$  order of matrix  $A_m$  equals  $C_m^k = \binom{m}{k}$ .

## References

- [1] L. Qaralashvili, M. Khmiadashvili, Special centro-symmetric matrices in numerical solutions of elliptic equations. Abstracts, Batumi II International Conference.



**ლიანა ყარალაშვილი  
დავით კალანდარიშვილი**

**ერთეულოვანი მატრიცის მსგავსი ზოგიერთი  
ცენტრსიმეტრიული მატრიცების თვისებები**

**რეზიუმე**

მრავალ სხვაობიან სქემებს შორის გამოირჩევა რიცხვითი მეთოდი გაჯერების გარეშე, დაფუძნებული შ. მიქელაძის სააპროექსიმაციო ფორმულაზე, რომელიც წრფეთა მეთოდთან კომბინირებით გამოიყენება სასაზღვრო ამოცანის ამოსახსნელად ელიფსური ტიპის კვაზი-წრფივი კერძონარმოებულიანი დიფიცირენციალური განტოლებისათვის. ამ კომბინირებული მეთოდის აპრობირებისათვის მოდელად შერჩეულია სასაზღვრო ამოცანა პუასონის განტოლებისათვის კომოდინატთა სათავის მიმართ სიმეტრიულ მართვულთხედში.

ამ მიღებობით წარმოიქმნება ცენტრსიმეტრიული მატრიცები, რომელთა თვისებები განხილულია ამ სტატიაში.

**Liana Karalashvili  
David Kalandarishvili**

**Properties of the Certain Centro-Symmetric Matrices  
Similar to the Unit Matrix**

**Summary**

Among diversity of difference schemes it is worth to emphasize a method without saturation based on the approximating formula by Sh. Mikeladze, which was used to solve the boundary value problem for quasi-linear partial differential equations of elliptic type. As a model, the boundary value problem for the Poisson equation was considered in a rectangle together with the method of lines.

As a result of this approach centro-symmetric matrices were formed, properties of which are considered in this paper.



## ლალი ჩაგებიშვილი-აგლაძე

### ცოდნის ეკონომიკა და ცოდნის განვითარების საკითხები საქართველოში

საზოგადოების განვითარების თანამედროვე პირობებში, ინფორმაციული ტექნოლოგიების ფართომასშტაბიანი განვითარების საფუძველზე, ცოდნა მისასწოდომი გახდა მსოფლიო მასშტაბით საზოგადოების თითოეული ნევროსათვის. სწორედ ამიტომ, ის კონკურენციის ერთ-ერთ ძლიერ და მთავარ ფაქტორადაა მიჩნეული.

ყოფილ საბჭოთა კვშირის ქვეყნებში, მეცნიერება და განათლება, საკმაოდ მაღალ დონეს აღწევდა, მაგრამ ეს პოტენციალი აბსოლუტურად გამოუსადეგარი აღმოჩნდა პოსტიური სახელმწიფოთა ეკონომიკათათვის, - ასეთი აზრია წარმოდგენილი მსოფლიო ბანკის ექსპერტთა დასკვნაში, რომელიც გამოქვეყნდა სახელწოდებით „ინოვაციების კომერციალიზაციის ფინანსური მხარდაჭერა საზოგადოების მხრიდან“ – Public Financial Support for Commercial Innovation<sup>1</sup>, სადაც გაანალიზებულია ყოფილი საბჭოთა კავშირიდან გამოყოფილი, დამოუკიდებელი ქვეყნების მეცნიერული კვლევების კომერციალიზაციის პრობლემები, ამ გამოკვლევის მიხედვით – მეცნიერულ კვლევებზე და ინოვაციებზე იხარჯება მთლიანი შიდა პროდუქტის(მშპ) 1,5% - რუსეთში; 1,2% - უკრაინაში; 0,8% - ესტონეთში; 0,7% - ლიტვასა და ბელორუსში; 0,4% - ლატვიაში; 0,3% - აზერბაიჯანში; 0,2% - სომხეთსა და ყირგიზეთში; სამუალოდ, ევროპისა და შუა აზიის ქვეყნები მეცნიერული და ტექნოლოგიური ძიებებისათვის ხარჯავნენ მშპ-ის 0,9%, ხოლო კაცობრიობა კი მეცნიერულ კვლევებზე ხარჯავს პლანეტის მშპ-ის 2,3%-ს, შედარებისათვის – აშშ მეცნიერული კვლევებისათვის „იმეტებს“ მშპ-ის 2,8%-ს, ისრაელი მშპ-ის – 5,1%-ს, ხოლო ფინეთი – 3,6%-ს.

ევროპასა და შუა აზიაში, ხარჯებს მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარებისათვის ძირითადად სახელმწიფო კისრულობს, ალნიშნული ხარჯების მესამედი კი მოდის კერძო სექტორზე.

ისეთი ქვეყნებისათვის(იაპონია, აშშ, შვედეთი, ფინეთი, ირლანდია, გერმანია), სადაც აქტიურად ხდება ფულის ჩადება მეცნიერებასა და ინოვაციები, ბიზნეს სექტორის წილი დაფინანსებაში აღწევს 65-70%-ს, ხოლო სახელმწიფო კი იხდის დანარჩენ 20-30%-ს.

მეცნიერ-მუშაკთა რაოდენობა, ევროპასა და შუა აზიაში კვლავ რჩება(მიუხედავად ამ სფეროში არ-სებული ფინანსური პრობლემებისა) მაღალ ნიშნულზე, ყოფილი სსრკ-ს ქვეყნებიდან, სამუალოდ ერთ მილიონ მცხოვრებზე მოდის ორი ათასი მკვლევარი ან მუშავი, რომელიც დაკავშირებულია ახალი ტექნოლოგიების შექმნასა და დანერგვასთან; მათ შორის ქვეყნების მიხედვით ასეთ მონაცემს აქვეყნებს მსოფლიო ბანკის ალნიშნული პუბლიკაცია: რუსეთი – 3,4 ათასი მკვლევარი ერთ მილიონ მოსახლეზე; საქართველო – 2,4 ათასი; უკრაინა – 1,8 ათასი; ესტონეთი – 2,3 ათასი; ბელორუსი და ლიტვა – 1,9 ათასი; სომხეთი – 1,6 ათასი; ლატვია – 1,5 ათასი; აზერბაიჯანი – 1,3 ათასი; ყირგიზეთი – 0,5 ათასი; მოლდოვა – 0,2 ათასი; ევროკავშირის ქვეყნები, ალნიშნული პარამეტრი აღწევს 2,5 ათასს – ერთ მილიონზე; მსოფლიო ლიდერი, ამ თვალსაზრისით, ფინეთია: 7,5 ათასი მკვლევარი ერთ მილიონ მოსახლეზე, შემდგომ ადგილზეა იაპონია - 5 ათასი; და გერმანია – 3,2 ათასი; როგორც ალნიშნული სტატისტიკა მეტყველებს, მკვლევართა რაოდენობა და მათ მიერ შერულებულ სამუშაოთა მაღალი დონეც კი არა საკმარისი ეკონომიკური ზრდისათვის, კვლევათა შედეგების კომერციალიზაციის გარეშე, მეცნიერებაზე და განათლებაზე და-ხარჯული სახსრები – ქარს გატანებული აღმოჩნდება.

მიუხედავად ინოვაციათა სასიცოცხლო-აუცილებლობისა, ეკონომიკურად წარმატებულ ქვეყნებშიც კი პრობლემატური ხდება მეცნიერებაზე დანახარჯების ზრდა. ამ უკანასკნელის განმაპირობებელი ორი მთავარი მიზეზია; პირველი: ნებისმიერი ახალი იდეა ან პროდუქტი ახდენს უმნიშვნელოვანეს გავლენას საზოგადოებასა და ეკონომიკაზე, ამასთან თავად გამომგონებლები, ხშირად ვერაფერს იღებენ და მოგება სხვებს რჩებათ, რის გამოც ითრგუნება „გამომგონებლობითი სტიმული“ – ახალი იდეების შექმნის ინტერესი ეკარგებათ არა მხოლოდ მეცნიერებს და ინოვაციორებს, არამედ იმ ადამიანებს ან სტრუქტურებს, რომლებიც აფინანსებენ მეცნიერულ კვლევებს ადრეულ სტადიაზე; მეორე ფაქტორია: „ინფორმაციული ასიმეტრიის“ გამოვლინება – გამომგონებელმ (აიდეის ავტორმა) გაცილებით მეტი იცის საკუთარი გამოგონებისა და მისი პოტენციური გამოყენების შესახებ, ვიდრე იმ ფინანსისტმა, ვისაც გააჩნია შესაბამისი სახსრები იდეის ფინანსური უზრუნველყოფისათვის, მეცნიერთათვის ძალზე როულია ადექვატურად წარადგინონ საკუთარ პროექტთა ღირსებანი და დამტკიცონ, რომ წარმოდგენილი იდეა, სამრეწველო რეალიზაციისა – მოგებას მოიტანს, ეს ყველაფერი იმიტომ ხდება, რომ მეცნიერები და ინვესტორები სხვადასხვა ენაზე საუბრობენ, რაც დაფინანსების პრობლემატურობას განაპირობებს.

აშშ-ში, მეცნიერული კვლევები, ადრეულ სტადიაზე, სახელმწიფოს მიერ (ეს საბიუჯეტო თანხები, სამუალოდ, პროექტებში ჩადებული ფინანსური რესურსების 34%-ს შეადგენს) და „ვენჩურული“ კაპიტალით (ესეც 34%-ია) ფინანსდება, კიდევ 25%-ს მენარმეები დებენ პროექტებში და იმედი აქვთ, მომავალში, დიდი მოგებებისა.

ყოფილი სსრკ-დან გამოყოფილ ქვეყნებში, მდგომარეობა აშშ-სთან შედარებით რადიკალურად განსხვავებულია: მენარმეები, როგორც წესი, არ დებენ ფულს მეცნიერული აქტივისათ-

<sup>1</sup> World Development Report 2004 <http://www-wds.worldbank.org>



ვის, ხოლო სახელმწიფოთ კი ან არა აქვთ შესაბამისი რესურსები, ან თუ აქვთ – არ იციან, როგორ იმოქმედონ, აღნიშნულ სფეროში (მეცნიერული იდეის კომერციალზაციის თვალსაზრისით).

განათლების დონე, ნებისმიერ სახელმწიფოში განაპირობებს ეკონომიკის მდგომარეობას და ოთხეკომპონენტიანი “ცოდნის ეკონომიკა”-ც, განმსაზღვრელია თანამედროვე, წარმატებული, ქვეყნების ფორმირების საქმეში.

თანამედროვე მეთოდოლოგიის მიხედვით დიდი მნიშვნელობა ეძლევა ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის მაჩვენებლებს. ქვეყნების განვითარების მაჩვენებლების განსაზღვრის ერთ-ერთ მიდგომას იძლევა მსოფლიო ბანკი 4 (ნონლედგე ფორმებული განვითარებისათვის) პროგრამით.

შემოთავაზებული მეთოდოლოგით ინოვაციების გაანგარიშება ხდება სამი მაჩვენებლით:

- მეცნიერ მუშაკების რიცხვით, რომელებიც დაკავებული არიან სკასს-ის სფეროში;
- დარეგისტრირებული პატენტების რიცხვით, რომელთა ავტორებიც ეკუთვნიან ამა თუ იმ ქვეყანას;

• სამეცნიერო-ტექნიკურ უზრნალებში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომებით.

K4D პროგრამა გვთავაზობს აგრეთვე ცოდნის ეკონომიკისა და ცოდნის ინდექსებს.<sup>1</sup>

გარდა მეცნიერთა დარგობრივი პროფესიონალიზმისა, საჭიროა ადამიანთა ისეთი ფენა, რომლებიც შეძლებენ არამატერიალური აქტივების (ლიცენზიები, სავაჭრო ნიშნები, მეცნიერული გადაწყვეტები, პატენტები, ნოუ-ჰოუები, ადამიანური კაპიტალი, ცოდნა), მატერიალურში გადაყვანას; ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში მსხვილი კომპანიების ფასს განსაზღვრავს არამატერიალური აქტივები.

მეცნიერულ კვლევათა კომერციალიზაციას და ინოვაციურ ბიზნესს, საქართველოში, ორი მთავარი ხელშემსრული ფაქტორი ემუქრება (თუ არ გამოვიყენეთ ალტერნატიული გზები კვლევათა შედეგების კომერციალიზაციისა, რაზეც ქვემოთ იქნება საუბარი.), ესენია NASDAC-ის მსგავსი საფონდო ბაზრის და სარისკო კაპიტალის (ე.წ. “ვენჩურული” კაპიტალი) მქონე კომპანიების არ არსებობა.

ბოლოდროინდელმა კვლევებმა აჩვენა, რომ მატერიალური აქტივები ქმნიან მხოლოდ ხილულ, მცირენანილს კორპორატიული საკუთრებისა ან საბაზრო ღირებულებისა, აღნიშნულის თვალსიერული წარმოდგენისათვის საკმარისა აღინიშნოს, რომ 500 წარმყვანი კომპანიის ჯამური კაპიტალიზაცია “Standard and Poor's 500” ინდექსით, 2005 წლის ბოლოს შეფასდა 4,6 ტრილიონ აშშ დოლარად, მაშინ როცა მათივე მატერიალური აქტივები “იწონიდა” 1,2 ტრილიონ აშშ დოლარს. დროის იმავე პერიოდში, “ონ უონეს” ინდექსით შეფასებული კომპანიების საბაზრო და საბალანსო ღირებულებას შორის თანაფარდობა შეადგენდა 5,3 ხოლო ზოგიერთი მაღალტექნოლოგიური ფირმისათვის კი აღნიშნული თანაფარდობა (კომპანიების საბაზრო და საბალანსო ღირებულებას შორის თანაფარდობა) აღმატებოდა 10-ს.

დღეს ყველაზე დიდი შემოსავლები (განვითარებულ ქვეყნებში) მოაქვს “უხილავ” კაპიტალს ინტელექტუალური აქტივების ამუშავების ხარჯზე, ამიტომაცაა, რომ მრავალი კომპანია (ისევ განვითარებულ ქვეყნებში) აინვესტირებენ განათლებას და არ ითხოვენ ასეთ ინვესტიციებზე მყისიერ უკუგებას, იმიტომ რომ დარწმუნებული არიან ასეთი ქმედებების (ინვესტირების) გზით დაკმაყოფილდება ბაზრების მზარდი მოთხოვნილები – ცოდნის გამო გაუმჯობესებული პროდუქტით.

თანამედროვე წარმატებული კომპანიები აღიარებენ რა ცოდნას – კაპიტალად, “ზედებიან” რომ ცოდნით მართვაზე უარის თქმა – დაუშვებლად ძვირი დაუჯდებათ.

დღევანდელი პროდუქტის ღირებულების მზარდი წარმოადგენს მასშივე (პროდუქტში) ჩადებული ცოდნის წილს და სულ უფრო მზარდი ხდება ამავე ცოდნის მოცულობა პროდუქტის თვითლირებულებაში.

ცოდნის განვითარება მჭიდრო კავშირშია ცოდნის გამოყენებასთან. იმდენად, რამდენადაც ცოდნის გადაცემის ძირითად წყაროს საგანმანათლებლო სფერო წარმოადგენს, ჩვენი კვლევაც საგანმანათლებლო და ბიზნეს სტრუქტურებში ცოდნის გამოყენებისა და განვითარების კუთხით წარიმართა. ცოდნის გადაცემა ორგანიზაციებში ხდება კომუნიკაციის საშუალებით. რომელთა რანჟირებაც, არსებული რეალობიდან გამომდინარე, შემდეგნაირად შეიძლება მოვახდინოთ: **პერსონალური კომუნიკაცია; ჯგუფური კომუნიკაცია; ცოდნის მართვის კორპორატიული წყარო ანუ კომუნიკაცია /IT ტექნოლოგების გამოყენებით.**

კვლევისას აღმოჩნდა, რომ სამივე მიმართულებით ცოდნის გადაცემის პროცესი არასათანადოდ ხორციელდება. ამის მიზეზები უმაღლეს დაწესებულებებში ძირითადად ინფორმაციის მონოპოლიზაცია ანუ სხვაგარად რომ ვთქვათ უმაღლეს სასწავლებელთა უმრავლესობაში პერსონალური და ჯგუფური კომუნიკაციის პრობლემებია. ანალიზმა გვიჩვენა, რომ საკვლეპ ბიზინესში 57%-ში არ ხდება სიახლეთა, ინოვაციური მიდგომების, ახალი ცოდნის, ანუ ცოდნის შესახებ ინფორმაციის დროული და სრულყოფილ გადაცემა. ინფორმაცია მმართველობის შუა და ქვედა დონეებზე მიდის დაგვიანებით ან საერთოდ არ მიდის, რის შედეგადაც არასათანადოდ წარიმართება ცოდნის ფორმირება და გავრცელება.

ანალიზიდან ჩანს, რომ ცოდნის შესახებ ინფორმაციის 100 პროცენტიანი გავრცელებიდან 34% მოდის ცოდნის შესახებ დაგვიანებით მიწოდებულ ინფორმაციაზე; 21% ეკუთვნის არასწორად მიწოდე-

<sup>1</sup> The Knowledge Economy, the KAM Methodology and World Bank Operation. Derek H.C. Chen and Carl J. Dahlman The World Bank, Washington DC, 2005



ბულ( ბუნდოვან) ინფორმაციას; 35% არასრულყოფილად მიწოდებული ინფორმაციაა; 10% -ში მოხვდა ინფორმაცია, რომელსაც საერთოდ არ ფლობს ცოდნის მაძიებელი;

როგორც კვლევის შედეგებიდან გაირკვა ასეთი სურათის მიზეზები მრავალფეროვანია რომელთა შორის ძირითადად დომინირებენ არასათანადო მენეჯმენტი და მოძველებული მიდგომები. ეს მიზეზები დასახელდა საკვლევ ობიექტთა იმ 57%-ში სადაც შედიან როგორც ე.წ. სახელმწიფო, ასევე კერძო ტიპის უმაღლეს სასწავლებლები. IT ტექნოლოგიების მიზეზით ცოდნის გავრცელებისა და გამოყენების დაბრკოლებები სახელწიფო უმაღლეს სასწავლებლებში 27%-ით გამოიხატა, ხოლო კერძო ტიპის უმაღლეს სასწავლებლებში მისი წილი 15% -ია.

რაგინდ სამწუხაროც არ უნდა იყოს კვლევის შედეგად დადგინდა, რომ უმაღლეს სასწავლებელთა უმეტესობაში ჯერ კიდევ შეიმჩნევა „დაფარული ცოდნის“ პრაქტიკა. აღნიშნული მიდგომის მომხრეთა თვალსაზრისით ეს სამუაღლებას აძლევთ მათ დიდხანს შეინარჩუნონ თავითი პოზიციები, რაც უფრო მეტად მონოპოლიზებულს ხდის სტრუქტურას და კონკურენციის პირობებში კი მათი სასიცოცხო ციკლი სულ უფრო მეტად მცირდება.

ცოდნის გავრცელებისა და გამოყენების თვალსაზრისით თვლნათლივ გამოიხატა ასევე პრობლემები ფინანსურ მენეჯმენტში. როცა, უნივერსიტეტების ფინანსური მენეჯმენტი მნირი ფინანსური რესურსების მიზეზით ვერ ან არ აფინანსებს ცოდნის გამოყენების აქტივობებს სტრუქტურაში.

რადიკალურად განსხვავებული სურათია ბიზნეს სტრუქტურებში, რომელთა რიცხვში ჩვენს მიერ შერჩეულ იქნება საბანკო დაწესებულებები, სამრეწველო საწარმოები, სადაზღვევო კომპანიები და სავაჭრო ობიექტები.

აქ ცოდნის განოყენების თვალსაზრისით ფართო და ინოვაციური სამუშაოები ტარდება, საბანკო სტრუქტურებში პერსონალური, ჯგუფური და IT ტექნოლოგიების გამოყენებით კომუნიკაციების დონე მაღალია. ცოდნის გავრცელებისა და გამოყენების დაბრკოლებელი მიზეზი ძირითადად როტაციების დროს მიმდინარე ხარვეზებია (21%), ხოლო დაბალი კვალიფიკირების კადრების მიზეზით (რაც აღმასთან დაკავშირებულ პრობლემებს ქმნის) ცოდნის გამოყენების დაბრკოლებაზე მოდის 11%;

რაც შეეხებათ სამრეწველო საწარმოებსა და სადაზღვევო კომპანიებს, ცოდნის გავრცელების და გამოყენების ინტენსიური პროცესები მიმდინარეობს, თუმცა ხარვეზები კორპორაციული ბაზების თვალსაზრისით აქ უფრო მეტად შეიმჩნევა. ფინანსური თვალსაზრისით, ეს მიზნობრივი ჯგუფი აფინანსებს ცოდნის გავრცელებასა და გამოყენებას იმ მასშტატებით რაც მათი ინტერესების სფეროში ხვდება.

გაცილებით რთული სიტუაციას სავაჭრო ობიექტებზე, სადაც გამოკითხულთა 62%-სათვის უცხოა ცოდნის მართვის ცნება საერთოდ; 21% -ს (საშუალო დონის მენეჯმენტი) გაუგია მის შესახებ, მაგრამ პრაქტიკულად არ ფლობს მის ტექნოლოგიას; 15% -კი (ზედა დონის მენეჯმენტი) ამ ეტაპისათვის ვერ ხედავს მის საჭიროებას; 2%-ს მიერუთვნება ისეთი სავაჭრო ობიექტები, როგორიციცაა: კარფური და გუდვილის ქსელი და რომელთა ზედა დონის მენეჯმენტი თვლის, რომ ცოდნის მართვის საკითხები მათ კომპანიებში ჩანასახის პროცესშია და ამის მიზეზად ისინი საქართველოს ბაზარზე ფუნქციონირების სანმოკლე პერიოდს ასახელებენ.

ანალიზმა ცხადყო, რომ გამოკითხული სტრუქტურების დიდი ნაწილი ინტელექტუალურ რესურსს არ განიხილავენ სტრატეგიულ ჭრილში. ბიზნეს პროცესები განიხილება ფინანსური შედეგების მიღების ჭრილში, რაც რაღა თქმა უნდა უკვე წარსულია.

სტაბილური ფინანსური რესურსების ზრუნველყოფის და კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელ ძირითად ფაქტორად ინტელექტუალური რსურსები უნდა განიხილებოდეს. ნებისმიერი კომპანიისატვის ამოსავალი უნდა იყოს მუდმივი ზრუნვა განახლებასა და განვითარებაზე. კომპანიებმა აქტიურად უნდა მიმართონ საკუთალი ძალისხმევა ცოდნის გამოყენებასა და გავრცელებაზე; მარკეტინგული სამსახური შექმნასა და კვლევების განხორციელებაზე; ინოვაციური ჯგუფების შექმნასა და საქმიანობაზე. რადგანც მათი მუშაობის შედეგად ყალიბდება ახალი და მზარდი ინტელექტუალური რესურსს.

ამისათვის კი, პირველყოფილი სამსახურისა საჭიროა მაღალი ორგანიზაციული კულტურის შექმნა. ეს უკანასკნელი არ ნიმუშის მხოლოდ ორგანიზაციის ეთიკის კოდექსისა და ხორმების შემუშავებას. ორგანიზაციული კულტურის ქვეშ მოიაზრება კონკურენტუნარიანი სტრატეგიისათვის ფასეულობათა ჯაჭვის განსაზღვრა და მისი მიზანმიმართულად განხორციელება, რომლი შედეგადაც ხდება კონკურენტული პრიორიტეტის გამომუშავება და მიიღწევა მაღალი ფინანსური შედეგები.

ცოდნის განვითარების, გამოყენებისა და მათი სოციალურ-ეკონომიკური შედეგების ნათელ მაგალითს წარმოადგენენ მსოფლიოში ცნობილი ტექნოპარკები და ტექნოზონები.

ტექნოლოგიური პარკების საერთაშორისო ასოციაციის მიერ 2002 წელს შემუშავებული დეფინიციით, „ტექნოლოგიური პარკი — არის სპეციალისტებით მართული ორგანიზაცია, რომლის მთავარ მიზანს წარმოადგენს ადგილობრივი საზოგადოების კეთილდღეობის გაუმჯობესება ინოვაციური კულტურის განვითარების გზით. ის ხელს უწყობს ინოვაციური ბიზნესისა და სამეცნიერო დაწესებულებების განვითარებას. ამ მიზნების მისაღწევად, ტექნოლოგიური პარკი სწორად ანაზიღურ რესურსებსა და ცოდნას უნივერსიტეტებს, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს, კომპანიებსა და ბაზარს შორის.“

„ჩრდილოეთ კარილინას „კვლევით სამეცნიერო კულევით ორგანიზაციებში ეს იმითაც არის გამოწვეული, რომ ხდება უნივერსიტეტის კვალიფიციური კადრებისა და ახალგაზრდა მეცნიერების მოზიდვა. ტექნოპარკის ინვესტიციები ყოველწლიურად იზრდებოდა და დღეისათვის 2 მილიარდ დოლარს მიაღწია.



90-იან წლებში ციურიხის ტექნოპარკში შედიოდა 190 კომპანია, რომლებშიც 1 400 ადამიანი იყო დასაქმებული. ტექნოპარკის დაარსებამ გამოიწვია ასობით ახალი სამუშაო ადგილის შექმნა. კომპანიების უმეტესობამ (91%) დიდ წარმატებებს მიაღწია, მხოლოდ 9%-მა ვერ მოახერხა საკუთარი პროდუქციით ბაზრის დაპყრობა.

ციურიხის ტექნოპარკის ინტელექტუალურ სამუშაოს ასრულებენ შვეიცარიის ტექნიკური ინსტიტუტებისა და უნივერსიტეტების მეცნიერები. მეცნიერებისა და წარმოების წარმატებული თანამშრომლობის შედეგად ტექნოპარკს ძალიან დიდი წვლილი შეაქვს ქვეყნის ეკონომიკაში.

რუმინეთის ტექნოპარკები წარმოადგენენ ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების, უმაღლესი განათლებისა და კვლევითი ინსიტუტების და სხვა დაინტერესებული ორგანიზაციების ერთობლივ საწარმოებს.

არსებული სახელმწიფო დახმარების პროგრამით აქ სახელმწიფო დაფინანსება, მთლიანი დაფინანსების 30 %-ს შეადგენს, რაც 114,814,591 მლრდ ლეის (41,220,145 მლრდ აშშ დოლარი) ტოლია. მათგან 54,175 მილიონი რუმინული ლეი (19,450 მლნ აშშ დოლარი) განაწილებულ იქნა შენობების ინვესტირებაზე, ხოლო 1,111,190 მლრდ რუმინული ლეი (398,933 მლნ აშშ დოლარი) — ინფრასტრუქტურის განვითარებაზე.

ასეთი მხარდაჭერის შედეგად, რუმინეთში უკვე 24 ტექნოპარკი შეიქმნა.

1996 წელს ლატვიაში ოფიციალურად დაარსდა „ლატვიის ტექნოპარკების ასოციაცია“, რომლის ძირითად მიზანს ლატვიის მეცნიერებასა და სამეცნარეო სტრუქტურებს შორის მჭიდრო კავშირის დამყარება წარმოადგენდა. ის „ტექნოპარკების საერთაშორისო ასოციაციის“ წევრია, რაც ხელს უწყობს ლატვიის ტექნოპარკებს კონტაქტების დამყარებასა და საერთაშორისო ასპარეზზე გასვლაში. ასოციაციის ფუნქციებში შედის: ქვეყნის საინოვაციო პოლიტიკის შემუშავება, მეცნიერების დაფინანსების განსაზღვრა, ტექნოპარკების ფისკალური პოლიტიკის შემუშავება, ადმინისტრაციული საკითხების სახელმწიფო დონეზე მოგვარება, ტექნოპარკების პროდუქციის საერთაშორისო ბაზარზე გატანა და სხვა. ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე წათელია, თუ რამდენად დროული და აუცილებელია გლობალურ სივრცეში ფუნქციონირებისათვის, ცოდნის განვითარებასა და გამოყენებაზე მნიშველოვანი ძალების წარმართვა.

### გამოყენებული ლიტერატურა:

- 1.Аксенов Владимир Леонидович; Организация венчурного финансирования инновационной деятельности предприятий : Воронеж, 2000 221 с. РГБ ОД, 61:01-8/1458-8
- 2.Алиев Джомарт Фазылович; Организационно-экономическое обеспечение венчурного инвестирования в высокотехнологичные разработки М., 2005 183 с. РГБ ОД, 61:06-8/1468
- 3.Бешкинский Максим Евгеньевич; Организация инвестирования высокотехнологичных проектов венчурным инновационным фондом ; Москва, 2003 140 с. РГБ ОД, 61:03-8/2929-4.Бритова Валентина Григорьевна; Механизм управления венчурными инвестициями в промышленности /Уфа, 2006 168 с. РГБ ОД, 61:06-8/4677
5. Васильев Владимир Львович; Институциональный механизм развития венчурного предпринимательства в современной экономике ; Казань, 2006 161 с. РГБ ОД, 61:06-8/4570
6. Новоселов Михаил Владимирович; Венчурная инновационная деятельность в мезо- и микроэкономических системах; Екатеринбург, 2006 224 с. РГБ ОД, 61:07-8/376
7. Яценко Владимир Петрович ; Венчурное инвестирование в инновационной экономике Москва, 2005 183 с. РГБ ОД, 61:05-8/2439
- 8 Chris Freeman. Luc Soete; The Economics of Industrial Innovation - 3rd Edition; 2008
9. Cristiano Antonelli As Time Goes By: From the Industrial Revolutions to the Information Revolution; Routledge; pp.440; 2007
10. Cristiano Antonelli; The Economics of Innovation, New Technologies and Structural Change; Routledge; pp.220; 2006
11. Innovation, Economics and Evolution  
by Dave Hall; Harvester Wheatsheaf; pp284; 1994
- 12 Adam B. Jaffe & Josh Lerner. Innovation and Its Discontents:  
How Our Broken Patent System is Endangering Innovation and Progress, and What to Do About It; pp.256; 2004
13. William J. Baumol; The Free-Market Innovation Machine:  
Analyzing the Growth Miracle of Capitalism; pp336; 2003;
14. Amar Bhidé The Venturesome Economy:  
How Innovation Sustains Prosperity in a More Connected World; pp.556; 2008
15. Earl M. Knowledge management strategies: Toward a taxonomy/ Journal of Management Information systems, 18(1) 2001
16. Furlog G. Knowledge Management and the Competitive Edge/ University of Greenwich Business School 2001
17. Nonaka I. Toyuma R. Ronno N. SECI, Bo and Leadership: a Unified Model of Dynamic Knowledge Creation / Long Range Planning, vol.33 (33) 2000



18. Nonaka L. Teece D. Managing industrial knolege. London: SAGE Publication, 2001
19. The Knowledge Economy, the KAM Methodology and World Bank Operation. Derek H.C. Chen and Carl J. Dahlman The World Bank, Washington DC, 2043; 2005
20. World Development Report 2004 <http://www-wds.worldbank.org>

## ლალი ჩაგელიშვილი-აგლაძე

ცოდნის ეკონომიკა და ცოდნის განვითარების საკითხები საქართველოში

### რეზიუმე

თანამედროვე მსოფლიოში ცოდნაკონკურენციის ერთ-ერთ ძლიერ და მთავარ ფაქტორადაა მიჩნეული.

თანამედროვე წარმატებული კომპანიები აღიარებენ რა ცოდნას – კაპიტალად, „ხვდებიან“ რომ ცოდნით მართვაზე უარის თქმა – დაუშვებლად ძვირი დაუჯდებათ.

დღევანდელი პროდუქტის ღირებულების მზარდი წაწილი წარმოადგენს მასშივე (პროდუქტში) ჩადებული ცოდნის წილს და სულ უფრო მზარდი ხდება ამავე ცოდნის მოცულობა პროდუქტის თვითლირებულებაში.

ცოდნის განვითარება მჭიდრო კავშირშია ცოდნის გამოყენებასთან. ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკა ქვეყნის კონკურენტული უპირატესობის მთავარი იარაღია.

სწორედ აღნიშნული საკითხიეს კვლევასა და პრობლემათა გადაჭრის გზებს ეხება წარმოდგენილი ნაშრომი.

**Lali Chagelishvili**

### Knowledge Economy and its Development Issues in Georgia

#### Summary

In modern world the knowledge is considered to be one of the strong and significant factors for competition.

Modern successful companies recognize the knowledge as an asset and ‘guess’ that ignoring the management based on knowledge will cost them unacceptably expensive.

The increasing part of the value for current product is the part of the knowledge invested in it (product) and the share of the same knowledge in the net value of the product will gradually increase.

Knowledge development is closely connected with knowledge application. The economics bases on knowledge is the main tool for competitive priority of the country.

The presented paper is an attempt to study the problem and find the ways of solution to them.

# სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებები

## თანა გოგიჩაშვილი

### სიყვარულის პიონიერული მახასიათებლა

სიყვარული მარადიულია, ნიადაგ განახლებული, ერთ ადამიანში დაუტევნელი ძალაა. იგი ბოლომდე ავსებს კაცის სულს, რათა შემდეგ გადმოიღვაროს და სხვათაც გაუნაწილდეს, როგორ ღვთიური მადლი და საზრდელი. სიყვარულს შესანიშნავი თვისება აქვს: სიყვარული ძლიერდება ჩვენში, თუ მას უხვად ვუნანილებთ სხვას.

ილია მეორე

რა არის სიყვარული? საიდან მოდის და სად მიდის? მუდმივია თუ წარმავალი? სიყვარული და ქი- მია? არის თუ არა სიყვარული მოთხოვნილება?

კაცობრიობის არსებობის დღიდან მრავალი ხელოვანი, ფილოსოფოსი თუ მოაზროვნე ცდილობდა მსჯელობისა და განხილვის საგნად ექცია სიყვარულის საკითხი, თუმცა მიუხედავად ამისა, კითხვები მა- ინც არსებობს და სავარაუდოდ, კიდევ იარსებებს. ფაქტია, რომ ადამიანებს შორის ურთიერთობა სცილ- დება მხოლოდ მოწონება-არმოწონების ან ურბალო ნაცნობობის საზღვრებს და მათ შორის მყარდება სხვადასხვა ხასიათის და ხარისხობრივად განსახვავებული ემოციური ურთიერთობები.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, სიყვარული არის ვისიმე ან რისიმე მიმართ ერთგულების, თავდადების, ღრმა კეთილგანწყობის გრძნობა, გამოწვეული მისი მაღალი ღირსების აღია- რებით, საერთო ინტერესების არსებობით, მოწონებით და ა.შ.

ვიკიპედიის მიხედვით(თავისუფალი ქართულურნოვანი ენციკლოპედია), სიყვარული - ძლიერი ერ- თგულებისა და პიროვნული მიმაგრებულობის ემოცია. ფილოსოფიურ კონტექსტში, სიყვარული არის სათნოება, რომელიც წარმოადგენს ყველა ადამიანურ სიკეთეს, თანაგრძობას და ერთგულებას. რელი- გიურ კონტექსტში, სიყვარული არა მხოლოდ სათნოება, არამედ ყოველი არსების საფუძველია („ღმერთი სიყვარულია.“) და ყოველი ღვთიური კანონის არსია.

რაც შეეხება ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, სიყვარული, როგორც ემოციის ერთ-ერთი სახე თა- ვისი სხვადასხვა ფორმით, ძალიან მნიშვნელოვან ადგილს იკავებს როგორც პიროვნებათშორის ურთიერ- თობებში, ისე ფსიქოლოგიაში, როგორც მეცნიერებაში.

ბუნებრივია, სიტყვა „სიყვარული“, არ ითვალისწინებს მხოლოდ საწინააღმდეგო სქესის ადამიანი- სადმი დამოკიდებულებას. იგი შეიძლება გამოხატავდეს სხვადასხვა გრძნობას, მდგომარეობას და დამო- კიდებულებას დაწყებული ზოგადი სიამოვნებიდან(მემწვარი კარტოფილი, საყვარელი კაბა, ზღვის პეისა- ზი) დამთავრებული პიროვნებათშორისი ურთიერთობით(დედის, ქმრის, შვილის სიყვარული და სხვ.). ყო- ველივე აქედან გამომდინარე, სიყვარული ჰქვია ისეთ საკმაოდ განსხვავებულ ადამიანურ ურთიერთო- ბებს, როგორიცაა ურთიერთობა შეყვარებულებს შორის, ცოლ-ქმარს შორის. მშობლებსა და შვილებს შო- რის, მეგობრებს, ნათესავებს და ა.შ.

მიუხედავად იმისა, რომ სიყვარულის, როგორც ფენომენის კვლევის გარკვეული მცდელობები არ- სებობს(რაზეც ქვემოთ ვისაუბრებთ), იგი ჯერ მაინც შორსაა საბოლოო ერთმნიშვნელოვანი დეფინიციი- საგან და ეს ბუნებრივიცაა, რადგან მოვლენის მეცნიერული ახსნა ნიშნავს მიზეზის დადგენას, რისთვი- საც მხოლოდ ლაბორატორიაში ჩატარებული შეყვარებული ადამიანების თავის ტვინის ტომოგრაფიული კვლევები არ აღმოჩნდა საკმარისი, იმიტომ რომ მაინც უპასუხოდ რჩება კითხვა --- რატომ უყვარდება ერთ ადამიანს კონკრეტულად მეორე ადამიანი და რა უხილავი კავშირი არსებობს მათ შორის?

საკითხის სირთულიდან და ნაშრომის დასაწყისში დასმული კითხვებისათვის პასუხის გასაცემად, შევეცდები გარკვეული სინათლე შევიტანო სიყვარულის ფორმების კატეგორიზაციიში და გავარკვით თუ რას ნიშნავს ერთი ინდივიდის მიერ მეორის შეყვარება.

უ.კ. უნდა აღინიშნოს, რომ სიყვარული, როგორც ემოციის ერთ-ერთი სახე, რთული ფსიქიკური მდგომარეობაა, რომელსაც ახასიათებს:

1. გრძნობების, აზრებისა და მოქმედებების აკვიატებული კონცენტრირება სიყვარულის ობიექტზე იმ ზომით, რომ ეს ხშირად სხვა საზრუნავის უგულვებელყოფას იწვევს.

2. უკიდურესი სუბიექტურობა ანუ აღიქმება მხოლოდ ობიექტის დადებითი მხარეები, უარყოფითი კი იჩქმალება, ხეიტრალიზდება და პოზიტიურადაც კი ფასდება.

3. ეიფორიული ან ამაღლებული გუნება-განწყობილება.



#### 4. სექსუალური ლტოლვა სიყვარულის ობიექტის მიმართ.

ფსიქოლოგი ერის ფრომი წიგნში „სიყვარულის ხელოვნება“, სიყვარულის შესახებ წერს, რომ ის არ მოდის შემთხვევით და ის საჭიროებს ცოდნას. ამ დროს აქტიურად ვიზტერესდებით იმის ცხოვრებით, ვის მიმართაც განვიცდით ამ გრძნობას.

ფრომის აზრით, სიყვარული ხელოვნებაა და ისევე, როგორც ყველა სხვა სფეროში, ასევე სიყვარულის ხელოვნებაშიც მხოლოდ თეორიისა და პრაქტიკის ცოდნა არ არის საკმარისი. ცოდნა უნდა იყოს მოტივირებული სურვილით იყო ხელოვანი ამ სფეროში. სიყვარული უკანმოუხედავად თავგანწირვას ნიშნავს, მთლიანად თავის გაღებას იმის იმედით, რომ შენი სიყვარული იმ მეორეშიც სიყვარულს დაბადებს. ამასთანავე ფრომი გამოყოფს სიყვარულის რამოდენიმე ფორმას: მეგობრული სიყვარული, უმნეოთა მიმართ სიყვარული, ეროტიკული სიყვარული, საკუთარი თავის სიყვარული, ღმერთის სიყვარული და სხვ. ფრომი ამავე დროს თვლის, რომ საზოგადოებაში გავრცელებულია პათოლოგიური სიყვარულის ფორმა --- ფსევდოსიყვარული, რომელიც თავის მხრივ, ორ სახედ იყოფა: სიყვარული, როგორც ორმხრივი სექსუალური მოთხოვნილების დაქმაყოფილება და სიყვარული, როგორც შეთანხმებული ქმედება, რომელიც მარტობისაგან თავის დაღწევის მიზნით არის მოტივირებული

ფრომისაგან განსხვავებით, ზ.ფრონიდი სიყვარულს განიხილავს, როგორც პირობას, რომელშიც დომინანტური როლი ენიჭება მამაკაცს, რომელიც სიყვარულისათვის შესაფერის იბიექტს ირჩევს შემდეგი ნიშნების მიხედვით:

1. როდესაც ქალი ვიღაცისგან არის დაზარალებული;

2. მედავის სიყვარული;

3. ლტოლვა ქალისადმი, რომელსაც აქს მედავის ნიშნები.

4. შეყვარებულის გადარჩენის ტენდენცია, რაც ნიშნავს იმას, რომ კაცი არ ტოვებს ქალს, რადგან დარწმუნებულია, რომ ის მას სჭირდება.

ფრონიდი ასევე გამოყოფს სიყვარულის ორ ფორმას. ერთი, როდესაც ლიბიდო წარმართულია სხვისკენ და მეორე, როდესაც ლიბიდო წარმართულია საკუთარი თავისკენ, რასაც ავტორი წარცისიზმს უწოდებს.

ფსიქოლოგი ს.სტერნბერგი გამოყოფს სიყვარულის სამფაქტორიან მოდელს, რომელიც ვწების, ინტიმურობის და ვალდებულების განსხვავებული კომბინაციებისგან შედგება. თითოეულ მათგანს ავტორი ასე განსაზღვრავს:

**ვნება -** სექსუალური მოტივი და სექსუალური აღგზნება, რომელიც ასოცირებულია დაწყვილებას-თან; **ინტიმურობა** ანუ სიახლოვე, რომელსაც გრძნობენ პარტნიორები და **ვალდებულება** - ელემენტი, რომელიც მოთხოვს გადაწყვეტილებას, რომ ვიღაცას უყვარს ვიღაცა და ავალდებულებს შეინარჩუნოს ეს ურთიერთობა.

ამ სამი ბაზისური კომპონენტის კომბინაციით სტერნბერგი გამოყოფს შვიდი სახის სიყვარულს:

❖ **მონონება** - მოიცავს მხოლოდ ინტიმურობას(მეგობრობა ვნების ან ვალდებულების გარეშე);

❖ **რომანტიკული სიყვარული** - მოიცავს ინტიმურობას და ვნებას(ინდივიდები ფიზიკურად და ემოციურად მიიზიდებიან ერთმანეთისაკენ, მაგრამ ვალდებულების გარეშე);

❖ **მეგობრული სიყვარული** - შეიცავს ინტიმურობას და ვალდებულებებს(ხანგრძლივი ვალდებულება-მეგობრობა, რომელშიც ვნება გაფერმურთალებულია);

❖ **ძლიერი გატაცება** - შეიცავს მხოლოდ ვნებას(ვნებიანი, მოზღვავებული სიყვარული ინტიმურობისა და ვალდებულების გარეშე);

❖ **განუსჯელი სიყვარული** - შეიცავს ვნებას და ვალდებულებებს(ზედაპირული ურთიერთობა, რომელიც ემყარება ქარბორბალას);

❖ **ჩამქრალი სიყვარული** - შეიცავს მხოლოდ ვალდებულებებს ინტიმურობისა და ვნების გარეშე(ვალდებულება გრძელდება მხოლოდ ინერციით);

❖ **სრულყოფილი სიყვარული** - შეიცავს სამივე კომპონენტს(იდეალი, რომლის მიღწევაც სწადია).

ჩამოთვლილი თეორიების შეჯერებას შევეცდებით აბრ. მასლოუს მოთხოვნილებათა იერარქიული სისტემის საფუძველზე, რომელსაც თავის მხრივ, საფუძვლად დაედო ადამიანების ქცევის და ცხოვრების შესწავლა და დაკვირვება და რომელიც პირდაპირ გვეუბნება, რომ ფიზიოლოგიური და უსაფრთხოების მოთხოვნილების შემდეგ, ადამიანისათვის უმნიშვნელოვანებისა სოციალური კონტაქტების მოთხოვნილება ანუ **სიყვარული**, მეგობრობა, ყურადღება, ზრუნვა და თუ ეს მოთხოვნილებები ვერ კმაყოფილდება, მაშინ ირლვევა პიროვნების სოციალური საქმიანობის რეგულაცია. აქ ასევე მნიშვნელოვანია ისიც, რომ თუ ქედა საფუძველის მოთხოვნილება არ დაკმაყოფილდა, ადამიანი ვერ იქნება თვითრეალიზებული, რაც თავის მხრივ, დააყენებს მისი ფსიქიკის სიჯანსალის პრობლემას, ვინაიდან კომპეტენციისა და თვითაქტუალიზაციის მოთხოვნილებები იქნება ფრუსტრირებული და ადამიანი აუცილებლად იქნება აგრესიული იმ სოციუმში, რომელშიც მას უწევს ცხოველქმედება. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ სიყვარული როგორც ემოციის ერთ-ერთი სახე ხამდვილად არის ადამიანის ერთ-ერთი ბაზისური მოთხოვნილება, რაც თავის მხრივ, ხდება ადამიანის თვითრეალიზაციის ერთ-ერთი ბუნებრივი გამოვლინება.

სწორედ მასლოუს მიერ შემოთავაზებულ სოციალური კონტაქტების მოთხოვნილებას ეხმიანება ერთ-ერთი თანამედროვე შეხედულება სიყვარულის შესახებ, რომლის მიხედვითაც, სასიყვარულო გან-



ცდები და სექსუალური სწრაფვა მხოლოდ ბიოქიმიური პროცესია და რომელიც განისაზღვრება ადამიანის თანდაყოლილი სწრაფვით გვარის გარემონაცემისაც.

ჰელენ ფიშერი რუტერსის უნივერსიტეტიდან(ნიუ ჯერსი), ამბობს, რომ ბიოლოგიურ-ფიზიოლოგიური თვალსაზრისით, სიყვარული შედგება სამი ძირითადი ეტაპისაგან და თითოეულ ეტაპზე ორგანიზმში განსხვავებული რეაქციები ხდება.

პირველი ეტაპი გახლავთ **ლტოლვა**, რომელზეც გამოიყოფა სექსის პორმონები --- ტესტოსტერონი და ოსტროგენი, რომელიც გვაიძულებენ პარტნიორის ძებნას. მეორე ეტაპი გახლავთ **მიზიდვა**, სადაც ინცება სიყვარულის მდგომარეობაში შესვლა. აქ ადგილი აქვს მხოლოდ „მასზე“, ფიქრს, რაც თავის მხრივ, იწვევს ორგანულ დარვევებს: მადის დაკარგვას, უძილობას, შფოთვას და ა.შ. ამ ეტაპზე მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ისეთი პორმონები, როგორც ადრენალინი, რომელიც გვიჩერებს გულს და ინვევს ოფლის გამოყოფას) და სეროტონინი (ბედნიერების პორმონი, რომელიც შეუძლია გამოიწვიოს ადამიანის დროებითი სიგიურე). მესამე ეტაპი გახლავთ დამოკიდებულებისა და ერთგულების დასკვნითი ეტაპი, რომელიც დგება იმ შემთხვევაში, თუკი ურთიერთობას გაგრძელება უწერია, თუმცა დამოკიდებულება არაა სამუდამო, სხვაგვარად ადამიანები ცხოვრების ნორმალურად გაგრძელებას ვერ შეძლებდნენ. ამ სტადიაში მნიშვნელოვანია ორი პორმონი, რომლებსაც ნერვული სისტემა გამოიმუშავებს: ოქსიტოკინი, რომელიც გამოიყოფა ორგაზმის დროს ორივე სექსის მიერ და ხელს უწყობს პარტნიორების დახახლოებას და ვაზოპრესინი, რომელიც პარტნიორებს შორის უხილავი ძაფების გაბმას უწყობს ხელს. ის ასევე აქვებს მამაკაცს მისი პოტენციური მეტოქის წინააღმდეგ და უღივებს აგრესიას. სწორედ ამ პორმონების ურთიერთექმედების ანუ ქიმიის დამსახურებაა ის,,გარდისფერი სათვალეც“, რომლის ნებალობითაც ჩვენი პარტნიორი გვეჩერენება ყველაზე, ყველაზე, ყველაზე ....

ამრიგად, თუ ჰელენ ფიშერს დავეთანხმებით, ქიმიური თვალსაზრისით სიყვარული ძალზედ მარტივია და პორმონებთან უფრო ასოცირდება, ვიდრე ასოციაციის კლასიკურ იბიექტთან -- გულთან. ამასთანავე, პორმონების კონცენტრაცია თითოეულ ინდივიდში სხვადასხვაა, ამიტომ ზოგის სიყვარული ხანმოკლე და ტრაგიკულია, ზოგის კი ხანგრძლივი ურთიერთობით მთავრდება.

თითქმის იგივე აზრს ავითარებენ მექსიკის ეროვნული ავტონომიური უნივერსიტეტის სპეციალისტები და თვლიან, რომ ადამიანი სიყვარულის დროს ვერაფერზე ფიქრობს თავისი ვნების იბიექტის გარდა. ეს ნაკარნახევია იმით, რომ შეყვარებულობის პირველა ფაზაში ტვინი გამოიმუშავებს განსაკუთრებულ ქიმიურ ნაერთებს, რომელიც ყველა მის ნეირონზე მობილიზდება, რის შედეგადაც აქტიურდება თავის ტვინის შემდეგი ნანილები: ნუმურა, თალამუსი, ჰიპოთალამუსი და ჰიპოკამპი, რომლებიც თავის მხრივ, ადამიანის ემოციებზე არიან პასუხისმგებელნი. ამასთანავე ქალბატონი ხეორბინა მონტემაიორ ფლორესი პირდაპირ გვეუბნება, რომ სიყვარული ადამიანის შემოქმედებით უნარს ჩაგრავს და შრომისუნარიანობაზეც ცუდად მოქმედებს. -არც ერთი შედევრი, -კატეგორიულად აცხადებს მკვლევარი, -შეყვარებულობის პერიოდში არ შექმნილა და მხოლოდ მაშინ იქმნებოდა, როცა სიყვარული მიდიოდა.

სირაკუზის უნივერსიტეტის ფსიქოლოგის პროფესიონალური სტეფანი ორტიგი შეეცადა უფრო ღრმად ეკვლია ალნიშნული საკითხი და საკუთარი კვლევებით დაამტკიცა, რომ როდესაც ადამიანს უყვარდება, ტანდემში მუშაობს თავისი ტვინის 12 სხვადასხვა არე და გარდა ეიფორიის განცდისა, ადგილი აქვს უმაღლესი შემეცნებითი პროცესების შეფერხებასაც(თითქმის მსგავსი მონაცემები დაფიქსირდა ხეორბინა მონტემაიორ ფლორესის კვლევებშიც). ქალბატონი ორტეგა სვამს ძალიან საინტერესო კითხვას:,,რას უყვარდება --- გულს თუ ტვინს?“ და თვითონვე პასუხობს, რომ „, დიდი ალბათობით, უფრო ტვინს, თუმცა ასეთ სიტუაციებში გულიც არ რჩება უფუნქციონი და ამის დასტურია ის, რომ ტვინის გარკვეული უბნების აქტივაცია ინვევს გულის სტიმულირებას, პეპლების ეფექტს მუცელში, სუნთქვის უკმარისობას და სხვ.

კვლევებმა აგრეთვე აჩვენა, რომ სიყვარულის სხვადასხვა ტიპი თავის ტვინის სხვადასხვა არეს ეხება. მაგ. დედამცილურ სიყვარულზე „პასუხისმგებელია“, შუა ტვინი, ხოლო ვნებიანი სიყვარული დაკავშირებულია ტვინის იმ არეებთან, რომელიც უფრო მაღალი რანგის შემეცნებით ფუნქციებს აკონტროლებენ. გარდა ამისა, ასევე საინტერესო შედეგები მოიპოვეს სხვა მკვლევარებმაც, რომლის მიხედვითაც, შეყვარებულთა სისხლში შეინიშნება ცილის მომატება, რომელიც ცნობილია, როგორც „ნერვების ზრდის ფაქტორი“, და რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს ნირონების სიცოცხლისუნარიანობაში.

ამრიგად, სიყვარულის ბიოქიმიური ანალიზის შედეგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ პორმონებს ნამდვილდ შესწევთ ძალა გაზარდონ ემოციური მიჯაჭვულობა და გარეკვეული გავლენა მოახდინონ პარტნიორთა ურთიერთობაზე. იმავე პორმონების დამსახურებით სიყვარული დაახლოებით 3-4 წელი გრძელდება, ხოლო შემდეგ ისინი ძალას კარგავენ და ერთმანეთისადმი ლტოლვაც კლებულობს, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ პარტნიორებს შორის არანაირი გრძნობა აღარ არსებობს. ის თუ როგორ განიცდის თითოეული ჩვენთაგანი სასიყვარულო გრძნობას, ვინ და რატომ არის ჩვენთვის უფრო მიმზიდველი, რა ხარისხით განვიცდით სიამოვნებას ან ვინ უფრო შეტად გვეძვირფასება, ამას რა თქმა უნდა, განსაზღვრავს თითოეული ჩვენთაგანის პიროვნული გამოცდილება, აღზრდის სტილი, მშობლების გავლენის ხარისხი და სხვ. ბუნებრივია, სიყვარული არ შეიძლება ისეთივე ინტენსიური იყოს მთელი ცხოვრება, როგორც დასაწყისში, ვინაიდან ყველაზე იდეალურ ურთიერთობებსაც კი აქვთ გაუცხოების და გულგრილობის გარკვეული ეტაპები, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ სიყვარული აღარ არსებობს. მის შენარჩუნებაზე ზრუნვა აუცილებელია, რაც ნიშნავს ახალ-ახალ ემოციებსა და სიახლეებს. ჩვენს მიერ ზემოთაღნერილი ბიოქიმიური პროცესების ზემოქმედების შედეგად განცდილი ინტენსიური გრძნობა კი გადადის შეჩვენა-



ში(,,თურმე შეჩვევა ყველაზე დიდი, ყველაზე დიდი სიყვარულია,, შ.ნიშნიანიძე), ურთიერთნდობაში, პატი-ვისცემაში და მეგობრობაში.

და ბოლოს, სახალისო და საინტერესო ინფორმაცია: ჯანმრთელობის დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციამ ტერმინი „სიყვარული“, შეიტანა სერიოზულ დაავადებათა რეესტრში (განყოფილება: ფსიქიური გადახრები; პუნქტი: „ჩვევებისა და მისწრაფებისა შელილობა“) და მიანიჭა მას სპეციალური შიფრ-კოდი - F63.9. საინტერესო ისიც, რომ ამ ინფორმაციის მიხედვით, სიყვარული ისეთი დაავადებების ჩამონათვალში მოხვდა, როგორიცაა ალკოჰოლიზმი, ნარკომანია, ლუდომანია, ტოქსიკომანია და სხვა. (მექსიკის უნივერსიტეტის მკვლევარების აზრით, ადამიანის მოთხოვნილება სიყვარულზე იმაზე, უფრო ძლიერია, ვიდრე აქამდე იყო ცნობილი. თურმე ადამიანი ისევე ხდება სიყვარულზე დამოკიდებული, როგორც ავადმყოფი ნარკოტიკზე და მიზნის მიუღწევლობა მასზე ძალიან ცუდად მოქმედებს. შეყვარებულის ტვინის ტომოგრაფიული კვლევის დროს, მეცნიერებმა ტვინის აქტიურ ზონებში აღმოაჩინეს ე.წ. „ფეთქებადი ცხელი ნეტილები“, და მას ცეცხლოვანი ბირთვი უწოდეს. როგორც გაირკვა, ეს ადგილები იმ უჯრედებით არის სავსე, რომელიც დოპამინს ნარმოქმის, რომელიც თავის მხრივ, ნარკოტიკის თვისების მატერებელია. იგივე ნივთიერებას გამოიმუშავებს აზარტული მოთამაშეებისა და ნარკომანების ტვინიც. ასე რომ აღნიშნულ ჩამონათვალში, ალბათ აღარ უნდა გაგვიკვირდეს „სიყვარულის“, არსებობა).

დაავადების სიმპტომატიკა ასე გამოიყურება:

- ❖ აკვიატებული აზრები სხვაზე;
- ❖ ხასიათის ხშირი ცვალებადობა;
- ❖ მაღალი თვითშეფასება;
- ❖ საკუთარი თავის შეცოდება;
- ❖ უძილობა ან ნევეტილი ძილი;
- ❖ დაუფიქრებელი, იმპულსური საქციელი;
- ❖ არტერიალური წნევის ცვალებადობა;
- ❖ თავის ტკივილები;
- ❖ ალერგიული რეაქციები;
- ❖ აკვიატებული იდეის სინდრომი: მე ვიცი, მას ვუყვარვარ.

ჩნდება კითხვა --- დავიცვათ თავი ამ დაავადებისაგან თუ არა?

მეცნიერების გარკვეული ნაწილის აზრით, ამ „დაავადებისაგან“, თავის დასაცავად უნდა ავიმალ-ლოთ იმუნიტეტი და რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ამის ერთ-ერთი ეფექტური საშუალებაა სკოლის წლებში განცდილი „შეყვარებულობანა“, და მისგან განხიბლვა.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. Дружинин В. Н. Психология общих способностей Питер 2006
2. Фромм Э. Искусство любить Москва 1998
3. <http://ru.wikipedia.org/wiki/Трёхкомпонентная-теория-любви>
4. [http://neurologia.ucoz.ru/news/f63\\_9\\_ljubov\\_zabolevanij\\_voz/2011-10-10-321](http://neurologia.ucoz.ru/news/f63_9_ljubov_zabolevanij_voz/2011-10-10-321)

### ნანა გოგიჩაშვილი

#### სიყვარულის ბიო-ქიმიური მახასიათებლები

#### რეზიუმე

ნაშრომში განხილულია სიყვარულის, როგორც ემოციის ერთ-ერთი სახის, ბიო-ქიმიური მახასიათებლები. კერძოდ, კონკრეტული ჰორმონების (დოპამინი, ტესტოსტერონი, სეროტონინი, ოქსიტოცინი, ვაზინპრესინი) ურთიერთმიმართება, როდესაც ორ ადამიანს შორის ყალიბდება სასიყვარულო ემოციური მიჯაჭვულობა.

ავტორი აგრეთვე მიმოიხილავს ე.ფრომის, რ.სტენბერგის, ზ.ფრონიდის და აბრ.მასლოუს შეხედულებებს ზოგადად სიყვარულის ფენომენისადმი და ეხება იმ კვლევის შედეგებსაც, რომლის საფუძველზეც ჰელენ ფიშერმა განსაზღვრა სიყვარულის სამი ძირითადი ეტაპის --- ლტოლვის, მიზიდვის და დამოკიდებულებისა და ერთგულების ბიო-ფიზიოლოგიური ბუნება.



**Nana Gogichashvili**

### **Bio-chemical Characteristics of Love**

#### **Summary**

The paper discusses love as emotion - one of the bio-chemical characteristics. In particular, certain hormones (dopamine, testosterone, serotonin, oksitosiini, vazopresin) interconnection, when the love's emotional attachment is formed between two people.

Author also examines E.From, R. Stenbergis, G. Freud, and Maslou' s views and concerns of the research results on the phenomenon of love , according to this, Helene Fischer determined three main stages of love - passion, attraction, dependence, the stage of devotion and its bio physiological nature .



## გაყვალა (გაია) კოდუაშვილი

### პლასტიკური თეატრის განვითარების ძირითადი ტენდენციები (ტენის უილიამსი „შუშის სამხეფი“)

‘Then and there the theatre and I found each other for better and for worse. I know it’s the only thing that’s saved my life.’’ Tennessee Williams

ამერიკული დრამატურგია აქტიურად ვითარდება მე-19 საუკუნიდან და აყვავებას აღწევს XX საუკუნეში, საუკუნეში, რომელმაც წინ წამოსხია მწერალთა მთელი პლეადა: იუჯინ ი'ნილი, თორთონ უაილდერი, ტენისი უილიამსი, ედუარდ ოლბი, არტურ მილერი და სხვანი, რომლებიც გვევლინებიან ამერიკული დრამატურგის კლასიკოსებად. ადრეულ ეტაპზე ამერიკაში არსებული დასები დაგმდენ გასართობი ხასიათის პიესებს. ასობით პიესას შორის, რომლებიც იდგმებოდა პროდვეიზე, უმეტესობა ერთგვარი ტიპისა გახლდათ: ფარსები, მელოდრამები, რომანტიკული კოსტუმირებული პიესები, სენტიმენტალური კომედიები და მუსიკალური სპექტაკლები. როგორც ა. რომი აღნიშნავს ეს იყო დაკავშირებული “მელოდრამის კულტურაზე”, რომელიც ჯერ კიდევ XIX ს. მუსიკალურ თეატრში ჩამოყალიბდა. მიუხედავად იმისა, რომ ეს მსუბუქი პიესები მაყურებლის სიმპატიით სარგებლობდნენ, ისინი დიდხანს ვერ ძლებდნენ ვერც სცენაზე და ვერც მაყურებელთა მეხსიერებაში რჩებოდნენ. ზოგჯერ გვევდებოდა სერიოზული ნაწარმოებებიც, მაგრამ ამ რეპერტუარის უმნიშვნელოვანესი ნაწილი ევროპული მხატვრული პროზის სცენურ გადამუშავებებს წარმოადგენდა. და მიუხედავად ამისა მე-20 სუკუნეში ამერიკულმა თეატრმა იმდენად მიზანსწრაფულად დაიწყო ცვლილებები და ეს ცვლილებები იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ მოგვიანებით მას “ამერიკული რენესანსი” უწოდეს.

XX საუკუნის 20-30-იანი წლები ძალიან ნაყოფიერი გამოდგა მსოფლიო ლიტერატურის ნებისმიერი დარგისათვის. წინსვლა და სიახლეები შეინიშნებოდა არამარტო პოეზიასა და პროზაში, არამედ დრამატურგიაშიც, განსაკუთრებით კი ალსანიშნავია ამერიკული დრამატურგია, კერძოდ კი ტენისი უილიამსის შემოქმედება. ამერიკულმა დრამატურგიამ, როგორც ხელოვნების გამოკვეთილმა ფორმამ, დამოუკიდებელი სახე მხოლოდ 1945 წლისათვის მიიღო. მისი ჩამოყალიბება და აყვავება იუჯინ ი'ნილის შემოქმედებასთან ასოცირდება. მიუხედავად იმისა, რომ ამერიკულ დრამას ჰქონდა საკუთარი, წმინდა ამერიკული ესთეტიკური სკოლები, შემოქმედებითი მეთოდები, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები და სხვა, საფუძველი მას ევროპულმა დრამატურგიამ, კერძოდ კი ინგლისურმა დრამამ ჩაუყარა.

ახალი თეატრისა და დრამის ფორმირებაზე ასევე ზეგავლენას ახდენს სხვა ფაქტორებიც, კერძოდ: თეატრალური ენის აქტიური განვითარება, თამაშის ტექნიკა, განათება, დეკორაცია, პიესის მუსიკალური და ბგერითი გაფორმება, რომლებიც თანადათანობით ლებულობენ უფრო და უფრო ღრმა აზრობრივ დატვირთვას და დროთა განმავლობაში იწყების სიტყვების განდევნას სცენიდან.

სწორედ ამასთან არის დაკავშირებული ახალი ამერიკული დრამის, კერძოდ, “პლასტიკური თეატრის” განვითარება, რომელიც ეფუძნება სიტყვას, მუსიკას, ცეკვას, პანტომიმას, უსტიკულაციას, ინტონაციას, მიმების ხელოვნებას, არქიტექტურას და განათებას. “პლასტიკური თეატრის” საფუძველში დევს აზრი, რომ დრამის შინაარსში ბევრი რამ მნიშვნელოვანი ადამიანის გონების საზღვრებს მიღმა გადის და ამგვარად გამოდის სიტყვის ჩარჩოდან, და რომ ემოცია უფრო კარგად შეიძლება გადმოსცე პიესის, მუსიკის და ცეკვის საშუალებით, ვიდრე სიტყვით. პლასტიკური თეატრი უპირისპირდება სიტყვის თეატრს. ასე, რომ სიტყვა თეატრებში უფრო ნაკლებად მნიშვნელოვანი ადგილს იჭერს და პირველ პოზიციებს უთმობს არავერბალურ ფორმებს.

ახალი ამერიკული დრამა გამოირჩევა თავისი განსაკუთრებული სტილით, ლაკონურობით და ამავდროულად ემოციონალური დატვირთვით. “პლასტიკური თეატრი” - სიტყვათა ეს შეთანხება იწვევს რადიკალურად განსხვავებულ ასოციაციებს: ბალეტს, ავანგარდული ცეკვის ხელოვნებას და რაღა თქმა უნდა, ტენისი უილიამს, რომელმაც ეს ტერმინი გამოიყენა “შუშის სამხეცის” წინასიტყვაობაში.

ავტორი აღნიშნავდა, რომ ეს შეინიშვნები არ არის მხოლოდ წინასიტყვაობა ამ პიესისათვის. ისინი წინ წამოსწევდნ ახალ, პლასტიკური თეატრის კონცეფციას, რომელმაც უნდა შეცვალოს გარეგნული სიმართლის მიმსგავსების მოძველებული საშუალებები, რომ თეატრმა, როგორც კულტურის ნაწილმა, კვლავ დაიბრუნოს სიცოცხლისუნარიანობა.

ახალი დრამის ავტორები ყველაზე ხშირად წერდნენ თანამედროვეებზე და მე-20 საუკუნეზე, რის-თვისაც იყენებდნენ დეტალების ზედმინევნით სიზუსტეს. უილიამსის პიესებში ტექსტები( თუ არ ჩავთვლით ზოგიერთ მონოლოგს) ძალიან უბრალოა. ისინი გვიამბობენ ჩვეულებრივ ემოციებზე და განცდებზე, მათში არ არის დასმული ზოგადსაკაცობრიო ჭეშმარიტების პრობლემები, არ ისმება გლობალური შეკითხვები, მსგავსი “ყოფნა არყოფნისა”, მისი გმირები წყვეტებ ყოველდღიურ პრობლემებს, განიხილავებ ყველასთვის გასაგებ და ნაცხობ თემებს. სხვა საქმეა, თუ როგორ აკეთებენ ისინი ამას და როგორ აღწერს პიესაში მიმდინარე მოვლენებს ავტორი. ავტორის რემარკებს იგივე და რიგ შემთხვევაში უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს ვიდრე ტექსტს. ისინი ჩვენ უბრალოდ არ გვესაუბრებიან თუ სად ხდება მოქმედება, ვინ მიდის, დგება, ჯდება, იღიმება, და ასე შემდეგ, არამედ ქმნიან ერთ მთლიან სურათს.



უილიამსის შემოქმედება მრავალფეროვანია. მისი სახელი გაიგივებულია პლასტიკური თეატრის თეორიასთან, რაც გარკვეულ ასპექტში შეიძლება გავაიგივოთ ახალ ამერიკულ დრამასთან. ამ თეორიის თანახმად პიესას ილუზია და კათარზისი უნდა ჩამოვამოროოთ, ხოლო ფაბულა – ავტორის გამოცდილებას, მის „მეს“, ანუ პლასტიკურ სახეს უნდა უკავშირდებოდეს. პლასტიკური სახის შესაქმნელად კი მწერალს მდიდარი ცხოვრებისეული გამოცდილება უნდა ჰქონდეს. გამოცდილებაში იგულისხმება ყველაფერი: ავტორის ბიოგრაფია, მისი შინაგანი სამყარო, მსოფლმხედველობა, განათლება. უილიამსის ყველაზე პოპულარული პიესების ანალიზის შემდეგ, მკითხველი რჩმუნდება, რომ მხოლოდ უაღრესად განათლებულ ადამიანს შეეძლო შეექმნა ასეთი ნაწარმოებები, რომელთა კვლევას, პარალელების ძიებას, სიმბოლოების ამოცნობას ბოლო არ უჩანს და სწორედ ამის გამო მათზე განუწყვეტლივ შეიძლება საუბარი. უილიამსის შემოქმედებაში თითქმის ყველა ნაწარმოებში შეინიშნება მწერლის ცხოვრებისეული ელემენტები. ელია კაზანი ტენესის შესახებ ამბობდა.

„Everything in his life is in his plays, and everything in his plays is in his life“.<sup>1</sup> „ყველაფერი, რაც მის ცხოვრებაში ხდება – მის პიესაშია, ხოლო ყველაფერი რაც მის პიესაში ხდება ცხოვრებაშია“.

მეორე მსოფლიო ომის დაწყების წინ, ტენესი უილიამსი უკვე პოპულარული მწერალი იყო. პირველი დიდი ნაწარმატება მას – „შუშის სამხეცებ“ („The Glass Menagerie“) მოუტანა. წიუ-იორკის დრამის კრიტიკოსთა წრემ მას ამ პიესისათვის დიდი ამერიკული დრამატურგის სახელი მიანიჭა. 1947 წელს შეიქმნა – „ტრამვა სახელად სურვილი“ („Streetcar Named Desire“), რომელსაც პულიცერს პრიზი ერგო.

1955-1957 წლებში უილიამსმა ნაწარმოადგინა თავისი საუკეთესო პიესები: - „კატა გახურებული თუნუქის სახურავზე“ („Cat on a hot Tin Roof“), „ორფეუსი ეშვება ჯოჯოხეთში“ („Orpheus Descending“). და ახალგაზრდობის ტკბილმოვანი ჩიტი („Sweet Bird of Youth“). ეს სამი პიესაც ისევე, როგორც უილიამსის პიესების უმრავლესობა, ძირითადად სოციალურ და მორალურ კონფლიქტებზეა აგებული.

პიესა „ახალგაზრდობის ტკბილმოვანი ჩიტი“ („Sweet Bird of Youth“) 1959 წელს დაიწერა. იგი მსგავსად პიესისა „ორფეუსი ეშვება ჯოჯოხეთში“ - მოიცავს სხვადასხვა თემატიკას : სოციალურს, პოლიტიკურს, რასობრივს, და სხვა. „იგუანას ღამე“ („The Night of Iguana“)- უილიამსის საუკეთესო პიესებს შორის ბოლო მნიშვნელოვანი პიესაა, რომელიც 1961 წელს შეიქმნა. ავტორმა მას რელიგიური საფუძველი დაუდო. მისი თემა კი ისევ და ისევ ნონ-კონფორმისტი ადამიანის საზოგადოებასთან ჭიდოლია.

ტ. უილიამსი იყო ერთ-ერთი პირველი ამერიკელი დრამატურგი, რომელმაც სცენაზე ამერიკის საზოგადოების ცხოვრების ფართო პანორამა ნაწარმოვიდგინა. დრამატურგი დევიდ მამეტი უილიამსის პიესებს ამერიკული ენის უდიდეს დრამატურგიულ პოეზიას უწოდებდა. ყველაფერი კი დაიწყო იმით, რომ 1934 წელს ტ. უილიამსმა დაწერა პიესა: „ქაირო, შანჰაი, ბომბეი“. ეს იყო პატარა კომედია, რომელმაც გარდატეხა მოახდინა ტენესის ცხოვრებაში. თავად მწერალი კი ასე წერს: „Then and there the theatre and I found each other for better and for worse. I know it's the only thing that's saved my life.“<sup>2</sup> „აქედან მოყოლებული მე და თეატრმა ვიპოვეთ ერთმანეთი ჭირსა თუ ლხინში და ვიცი, რომ ის არის ერთადერთი რამ, რამაც გადაარჩინა ჩემი სიცოცხლე“. ამ პიესით უილიამსი შევიდა თეატრის სამყაროში, რომელიც მისი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი გახდა და, რომელმაც მას საყოველთაო აღიარება მოუტანა თავდაპირველად უილიამსი ერთ აქტიან პიესებს წერდა, ძირითადად ცნობილი რუსი დრამატურგის - ჩეხოვის ზეგავლენით. ხოლო მოგვიანებით, დრამატურგიული გამოცდილების დაგროვებასთან ერთად, თანდათანობით ჩამოყალიბება იწყო მისმა დრამატურგიულმა ესთეტიკამ, რამაც, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, საბოლოო ჯამში „პლასტიკური თეატრის თეორიის“ სახით დაიმკვიდრა ადგილი მსოფლიო დრამის ისტორიაში, ხოლო ტენესი უილიამსმა, როგორც ამ თეორიის ფუძემდებელმა.

პლასტიკურ თეატრში მუსიკის თანხლება, ფანტასმაგორული შუქის ეფექტები, ფერთა შეხამება, სტერეოსკოპული სურათები- ყველაფერი ეს ისევე, როგორც თვით ტექსტი, მნიშვნელოვან როლს ასრულებს დრამის ალექმაში. სწორედ ამაში მდგომარეობს პლასტიკური დრამის არსი. კრიტიკოსები ხშირად კამათოებრ იმაზე, ტექსტი უფრო მნიშვნელოვანია დრამაში, თუ სცენური ეფექტები. ხანგრძლივი კამათის შემდეგ დაასკენეს, რომ ორივეს თანაბარი მნიშვნელობა აქვა: ტექსტით ვეცნობით სიუჟეტს, გმირებს. სცენური ეფექტები კი გარკვეულ ქვეტექსტს ნაწარმოადგენენ. სპექტაკლის დაწყებამდე ჩვეულებრივ, ჩვენ ნინაშე იშლება სცენა, დეკორაციები, ისმის მელოდია და ენიობა განათება. სწორედ ამ ქვეტექსტის საშუალებით დასაწყისივე გვემნება ნაწარმოადგენა დრამაზე.

ტ. უილიამსის მთავრი გმირები ძირითადად არიან ადამიანები, რომელებიც უპირისპირდებიან საყოველთაოდ მიღებულ მორალს და საზოგადოებრივ ნორმებს. ისინი არიან უმწერ პიროვნებები, რომელთა ცხოვრებაში ამ საყოველთაოდ მიღებულ ნორმებს გამანადგურებელი შედეგი მოაქვს. თვით უილიამსი თავისი პიესების შესახებ წერდა:

„I have only one major theme for my work which is the destructive impact of society on the sensitive non-conformist individual“<sup>3</sup> - „ჩემს შემოქმედებაში მხოლოდ ერთი ძირითადი თემაა – თუ რა გამანადგურებელ ზეგავლენას ახდენს საზოგადოება უბრალო, მგრძნობიარე, ნონ-კონფორმისტი ინდივიდუუმის ცხოვრებაზე“.

<sup>1</sup> www.google.com – Paul P. Reuben Chapter 8:Tennessee Williams. 2008

<sup>2</sup> www.google.com – Paul P. Reuben Chapter 8:Tennessee Williams. p.5

<sup>3</sup> „Certain Moral Values“: A Rhetoric in the Plays of Tennessee Williams by Darryl Erwin Haley the University of Alabama. 1988-1999 A Dissertation Copyright 1999 – All Rights Reserved. Chapter Five: p. 3.14 “Certain Moral Value”: Toward Identifying Williams’s Rhetoric of Outcasts.2003/II



ტ. უილიამსის „პიესებმა და მისმა პერსონაჟებმა ყველაზე ნათლად დაგვიხატეს იმდროინდელი ჭეშ-მარიტი ამერიკელის სახე, მისი სულიერი მდგომარეობა - უმეტესწილად გაცრუებული იმედები, მარტო-სულობა, ცხოვრებისადმი შეში და პესიმიზმი.

პლასტიკური თეატრის დამახასიათებელი ნიშნები მეტად კარგად ჩანს თ. უილიამსის ერთ-ერთ სა-უკეთესო პიესში „შუშის სამხეცე“ — The Glass Menagerie, რომელიც 1944 შეიქმნა. იგი გათვალისწინებული იყო ეკრანისათვის. ამავე წელს ჩიკაგოში მოეწყო მისი პრემიერა. 1945 წელს კი ამ პიესით უილიამსმა დაიმსახურა ნიუ-იორკის დრამატურგიული წრის ჯილდო, რომელიც იმ პერიოდისათვის ერთ-ერთ პრესტიულ ჯილდოდ ითვლებოდა. კრიტიკოსთა უძრავლესობა მიიჩნევს, რომ ეს არის პიესა, რომელიც სავსეა ავტორის ბიოგრაფიული ელემენტებით. მისი პერსონაჟები და ნაწარმოებში ასახული ისტორია, კრიტიკოსთა აზრით, ძალიან ახლოს დგას უილიამსის ცხოვრებასთან.

დეტალური ანალიზის გარეშე, თვალის ერთი გადავლებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს პიესა პატარა ცხოვრებისეული სიუჟეტის მქონე ნაწარმოებია, რომელიც რომანტიულ და სევდიან განწყობაზე გვაყენებს. მაგრამ თუ კი ღრმად შევისწავლით პიესაში არსებულ დეტალებს და სიმბოლოებს, კარგად გვეცოდინება ავტორის ბიოგრაფია, რომელიც ასევე უშუალო კავშირშია, უილიამსის თითქმის ყველა სხვა პიესასთან, ჩვენს ნინაშე გადაიშლება საკმაოდ რთული, სიმბოლიკით დატვირთული პიესა. აღსანიშნავია, რომ პიესაში სიმბოლოთა სიმრავლე უილიამსის ახალი ამერიკული დრამის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტია, ამ მხრივ „შუშის სამხეცე“ გამონაკლისა არ წარმოადგენს. ის უამრავი სიმბოლოთი არის დატვირთული, რომელთა ამოცნობაც მომზადებულ, განათლებულ მაყურებელსა და მკითხველს მოითხოვს.

შუშის სუვენირები უპირველეს ყოვლისა, გამოხატავენ ლაურას ხასიათს, მის პიროვნებას; ლაურა ისეთივე სათუთა და უმანკოა, როგორიც ის შუშის მხეცუები. ცისარტყელას ფერების თამაში, კი რომელსაც აირეკლავენ შუშის ნივთები შუქის დაცემისას, გამოხატავს ლაურას სილამაზეს, რომელიც გოგონას არასრულყოფილების კომპლექსის გამო ჩამალულია მასში და, რომელსაც იგი გარშემო მყოფა არ აჩვენებს.

ლაურას ყველაზე უფრო საყვარელი სუვენირი -მარტორქა მრავალ-ფუნქციური სიმბოლოა ამ პიესაში. მარტორქას - მსოფლიოს ყველა ქვეყანაში, რელიგიაში, ბერძნულ მითოლოგიაში უამრავი მნიშვნელობა და სიმბოლიკა აქვს.

უპირველეს ყოვლისა თითქმის ყველა კულტურაში მარტორქა უმანკოების, გამორჩეულობისა და გარიყულობის სიმბოლო. გარდა ამისა, ქრისტიანულ სამყაროში იგი მოიხსენიება, როგორც უბინოების სიმბოლო.

პიესაშიც მარტორქა ლაურას უბინოებისა და მისი მარტოსულობის სიმბოლო. იგი ისეთივე უნიკალურია, როგორიც მარტორქა. სწორედ ასეთი გამორჩეულობის გამოა, რომ იგი ვერ ეგუება მის გარშემო მყოფა და ისევე გამოცალკევებულია საზოგადოებაში, როგორც მარტორქა უბრალო ცხენების ჯოგში. იგი ჩუმად ჩაკეტილია თავის სამყაროში, ცდილობს არავინ შეაწუხოს თავისი არსებობით.

ჯიმ ო'კონერის სახეც სიმბოლურია. ის არის ლაურას ილუზიური სამყაროს დამანგრეველი, რომელმაც თავისი გამოჩენით ლაურას ცხოვრება სამუდამოდ შეცვალა. მან დაანახა ლაურას, რომ ის ლამაზია როგორც სულიერად, ასევე ფიზიკურადაც და რომ მისი ცხოვრება ჯერ დამთავრებული არ არის და რომ მისი შეყვარებაც შესაძლებელია, რაც გამოიხატა ყველაზე კარგად ჯიმის მიერ ლაურასადმი შერქმეულ სახლში - „ცისფერი ვარდი“. ეს სახელი კიდევ ერთი სიმბოლოა ამ პიესაში.

„ცისფერი ვარდის“ სიმბოლო ავტორმა გამოიყენა, რათა ეჩვენებინა ლაურას სინაზე, მისი იდუმალება – როგორც ცისფერი ვარდისა, რომელიც სინამდვილეში არ არსებობს და ჩვეულებრიობა, როგორც ჩვეულებრივი ვარდისა, რომელიც ხაზს უსვამს პირველ რიგში, მის ადამიანურობას, სინაზეს, სილამაზეს და რეალობას. „ცისფერი ვარდი“ – ასევე ლაურას უნიკალურობასაც უსვამს ხაზს. სიტყვა „Rose“, რომელიც ქართულად „ვარდს“ – ნიშანავს უშუალოდ, უკავშირდება ლაურას პროტოტიპის, უილიამსის დის სახელს.

ტომ უინგფილდს, მიუხედავად იმისა, რომ თითქოს იგი სხვა პერსონაჟებთან შედარებით უფრო რეალისტად გვევლინება, აქვს სუსტი მხარე: ისიც სხვა პერსონაჟთა მსგავსად გაურბის სინამდვილეს, ოღონდ ის „შუშის სამხეცეში“ – კი არ ეძებს თავშესაფარს, არამედ კინოთეატრებში, ლამაზ ფილმებში. სურს გაექცეს იმ ცხოვრებას, რომელიც საშინალად მობერზდა. ლამაზი ფილმების ყურებისას იგი ფიქრობს და ოცნებობს ლამაზ მომავალზე, ასევე მთელი პიესის მანძილზე ოჯახის მიტოვების აზრი მოსვენებას არ აძლევს. ერთადერთი, ვისაც მისატოვებლად ვერ იმეტებს, ლაურაა, მაგრამ ბოლოს სურვილი ძლევს და ტოვებს ოჯახს, თუმცა ოჯახიდან ნასულს ფიქრები ლაურაზე მაინც არ ასვენებს. ტომი, რაღაც ასპექტში თავად ტენესი უილიამსის პროტოტიპად შეგვიძლია მივიჩნიოთ.

ამანდა უინგფილდი, ტომისა და ლაურას დედაც, თავისი ილუზიებით ცხოვრობს. მისი ანტიკ სავსეა მოგონებებით; მასც სურს, გაექცეს სინამდვილეს. ამანდა ცდილობს თავის შვილებს გაუუმჯობესოს ცხოვრება. ის მუდამ უკავიყოფილოა მათი ქცევით. ამანდას ოცნებები ვერ ხორციელდება, მიუხედავად მისი მონდომებისა და ცდისა: ლაურა გაუთხოვარი რჩება, ხოლო ტომი ოჯახიდან გარბის. ამანდას სახეც მწერლის ცხოვრებიდან არის აღებული, ოღონდ იგი უილიამსის დედას გვაგონებს.. უილიამსი ამ პიესას „მოგონებათა“ პიესას უწოდებდა, რაც გარკვეულიად თვით მწერლის გაცრუებულ იმედებს გამოხატავს და მეორე მხრივ ეს არის პიესა, რომელიც მთელი სინამდვილით ასახავს მწერლის ოჯახის ცხოვრებას. როგორც ზემოთ აღვინიშნეთ, ამ ნანარმოების ყველა პერსონაჟი მწერლის ოჯახის ყველა ნევროთა პროტოტიპითია. ტენესი უილიამსის ძმა, დეკინ უილიამსი, ნერდა:



„The events of the Glass Menagerie... are a virtually literal rendering of our family life at 6254 Enright Evenue, St Louis. There was a real Jim O'Connor, who was brought home for my sister. The Tom of the play is my brother Tom, and Amanda Wingfield is certainly mother“. <sup>1</sup> „მოვლენები, რომლებიც შეშის სამხეცეში აისახება, სენტ ლუისში ერაოთის ქუჩაზე მდებარე 6254 ჩემი ოჯახის ცხოვრების ვირტუალურ-ლიტერატურულ ასახვას წარმოადგენს. ნამდვილად არსებობდა ჯომ მ'კონერი, რომელიც ჩემი დის სანახავად მოიყვანეს. პიესის გმირი ტომი, ჩემი ძმა ტომია, ხოლო ამანდა იუნგფილდი, სინამდვილეში დედაჩემია“.

როგორც, დეკონ უილიამსის ნათქვამიდან ჩანს, პერსონაჟები ძირითადი მწერლის რეალური ცხოვრებიდან არის აღებული. ტენესი უილიამსის ოჯახში თითქმის ისეთივე მდგრადებობა იყო, როგორიც ტომ უინგფილდის ოჯახში. მწერლის დედა ხასიათით, ძალიან ჰგავს ამახდას. როგორც ბიოგრაფიიდან გვახსოვს, ტენესის მამაც პროფესიით კომივიოაჟორი, გამუდმებით მოგზაურობდა, რის გამოც ედვინა მარტო ზრდიდა შვილებს, რომლებიც მოკლებული იყვნენ მამის სითბოსა და ალერსს. ეს მომენტი პიესაში კარგად გამოიყენა მწერალმა. ტომის მამის სურათისადმი დამოკიდებულება ფაქტობრივად გამოხატავს, ტენესის დამოკიდებულებას მონატრებული მამისადმი. ხოლო, რაც შეეხება ლაურა უინგფილდს, ის, როგორც უკვე ზემოთ ავღნიშნეთ, მწერლის დის პროტოტიპია. უილიამსის და როუზი - ყველაზე ახლო პიროვნება იყო მწერლისათვის მთელი ცხოვრების მანძილზე. ის სულიერად იყო დაავადებული, რის გამოც ხშირად საავადმყოფოში უწევდა ყოფნა. როუზი უილიამსის ყველაზე დიდი მეგობარი და მესაიდუმლე იყო. მწერალმა იმდენად განიცადა დის გარდაცვალება, რომ ამან იმოქმედა, როგორც მის ჯანმრთელობაზე, ასევე შემოქმედებაზეც. სწორედ, უსაყვარლესი დისადმი თავისი სითბო და სიყვარული დაგვანახა მწერალმა ამ პიესაში ტომისა და ლაურას ურთიერთობის სახით. აღსანიშნავია ისიც, რომ ტენესის დედაც, ამანდასავით ცდილობდა ქალშევილის გათხოვებას.

როგორც ვხედავთ, პიესის ყველა პერსონაჟი თავისებურად გაურბის მწარე სინამდვილეს. მათ ცხოვრებამ სხვადასხვა განსაცდელი მოუვლინა. ამიტომ ცდილობენ ისინი თავიანთი ილუზიურ სამყაროში გაეცნენ ცხოვრებას, მაგრამ ამით გამოსავალს ვერ პოულობენ და მარცხდებიან. ავტორი მათ მკაცრად უპირისპირებს რეალობას და იძულებულს ხდის, თვალი გაუსწორონ სინამდვილეს. სწორედ ამაშია მთელი სოციალური ტრაგედია, ტრაგედია მილიონობით იმდრონდელი ამერიკელისა, რომლებიც ილუზიებით და „ამერიკული ოცნებით“ ცხოვრობდნენ, თუმცა კრიზისი ბოლოს ყველაფერს ანგრევს და ანადგურებს. მიუხედავად იმისა, რომ პიესა იმედის გაცრუუბით მთავრდება, არც ლაურა და არც სხვა გმირები დამარცხებულებად არ შეიძლება ჩაითვალონ. მართალია, მათ დაკარგეს თავიანთი „შეშის სამხეცე“, მაგრამ სანაცვლოდ იპოვეს რეალური და ნამდვილი ცხოვრება.

უილიამსმა ამ პიესაში ასახა იმდროინდელი ამერიკის მთავარი პრობლემები, არამარტო იმედების გაცრუუბა, არამედ ასევე მეშჩანობა, ადამიანთა დაუცველობა. უილიამსმა, როგორც რეალისტმა, ამ ნანარმოებში გვიჩვენა კონფორმიზმი, რომელიც თავის მხრივ ადამიანის მესაკუთრულ სულთან არის დაკავშირებული.

ამ თვალთახედვით ამანდა უინგფილდი ნანარმოების ყველაზე აქტიური ფიგურაა. იგი თავისი ხასიათით უწევდლიერ მეშჩანობის დემონსტრირებას ახდენს: ქორწინებას იგი თვლის მახედ, რომელიც საქმროს უნდა დაუგო; ამანდას ტომის ხასიათის უარყოფითი მხარეების ჩამოყალიბებაშიც დიდი წელილი მიუძღვის, რაც სამყაროს მშვენიერი საწყისის ბურჯუაზიული ცხოვრების კონფორმისტული სტიქით დამახინჯების ნათელ მოდელს წარმოადგენს. პიესის დასასრულს ტომი თითქოსდა ხვდება, რომ ნონ-კონფორმისტების „შეშის სამხეცე“, რომელსაც თვითონაც განეკუთვნება, ცხოვრებასა და თვით ბუნებასაც შეურაცხებულოს.

პიესით „შეშის სამხეცე“ ტენესი უილიამსმა დიდი წვლილი შეიტანა არამარტო ამერიკული დრამის, არამედ საერთოდ მსოფლიო დრამის ისტორიაშიც.

ტ.უილიამსის პიესათა შორის, „შეშის სამხეცე“ - ერთადერთია, რომელშიც ავტორი თავად კი არ აკეთებს კომენტარებს, როგორც ეს მის სხვა პიესებშია, არამედ თავის სათქმელს, პერსონაჟს ათემევინებს. ნანარმოები იწყება ტომის კომენტარებით, რომლებითაც ვეცნობით არა მარტო მისი ოჯახის არამედ, მთელი ქვეყნის ვითარებას. იგი ახასიათებს თავის ოჯახს, რომელიც 30-იან წლებში ცხოვრობს. აღსანიშნავია, რომ ყველაფერზე საუბრის დასაწყისის წინ ტომი საკმაოდ უცნაურ შესავალს აკეთებს:

„Yes, I have tricks in my pocket, I have things up my sleeve. But I am the opposite of a stage magician. He gives you illusion that has the appearance of truth. I give you truth in the pleasant disguise of illusion“<sup>5</sup> დაახ, ჯიბეში მე ფოკუსები მაქვს, სახელოშიც უამრავი ფოკუსი მაქვს, მაგრამ ესტრადის ილუზიონისტი სულაც არა ვარ. ის თქვენ ილუზიას სინამდვილის სახით, მე კი სინამდვილეს სასიამოვნო ილუზიის სახით წარმოგიდგენთ“.

ამ შესავლიდან, ვხედავთ, რომ ავტორი ნანარმოების პირველივე სტრიქონებიდანვე გვაგებინებს, რომ საქმე გვაქვს განსაკუთრებულ შემთხვევასთან: სამყარო, რომელიც ავტორმა შექმნა და დახატა ამ პიესაში, შესავალშივე დაახასიათა და მოგვცა მისი განსაზღვრებაც. კერძოდ, კი პიესაში ასახული ცხოვრება ილუზიური სამყაროს მოდელია, რომელშიც თითქმის ყველა ადამიანი ილუზიებით ცხოვრობს. საზოგადოება, რომელიც ამ სამყაროში ცხოვრობს, თავს იტყუებს ილუზიებით, რაც კარგად ჩანს ტომის სიტყვებიდან:

<sup>1</sup> www.google.com Paul P. Reuben. Chapter 8: Tennessee Williams.2008/VI



„Their eyes had failed them, or they had faild their eyes...“<sup>4</sup> „მათი თვალები ატყუებდნენ მათვე, ხოლო ისინი ატყუებდნენ საკუთარ თვალებს“.

ზემოთქმულიდან ნათელია, თუ რით სულდგმულობდა ხალხი, რომელიც ტენესი უილიამსმა დაგვიხსატა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოების დახასიათებისას ტომი გამოყოფს ჯიმ ო'კონერის, რომელსაც ყველაზე უფრო რეალისტ პერსონაჟად მიჩნევს. იგი ამბობს:

„He is the most realistic character in the play, being an emissary from a world of reality that we were somehow set apart from“.<sup>5</sup>

„ის ყველაზე რეალისტი პერსონაჟი იყო პიესაში, რომელიც წარმოადგენს რეალისტურ სამყაროს, რომელსაც ჩვენ გამოვეყავით“.

როგორც პიესის პირველივე სტრიქონებიდანვე ჩანს, ავტორი მთავარი გმირის საშუალებით საქმის კურსმი გვაყენებს. იგი თავიდანვე ყოფს პერსონაჟებს რეალისტებად და არარეალისტებად, რაც გვიადვილებს ნაწარმოების იდეისა და მწერლის მიზნის გარევევას. პიესა ტომის მოგონების სახით არის დაწერილი, რის გამოც ერთმანეთში არეულია დროულ-სივრცობრივი შრეები: პიესის დასაწყისში მოქმედება ხდება ანძყოში, შემდევ მწერალს გადავყავართ ტომისა და მისი ოჯახის წარსულში. პიესის ბოლოს კვლავ აწმყოში გადმოვყავართ ტომის მონოლოგს, რომელშიც მისი განვლილი ცხოვრებაა ასახული: ტომი გაურბოდა სინამდვილეს და თავის ოჯახს. მან მიაღწია მიზანს, აიხდინა საწადელი, როგორც მისივე ნაამბობიდან ჩანს, ბოლოს მიატოვა ოჯახი და საყვარელი ლაურაც. მთელი მსოფლიო მოიარა, მრავალი ადამიანი გაიცნო, მაგრამ თავისი დის, ლაურას სახე მაინც ყველგან ელანდება, მოგონებები მოსვენებას არ აძლევენ, თუმცა ცდილობს თავი დაალწიოს მათ, რაც პიესაში სიმბოლურად ანთებული სანთლით გამოიხატება. ეს მოგონებები ანთებული სანთლივით სულ თან დაჰყვება. პიესის ბოლოს იგი ეძახის ლაურას:

„Blow out your candle, Laura – and so goodby...“<sup>6</sup>, ჩაქრებული და ნახვამდის“.

ამ სიტყვებით, მთავრდება პიესა. რაც სიმბოლურად შეიძლება ჩავთვალოთ, როგორც მოგონებებთან ტომის განშორება.

როგორც დავინახეთ, „ილუზიის სამოსში გამოწყობილი სინამდვილე“ „ახალი პლასტიკური თეატრის“ კონცეფციის მთავარი არსა. ილუზიური სამყაროს შექმნას ტენესი უილიამსი იმ მითოლოგიური, რელიგიური, თუ უბრალო რეალისტური სიმბოლოების საფუძველზე ახერხებს, რომლებიც მრავლად არის პიესაში და, რომელთა აღქმა, გააზრება და გაანალიზება გამოცდილი მკითხველსა თუ მაყურებელს მოითხოვს.

აქედან გამომდინარე, უილიამსის შემოქმედება, რადიკალურად განსხვავდება მისი წინამორბედი დრამატურგების შემოქმედებისაგან. იგი განსაკუთრებულია არა მარტო იმით, რომ შემოიტანა უამრავი სიახლე ხელოვნების ამ დარგში, არამედ იმითაც, რომ მისი თითქმის ყველა დრამა იდუმალებითაა მოცული. ამ იდუმალებას კი ქმნიან მათში გამოყენებული სიმბოლოები, რომლებიც ამოცნობასა და გაანალიზებას მოითხოვნ. როგორც კრიტიკოსი თ. ი. ქალემი უილიამსის დრამების შესახებ ამბობდა, რომ მათში ნაჩვენებია ბრძოლა, იგივე დუელი დმერთსა და სატანას შორის, სიყვარულსა და სიკვდილს, სულსა და ხორცს, უმანკოებასა და მანკიერებას, ნათელსა და ბენეს შორის, „შუშის სამხეცე“ სულისა და ხორცის ჭიდილს ასახავს.

სულის განსახიერებად აქ შეიძლება ლაურა უინგფილდი მივიჩნიოთ. თუ კი გავითვალისწინებთ იმას, რომ ის პიესის ყველაზე წმინდა, უმანკო პერსონაჟია, რომელთანაც ასოცირდება მითოლოგიური და სიმბოლური მარტორქაც. ხოლო ხორცის განსახიერება კი ყველაზე უფრო ამანდა უინგფილდია, რომელიც შეცყრბილია მოკვდავი ადამიანის სურვილებით: ფულით, ქონებით, ფლირტით, სიყალბითა და სხვა. ასეთივე ტომიც, ოღონდ ამანდასაგან განსხვავებით იგი, შეიძლება ითქვას, სულისა და ხორცის ერთიანობის მაჩვენებელია. ტომი კარგი ადამიანია, მას სურს ყველას სიკეთე გაუკეთოს, მაგრამ აქვს საკუთარი ამბიციებიც, რომელთა გამოც ის ოჯახს ტოვებს და მიღის.

მიუხედავად იმისა, რომ ტომი ოჯახიდან გარბის, ინტიმს ცხოვრებას, მოგონებები მას თავს მაინც არ ანებებს. რაც სიმბოლურად, როგორც ზემოთ თქმულიდან შევიძლია ვთქვათ, ხორცის გამარჯვებად არ ჩაითვლება. პირიქით, მოგონებები კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ჭიდილი სულსა და ხორცს შორის არის პრობლემა, რომელიც ოდითგანვე მოსდევს კაცობრიობას და, რომელიც დღემდე გადაუჭრელი რჩება.

ტ. უილიამსი მიაჩნია, რომ ადამიანის ერთადერთი და უდიდესი ღირსება ცხოვრებაში სწორი არჩევანის გაკეთებაა. ადამიანები, მისი პიესების გმირების მსგავსად დროის პატიმრები არიან, დროის დინებაზე ადევნება კი ადამიანის უდიდესი მაგიური უნარია.

ალსანიშნავია ასევე ისიც, რომ უილიამსის პიესების სათაურები ისეთივე უცნაური და არაორდინალურია, როგორც თავად პიესები. ამ შემთხვევაში პიესის სათაურიდან („შუშის სამხეცე“) მკითხველისათვის ძნელია, რაიმე პროგნოზი გააკეთოს პიესის შესახებ. ხოლო მისი წაკითხვისა და გაანალიზების შემდეგ გასაგები ხდება სათაურის არსი. შუშის სამხეცე ილუზიური სამყაროა, რომელშიც მცხოვრები „შუშის ცხოვრები“ - სიმბოლურად განსახიერებენ იმავე წონა-კონფორმისტ ადამიანებს, რომელებიც მხოლოდ ილუზიებით ცხოვრობენ და უარს ამბობენ სინამდვილეზე, ჩაკეტილი არიან თავიანთ სამყაროში და არც კი ცდილობენ იქიდან გამოსვლას, მაგრამ მწერალი ამ ადამიანებს ჯიმ ო'კონერის სახით მოუვლენს მხსნელს, რომელიც მათ სამყაროს ანგრევს და აიძულებს მათ მიიღონ სინამდვილე, რაოდენ მტკიცნეულიც არ უნდა იყოს ის.

<sup>4</sup>Perrine's Literature; Structure, Sound, and Sense; Drama. Ninth Edition 3. p.1145/2007

<sup>5</sup>Perrine's Literature; Structure, Sound, and Sense; Drama. Ninth Edition 3. p.1145/2007

<sup>6</sup> Perrine's Literature; Structure, Sound, and Sense; Drama. Ninth Edition 3. p.1145/2007

<sup>3</sup> Perrine's Literature; Structure, Sound, and Sense; Drama. Ninth Edition 3. p.1195/2007



როგორც უკვე აღვნიშნეთ, ტენესი უილიამსი ირჩევდა ისეთ პერსონაჟებს თავისი პიესებისათვის, რომლებიც გამოხატავდნენ მის სულიერ თუ ფიზიკურ მდგომარეობას. ისიც, მსგავსად მისი პერსონაჟებისა გაურბოდა საზოგადოებას და ოჯახს. მან მთელი ცხოვრება ამ ფიქრისაგან თავის დაღწევის ცდაში გაატარა, მაგრამ მწერალი შეეცადა თავისი აუხდენელი ოცნება, თავისი გმირების ცხოვრებაში განეხორციელებინა, რაც გამოიხატა იმაში, რომ ტენესის ნონ-კონფრონტიური გმირები თვალებს უსწორებენ სიმართლეს. ამით უილიამსმა უზრუნველყო მათი გადარჩენა.

მწერალს ღრმად სწამდა, რომ ადამიანი, რომელიც განუდგება რეალობას და ილუზიებით დაიწყებს ცხოვრებას, დიდხანს ვერ იარსებებს. გარკვეული დროის შემდეგ ის დაიღუპება. სწორედ ამიტომ ტენესი, თავისი გმირების ილუზიების მსხვრევით ცდილობს სიცოცხლე შეუნარჩუნოს მათ. თავისი პიესებით იგი ადამიანებს ეხმარება გააკეთონ სწორი არჩევანი, სიმართლეს თვალი გაუსწორონ და რეალური ცხოვრებით იცხოვრონ.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. Злобин Р.П. Медников Э.М. «Three American Plays» Progress publishers, Moscow. 1972
2. Hayman, Ronald. Tennessee Williams: Everyone Else in an Audience. New Haven, Conn: Yale University Press, 1994
3. Kolin, Philip C. Tennessee Williams: A Guide to Research and Performance. Westport, Com.: Greenwood, 1998
4. Londre, Felicia Hardison. Tennessee Williams: Life, Work and Criticism. Fredericton England: York Press, 1989
5. Perrine Laurence Book 3. Drama “The Elements of Drama”, Harcourt Brace Jovanovich INC. New-York Chicago San Francisco Atlanta. 1996
6. Stanton, Stephen S., ed . Tennessee Williams: A Collection of Critical Essays. Englewood Cliffs, N. J. : PrenticeHall, 1977

### მაყვალა (ბაია) კოლუაშვილი

**პლასტიკური თეატრის განვითარების ძირითადი ტენდენციები  
(ტენესი უილიამსი,,შუშის სამხეცე)**

### რეზიუმე

ტენესი უილიამსმა, რომელიც მართებულად ითვლება ახალი ამერიკული დრამის ფუძემდებლად მოღვაწეობა დაიწყო მე-20 საუკუნის 30-იან წლებში. მისმა ნაწარმოებებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მსოფლიო დრამის განვითარებაში. ახალი ამერიკული დრამა დაფუძნდებული იყო უილიამსის პლასტიკური თეატრის თეორიაზე, რომელმაც გადატრიალება მოახდინა მსოფლიო დრამატურგიაში. პიესის „შუშის სამხეცე“ გამოქვეყნებამ ტენესი უილიამსს მოუტანა პირველი წარმატება, როგორც უდიდეს ამერიკელ დრამატურგს. ამ პიესაში ასახულია ადამიანთა ილუზიების მსხვრევა რეალობასთან შეჯახებისას. პიესის ღირსებად უნდა ჩაითვალოს ავტორისეულ სიმბოლოთა მრავალფეროვნება.

### Makvala (Baia) Koguashvili

**The Main Tendencies of the Development of “Plastic Theatre”  
(Tennessee Williams “Glass Menagerie”)**

### Summary

Tennessee Williams, a founder of New American Drama started his literary activity from 30s of XX century. Williams' creative works played a crucially important role in the development of World Drama.

Foundation of New American Drama was provoked by the Theory of Williams' Plastic Theatre, leading to the revolution in the World Dramaturgy. Publication of „Glass Menagerie“ brought the first success of Tennessee Williams, bringing him a fame of a Great American Dramatist. „Glass Menagerie“ is a sorrowful play depicting ruin of illusions and resulting a painful sobering. In the given play Utopian Glass World of the characters is ruined, forcing them willingly or unwillingly to face reality and accept the creative works as it is. One of the key issues in this play is a symbolic language of the author.



## ლაურა კუტუგიძე-ზურაშვილი

### კომუნიკაციის სახეობა ევოლუცია – სიტყვიდან 30 წლისას რეალობამდე

კაცობრიობის ისტორია, საზოგადოებრივი განვითარების თვალსაზრისით, ხანგრძლივი, რთული და არაერთგვაროვანია, მაგრამ კომუნიკაციის სახეთა ევოლუციის მიხედვით სამი გლობალური ფაზა გამოიყოფა; გერმანელი სოციოლოგის ნიკლას ლუმანის (1927-1998) კლასიფიკაციით: **არქაული საზოგადოება, მაღალი კულტურები და თანამედროვე, ანუ, მსოფლიო საზოგადოება.**

ლუმანი მიიჩნევს, რომ სოციალური სისტემა კომუნიკაციის პროცესებისაგან შედგება და მისი ცვლილებები კომუნიკაციის სახეთა ცვლილებებზეა დამოკიდებული. კომუნიკაცია საზოგადოებას ერთ მთლიანობად კრისტალის შესაბამისად, იგი საზოგადოების ცნებასაც ამგვარად განმარტავს: **საზოგადოება კომუნიკაციურად ხელმისაწვდომ და მიღწევად განცდათა და ქმედებათა ერთობლიობის სოციალური სისტემა.**

მაღალგანვითარებულ პრიმატთა ჯგუფური ცხოვრებიდან ადამიანური საზოგადოების ფაზაზე — არქაულზე გადასვლა ენის ევოლუციის მეშვეობით განხორციელდა; მეორე ფაზაზე — მაღალ კულტურებზე გადასვლის შესაძლებლობა შექმნა წერილობითმა კომუნიკაციამ — **დამწერლობამ;** თანამედროვე მსოფლიო საზოგადოების საფუძვლადაც კომუნიკაციის სფეროს მორიგი მნიშვნელოვანი ცვლილებები იქცა — **დიდი მასშტაბის კომუნიკაციური ქსელების შექმნა.** მასობრივი მედიის რეპროდუქციის ტექნიკის განვითარებაში (გუტენბერგის საბეჭდი დაზგიდან მოყოლებული ინტერნეტამდე) თავისი წელი შეიტანა ბეჭდურმა მედიამ, ფოტოგრაფიამ, კინემატოგრაფიამ, რადიომ, ტელევიზიამ, რომელთაგან თითოეულმა ახალი ფუნქცია მიანიჭა იმას, რაც ძველ სტრუქტურულ მარაგში უკვე იყო მოცემული. [1]

კომუნიკაციის საშუალებათა ყოველ არსებით ცვლილებას თან სდევდა შიში და სიფრთხილე, რომ იგი “მოკლავდა” უკვე არსებულს: დამწერლობა — ზეპირ დიალოგს და მეხსიერებას, ბეჭდვა — წერის კულტურას, ფოტოგრაფია — მხატვრობას, კინო — თეატრს, ტელევიზია — კინოს; და ბოლოს, ინტერნეტი — მასობრივი კომუნიკაციის ყველა წინა საშუალებას ერთად აღებულს. ინტერნეტმა მართლაც შეინოვა და შეითვისა მანამდე არსებული ყველა საკომუნიკაციო საშუალება და აქცია ახალ განზომილებად — ვირტუალურ სამყაროდ. ინტერნეტის მულტიმედიურ გარემოში მასობრივი კომუნიკაციის ყველა საშუალება წარმოდგენილი — წიგნიდან მოყოლებული რეკლამამდე, მაგრამ, ამავე დროს, კომუნიკაციის თავდაპირველი საშუალება — ენა/სიტყვა არათუ დაკინებულია, ისევ ასრულებს ერთ-ერთ მთავარ საკომუნიკაციო ფუნქციას.

კანადელი მედიამკენალევარის მარშალ მაკლუნის (1911-1980) განმარტებით, **კომუნიკაციის საშუალების გავლენა ძლიერი და ინტენსიური ხდება სწორედ იმის წყალობით, რომ მას “შინაარსის” სახით ეძლევა ისევ კომუნიკაციის რომელიმე სხვა საშუალება.** [4] ეს პოსტულატი კარგად ხსნის ინტერნეტის “ყოვლისშემძლეობას” — იგი თავისითავში მოიცავს ყველა საკომუნიკაციო საშუალებას, რაც კი ოდესშე შექმნია კაცობრიობას — აქამდე დაგროვილ ყოველგვარ ცოდნას, ტრადიციას, გამოცდილებას, წიგნიას და ხელმისაწვდომის ხდის ყველასთვის, ქსელში ჩართული ნებისმიერი მომხმარებლისთვის.

ინტერნეტმა შექმნა ახალი — ვირტუალური რეალობა, და, ფაქტობრივად, მოახდინა საზოგადოებრივი და პერსონალური ურთიერთობების თითქმის ყველა გამოვლინების ვირტუალიზაცია: ვირტუალური სამყარო, ვირტუალური წარმოება, ვირტუალური პროდუქტი, ვირტუალური ფული, ვირტუალური სახლები, ბინები, ფერმები, ვირტუალური სექსი, შვილები, მეგობრები და ასე უსასრულოდ...

უურნალისტიკისთვის ინტერნეტმა ყველაზე უნივერსალური და, ამავდროულად, კონკურენტუნარიანი გარემო შექმნა. მულტიმედიური ტექნოლოგიები, ერთი მხრივ, საშუალებას იძლევა ინტერნეტში განთავსდეს ყველა არსებული მედიასაშუალება (წიგნი, უურნალი, გაზეთი, რადიო და ტელე არხები, ფილმები, რეკლამა); მეორე მხრივ, ინტერნეტში გაჩნდა ონლაინ მედიასაშუალებები: ინტერნეტ გაზეთები და უურნალები, ინტერნეტ ტელევიზიები, ბლოგები.

ჰიპერტექსტური სისტემა უსაზღვროდ აფართოებს მედიისა და, შესაბამისად, უურნალისტიკის შესაძლებლობებს. ახალი მედიის ცნება მოიცავს სოციალურ მედიასაც, რომელიც, ფაქტობრივად, უურნალისტიკის ახალი განზომილებაცაა და მისი უძლიერესი კონკურენტიც. სოციალური მედიის ფუნქციონირებაში უურნალისტები მონაწილეობები, მაგრამ უკვე განსხვავებულ ამპლუამი. მედიის ამ უახლეს განშტრებას ქმნის თავად აუდიტორია, თავად მედიამომხმარებელი. სოციალური მედია უკვე ასრულებს ტრადიციული მედიის ფუნქციებს — მომხმარებლის ინფორმირება, საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბება, ე.წ. “დღის წესრიგის” (agenda setting) განსაზღვრა, გართობა, რეკლამის განთავსება...

სოციალური მედია, თავისითავად, ეყრდნობა ტრადიციული მედიის გამოცდილებას; ტრადიციული მედია კი, თავის მხრივ, აქტიურად იწყებს ახალი მედიის საშუალებების გამოყენებას — ქმნის ბლოგებს თავის ინტერნეტ საიტებზე, მომხმარებელს უქმნის კონკრეტული მასალების ინტერაქტიური კომენტირების საშუალებას და ა.შ.

ინტერნეტის ფერმენტურმა შესაძლებლობებმა მაკლუნის ნაწინასწარმეტყველები “მსოფლიო-სოფელი” რეალობად აქცია. იგი მნიშვნელოვნად განაპირობებს თანამედროვე სოციუმის ფუნქციონირებას. ახალი მეცნიერების — ინფორმაციოლოგიის შექმნელთა თვალსაზრისით, “არა იმდენად ყოფიერება განსაზღვრავს ცნობიერებას, რამდენადაც ცნობიერება, ინფორმაციის ფორმით, განსაზღვრავს ყოფიერებას”. [3; 74]



ეს პროცესი თანამედროვე საზოგადოების თვალწინ და მისი მონაწილეობით მიმდინარეობს — იგი ერთდღოულად ცხოვრობს მატერიალურ და ვირტუალურ რეალობაში; ამ პროცესის აღქმისთვის მნიშვნელოვანია იმის გააზრება, რომ იცვლება ასწლეულების განმავლობაში ჩამოყალიბებული ტრადიციული სამომხმარებლო ურთიერთობები; ურთიერთმიმართებას იცვლის მარკეტინგული ურთიერთობების განმსაზღვრელი კომპონენტები — მოთხოვნა პროდუქტზე უკვე მნიშვნელოვანილად ემყარება არა აუკილებლობასა და საჭიროებას, არამედ, მარკეტინგული და შასობრივი კომუნიკაციების მიერ წარმოშობილ მოთხოვნილებას.

თანამედროვე საზოგადოებაში ინფორმაცია ერთ-ერთ მთავარ მარკეტინგულ პროდუქტად იქცა; უფრო მეტიც, „ინფორმაციას, უპირველესად როგორც კომუნიკაციას (და არა როგორც ცოდნას), შეუძლია გამოიწვიოს ახალი ოპერაციები. ადამიანები ინფორმაციის გამოყენებით მოქმედებენ. ამასთანავე, კომუნიკაციური ნაკადები, როგორც მოღვაწეობის რესურსი, კი არ შთაინთემება, მსგავსად ნედლეულისა ან ენერგეტიკული რესურსებისა, არამედ, პიროვნების მრავლდება და სწრაფი ხდება. ამრიგად, ინფორმაცია, გარკვეული აზრით, მოქმედების მასტიმულირებელი კომუნიკაცია. თუ ინფორმაციას ასე განვსაზღვრავთ, მაშინ გასაგები გახდება, რატომ იქცა ჩვენი ეპოქის მთავარ ფენომენად ინტერნეტი და არა მონაცემთა გიგანტური ელექტრონული ბანკები ან ხელოვნური ინტელექტი.“ [2; 34]

ინფორმაციულ საზოგადოებაში სოციალურ დიფერენციაციას მდიდრებად და ლარიბებად ცოდნის დონე განსაზღვრავს და არა საკუთრება; პრივილეგირებულ ფენას ქმნიან ინფორმირებულები, არაინფორმირებულები კი ლატაკდებიან. ინფორმირებულ ადამიანად ითვლება არა ის, ვინც მეტი იცის, არამედ ის, ვინც მეტი რაოდენობის კომუნიკაციაში მონაწილეობს.

ასეთი სახის ინფორმაციული საზოგადოება, საბოლოო სახით, ჯერ არ შემდგარა; როგორც წესი, ტექნოლოგიური განვითარება წინ უსწრებს საზოგადოების სოციალურ და მენტალურ ცვლილებებს. მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ 1996 წელს, იუნესკოს აღმასრულებელი საბჭოს სესიის შემაჯამებელ დოკუმენტში აღინიშნა, რომ იუნესკომ საყოველთაო ინფორმაციული საზოგადოების კონცეფცია დაამუშავა; რომ “უკანასკნელ რამდენიმე წელიწადში შემჩნეული საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარებისა და გამოყენების მკვეთრი დაჩქარება “ინდუსტრიულიდან” “ინფორმაციული” საზოგადოებისკენ გადასვლის მსოფლიო პროცესის დასაწყისი გახდა.” [2; 32]

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ლუმანი, ნ., საზოგადოებრივი კომუნიკაციის სისტემის ცვლილებანი და მასობრივი მედია, თბილისი, არჩე, 2007
2. ჩიგოვაძე, გ., ინფორმაცია: ინფორმაცია. საზოგადოება. ადამიანი. თბილისი, ნეოსტუდია, 2003
3. კორконосენკო, С. Основы журналистики, учебник, Москва, Аспект-Пресс, 2004
4. Маклюэн, М., Понимание медиа: внешние расширения человека, Москва- Жуковский, 2003

### ლაურა კუტუბიძე-ზუბაშვილი

**კომუნიკაციის სახეთა ევოლუცია – სიტყვიდან ვირტუალურ რეალობამდე**

#### რეზიუმე

კაცობრიობის ისტორია, საზოგადოებრივი განვითარების თვალსაზრისით, ხანგრძლივი, რთული და არაერთგვაროვანია, მაგრამ კომუნიკაციის სახეთა ევოლუციის მიხედვით სამი გლობალური ფაზა გამოიყოფა; **არქაული საზოგადოება, მაღალი კულტურები და თანამედროვე, ანუ, მსოფლიო საზოგადოება.**

ინტერნეტის მულტიმედიურ გარემოში მასობრივი კომუნიკაციის ყველა საშუალებაა წარმოდგენილი — წიგნიდან მოყოლებული რეკლამამდე, მაგრამ, ამავე დროს, კომუნიკაციის თავდაპირველი საშუალება — ენა/სიტყვა არათუ დაკინებულია, ისევ ასრულებს ერთ-ერთ მთავარ საკომუნიკაციო ფუნქციას. ინტერნეტის მეშვეობით ინფორმაცია იქცა კომუნიკაციად, რომელიც უსასრულოდ ფართოვდება. ინტერნეტმა შექმნა ახალი – ვირტუალური რეალობა, და, ფაქტობრივად, მოახდინა საზოგადოებრივი და პერსონალური ურთიერთობების თითქმის ყველა გამოვლინების ვირტუალიზაცია.



Laura Kutubidze-Zubashvili

### Evolution of Means of Communication – From Word to Virtual Reality

#### Summary

The history of humanity, from the point of view of societal development, is a long, complicated and non-homogenous, but according to the evolution of means of communication three global phases can be defined: **Archaic Society, High Cultures and Contemporary, i.e. World Society.**

In multimedia environment of internet all means of mass communication are represented – from book to advertisement, but, at the same time, the primary means of communication – language/word is not decayed, but still functions as one of the main means of communication. Through the internet information turned into communication, which is extending endlessly. Internet created new – virtual reality, and, in fact, it virtualized almost every manifestation of social and personal relationships.



## სოფიო მორალიზაციი

### დისკურსის სტრუქტურული თავისებურებანი

მრავალი წლის მანძილზე ენის ფილოსოფიული და ტრადიციონალისტი ლინგვისტები, ისევე როგორც სტილისა და სტილისტიკის შემსწავლელი ლიტერატორები, როგორც წესი, ენის ცალკეულ ერთეულებზე – წინადადებებზე, სიტყვებზე, ფრაზებსა და ფიგურალურ ენის ნიმუშებზე ამავეილებდნენ ყურადღებას. დისკურსის ანალიზი კი, იმ სახით, როგორითაც 1970-იან წლებში ჩამოყალიბდა დისკურსის მსვლელობას, ენის გამოყენებას უკავშირდება, რაც წინადადების წყების მიღმა გრძელდება და მოსაუბრის ან მწერლის, მსმენელის ან მკითხველის სპეციფიკის სიტუაციურ კონტექსტში ურთიერთქმედებას გულისხმობს.

საუბარი, როგორც სამეტყველო ქმედების სახე, პირველ ყოვლისა იყენებს ენას, როგორც ურთიერთობის საშუალებას. ენა უზრუნველყოფს კომუნიკაციის დამყარებას მოსაუბრებს შორის, რადგან ის გასაგებია როგორც ინფორმაციის მიმწოდებლისათვის, რომელიც ახდენს ინფორმაციის კოდირებას ამ მიზნის მისაღწევად შერჩეული სიტყვებით, ასევე ინფორმაციის მიმღებისათვისაც, რომელიც კოდირებულ ინფორმაციას შიფრავს და სათანადოდ მოქმედებს [2, 568].

ინფორმაციის გაცვლა მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუკი გამოყენებულ ნიშნებში (სიტყვებში, უესტებში, იეროგლიფებში და ა.შ.) ჩადებული ინფორმაცია გასაგებია კომუნიკაციის მონაწილეთათვის [1, 334; 5, 71].

საუბარი ვერბალური კომუნიკაციაა, ანუ ენის მეშვეობით ვერბალური ურთიერთობის პროცესი. მისი განხორციელების ძირითადი საშუალებაა – სიტყვა ნარმოთქმული, დაწერილი ან კიდევ სპეციფიკური ნიშნებით ან უესტებით ჩანაცვლებული. მეტყველების ორგარი ფორმა არსებობს: დიალოგური და მონოლოგური [3, 396].

დისკურსის შედარებით მარტივ სახეობას წარმოადგენს დიალოგი. მისთვის დამახასიათებელია რეპლიკების, ფრაზებისა და ცალკეული სიტყვების გამეორება, დამატებები, დაზუსტებები და ა.შ.

ყოველდღიურ საუბარში ადამიანები აშკარად განარჩევნ შემთხვევით წარმოთქმულ წინადადებას, ლოგიკურად მოსალოდნელ წინადადებებს შორის. შესიტყვებებში არსებობს შინაგანი ურთიერთკავშირი და ურთიერთშესაბამისობა. დისკურსს სწორედ ეს კავშირი და ეს შესაბამისობები აინტერესებს.

არსებობს დადგენილი გამოთქმები, რომლებიც საუბრის დროს გამოყენებადია, მაგალითად: by the way, anyway, as I was saying, before I answer that, that reminds me. მართალია მზამზარეული ფრაზებისა და დიალოგების უამრავი ნიმუში გვაქვს, მაგრამ მეტყველების დროს საუბრის ხელოვნების კურსში არსებული წესები ირლევა და საუბარი სიტუაციისა და კონტექსტის თანახმად მიმდინარეობს. მიუხედავად ამისა, ენაში არის მობოდიშების, მიმართვის, მადლობის გადახდის, განცხადების გაკეთების მექანიზმები, რომელთა გამოყენება ჩვეულებრივი მოვლენაა. ასეთი მეტატექსტები მრავლად მოიძებნება წერილობით თუ ზეპირ დისკურსში.

აქედან გამომდინარე დისკურსში არსებობს შესიტყვებათა ლოგიკური ურთიერთკავშირების მექანიზმი, ისევე როგორც მზამზარეული მეტატექსტები. ეს მექანიზმი ხშირად ირლევა და სისტემატურობას კარგავს. რა განაპირობებს ამას? არის საკითხი, რომელიც აქმდე არ განიხილებოდა და რომლითაც ხდება დისკურსსა და წინადადებას შორის განსხვავების დადგენა. ცოცხალ საუბარში შეიძლება ხშირად წავანცდეთ იზოლირებულ წინადადებებს, ანუ ექსპლიციტური ზმნებით შედგენილ წინადადებებს, ასეთ ზმნებად ითვლებიან ask, tell, promise.

Look, let's consider this in another way.

ზემოთ მოყვანილ მაგალითში ექსპლიციტური ზმნის ფორმით ხდება საუბრის რეორგანიზაცია, მისთვის ახალი გეზის მიცემა.

ასეთი გამონათქვამები შედის მეტყველების აქტში. მისი გაშიფრა და პირდაპირი აზრის გამოტანა ადვილია. ეს სიტყვები წებისმიერ სიტუაციასა და კონტექსტს შეიძლება შევუსაბამოთ. ამ გამოთქმების შებლონური ბუნება განხილვის საგნად იქცა კონვერსაციონალიზმში, როგორც ორგანიზებულობის ერთერთი მაგალითისა.

არსებობს შემთხვევები, სადაც თანმიმდევრობის დაცვის დიალოგური მექანიზმი დარღვეულია და ამიტომაც სასაცილო ელფერს ატარებს. მაგალითად:

A: Yes, I can.

B: Can you see in the future?

ამ მაგალითს ორგარი ახსნა მოეპოვება. დარღვეულია კითხვა-პასუხის თანმიმდევრობა, პასუხის უსწრებს კითხვას. ამით დარღვეულია როგორც რიგი შესიტყვებებისა, ასევე გრამატიკული ფენომენიც. “Yes, I can” ელიფსურია და იგი აუცილებლად შეპირობებული უნდა იყოს კითხვით.

იგივე დარღვეული მეორდება შემდეგ მაგალითში, რომელიც ეხება აფთიაქში წამლის საყიდლად მისულ მამაკაცს.

მყიდველი: Good morning. Do you have anything to treat complete loss of voice?

გამყიდველი: Good morning, Sir. And what can I do for you?



ამ შემთხვევაშიც არასწორ თანმიმდევრობასთან გვაქვს საქმე. მიუხედავად იმისა, რომ გამყიდვე-ლის განცხადება რიგით მეორე ადგილზეა, ამ შესიტყვებაში მძღავრად იგრძნობა მისი დიალოგის გახსინ-ლი ხასიათი, რაც ჩანს მისალმებაში, მიმართვასა და კითხვის ფორმაში.

კოოპერაციულობის პრინციპის დარღვევის მშვენიერ მაგალითს წარმოადგენს შემდეგი სცენა. სკვერში ზის ქალბატონი, რომლის ფეხებზე დიდი ძალლია წამოწყოლილი. მამაკაცი შეკითხვით მიმართავს ქალბატონს:

მამაკაცი: Does your dog bite?

ქალბატონი: No.

(The man reaches down to pet the dog. The dog bites the man's hand)

მამაკაცი: Ouch! Hey! You said your dog doesn't bite.

ქალბატონი: He doesn't. But that's not my dog.

პრობლემას წარმოადგენს მამაკაცის ვარაუდი, რომ მისი შეკითხვა და ქალბატონის პასუხი „არა“, ორივე ძალლს ეხება. ქალბატონის პასუხი შეიცავს ნაკლებ ინფორმაციას, ვიდრე მოსალოდნელი იყო და რომელიც მეორე პასუხშია გაუსლერებული. ალნიშნული ინფორმაცია უფრო ადრე რომ ყოფილიყო წარ-მოთქმული, კომიკური ეფექტიც აღარ შეიქმნებოდა.

წინა მაგალითი განიხილავდა დიალოგს პრეკონტექსტის გარეშე. საკმაოდ ხშირად გვხვდება ისეთი დიალოგები, რომელთა გასაგებად აუცილებელია კონკრეტული სიტუაციისა და ვითარების ცოდნა. მათ სპეციალურ დიალოგურ იმპლიკატურებსაც უწოდებენ. მაგალითად, ტომი თავის პასუხში არ იცავს რე-ლევანტურობის პრინციპს (რელევანტური იქნებოდა უბრალოდ „დიახ“, ან „არა“, პასუხი).

Rick: Hey, coming to the wild party tonight?

Tom: My parents are visiting.

ტომის პასუხის გასაგებად რიკმა უნდა ივარაუდოს, რომ ამ სალამოს ტომს მშობლები სტუმრობენ, რაც ნიშნავს „წყნარ სალამოს“, სახლში და შესაბამისად იმას, რომ ტომი წვეულებაზე ვერ წავა.

განვიხილოთ მეორე სიტუაციაც. მერი შედის ლეიილას ოფისში და ხედავს, რომ მაგიდა სავსეა სამუ-შაოთი:

Leila: Whoa! Has your boss gone crazy?

Mary: Let's go get some coffee.

მერის პასუხი არღვევს რელევანტურობის პრინციპს. თანამშრომლობის პრინციპის დაცვის მიზნით ლეიილამ უნდა ივარაუდოს არაპირდაპირი პასუხის შესაძლო მიზეზი (მაგ. ბოსმა შეიძლება გაიგონოს მა-თი საუბარი).

საკმაოდ ხშირად გვხვდება დიალოგები, სადაც რელევანტურობის პრინციპის დარღვევა კომიკურ ეფექტს იწვევს:

Bert: Do you like ice-cream?

Ernie: Is the Pope Catholic?

ან,

Bert: Do vegetarians eat hamburgers?

Ernie: Do chickens have lips?

ერნი თავის პასუხში არ იყენებს სიტყვებს „დიახ“, ან „არა“, მაგრამ ის იცავს თანამშრომლობის პრინციპს და მისი პასუხი გულისხმობს „ცხადად დიახ“—ს. დამატებითი მნიშვნელობა არის ის, რომ აშკა-რა დადებითი პასუხის შემთხვევაში კითხვის დასმა საერთოდ არ წარმოადგენდა საჭიროებას.

ეს მაგალითები გვარწმუნებენ, რომ დისკურსის კომპეტენციას წარმოადგენს შესიტყვებებს შორის თანმიმდევრობის მექანიზმის დაცვა, რომელიც განპირობებულია თითოეული წინადადების როგორც ლოგიკური, ისე გრამატიკული წყობით. არის სიტუაციები, როცა კონტექსტი და თავად დისკურსი მოითხოვს გამოყენებული იქნას ესა თუ ის გამოთქმა. ასეთი ფრაზები იძულებითი გამოთქმების სათაურის ქვეშ ერთიანდება. დისკურსში არსებობს გამოთქმა “ნებისმიერი შესიტყვება შეიძლება მოჰყვეს ნებისმიერ შესიტყვებას”. ზემოთ მოყვანილი მაგალითები ამის ჭეშმარიტი დადასტურებაა, თუმცა ეს წინადადე-ბიდან გადახრას წარმოადგენს. ეს ფაქტი თავის მხრივ განპირობებულია ინდივიდის ფსიქოლოგიკური მდგომარეობით და სოციალური გარემოთი. განვიხილოთ მაგალითი, რომელიც ასევე ფრაზების არასწორ თანმიმდევრობას გვიჩვენებს.

I approach the stranger in the street.



Excuse me! My name's Mine Stubbs. Can you tell me the way to the station?

ამ დისკურსის თანმიმდევრობა ასეთია: მობოდიშება+იდენტიფიკაცია+შეკითხვა.

რატომ არის ეს წყობა არასწორი? ამ შემთხვევას ორგვარი ახსნა აქვთ: სოციალური სიტუაცია არასწორად არის გადმოცემული. ქუჩაში უცხო პირთან თავის წარდგენა არ ხდება გამოხაკლისა შემთხვევის გარდა. ამგვარი რამ მიღებულია წვეულებაზე და არა რეინიგზის სადგურში [4, 122]. ამ შემთხვევაში ზეწოლა ხდება მოქმედების თანმიმდევრობაზე და ეს მიმდინარეობს აქტსა და სიტუაციას შორის.

ამდენად, დისკურსს აინტერესებს წინადადებებისა და შესიტყვებების სოციალური ჭეშმარიტება, ისევე როგორც სწორი თანმიმდევრობა და ინტერაქცია, როცა ტრადიციული გრამატიკის მიმდევრები წინადადების შიგნით არსებული წყობითა და მექანიზმებით კმაყოფილდებიან.

იშვიათია, მაგრამ არსებობს არასწორმირებული დისკურსის მაგალითები, რომელთა ახსნა ჩვენს შესაძლებლობას არ აღვმატება. განვიხილოთ შემდეგი მაგალითი:

A: Good bye!

B: Hi!

რატომ მოხდა დისკურსში მიღებული სისტემის დარღვევა ძნელი წარმოსადგენი არ იქნება. ორი ადამიანი ერთმანეთისაკენ გრძელ დერეფანში მიემართება და წინასწარ ფიქრობს სათქმელზე. როგორც ჩანს, B-ს გადაწყვეტილი ჰქონდა პირველი თვითონ მისალმებოდა, და A -ს დამშვიდობებოდა. მათ თავიანთი განზრახვა რიგის გარეშე შეასრულეს, რითაც აზრობრივი კონტექსტი დაირღვა და დიალოგის დამახინჯებული სახე მივიღეთ. ავიღოთ სხვა მაგალითი:

A: What's the time?

B: Oh no!

B -ს შესიტყვების ინტერპრეტირება ყველას სხვადასხვაგვარად შეუძლია. მაგალითად, "Oh, no, I've left a cake in the oven", ან ზოგადად ალვიქვათ, რომ მას ძალიან მნიშვნელოვანი საქმე გაასენდა, რომელიც A-ს კითხვას, თუ რა დრო იყო აქარბებდა თავისი აქტუალურობით. მსგავს მაგალითებში საკმარისი არ არის მათი სწორი თანმიმდევრობის აღდგენა, ან ამ არასწორი კონტექსტური გარემოს დაფიქსირება, არამედ იმის კვლევა, თუ რაში მდგომარეობს გრამატიკული დარღვევა და რა განაპირობებს მსგავსი მაგალითების წარმოქმნას.

ალსანიშნავია, რომ აბსურდის თეატრი სწორედ ასეთ შესიტყვებებზეა დამყარებული და სინტაქსური წესების დარღვევები უცხო არ არის მისთვის. ავიღოთ ამონარიდი სამუელ ბეკეტის ერთ-ერთი პიესი-დან (Samuel Beckett, Endgame 1958):

Why don't you kill me?

I don't know the combination of the larder. [5, 709]

ამ დიალოგის დაფარული აზრის გახსნა სირთულეს არ წარმოადგენს. ერთ-ერთი ვარიანტი ასეთია "If I kill you, I will starve to death". მსგავსი დიალოგები აბსურდის არტისტული ბუნების მნიშვნელოვანი ღირსებაა, თუმცა, ასეთი საუბრები ყოველდღიურ საყოფაცხოვრებო სიტუაციებში იშვიათია და არა შაბლონური.

ამრიგად, დისკურსში არსებობს დაუწერელი წესები შესიტყვებების შეკავშირებისა და კონტექსტის შექმნისა. ამ დაუწერელი წესების შესახებ არც თუ ისე ბევრი რამ არის ცნობილი. შესიტყვებათა რიგი არის იძულებითი და მოთხოვნითი, თუმცა ამ ყველაფერს ვარიაციული ბუნება აქვს. ერთი დისკურსი, ანუ დიალოგური ტექსტი არ შეიძლება მეორის სრული ანალოგია იყოს.



### გამოყენებული ლიტერატურა:

1. Альхазишвили А.А. Основы овладения устной иностранной речью. М., Просвещение, 1988.
2. Бухбиндер В.А. Устная речь как процесс и как предмет обучения //Очерки методики обучения устной речи на иностранных языках /Под ред. В. А. Бухбиндера. Киев: КГУ, 1980.
3. Зимняя И.А. Лингвопсихология речевой деятельности. М.: РАО/МПСИ, 2001.
4. Blakemore. D., The organization of Discourse, Linguistics: The Cambridge Survey, Cambridge University Press, 1998.
5. Yule G., Pragmatics, Oxford University Press, 2006
6. Irish writing in the twentieth century: a reader, Cork University Press, 2000

### სოფიო მორალიშვილი

### დისკურსის სტრუქტურული თავისებურებანი

#### რეზიუმე

სტატიაში განხილულია დისკურსის სტრუქტურის თავისებურებანი კერძოდ, კი მისი შედარებით მარტივი სახეობა - დიალოგი. დისკურსში არსებობს შესიტყვებათა ლოგიკური ურთიერთკავშირების მექანიზმი, ისევე როგორც მზამზარეული მეტატექსტები. დისკურსის კომპეტენციას წარმოადგენს შესიტყვებებს შორის თანმიმდევრობის მექანიზმის დაცვა, რომელიც განპირობებულია თითოეული წინადაღების როგორც ლოგიკური, ისე გრამატიკული წყობით. არის სიტუაციები, როცა კონტექსტი და თავად დისკურსი მოითხოვს გამოყენებული იქნას ესა თუ ის გამოთქმა. ამდენად, მექანიზმი ხშირად ირლვევა და სისტემატურობას კარგავს. სტატიაში გაანალიზებულია დისკურსის რღვევის სხვადასხვა შემთხვევა.

**Sophio Moralishvili**

#### Structural Characteristics of Discourse

#### Summary

The article analysis the conversation as the form of verbal communication. It is universally known, that there are expressions such as: by the way, as I was saying, before I answer that, and etc. which we use during conversations. But sometimes the conversation rules are broken due to the psychological state of the participants and the social context. In most cases they are easily understood, even though the situation may become comical.

The paper concludes that the conversation is characterized by turn-taking: one participant- A, talks, stops; another - B, starts, talks and stops. The mechanism that governs turn-taking is a set of rules with ordered options which operates on a local management system. But sometimes speakers may change their positions and the rules that govern the transition of speakers turn come into play. The exact characterization of such units still requires the considerable amount of linguistic work.



## ალექსანდრე ნონაშვილი თამაში როდენი

### რომაული არტიფარტი ქვემო ქადაგი

დასავლეთ საქართველოსაგან (კოლხეთი) განსხვავებით, აღმოსავლეთ საქართველოში (იბერია) რომაული არტეფაქტების აღმოჩენის შემთხვევები საგრძნობლად ნაკლებია. როგორც ცნობილია კოლხეთში რომაული სამხედრო შენაერთების დისლოკაციის ადგილები დამაჯერებლად არის დადასტურებული. რაც შეხება იბერიას, სამეცნიერო ლიტერატურაში რომაული სამხედრო შენაერთების ყოფნის შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა. მკვლევართა ერთი ნაწილის თანახმად აღმოსავლეთ საქართველოში რომაული გარნიზონი არ იდგა (Меликишвили 1959, გვ. 71). არის სანინააღმდეგო მოსაზრებაც, რომლის მიხედვითაც რომაული სამხედრო შენაერთები განლაგებული იყვნენ მცხეთაში (Моммзен, 1942, გვ. 358; კუდრავცევ, 1949, გვ. 69). ჩვენ ამ უკანასკნელ მოსაზრებას ვიზიარებთ, უფრო მეტიც, მიგვაჩნია, რომ რომაელები იდგნენ არა მარტო მცხეთაში არამედ ძალისაში, იბერია ალბანეთის საზღვრებთან და დარიალის ხეობაში. ამ მოსაზრების დამადასტურებელ ერთ-ერთ ფაქტად შეიძლება დასახელდეს ამ უკანასკნელ ხანებში აღმოჩენილი რომაული მუზარადი, რომელიც 1986 წელს, კახეთში, სოფ. ქვემო ქედში საცურაო აუზის მშენებლობის დროს შემთხვევით აღმოჩნდა. ამჟამად დაცულია დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში (საინვენტარო #3145). ბრინჯაოს მუზარადი დაზიანებულია მას ნახევარსფერული ფორმა აქვს, სიმტკიცისათვის შებლობან დამატებით ბრინჯაოსავე სარტყელია მირჩილული, ხოლო კისრის დამცავ ფირფიტაზე სამი ჰორიზონტალური სარტყელი. ფირფიტაზე შემორჩენილია ექვსი სამანჭვლე ნახვრეტი, სადაც დამაგრებული უნდა ყოფილიყო ორნამენტები, შესაძლოა ისევე როგორც ეს კოლჩესტერში აღმოჩენილ მუზარადზე (ჭებსტერ, 1985, სურ. 19). მუზარადს უნდა ჰქონდა ლოყის დამცავი ფირფიტები, რომლებიც არ შემორჩა (სურ. 1 და 2). აღწერილი მუზარადი, ლეგიონერების მუზარადთა კატეგორიას განეკუთვნება. მსგავსი მუზარადები დადასტურებულია გერმანიაში (წონილყ, 1981, გვ. 228), ბრიტანეთში (ჭებსტერ, 1985, გვ. 125, სურ. 19) და ახ. ნ. 1 საუკუნით თარიღდება.

ძნელია ახლა გადაჭრით ითქვას იმის შესახებ თუ რა გზითაა აღნიშნული მუზარადი ქვემო ქედში მოხვედრილი, მაგრამ ზოგიერი ვარაუდის გამოთქმა შესაძლებელია. მუზარადის აღმოჩენის ტოპოგრაფიიდან გამომდინარე, შესაძლოა, რომ რომაელებს სოფ. ქვემო ქედის მიდამოებში, ანუ იბერია ალბანეთის საზღვრის სიახლოეს სადარაჯო-საკონტროლო პუნქტი ჰქონდათ განლაგებული. ისიც არაა გამორიცხული, რომ ეს მუზარადი ჰადრიანეს მიერ იბერიაში 'საჩუქრად' გამოგზავნილ სამხედრო შენაერთს უკავშირდებოდეს.

ნებისმიერ შემთხვევაში ერთი რამ ცხადია, აღნიშნული არქეოლოგიური მონაპოვარი იბერია-რომის მჭიდრო სამხედრო-პოლიტიკური კავშირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოწმობაა, რაც გარკვეულ-ნილად სხვა ხასიათის არტეფაქტებშიც აისახა; კერძოდ, აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე – მცხეთაში, ბორში, ზღუდერში, ნასტაკისში დადასტურებულია ახ. ნ. 1-2 საუკუნეებით დათარიღებული რომაული ნაწარმი: ბრინჯაოსა და ვერცხლის ფიალები, თასები, პატერები, ენოზოები, ბატილუმები, სარკეები და სხვ. (ლორთქიფანიძე, 1968, გვ. 78-80, 86, 99). ამ ნივთების გარკვეული ნაწილი შესაძლოა იბერია-ელი დიდებულებისათვის რომაელ ხელისუფალთა მიერ ბოძებულ ძლვენებსა და ჯილდოებს წარმოადგენდა, მათი პრორომაული ორიენტაციისა თუ რომაელთა სამხედრო კომპანიებში მონაწილეობისათვის. ამავე თვალსაზრისით ასევე აღსანიშნავია დედოფლისგორის ნამოსახლარის ძვ.ნ. 1 – ახ. ნ. 1 საუკუნეებით დათარიღებულ კულტურულ ფენაში აღმოჩენილი რომაული ტიპის ჯავშნები ე.ნ. 'ლორიკები' (გაგოშიძე, 2004, გვ. 128-132).

ამრიგად, სოფ. ქვემო ქედში აღმოჩენილი რომაული მუზარადი მრავალმხრივ საინტერესო მონაპოვარია; მუზარადი ჯერჯერობით ერთადერთი და უნიკალურია არა მარტო საქართველოს, არამედ კაცკასიის არქეოლოგიური სინამდვილისათვის; იგი აძლიერებს ჩვენეულ თეზის იბერიაში რომაული საჯარისო შენაერთების ყოფნის შესახებ; როგორც ჩანს მათი ნაწილი ლეგიონერებით იყო დაკომპლექტებული; მუზარადი, თანაც ლეგიონერის, მიანიშნებს იბერიის გეოპოლიტიკურ მნიშვნელობას რომის იმპერიის სივრცეში; და ბოლოს, ის ერთგვარი მატერიალური მოწმობაა, იმისა, რომ იმპერია იბერიის მხრიდანაც აკოტროლებდა ალბანეთს, რათა რომის სახელმწიფოს საზღვრების უსაფრთხოება უზრუნველყო.



## ალექსანდრე ნონეშვილი თემურ თოდუა

### რომაული არტეფაქტი ქვემო ქედიდან

#### რეზიუმე

მიგვაჩნია, რომ რომაელები იდგნენ არა მარტო მცხეთაში არამედ ძალისაში, იბერია ალბანეთის საზღვრებთან და დარიალის ხეობაში. ამ მოსაზრების დამადასტურებელ ერთ-ერთ ფაქტად შეიძლება და-სახელდეს ამ უკანასკნელ ხანებში აღმოჩენილი რომაული მუზარადი, რომელიც 1986 წელს, კახეთში, სოფ. ქვემო ქედში საცურაო აუზის მშენებლობის დროს შემთხვევით აღმოჩნდა. ამჟამად დაცულია დე-დოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზე.

უმში (საინვენტარო #3145). მუზარადი. იგი ლეგიონერების მუზარადთა კატეგორიას განეკუთვნება. მუზარადის აღმოჩენის ტოპოგრაფიიდან გამომდინარე, შესაძლოა, რომ რომაელებს სოფ. ქვემო ქედის მიდამოებში, ანუ იბერია ალბანეთის საზღვრის სიახლოეს სადარაჯო-საკონტროლო პუნქტი ჰქონდათ განლაგებული. ისიც არაა გამორიცხული, რომ ეს მუზარადი ჰადრიანეს მიერ იბერიაში „საჩუქრად“ გა-მოგზავნილ სამხედრო შენაერთს უკავშირდებოდეს. მუზარადი ჯერჯერობით ერთადერთი და უნიკალუ-რია არა მარტო საქართველოს, არამედ კავკასიის არქეოლოგიური სინამდვილისათვის.

Aleqsandre Noneshvili  
Temur Todua

#### Romanian Artefact from Kvemo Kedi

#### Summary

We believe that the Romans were stationed not only in Mtskheta, but also in Dzalisa, not far from Iberia-Albania border, and in Darial Gorge. One of the facts supporting this opinion is a Roman helmet accidentally unearthed in 1986 in Kakheti, in the village Kvemo Kedi, during construction works of a swimming pool. Today it is in the safekeeping of a Dedoplistsdkaro regional history museum (inventory number 3145). Described helmet belongs to the helmets of legionaries. Deriving from the topography of the helmet discovery, it is probable that the Romans may have maintained a lookout checkpoint near the Iberia-Albania border in the vicinity of the hamlet of Kvemo Kedi. It should not be ruled out as well that this helmet was linked with the military formation dispatched to Iberia by Emperor Hadrian as a 'gift'. Therefore, Roman helmet excavated in the village of Kvemo Kedi is interesting finding from many points; the helmet up to this day remains the only unique item not only in the archeological space of Georgia, but the whole Caucasus.

1

2





## ნატო მნიანი

### „სანავარდოს“ მითოსური ხატები

#### (დემო შენაბეჭდისას რომანის მიხედვით)

„სანავარდოს“ მითოსურ ხატებზე მსჯელობისას უდაოდ გამორჩეული ადგილი უკავია ქვეთავს: „უჩა-ლართამ-ბატონი“, რომელიც მითოსურ პლანში აქცევს რომანის მთავარ სათქმელს — პიროვნულ და ეროვნულ უნაყოფობას, მოდერნისტულ ჭრილში იაზრებს მითოსურ სიმბოლოებს და თავისი მხატვრული სტილითა თუ ესთეტიკით ქართული მოდერნისტული პროზის შესანიშნავ ნიმუშსაც წარმოადგენს.

უჩა-ლართამ ბატონს, ანუ შავჩოხიანს, მეგრულ ფოლკლორში შავ გველს უწოდებენ. მითოსური ხატებით გაჯერებულ „სანავარდოში“ გველი მრავალფუნქციური სიმბოლოა და ერთდღოლულად უკავშირდება ნაყოფიერება-გამრავლებას და უნაყოფობას, ფალოსის კულტსა და ფალიკური სანცისისადმი დაუძლეველ, ქვეცნობიერ შიშს. გველი ასევე ესაზღვრება რომანის იდუმალ სიმბოლოს თეთრ მხედარს, რომელსაც თეთრი გიორგის-წმინდა გიორგის სიმბოლოდ მივიჩნევთ. გარდა ზემოთქმულისა, გველი ქალური სანცისის მატარებელი, ქალლმერი იშთარის ცხოველია და ამ ასპექტითაც კრავს რომანის ნიშანთა სისტემას: „სანავარდოს“ მითოსური თუ რეალური პლანის ყველა პერსონაჟი ქალი იშთარის კულტს უკავშირდება, მთავარი პერსონაჟის, ბონდო ჭილაძის ტრაგედია კი სწორედ ქალთან, როგორც ნაყოფის მომცუმთან ურთიერთობის პრობლემაა. ამავდროულად, გველს ფალიკურ სიმბოლოდაც მიიჩნევენ, ფალოსის კულტს კი რომანში გუჯულაბაზუა აცოცხლებს, რომელსაც ასე მიელტვის უნაყოფო ბონდოს ქვეცნობიერი და რომელიც ამავდროულად, მისი სიბერნის ყველაზე დიდი შეხსენებაცაა.

გველი ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული და პოპულარული კულტია, უძველეს მითოლოგიურ წარმოდგენებში იგი ქაოსის, სიბერელის, ბოროტების სანცისისა და როგორც ხთონური არსება თავისი მნიშვნელობით ქვესკნელს, წყალს წარმოდგენს. ანტიკურ სამყაროში მას წმინდა ცხოველად მიიჩნევდნენ: „გველი იყო უპირატესად მაგიურ-რელიგიური სიმბოლო ძალისა, რომელმაც შექმნა ცხოვრება; ხანდახან ის გამოხატავდა თვით უფალ შემოქმედს. ხოლო ორობორო — გამოსახულება გველისა, რომელიც კბენს საკუთარ კუდა, არა მხოლოდ მარადიულობის, არამედ ღვთაებრივი სრულყოფილების, თვითკმარობის სიმბოლოა... ეგვიპტეში მას... „ფარაონის დიადემად“ უხმობდნენ და ხელმწიფის ხელისუფლების მტერთა-გან დამცავ ემბლემად იყენებდნენ... მზის დისკოზე შემოხვეული გველი ანდა ლომთავიანი კობრა მზიური მფარველობის ნიშნად მიიჩნეოდა... გველი განკურნების, მედიცინის სიმბოლოა და ამავდროულად, სიკვდილის მთესველიც... ხეს შემოხვეული გველი ხაყოფიერების ქალლმერთ იშთარის ნიშანია“ (ტრესიდერი 1992: 115).

მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა გველის კულტს ქართველთა ქრისტიანობამდელ წარმოდგენებშიც, სადაც იგი, ერთის მხრივ, საშიში, იდუმალი და ბოროტები არსებაა, მეორეს მხრივ კი სიბრძნეს, მაგიურ ძალას, განძის მცველობას, ნაყოფიერებას, ბარაქას, სიუხვეს, ოჯახის მფარველობის (მეზირი) ცნებას მოიცავს. გველის კულტმა ისეთ მნიშვნელოვან და ყველაზე გავრცელებულ, დღემდე ცოცხალ სისტემაშიც კი შეაღნია, როგორიც ადგილის დედა — ადგილის მფარველი ანგელოზია; როგორც ქეთევან ხუციშვილი აღნიშნავს: „ადგილის დედა პატრონობს ადგილს, ადევნებს თვალყურს მოსავლიანობას, წველადობას, რძის შედღვებას და სხვ მასთან მიაქვთ შესანირავად პატარა გულიანი ქადები, სანთლები და შესთხვენ ბარაქიანობას. ხშირად ადგილის დედა გველის სახეს იღებს, როცა სურს ადამიანს ეჩვენოს. გველი, რომელიც მას განასახიერებს, სახლის საძირკველში იდებს ბინას და რძეს გამოუდგამენ ხოლმე, არათუ მის მოკვლას, მის დაფრთხობასაც ერიდებიან. მისი სიკვდილი ოჯახის ამონწვეტას ნიშნავს“ (ხუციშვილი 2010: 400-401). მეზირის კულტის ამსახველ ქართულ მითებში მოცემულია მთელი რიგი აკრძალვებისა, როცა გველის მოკვლა არ შეიძლება სასიმინდები, სახლში, ვენახში, და სხვა. ტრისტან მახაურის მოჰყავას ალმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში დაცული მითოლოგიური გადმოცემა, რომლის თანახმადაც გაამპარტავნებულ, ღმერთან დაპირისპირებულ ოჯახებს ან პიროვნებებს ჯვარი საჯველად სწორედ, გველს უგზავნის: „უხსენებელი ჭერიდან ჩამოცყევა საკიდელს, რომელზედაც ქვაბია ჩამოკიდებული... გველი ვარდება ქვაბში და ისიც საჭმელთან ერთად იხარშება. მინდვრის სამუშაოდან დაბრუნებული ოჯახი ქამს მონამლულ საჭმელს და ყველა იღუპება“ (მახაური 2011: 103) გუდანის ჯვართან დაკავშირებულ თქმულებაში კერიაში აღმოცენებულ იფანს-კოსმიურ ხეს, რომელიც მაკროკოსმიური მასშტაბით სამყაროს ცენტრს განასახიერებს (სკანდინავიური იგგდრასილი) ორჯერ მოჭრიან, მესამედ კი ვეღარ, რადგან მასზე გველი იყო შემოხვეული: „გველი და ფესვი ერთმანეთის ეკვივალენტებია და ერთნაირ ფუნქციას ასრულებენ მითო-რელიგიურ წარმოდგენებში... გველი ქვესენელიდან ამოდის, სადაც იყანს ფესვი აქვს გადგმული, რაც მოასწავებს მცენარის დაუსრულებელი ზრდის პოტენციას“ (კინაძე 1979: 130).

ქრისტიანულ სიმბოლოთა სისტემაში გველი ბოროტების, ცდუნების ხატად ტრანსფორმირდა. თუმცა ადამიანისთვის ღვთაებრივი ნიჭის წართმევას გველს იქამდეც აბრალებდნენ: „გილგამეშის ეპოსის“ გმირი უზარმაზარ მანძილს გადის გასახალგაზრდავებელი ჯადოსნური მცენარის მოსაძებნად და როცა პოულობს, გველი მყისვე იპარავს მას. გველი არც „სახარებაშია“ ცალსახად უარყოფითი სიმბოლო: „იყავით გონიერნი, როგორც გველები და უმანკონი, როგორც მტრედები“ (მათე, 10, 16) მოუწოდებს უფალი მოსწავლეებს. ხოლო ადამიასა და ევას მაცდუნებელ გველს ასე მიმართავს: „რამეთუ ჰყავ ესე, წყეული იყავ შენ ყოველთაგან პირუტყვთა და ყოველთაგან მხეცთა ქუეყანისა ზედათა, მკერდსა ზედა და მუცელ-



სახვიდოდი და მიწასა სჭამდე ყოველთა დღეთა ცხორებისა შენისათა. და მტერობა დავდვა შორის შენსა და შორის დედაკაცისა და შორის თესლისა შენისა და შორის თესლისა მისისა. იგი შენსა უმზირდეს თავსა და შენ უმზირდე მისსა ბრჭყალსა“ (დაბადება 3, 14-15). ადამისა და ევას ცოდვამ გველის სიმბოლო ძირითადად, უარყოფითი ნიშნით განავითარა, რასაც მნიშვნელობათა მთელი ნაკადი მოჰყვა (ცოდვა, ბოროტება, გესლი, სიცრუე, მტრობა, სატანური ვნება...) და იგი დემონურ არსებათა რიგში ჩადგა; თუმცა, უნასი დროსა და სივრცესთან მიმართებით მაინც მოქნილი აღმოჩნდა და ყველაფრის მიუხედავად, წარმართული ღვთაებების მსგავსად მისი პროფანაცია არ მომხდარა: გველმა, როგორც სიმბოლომ, კვლავ შეინარჩუნა იდუმალება, საშიშობა, სიბრძნე და გრძნეულება. ქრისტიანული ეკლესიის დიდი მოლვაზე და მნერალი ბასილი კესარიელი გველის რამდენიმე ძირითად ნიშანს გამოჰყოფს: „პირველი ნიშანი, რაც გველს ახასიათებს არის გაახალგაზრდავების უნარი: „სახისმეტყულმან თქუა: სამი სახეი არს გუელისაი, პირველი სახეი: რაუამს დაბერდის და მხდის, მარხვის გუელმან მან ორმეოც დღე და ორმეოც ღამე, ვიდრე ტყავი განევლოთის და განეთხის. იძიოს ნაპირი და ჰპოვის კლდისა ინწრი და განჭაბუკნის“. ეს ნიშანი გველისა სიმბოლურად აღიქმება— „ისწრაფედ შესვლად იხროისა მას კარსა და ძნელსა, რომელნი მიავლინებენ ცხოვრებად საუკუნოდ“. გველის ტყავის გამოცვლა, ანუ გაახალგაზრდავება აღიქმება ქრისტიანულ განწმენდად და ძველი ცხოვრების ახლით შეცვლად“ (გაბრიელაშვილი 2005: 37).

გველის სიცოცხლისუნარიანობას მითოლოგიურ გადმოცემებთან ერთად, მხატვრულმა ლიტერატურამაც შეუწყო ხელი, სადაც იგი ერთ-ერთი ყველაზე როტული და მრავალასპექტანი სიმბოლო, ქვესკნელის ღვთაებათა ზომომორფული სახე და ღვთაებრივი ცოდნის შექნის წყაროა (მაგ., ვაჟა-ფშაველას „გველის მჭამელი“, სადაც მინდია სიბრძნეს გველის ხორცის ჭამით იღებს, ზღაპრები „შეცხვარე და გველი“, „გველის ძმობილი“, „გველი და კაცი“, სადაც ადამიანი ცოდნას გველის ენის შეხებით ეზიარება) და ამავლობულად, განახლებისა და ძველის ახლით შეცვლის, გამრავლების მეტაფორაც. გრიგოლ რობაქიძესთან გველის ტყავის გამოცვლას არჩილ მაყაშვილის შინ დაბრუნება, კერის აღლობინება და მისი თესლის გამრავლება მოსდევს. გველი მოდერნიზმში მეტად პოპულარულ დიონისეს კულტს— ნაყოფიერებას უკავშირდება კონსტანტინე გამსახურდასთან: „დიონისეს ღიმილში“ მოხუცი ბარონის მიერ გველის მოკვლით დედაკაცებს შვილიერების უნარი წაერთვათ, სასახლეში დაფეხმდიმებულ ჯენეტს კი მუცელი მოეშალა და ბავშვი დაიღუპა. აკაკი ბაქრაძე რომანის მითოლოგიურ პლანს დიონისოს თა სახეს— ჩვილსა და გველს უკავშირებს და აღნიშნავს: „ბარონის სახლში გველის მოკვლით მოკლეს ბავშვიც. ამიტომ აქვს ამ სახლში დედაკაცს გამრავლების უნარი წართმეული. რაკი გველი და ბავშვი დიონისეა, მათი მოკვლით მოკლულია დიონისეც“ (ბაქრაძე 2004: 47).

ფოლკლორულ კვლევებში დემნა შენგელაია ენასს ნაყოფიერებისა და ბარაქის სიმბოლოდ მიიჩნევს და ბუნებრივია, ესაა ყველაზე მნიშვნელოვანი არგუმენტი „სანავარდოში“ გველის სიმბოლოს ასახსნელად: „ისეთნი ხვითქნი, როგორიც ბაყაყი, გველი და ჯოჯოა, ვიშაპთა ზომომორფულ გამოხატულებას წარმოადგენენ. გველი მთელ საქართველოში ბარაქის მომნიჭებელ არსებად იყო ცნობილი... მისი სახელი ტაბუიზმით იყო მოცული... გველს მეგრულად უჩალართამი, ე.ი. შავჩოხიანი ანუ შავლართიანი ეწოდება... იმიტომ რომ იგი ქვესკნელის ბატონი იყო, ხოლო ქვესკნელი... ერთი იმ სამ სკენელთაგანი იყო, რომელიც მთელ სამყაროს შეადგენდა და მისი ფერი შავი ფერი იყო... ზესკნელის... ფერი კი თეთრი იყო; ამ სკენელს მზეთუნახავი ქალღმერთი იშთარ-ეთერი განაგებდა... მიუხედავად იმისა, რომ ჯოჯო სიმახინჯის გამომხატველი ხვითქი იყო, როგორც ჩანს, იგი წარმართი ქართველის გულში ერთ დროს ასეთ ზიზღს არ იწვედა. თბილელი უშვილო დედაკაცები მას თაყვანს სცემდნენ. ასე გასინჯეთ, ობასაც უმართავდნენ და ამ დღეს ჯოჯოობა ეწოდებოდა“ (შენგელაია 1972: 258-259).

„სანავარდოს“ უჩა-ლართამიც ქვესკნელის ფერია (შავია), ნაყოფიერებისა და გამრავლების სიმბოლოა და, როგორც ქვესკნელსა და შუასკნელს შორის გადაადგილების უნარის მქონე, რომანის მითოსურ პლანსა თუ რეალურ წარატივში უმთავრეს კონცეპტებს ხსნის. უჩა-ლართამ ბატონის გამოჩენამდე დემნა შენგელაია ასე აღნერს ყარამანის ოდის გვერდით მდებარე ბოსტანის: „დადგა გველის ამინდი, გველის შუადლე. მაღლა, სულ მაღლა, ცის კენწეროზე, ჭიმჭიმელში აზიდულა ოქროს კლდეები... ცა ლურჯ კათხასავით ახურავს სერებს და ზედ გადმოკიდებული მნიშვერთულივით გადაფატრული მზე ფანტაზიას სისხლისფერ ლალებს. იისფერი ვენახი ეტმასნება პიტალო კლდეებს და ქარვის ტებილი მტევნებითაა დატვირთული მისი ლერნები... დაყურსული ჰაერი და დრო წუთით შეისვენებს ოქროს სერებზე. უეცრად მოსკდება ღვარი იისფერ გველებისა. ივერება ყველაფერი... გველთაზმორებით იტვირთება მიდამოები. ოქროს ქედები ვერ უძლებებს მათ სიმძიმეს და იზნიერებიან შტოებივით. იისფერ გველთა მტევნებით დაიყურნება ჭიმჭიმელი და ამართული, იისფერი კაბით შემოსილი უნასი მოპრძანდება დინჯი რონინით. ოქროს ფაფარი შარავანდედად ჩამოლვრია ქერტლიან ყელზე. კუდზე ალერებულს მოაქვს ოქროს საწმისზე დასვენებული ანთებული ხვითო. მზე დატორტმანდება, მნიშვერთულივით მოწყდება ზეცას და ჩავარდება ხვითოს გულში... გველები ნებივრად იქვარქნებიან ოქროს მტევნები და უსაზღვრო მოლოდინით იკტენენ სხეულს. უეცრად გატყდება წელში უნასი, აიტაცებს ძვირფას ხვითოს და ააგდებს ცაში. მოირხევიან იისფერი გველები... გაჩინდება უუჟუნი იისსფერ სხეულებისა... ხვითო თაფლად დხება ცაში და უეცრად... იელვებს თეთრი ყაბალახი და მოცელილი გველები მიწაზე დაცვივიან. — წაიღეს ხვითო!... — არ არის ხვითო!... გასნატული გველები დაინახავენ ოქროს სერებზე თეთრი ყაბალახით აფრენილ მხედარს“ (შენგელაია 1968: 90-92).

გველური იდუმალებით დატვირთულ, ჭარბასახოვან სურათში ყოველი დეტალი ნაყოფიერებით, მნიფობით, შემოდგომის ფერებითაა სავსე, მოჭარბებული სიმნიფის სემანტიკა გრძნობებს აშიშვლებს, სიცოცხლის ინსტიქტს აღვიძებს და ამგვარად ამზადებს მკითხველს ნაყოფიერების ასპექტის შემცველ სიმბოლოსთან,



უჩა-ლართამ-ბატონთან შესახვედრად. „გველის ამინდი, გველის შუადღე“ რომანში ნაყოფიერების დროა, ამიტომაც დაჰკრავს ამ ჭარბ და წრეგადასულ ფერთა სიმწიფეს ეროვნულობის ელფერიც.

სიმწიფესა და ნაყოფიერების განცდას დემნა შენგელაია გველების ფერთა სიმბოლიკითაც აღწევს: ისინი ისფერი არიან (ისფერი ღამეც ჩნდება ხოლმე დემნა შენგელაიას პროზაში) და ძირითადად, ბრონეულისფერისა და ოქროსფრის ანტურაუმი ჩანან. ისფერი — წითლისა და ლურჯისგან შედგენილი ფერია. წითელი — მიწის, ვნებისა და ცეცხლის, ლურჯი კი ინტელექტის, წყლისა და ცის. ლიტურგიაში ისაფერი მონანიების, ცოდვათა გამოსყიდვისა და თვითჩალრმავების იდეას უკავშირდება: ძველად მაცხოვარი და ლოთისმმობელი ხშირად გამოისახებოდნენ ისფერ სამოსში. ჩინურ სიმბოლიკაში კი ეს ფერი სიკვდილის ფერად გვევლინება. ფსიქოლოგიაში ისფერი სასიყვარულო ურთიერთშერწყმისა და მორჩილების ფერია, გადმოსცემს ერთიანობის, თანხმობისა და საყვარელ ადამიანთან იდენტიფიცირების მოთხოვნილებას (ტრესიდერი 1999: 448). ისფერი ყველა სხვა სპექტრალური ფერისგან სირთულით განსხვავდება, ბალანსირებს წითელსა და ლურჯს, ასევე ლურჯსა და შავს შორის; აქედან მოდის მისი სემანტიკა, სიმბოლიკა და ძირითადი მნიშვნელობები: გლოვა, შიში, დათრგუნული სულის ნალველი, მისტიკა, სასიცოცხლო ძალების ქრობა, ტრაგიზმი, ავადმყოფობა, ნალველი... შეა საუკუნეების იაპონიაში კი სასიყვარულო ვნება (ბირკელი 1977: 223).

ამთავითვე განვმარტავთ, რომ ისფერი გველი მართლაც, არსებობს და მას ისფერი ჟირარა, ანუ კანტორია (Cantoria Violacea) ენოდება, თუმცა, ვფიქრობთ მწერალი უნასის ფერს უფრო რთულ და მრავალმხრივ სიმბოლურ დატვირთვას ანიჭებდა. გველის ისაფერი, როგორც წითლისა და ლურჯისგან შედგენილი ფერი, შემდგომ სემანტიკას აერთიანებს: მიწას — გველი ხთონური სიმბოლია; ვნებასა და ცეცხლს — ნაყოფიერების სიმბოლოა; ინტელექტს — სიპრძის სიმბოლოა; მონანიებას, თვითჩალრმავებას, ცოდვათა გამოსყიდვას — ადამისა და ევას ცდუნების, პირველი ცოდვის სიმბოლოს მატარებელია; სიკვდილის ფერს — „გველი დედამინას ორა ასპექტით უკავშირდება: როგორც მისი ნების გამომხატველი და როგორც მიცვალებულთა სამყაროსთან დაკავშირებული სიმბოლო“ (აბაკელია 1997: 17).

უჩა-ლართამის გამოჩეხამდე ფიგურირებს მზე და მთა (მისი შემდეგ ჩნდებიან გველები). დემნა შენგელაიასთან მზე — ნაყოფიერების წყაროა: „ცის განსახიერებას ბორბალი ანუ თვალი ნარმოადგენდა. მართლაც, თვალი ხომ ამ ბარაქის ღვთაების ემბლემატური განსახიერება იყო? ამიტომაც ამბობენ ჩვენში ბარაქიანი ყანის შესახებ დღესაც „ღვთის თვალი“, ე.ი. მზე ტრიალებსო. ამიტომაც სუჭავენ თვალს სვანები მზისადმი მიმართული ლოცვის ნარმოთქმის დროს. ჯერ ერთი იმიტომ, რომ მზეს თვალი განასახიერებს და მეორეც — მზეს თვალს ვერ გაუსწორებ“ (შენგელია 1972: 292) თამაზ ჩხერიელი მზის წილის მფლობელ — ნაწილიან კაცზე ბრძანებს: „ნაწილიანი კაცი პირმზიანი, ლამაზი და სიკეთით სავსე იყო, რაკი მზის ანუ ღვთის მსაგესი და მასთან წილნაყარი იყო. მას ღვთისაგან კაცთა სიყვარული აქვს განჩინებული. სწორედ ამიტომ ნაწილიანს სიცოცხლეშიც და სიკვდილის შემდეგაც სდევნიან გველი, რომელიც ნაწილის ნართმევას უპირებენ (ჩხერიელი 2009: 34). პატარა ბონდო თავს ნაწილიანად მიიჩნევდა (პირველ სიყვარულს, ხათუნას უმხელს, ნიშანსაც აჩვენებს) და გველიც დასდევს მას, „ტეხს... სკვარამ თვალებით“ (92), (დაახლოებით ისე, როგორც იშთარი უცქერს ქვესკენლში გასაგზავნად განწირულ თამუზს). ჭილაძეთა შთამომავალი დიამატეტრალურად განსხვავდება ნაწილიანი კაცისგან, მისი სიკეთე ისაა, რომ ბოროტი არავისთვის სურს, თუმცა, უენერგიონ და სისხლდალორნილი ვერ ალასრულებს ღვთისშვილის ფუნქციას; ამიტომაც ემძიმება დედისგან ეროვნული კოდივით ნაჩქარი თეთრი ყაბალახი და მამას უბრუნებს მას, როგორც წინაპართა მიმართ შეუსრულებელ მისიას; აღარც საკუთარ ნაწილიანობაზე საუბრობს: ეს განცდა ხათუნასთან ერთად მოკვდა.

მთა — სიმაღლისა და სიწმინდის სიმბოლოა, აქ გველები ქვესკენლიდან არ ამოსულან — „დრო წუთით შეისვენებს იქროს სერებზე-უეცრად მოსკდება ღვარი ისაფერ გველებისა. ივება ყველაფერი“ — გველები თითქოს, მთიდან ეშვებიან. ამით გველის სიმბოლიკა კიდევ უფრო მაღლდება, იგი თეთრი გიორგი-წმინდა გიორგის ჰიპოსტასად გვევლინება და არა ქვესკენლის ქვენარმავლად. ამ მოსაზრების დასტურად კიდევ ერთ დეტალს მოვიშველიებთ: „მზე დატორტმანდება, მნიშვე ნაყოფიერი მოწყდება ზეცას და ჩავარდება ხვითოს გულში... უნასი... დაზვერავს სერებს და მისი თავი მოჩანს იქ, სადაც მზე ეკიდა“ (91); ამ მოდერნისტულ მეტაფორაშიც გველი ხვითოს გულში ჩამოვარდნილი მზის ადგილზე ჩნდება. რეფლექსით თუ ინტუიტურად, ავტორი გველს სასიყვარულო ვნებას, ცეხლს, წყალს (რაც — წვიმა, ისედაც გველის სიმბოლოა), ამაღლებულს (ამიტომაც ჩანან მთის, სიმაღლის კონტექსტში), შიშს, სიკვდილს, მისტიკის, სასიცოცხლო ძალებისგან დაცლასა (ხვითოს — ნატურისთვალს ართმევს თეთრი მზედარი) და ამდენად — დათრგუნულ სულს უკავშირებს.

რაც შეეხება ხვითოს — ეს დეტალიც ნაყოფიერების სიმბოლოა: ხვითო ნატვრის თვალია, რომელსაც თითქოს, გველი ინახავს და ზოგჯერ ათამაშებს. კაცის ხელში ხვითო ბარაქისა და ჭრილობათა განკურნების უებარ საშუალებად იქცევა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი კაცი ამას საიდუმლოდ შენახავს და არავის გაუმხელს. გველის თვალი — ხვითო ჩიტის კვერცხის ტოლა და ნაირფერი ყოფილა, მას გველი ტყეში პოულობდა. იმას, რომ ხვითო ნაყოფიერების მომტანია, დემნა შენგელაიაც აღნიშნავს: „ის, რომ მართლაც, ბარაქის ცხოველად იყო მიჩნეული, ამას თვით ნატვრის თვალისა ანუ ხვითოს ზღაპარიც ამტკიცებს. ზოგ მოხუცს ახლაც სწამს, რომ გველებს ხვითო ან ნატვრისთვალი აქვთ და ეს თვალი დოვლათის წყაროა“ (შენგელია 1972: 259).

სანავარდოზე აღმართამ ბონდო ჭილაძეს ხვდება: „უინატეხილი ცემს კუდს მიწაზე, დედამიწა იბნიდება ვნებაანთებულ დედაკაცივით... მიწის სუნი ასდის... იგი შავია, შავჩობიანი, აღსავსე სიბრძნითა და ბოროტი ასე დგას გველი სანავარდოზე, რომელ არს მოციქული და ცხადება წმინდა



გიორგისა. შუადღის გუგუნში შემოვიდა... და აიმართა შუა ოდაში. — რა გინდა შენ, უჩა-ლართამი?... გვე-ლი დგას ამართული და ტეხს ბონდოს სკვარამ თვალებით. ბონდო გააგდებს ძველ კარაბადინს. — ქიქემა-ლუ სირენე!... ვაი-და ბოროტი თვალინეურია!... სამჯერ იყივლებს სულნასწრებული და გველი იგი, უჩა-ლართამ-ბატონი, იშმუშნება. ქრება მისი ლანდი... ბონდო, კედელს ატმასნული, ზარდაცემულ თვალებს აცეცებს. — არ არის გველი!... — მაშ რად არის გველის სუნი ოდაში?!? — დასუულია ყველაფერი, დასუ-ნული! — და გულშელობებული გაიშლება იატაკზე იქ, სადაც დიდი გველი იყო ამართული” (92-93).

ისფერის ასეთი „მიბმა“ გველებზე და მათ ფონზე გველომთავარივით უჩა-ლართამის შავი ფერი („იგი შავია, შავჩოხიანი“) მას დანარჩენთაგან განასხვავებს: სწორედ იგი, „სვეტივით ატყორცნილი აელ-ვარებს მზის თესლივით ანთებულ ხვითოს“ (გველი თეთრ მხედარს ენაცვლება ხვითოს ფლობაში, რადგან მისი ჰიპოსტასია) — ის ნატვრისოთვალი, რომელიც თეთრმა მხედარმა ნაართვა ისფერ უნასს, ახლა უჩა-ლართამს აქვს, როგორც „მზის თესლი“ — ღვთაებრივი ნაყოფიერების მეტაფორა. თავად ეს შავი გველი კი „არს მოციქული და ცხადება წმინდა გიორგისა“ (ძველ რედაქციაში — „წმინდა ფალუსისა“), ანუ ნაყო-ფიერების მფარველი წმინდა გიორგის ჰიპოსტასი. წმინდა გიორგი კი თეთრი გიორგის — წარმართული ღვთაების გაგრძელებაა; მაშასადამე, ბონდოსთან მზის თესლივით ანთებული, ბარაქის ხვითო ნატვრის-თვალით და მინის სუნით — ნაყოფიერების ღვთაებაა მისული და „უნატეხილი ცემს კუდს მინაზე“. შეში-ნებული ბონდო გველის შელოცვას ამბობს და ნაყოფიერების ფალიური სიმბოლო უჩა-ლართამ-ბატონი ქრება: სისხლდალორწილ და სასიცოცხლო ძალებისგან დაცლილ ბონდოს გამრავლება-ნაყოფიერების შიში აქვს და შესაბამისად, უჩა-ლართამსაც უფროხის. ასე რომ გველი, თეთრი მხედარი და წმინდა გიორ-გი „სანავარდოში“ ნაყოფიერების კონტექსტში კვეთენ ერთმანეთს და სხვადასხვა მოდიფიკაციაში გამო-ხატავენ ნაყოფიერება-უნაყოფობის, საბერნის თემას (ისევე, როგორც იმთარის სიმბოლიკა).

დაბერნებული სანავარდოს ბატონს ნაყოფიერების სიმბოლოს მიმართ შიში აქვს, (ერთგან მნერალი ასე აღწერს წყლიდან ამოყვანილ ბონდოს: „იგრიხება ბონდო მინაზე თავგასრესეილი გველის წინილივით“ (77); მეორეგან ბონდომ „შიშით დაკაკლულ თვალებით მამას თვალებში ჩახედა და გველივით შემპარავად შეეკითხა“ (48) და სხვა. ერთგან იგი თავგასრესეილი, ანუ მოკვდინებული, უნარნართმეული გველის წინი-ლია, მეორეგან კი გველი შიშის კონტექსტში ჩნდება), სამაგიეროდ, სასიცოცხლო ენერგიით სავსე გუ-ჯუსთან ისმის უნასის კუდის დარტყმის ხმა: „ფალლ!“: „სუნელის მოსაკრეფად ჩასული ლიზიკია გრძნობს, რომ გვალვამ დაპკრა თავში. — ვინა ხარ შენ?.. — შეეკითხა იგი და სილრმებიდან ესმის ჭიხვინი ანთებული და წმინდა ფალოსისა. მუხლებში მოსხლეტილი და მორჩილი დაწვა მინაზე. წევს იგი განაბული მწიფე კიტრებში და ესმის, ყრუდ ესმის, როგორ რეკს დედამინა დიდი გველის კუდის შინიან დარტყმით: — ფალლ!.. ფალლ!.. ფალლ!!!“ (93); თუმცა, გუჯუსა და ლიზიკიას ერთად ყოფნაც ისეთივე უნაყოფოა, როგორც ბონდოს კავშირი პარტნიორ ქალებთან (ერთადერთი სკოპცის ქალია შვილიერების მოლოდინში და ისიც ილუბება): გადამნიფებული ტოპოსი ბინერია და არამნინდა, ისევე, როგორც გვარი — რომელ-მაც ფუნქცია დაკარგა, სისხლი დაეღალა და დაელორწა, როგორც გენი, რომელიც დაბერნდა.

უჩა-ლართამ ბატონის მხატვრული სახე რომ ბოლომდე ავხსნათ, კიდევ ერთი სიმბოლო უნდა გა-ვიხსენოთ: თეთრი მხედარი-თეთრი თავადი, რომელიც რომანში რამდენჯერმე მკრთალად, ერთი გაელვე-ბით გვხვდება და ერთდღოულად თეთრ გიორგი-წმინდა გიორგის, ბონდოს, სიყვარულისა და ნაყოფიერე-ბის თემას უკავშირდება. „მითოლოგიურ ენგადში“ ღვთაებათა ორპირანობაზე მსჯელობისას აკაკი ბაქ-რაძე აღნიშნავს, რომ წმინდა გიორგი — თეთრი გიორგი ორი ჰიპოსტასის მატარებელია: „ერთი მხრივ, ყოფილა თეთრი გიორგი, ანუ ზესკნელის გიორგი, ხოლო, მეორე მხრივ, მის საპირისპიროდ — უმზეური, ჯოჯოხეთის გიორგი, ე.ი. ქვესკნელის გიორგი... ზესკნელის გიორგის სახეა ხარი და ხე, ქვესკნელის გი-ორგისა კი — გველი“. (ბაქრაძე 2004: 197). გიორგის ხალხურმა კულტმა თავის თავში მოიცვა მინათმოქმე-დების მფარველი, ჭექა-ქუხილის მბრძანებელი, გარეულ ცხოველებზე მონადირე და ნაყოფიერების ღვთაება. როგორც ზვიად გამასახურდია აღნიშნავს: „გიორგის კულტი დაკავშირებულია მინათმოქმედე-ბასთან, კერძოდ, ნაყოფიერების ღვთაებათა დაცვასთან, ამინდთან, მეტეოროლოგიასთან. ასე იყო ძველ საქართველოში და ამასთან არის დაკავშირებული ქართული ეროვნული ღვთაება-თეთრი გიორგი. ხოლო ქრისტიანული წმინდა გიორგი ისტორიულად არსებული პიროვნებაა“ (გამსახურდია 1991: 205-206). ასე კვეთს ნაყოფიერების თემა უძველეს ხთონურ სიმბოლოს გველს, მოდერნიზმისთვის მახლობელ დიონი-სოს კულტსა და ქართველთათვის გამორჩეულ წმინდანს თეთრი გიორგი- წმინდა გიორგის.

„სანავარდოს“ თეთრი თავადი სავარუდოდ, თეთრი გიორგი-წმინდა გიორგის უკავშირდება: რომა-ნის ერთ-ერთ ეპიზოდში, „შორს კი, სერებზე, ყაბალახგაფორიალებული თეთრი მხედარი მიფრინავდა, სად-ლაც კლდებებში ისმოდა ამირანის კვნესა და ჯაჭვების ჩხარუნი“ (96), „ყაბალახგაფორიალებული თეთრი მხედრის“ სახეში სწორედ თეთრი გიორგი-წმინდა გიორგი უნდა იგულისხმებოდეს, ამირანი კი იმიტომ კვნესის, რომ მითოსური ტოპოსიდან (სანავარდოს მითოსური ანალოგიდან) თეთრი მხედარი-წმინდა გი-ორგი გაფრინდა. თეთრი მხედრისა და ამირანის სიმბოლური წყვილი სანავარდოს (საქართველოს) რწმე-ნასთან დაშორების, სულიერებისაგან დაშრეტის სიმბოლოა.

დოდო ბაყაყის ზღაპარში დასაღუპად განწირულ თეთრ თავადს თეთრი თივთიკის ყაბალახი უფრი-ალებს და ასოციაციურად ბონდოს უკავშირდება. გომბეშოთა დედოფალს, ავ და ბოროტ დოდო ბაყაყის „გველი ვერ უბედავდა შეხედვას“ (25), მთხოვნელები მოსდიოდნენ, მაგრამ არავინ მოსნონდა, დაკუსული თვალებით აშტერდებოდა და ისინიც ჭაობში იხრჩობოდნენ, არადა „სიყვარული ძლიერ უნდოდა“. ულამა-ზესი თეთრი თავადის დანახვისას დოდო ვნებით აენთება და მიაშტერდება ბატონიშვილს, რომელიც ვერ უძლებს მახინჯი ბაყაყის ატეხილი უნინის ძახილს, ცხენიდან ვარდება და ჭაობში იხრჩობა. „გომბეშო ეკო-ნება მის ტუჩებს... მაგრამ ახალგაზრდა ბატონიშვილი უძრავია, მკვდარი. გომბეშო იკივლებს შემზარ-



ვად” (26). დოდო ბაყაყის გოდება თამუზის ქვესკნელში გამგზავნი იშთარის ქმარზე გოდებასა ჰგავს და ეს ასოციაცია სავსებით ბუნებრივია: ბონდოს მითოსური პრასახე რომანში ხომ იშთარის ქმარი თამუზია. საგულისხმოა ისიც, რომ დოდო ბაყაყის ზღაპარს, როგორც წინასწარმეტყველებას ბონდოს მომავალ ბედზე, მოახლე ლიზიკია უყვება ბონდოს დედას, ციცინოს.

თეთრი მხედარი აშინებს ფრეილინა ტრუბანვას: „ვიღაც თეთრი მხედარი მოდის ჩემთან ყოველ-ლამე და მაშინებს!“ (109) თეთრი მხედარი თეთრი გიორგი-წმინდა გიორგია, რომელსაც ტრუბანოვა ქვეც-ნობიერად, ბონდოსთან აკავშირებს, მასვე უყვება სიზმარს და თითქოს პასუხსაც სთხოვს. სიზმრად ნანა-ხი სახეების სიმბოლურ-ასოციაციური კავშირები აქაც არამემთხვევითა: წმინდა გიორგი ნაყოფიერების მფარველია, ბონდო კი მამაკაცური ენერგიისგან დამრეტილი, რასაც ფრეილინა ინტუიტურად გრძნობს, შემდგომ კი რწმუნდება.

მოდერნისტული ესთეტიკით შესრულებულ, სანავარდოს დაჭაობებული და დასალუპად განწირუ-ლი პეზიზუს ფონზე „მუდამით ბინძურ ძონძებივით დაკიდებულ ღრუბლებში გამოჩნდება ნავახშმევი მთვარე და აფრენილი თეთრი მხედარი გაშლის ყაბალახს“ (84). ოდაში მარტოდ დარჩენილი ბონდო ხე-დავს: „წმ. გიორგი აფრენილა ხატის კანდელზე და თეთრად ანათებს თეთრი მერანი“ (107), იგი ხშირად ევედრება წმინდა გიორგის, თავის დახრჩიბის მცდელობის წინაც შესთხოვს პატიებას. ხოლო სცენაში, სადაც მენისქვილე თვითმკვლელობისგან გადაარჩენს, მინაზე თეთრი თავადის საიდენტიფიკაციო ატრი-ბუტი — „თივთიკის თეთრი ყაბალახი“ გდია (77). ჭილაძეთა შთამომავალი ვერც ყაბალახს, როგორც ეროვნულ წიშანს, უძლებს: „სველი ყაბალახი კისერს ამძიმებდა, მოიძრო და მამას გადასცა“ (77). თეთრი მხედარი ბონდოს მიუღწეველი რაობაა, ის იდეალია, რომელიც დედამ — რომანში ფასულობათა ერთა-დერთმა დამცველმა — ჩაუნერგა (აკი იხსენებს კიდევაც ბავშვობაში, ხათუნასთვის მონათხრობ მზეთუ-ნახავის ქვესკნელიდან გამოტაცების ზღაპარს, იქაც ფრიალებდა ბონდოს თეთრი ყაბალახი).

თეთრი მხედარი ართმევს ხვითოს გველებს (მის ერთ-ერთ ჰიპოსტასსა და მასსავით ნაყოფიერების სიმბოლოს, გამოდის, რომ ართმევს საკუთარ თავს), თუმცა, სანავარდოზე წამომართული უჩა-ლართამი ისევ „სვეტივით ატყორცნილი აელვარებს მზის თესლივით ანთებულ ხვითოს“ (92) — წაყოფიერების სიმ-ბოლოს, რითაც თეთრი მხედარი ნაყოფიერების ასპექტში კვლავ ეჯაჭვება გველს; მაგრამ ბონდოს გვე-ლის (წაყოფიერების) შიში აქვს: გველი წყალთან, ხთონურ სამყაროსთანაა კავშირში, საიდანაც ხელახალი შობა და განახლება იწყება, ბონდო კი სწორედ, განახლების, დროისა და სივრცის მოთხოვნათა გათვა-ლისწინებით ტრანსფორმირებისთვის, მითოსური გმირივით მეორედ შობისთვის არაა მზად. ამიტომ სრულდება მისი ურთიერთობა ქალებთან უნაყოფოდ, ამიტომ ართმევს თეთრი მხედარი გველს ხვითოს — წატვრისთვალს, რომელსაც სხვა სიმბოლური დატვირთვაც აქვს: წატვრისთვალი — წატვრაა, პერსპექტი-ვაა, ამდენად, ხვითოს წართმევით თეთრი მხედარი სანავარდოს გადარჩენის, განვითარების პერსპექტი-ვას ოცნებასა და წარმოსახვაში ინახავს, ამითებს.

ასე რომ, თეთრი მხედარი ერთდროულად თეთრ გიორგი-წმინდა გიორგის, ბონდოს, სიყვარულისა და ნაყოფიერების თემას უკავშირდება: იგი ხან იღუპება და გარდაუვალი დაღუპვის სიმბოლოდ გვევლი-ნება, ხან გველს (რომლის ერთ-ერთი ასპექტი წაყოფიერება) ხვითოს (ბარაქის სიმბოლოსა და წატვრის-თვალს) ართმევს, ხან სიყვარულის სახელით თამუზივით იღუპება (დოდო ბაყაყის ზღაპარში), ხან ამირა-ნის გოდების თანხლებით ტოვებს დაბერწებულ სანავარდოს. თეთრი მხედარი სულ გარბის და თეთრი ყა-ბალახი უფრიალებს, მას მკითხველი მუდამ დინამიკაში, ქმედებაში ხედავს და ეს ქმედება ერთგვარად, საპროტესტოა: იგი ტოვებს იმ სოფელს (ამ სიტყვის ფართო გაგებით), რომელიც მის ზნეობრივ კრიტერი-უმებს არ პასუხობს, ისე, როგორც მადლი და ნაყოფიერება ტოვებს სანავარდოს, რომელსაც სკოპცები (საჭურისები) ეპატრონებიან. თეთრი მხედრის სიმბოლო რთული და მრავალპლასტიკიანი, კონკრეტულ ვი-თარებაში სიტუაციურად განსხვავებული დატვირთვის მატარებელია, თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში ამაღლებულს, მიღმიერსა და ზნეობრივთან ასოცირდება.



### გამოყენებული ლიტერატურა:

1. **შენგელაია 1968:** შენგელაია დ. სანავარდო, თხზ. ტ. I. თბ. ს.ს., 1968.
2. **შენგელაია 1972:** შენგელაია დ. განძი, თხზ. ტ. III, თბ. ს.ს., 1970.
3. **შენგელაია 1972:** შენგელაია დ. მზეთუნახავი, ვაშა, თხზ. ტ. IV, თბ. ს.ს., 1972.
4. **ჩხენკელი 2009:** ჩხენკელი თ. ტრაგიკული ნილბები, მემკვიდრეობა, თბ. 2009.
5. **კიკნაძე 1979:** კიკნაძე ზ. შუამდინარული მითოლოგია, ს.ს., თბ. 1979.
6. **ბაქრაძე 2004:** ბაქრაძე ა. მითოლოგიური ენგაღი, თხზ, ტ. II. ნეკერი,
7. ლომისი, თბ. 2004
8. **გამსახურდია 1991:** გამსახურდია ზ. საქართველოს სულიერი მისსია, წერილები, ესსეები. თბ. ხელოვნება, 1991.
9. **აბაკელია 1997:** აბაკელია ნ. სიმბოლო და რიტუალი ქართულ კულტურაში, თბ 1997.
10. **გაბრიელაშვილი 2005:** გაბრიელაშვილი ლ. „ცხოველთა პარადიგმული სახე-სიმბოლოები ასურელ მოლვანეთა ცხოვრების წიგნთა ძველ რედაქციებში“, კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა“, № 8. 2005.
11. **მახაური 2011:** მახაური ტ. გველის სახე ინგილოურ თქმულებებში, ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული ნარკევები, ნ. III, თბ. უნივერსალი, 2011.
12. **ხუციშვილი 2010:** ხუციშვილი ქ. წინარექრისტიანული რწმენა-წარმოდგენები საქართველოში, საქართველოს ეთნოგრაფია/ეთნოლოგია, უნივერსალი, თბ. 2010.
13. **Тресиддер 1992:** Тресиддер Д. Словарь символов, М. ФАИР-ПРЕСС, 1999.
14. Бычков 1977: Бычков В. В., Византийская эстетика, М.1977.

### ნატო ონიანი

„სანავარდოს“ მითოსური ხატები  
(დემნა შენგელაიას რომანის მიხედვით)

### რეზიუმე

ნატო ონიანის წერილი — „სანავარდოს“ მითოსური ხატები — დემნა შენგელაიას მოდერნისტული რომანის ნაყოფიერების აღმნიშვნელ სიმბოლოთა გააზრებას ითვალისწინებს. „სანავარდო“ 1924 წელს დაიბეჭდა, მოდერნისტი მწერალი ეროვნული კატასტროფის თუ მის გამომწვევ მიზეზთა ახსნას რომანში მითოსური სიმბოლოების შემოტანით ახორციელებს.

ნაშრომის სახელწოდება: „სანავარდოს“ მითოსური ხატები (დემნა შენგელაიას რომანის მიხედვით).

Nato Oniani

**Mythical Icons of Sanavardo**  
(after a Novel by Demna Shengelaia)

### Summary

Mythical Icons of *Sanavardo* contain cognizance of productivity symbols of the modernist novel by Demna Shengelaia. *Sanavardo* was published in 1924. In his novel a modernist writer introduced mythical symbols to spell out national catastrophe or its causes.



## თემურ ჭლენი

### „მამული, ენა, სარცხულება,, როგორც სამი უმაღლესი ლირებულება იღია ჩავალაპის პედაგოგიურ მემკვიდრეობაში“

ქართველი ხალხის მთელი ისტორიი ს მანძილზე არ არსებულა ერისათვის ისეთი საჭირო ადამიანი, როგორც იღია ჭავჭავაძე იყო. ხომ უდიდესია შოთა რუსთაველის როლი ქართული კულტურისათვის, ხომ მსოფლიო ლიტერატურის მშვენება და უკვდავი ძეგლია მისი „ვეფხისტყაოსანი“, მაგრამ ქართველი ერის, სწორედ როგორც ერის, გადარჩენისათვის იღია ჭავჭავაძის როლი და მნიშვნელობა მაინც უნიკალურია და განსაკუთრებული. შეიძლება პირდაპირ ითქვას, რომ მან ქართველი ერი იხსნა განადგურებისაგან, სხვა ერებთან ასიმილაციისაგან,. მან ხელახლა ააღმონა ქართული ეროვნული ცნობიერება, ეროვნული თვითშევნება, ეროვნული ღირსებისა და სიამაყის გრძნობა. ამიტომაც ეძახიან მას ქართველი ერის სულიერ მამას.

მრავალფეროვანია იღია ჭავჭავაძის შემოქმედება. ცალ-ცალკე განხილვას მოითხოვს მისი სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური, პედაგოგიკური, კულტურული, სამართლებრივი, რელიგიური შეხედულებები. მაგრამ ამჯერად ჩვენ იმ საკითხით შემოვიჟაგლებით მხოლოდ, რომელ-საც ჰქვია „მამული, ენა, სარწმუნოება“, იღია ჭავჭავაძის პედაგოგიკურ მემკვიდრეობაში.

სანამ უშუალოდ საკითხის განხილვაზე გადავიდოდეთ, უნდა გავარკვიოთ-რა არის ღირებულება და როგორი ტიპის მსჯელობაში იჩენს იგი თავს?

რამდენადაც ღირებულება შეფასებითი სახის მსჯელობაში იჩენს თავს და არა შემეცნებითი სახის მსჯელობაში, ერთიმეორისაგან უნდა გავარჩიოთ შემეცნებითი მსჯელობა და შეფასებითი მსჯელობა. როგორც შემმეცნებელი სუბიექტი, ადამიანი ცდილობს სამყაროს ისეთი სურათი შექმნას, რომელიც ამ სამყაროს ზუსტი, ადეკვატური ასახვა იქნება. შემმეცნებელი სუბიექტისათვის მთავარია შესამეცნებელი ობიექტის იმგვარი წარმოჩენა, როგორიც ის სინამდვილეში არის. შემმეცნებელი სუბიექტი ყოველზარიანად უნდა ეცადოს, რომ შემმეცნების საქმეში სუბიექტური, ტენდენციური არაფერი გაურიოს. თუ, ვთქვათ, ასეთი შემმეცნებელი სუბიექტი ბოტანიკოსია, მან ერთნაირი ინტერესითა და გულისყურით უნდა იკვლიოს ნებისმიერი ყვავილი-სურნელოვანი იქნება იგი, თუ უსიანმოვნო სუნის. თუ შემმეცნებელი სუბიექტი ექსპერტ-იურისტია, მან ნახევრადგახრწილ გვამზეც დაკვირვებით უნდა ჩაატაროს ექსპერტიზა და გვერდზე გადადოს თავისი უსიამოვნო ემოციები.

როცა შემმეცნებელი სუბიექტის საგნებსა და მოვლენებს აკვირდება, მისი ამოცანაა ობიექტურად ახსნას იგი, დაადგინოს მათ შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირი. მაგრამ ადამიანი მარტო შემმეცნებელი არსება როდია. იგი არის შემფასებელი არსებაც. როგორც შემფასებელი არსება, იგი უკვე კი არ მაღლავს თავის ემოციურ დამოკიდებულებას საგნებისა და მოვლენების, ან ადამიანთა მიმართ, არამედ სწორედ მათ წამოსწევს წინა პლანზე. სანიმუშოდ ორი მსჯელობა შევადაროთ ერთმანეთს: „ვარდი არის ყვავილი“, და „ვარდი არის ლამაზი“. აქედან პირველი შემმეცნებითი მსჯელობაა და იგი გვაცნობს საქმის ვითარებას, მეორე-შეფასებითია და იგი გვაგრძნობინებს შემმეცნებელი სუბიექტის ემოციურ დამიკიდებულებას ვარდისადმი.

ანალოგიური ვითარება გვაქვს, როცა ჩვენ ვმოვალეობთ ადამიანურ სიკეთეზე. ისევ ორი მსჯელობა შევუპირისპიროთ ერთმანერთს: „პეტრე არის მოაზროვნე არსება“, და „პეტრე არის კეთილი..“. პირველი საქმის ობიექტურ ვითარებას გამოხატავს და შემმეცნებითი მსჯელობაა, მეორე-შეფასებითი და გამოხატავს ერთი სუბიექტის დამოკიდებულებას მეორე სუბიექტისადმი /რომ ის კეთილია და არა -ბოროტი/. აშკარაა, რომ, შემმეცნებითი მსჯელობისაგან განსხვავებით, შეფასებითი მსჯელობები ღირებულებებით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. რაკი ერთი მოვლენა ან ფაქტი განსხვავდება მეორისაგან მისი ღირებულებით, ამდენად ლაპარაკობენ ღირებულებათა იერარქიაზე.

ღირებულება ორი სახისა: მატერიალური და სულიერი. მატერიალური ღირებულება ფასში გამოიხატია. მაღაზიაში ყველა ნივთს, საგანს, პროდუქტს ფასი ანერია. ეს მისი მატერიალური ღირებულებაა /ცხადია, არა თვითლირებულება/. მაგრამ ჩვენ ამჯერად სულიერი ღირებულებები გვაინტერესებს.

ასეთი სულიერი ღირებულებებია: სიკეთე, სილამაზე, ჭეშმარიტება, სიყვარული. უნდა ითქვას, რომ ეს ღირებულებები ყველა ადამიანისათვის თანაბარი მნიშვნელობისა როდია. ასე მაგალითად, მეცნიერისათვის ყველაზე დიდი ღირებულება არის /ან უნდა იყოს/ ჭეშმარიტება. მეცნიერების ისტორიამ იცის ჭეშმარიტებისათვის თავგანწირვის /მაგალითად, ჯორდანო ბრუნო/, ან მისი ყველა სხვა ღირებულებაზე მაღლა დაყენების /დემოკრიტე, არისტოტელე/ ფაქტები.

ხელოვანისათვის ასეთი უმაღლესი ღირებულება არის მშვენიერება, სილამაზე, ანუ ის, რასაც ის ქმნის. სწორედ ამას გაუსვა ხაზი კონსტანტინე გამსახურდიამ, როცა ასე დააყენა საკითხი: „შორენა თუ სვეტიცხოველი?“ /არსაკიძემ მშვენიერებას, ანუ სვეტიცხოველს მიანიჭა უპირატესობა/.

რუსთაველის გმირებისათვის ასეთი უმაღლესი ღირებულებებია: მეგობრობა და სიყვარული /და არა მარტო მათვის/:

„მე იგივე ვარ, ვინ სოფელსა არ ამოვჰკრებ კიტრად ბერად,  
ვის სიკვდილი მოყვრისათვის თამაშად და მიჩანს მღერად...“



ასეთი გრძელი შესავალი იმიტომ გავაკეთე, რომ უკეთ გამომეკვეთა-მნიშვნელობა იღიას მიერ შე-მოთავაზებული ღირებულებებისა:

„მამული, ენა, სარწმუნოება,, ამ ღირებულებებისადმი დამოკიდებულებით ჩვენ შეგიძლია შევაფა-სოთ თვითონ პიროვნების ღირებულება. ჭეშმარიტი პიროვნება ისაა, ვისთვისაც სწორედ სამშობლოა უმაღლესი ღირებულება, გვასწავლის ილია.

ცხადია, არასერიოზულობა იქნებოდა გვეთქვა - მამულის სიყვარული იღიამდე არ იცოდნენ - თქმ ქართველებმა, ან ქართული ენის ფასი ეშლებოდათ იოანე ზოსიმეს ქვეყანაში, ანუ იმ ქვეყანაში, სადაც დაიწერა „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი,, ან სარწმუნოების, ანუ მართლმადიდებლური ქრისტიანობის როლი და მნიშვნელობა არ იცოდნენ შუშანიკის, აპის, ევსტათი მცხეთელის, კონსტანტი კახის, გობრონის, დავით და კონსტანტინე მხეიძების, კოლაელ ყრმათა ქვეყანაში, მაგრამ იღია ჭავჭავაძის გენიალობა სწორედ ისაა, რომ მან ზუსტად მიაგნო და განსაკუთრებით გამოკვეთა ის სამი ღირებულება, რომელთა მნიშვნელობა იმდროინდელ საქართველში ფასდაუდებელი იყო.

„სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათავანა: მამული, ენა, სარწმუნოება. თუ ამასაც არ ვუპატრონებთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავცემთ შთამომავლობას? სხვისა არ ვიცით და ჩვენ კი მშიბელ მამასაც არ დაგუთმობდით ჩვენი მსობლიური ენის მინასთან გასწორებას. ენა სალმრთო რამ არის, საზოგადო საკუთრება. მაგას კაცის ცოდვილი ხელი არ უნდა შეეხოს..“

ილია ჭავჭავაძეს, ცხადია, არც ღმერთის ღირებულებებზე უთქამს უარი და არც ადამიანისაზე, მაგრამ იმ დროს, იმ კონკრეტულ ვითარებაში ისე აქტუალური, ისე სასიცოცხლო მნიშვნელობისა არცერთ სხვა ღირებულება არ იყო, როგორც ზემოდდასეხელებული,, „მამული, ენა, სარწმუნოება,,“.

უნდა გთქვა, რომ აქ დასახელებული სამება ისეთივე ერთარსებაა, როგორც მამა ღმერთი, ძე ღმერთი და სული წმინდა, ან როგორც მზე, მზის სხივები და მზის სითბო ეს წმინდა კირილეს შედარებაა/. ეს ერთი არსებაა ქართველობა, რომლის გადარჩენის პრობლემა იდგა იმ მომენტში. დიახ, ქართველების, ქართული ეროვნული ცხობიერების, ქართულ ეროვნული თვითშეგნების, ეროვნული მენტალობის და მათი გადარჩენისა.

ჩვენ არ შევუდგებით იმის დაწვრილებით განხილვას, თუ რა ვითარება იყო იმდროინდელ საქართველოში. ძალზე მოკლედ გავიხსენებთ, თუ რა დროს გაჩნდა იღიასეული ეს ღოზუნები-მოწოდება.

სულ სამოცი წელი იყო გასული იმ დროიდან, რაც ქართველებმა ეროვნული დამოუკიდებლობა და-კარგეს და საქართველო რუსეთის გუბერნიად იქცა. ქართული თავმოყვარეობა და ეროვნული სიამა-ყის გრძნობა ამას ვერ შეეგუა და დაიწყო აჯანყებები: 1802წლის, 1804, 1812-1813 წლების, რაც დასრულდა 1832 წლის შეთქმულებით. სამწუხაროდ, შეთქმულება გაიცა და შეთქმულების ორგანიზაციონები დაიჭირეს, დიდი ნაწილი გადასახლეს და გადასახლების ადგილებში ჩახოცეს - დიმიტრი ყიფიანი სტავ-რობოლში მოაკვლევინებს. სოლომონ დოდაშვილი, ეს საოცარი ადამიანი, რომელიც 22 წლისამ დაწერა „ლოგიკის“, ისეთი სახელმძღვანელი რუსულად, რომ მთელი რუსეთი ამ წიგნით სწავლობდა ამ საგანს. შექმნა უამრავი სხვა ნაშრომი ფილოლოგიასა და ფილოსოფიაში, დატოვა 3 შვილი და 29 წლისა ვიატკაში გარდაიცვალა ჭლექით.

შეიძლება ითქვას, ამ მარცხმა სულიერად გატეხა ქართველები. ერთი ორი მცდელობა აჯანყებისა მაინც იყო, მაგრამ ისიც უშედეგოდ.

სამწუხაროდ, ქართველებმა თანდათანობით იწყეს ბეჭთან შერიგება. ხოლო, როცა იღია და აკაკი გამოვიდნენ სამოღვაწეო ასპარეზზე, მაშინ მდგომარეობა ასეთი იყო: ბევრ ქართველს ქართული ენა და-ვიწყებული ჰქონდა, ბევრი უბრალოდ არ კადრულობდა ამ „მდაბიურ ენაზე“, ლაპარაკს, ხოლო, ვინც ლაპარაკობდა, მისი მეტყველებაც რუსიციზმით იყო სავსე. აი, როგორ აღნერს აღნიშნულ ვითარებას თავის წიგნი „ილია ჭავჭავაძე“, კრიტიკოსი აკაკი ბაქრაძე:

„ილია რომ ჩამოიყვანეს თბილისში და ჰაკეს სასწავლებელში მიაბარეს, რუსული ლაპარაკი უკვე Bon ton-ად ითვლებოდა და ზეპირი თუ წერით მეტყველება აჭრელებულია რუსული სიტყვებით. მაკოს ნაცვლად მარია ივანოვნა ისმის, ან გიგოს მაგიერ - გრიგორი დავიდოვიჩ, ბაგრატიონო გრუზინსკად გადაეცეულა, მუხრან-ბატონი - მუხრანსკად, ამილახვარვად, დადიანი მინგრელსკად, ბარათაშვილი - ბარათოვად,,“

ერთი სიტყვით, საქართველო თვალსა და ხელს შუა იშლებოდა. ეროვნული მუხტი მიმქრალი, მინავ-ლებული იყო. მდგომარეობა ყველაზე უკეთი ისევ იღიამ, შეფასა:

„ აქ არვის-დიდა თუ პატარასა, ქვეყნის ტკივილით არ სტკივა გული,

დაჰვინებულია, რომ ქვეყნად ცასა ღვთით მოუცია მარტი მამული,,

ამ დროს ქართველი ხალხის ბედ-ილბალზე კეთდებოდა საოცრად ნიჟილისტური დასკვნები. ამ ნიჟილისტური დასკვნების ზოგადი არსი ასეთია

საქართველოს როგორც ნარსული და ისე ანძყო გვიჩვენებს , რომ ქართველი ხალხის ეროვნული ენერგია უკმარისია თავისუფალი, დამოუკიდებელი არსებობისათვის. თავის მხრივ, რუსეთი ყველაფერს აკეთებდა, რომ ეროვნული მუხტი, ეროვნული ცნობიერება გამქრალიყო. სკოლებიდან იდევნებოდა ქართული ენა. ასე მაგალითად: ქართული გრამატიკის ფუძემდებელ აკაკი შანიძის დაბლომის თანმელებ საგნების ჩამონათვალში ქართული ენა არ ეწერა საერთოდ. ამასთან, წირვა-ლოცვა რუსულ ენაზე მიდიოდა. ქართულ ეკლესიას ჩამოერთვა ავტოკეფალია და მისი წინამდლოლი რუსი ეგზარხოსი გახდა. სასამართლო რუსულ, ენაზე მიდიოდა.

ქართული ეროვნული ცნობიერება რომ ბოლომდე ამოეშანთათ, ქართველები დაყვეს ქართლელებად, კახელებად, იმერლებად, გურულებად, აჭარლებად, სვანებად, რაჭველებად და ა.შ.



„ქართველი ჩვენი ტომის საერთო სახელი აღარ არის, აღარც შინა და აღარც გარეთ, არც მახლობლებისათვის და არც უცხოთათვის, იმერელი-იმერელია, გურული-გურულია, მეგრელი-მეგრელია, ქართლელი-ქართლელია და სულ ყველანი ერთად კი ქართველები არ არიან,, -წერდა ილია.

ერთიანი „მამული“, დაიკარგა. ერი გათითოკაცდა. „მამულის ხსენებაზედ ეხლანდელ ქონდრის კაცს თავისი წევგადაყრილი სახნავი მინ წარმოუდგება ხოლმე. მამულისათვის ბრძოლა ახლა სასამართლოში შეტანილ ლერბიან ქალალდზედ სადაც საჩივარია. მამულისათვის ძლევამოსილება - მოგებული საქმის განაჩენის პირია, ჯეროვანად შემონმებული, მამულის სიმაგრე-ტყურუშული ღობეა, ვენახ გარეშემო შემორტყმული, მამულის პატივი-ნეხვია, სახნავ მინაზე სასუქად დაყრილი, მამულის შვილობა-მხვნელისა და მთესველის სახელიაა..“

არსებული სიტუაციის კრიტიკული შეფასება მოცემულია ილიას შემდეგ სიტყვებში: „ვაი ამ ხალხს, რომელსაც საერთო ძალვი გაუწყდა. ვაი, იმ ქვეყანას, საცა საერთო ძარღვში სისხლი გაშრა... საცა თითოეული ყველასათვის არ ფიქრობს და ყველა თვითეულისათვის, საცა „მე“, ხშირია და „ჩვენ“, იშვიათი.

და აი, ილიამ თავის თავზე აიღო მისია მიძინებული ერი გამოეფხიზლებინა.

„ოჳ, ღმერთო, ღმერთო, სულ, ძილი, ძილი,

როსლა გველირსოს ჩვენ გაღვიძება?“

ამიტომ ინოდება ის ერის სულიერ მამად, ქართველი ერის გადამრჩენელად, როგორც ეს ზემოთ უკვე ითქვა.

მაშ, ილიას მიზანი ქართველების გადამრჩენაა, ანუ მამულის, ენის და სარწმუნოების შველაა. ამ სამიდან ძნელია რომელიმე ერთის გამოყოფა, რადგან, როგორც ზემოთ ვთქვით, ეს სამება ერთარსებაა, თუმცა მათ ცენტრში მაინც მამულია. ამიტომაც ცხადდება ილიასთან მამული უმაღლეს ღირებულებად.

რაკი ილიასთან მამული ცხადდება უმაღლეს ღირებულებად, მასთან შედარებით, ცხადია, ნაკლები ღირებულებებია შვილი და მშობელი. ასე მაგალითად. მოთხოვობაში „გლახის ნაამბობი“, მღვდელი ასე მსჯელობს ამ საკითხთან დაკავშირებით.: „ჯერ ქვეყანაა, მერე დედა და მამა,, -განმარტავს მღვდელი. ცხადია, ეს არავითარ შემთვევაში, არ ნიშნავს მშობლების უპატივცემულობას. აქ ლაპარაკია ღირებულებათა იერარქიაზე, ანუ იმაზე ვინ უნდა დააყენო ვის წინ, ვის უნდა მიანიჭო უპირატესობა. და როცა საკითხი ამგვარად დადგა: შვილი თუ სამშობლო, მშობელი დედა საკუთარ ერთადერთ შეიღს წირავს სამშობლოს /მამულს/:

„ერთი შვილი მყავს, საყვარელი და სანატრელი,

იგია მარტო თავისი დედის ნუგეშმცემელი,

იგია ჩემი სიცოცხლეი და სიხარული,

იმით მიღვას უძლურ ტანში უძლური სული.

ჩემი სიბერის მისაყრდენად ისღა მშთენია,-

მაგრამ, მამულო, წაიყვანე, დღეს ის შენია!

თუ სიტყვა „წაიყვანე“, შვილის დაბრუნების შანსს ოდნავ მაინც ტოვებს, სხვა ადგილას დედა პირდაპირ ამბობს, რომ იგი მზადაა სასიკვდილოდ გაწიროს შვილი:

„მე ვწუხვარ მასზე, რომ ჩემს მამულს ამ ნეტარ დღესა,

მხოლოდლა ერთი შეაკვდება ჩემგან შობილი..“

რაც შეეხება შვილს, იგი ბედნიერია, რომ დედამ ომში წასვლის ნება დართო:

„არა დროს არ მყავარებიხარ ისე, როგორც დღეს,

შენგან შობილი შვილი განა მხდალად მოკვდება?“

პოემაში „მეფე დიმიტრი თავდადებული“, მეფე მზადაა სამშობლოს შესწიროს თავი და უბრძოლველად ჩაბარდეს ყაენს. აქვე, ამ პოემაში, სამშობლოს სწირავს თავის ორ შვილს მოხუცი მამა. იგი მზადა მეფე მისი შვილებით „ჩანაცვლოს:::

„აჰა, მეფევ, ორი ბიჭი, მხრებში რომ ამოგდგომია,

ორივე ჩემი შვილია, ერთი მეორის მჯობია,

მიირთვი და ინაცვალე, ჩემს ქვეყანას მტლად დაუდე..“

მამული უმაღლეს ღირებულებად არის გამოცხადებული ლექსში „ნანა“. აქაც დედა თავის შვილს აკვიდანვე უნერგავს იმ აზრს, რომ ქვეყნად იმაზე ძვირფასი, იმაზე დიდი ღირებულება არაფერია, ვიდრე - მამული, ვიდრე საკუთარი სამშობლო. ამიტომაც თუ საქმე არჩევანზე მიდგება, ადამიანმა უნდა სამშობლო აირჩიოს, მამულს მისცეს უპირატესობა ყველა სხვა ღირებულებასთან შედარებით. ასე იქცევა, მაგალითად, თვიოთონ დედა, რომელიც ამბობს:::

„დედათა გული ჩვილი

მამულისთვის მაგრდება,

რად მინდა იგი შვილი

თუ მისთვის არ მოჰკვდება!

ვისაც ძე არ შეუკლავს, როს მამულს სჭირებია,

შვილო, იმ ვაგლას დედას შვილი არ ჰყავარებია!...

ჩემი მამულისათვის მე ჩემს ძუძუს გაწოვებ

მისი სიკეთისათვის გაგნირავ და გაბრძოლებ,

მას დედის ძუძუ ტკბილი შხამადაც შერგებია,

მამულისთვის სიკვდილი, ვისაც დაზარებია!“



ლექს „ნანა“, ლეიტმოტივად გასდევს აზრი იმის შესახებ, რომ სამშობლოსათვის თავდადება არის ყველა ქართველის ღვთიური ვალი;

„ნანა, მამულის მსხვერპლო, პანანინა ქართველო!,“

მამულისათვის თავდადების, მისთვის თავგანწირვისთვის სიკვდილის ერთავარი კომპენსაციაა სახელით უკვდავება, ხალხის ცნობიერებაში არსებობა:

„წმინდა იგი, ვისაც ელირსა

მამულისათვის თავის დადება!

ნეტა იმ ვაჟკაცს, ნეტა იმ გმირსა,  
ის თავის ხალხში აღარ მოჰკვდება,

ან კიდევ:

„არ არის მკვდარი, ვინც მოჰკვდეს  
და ხალხს შესწიროს დღენია,  
მკვდრად იგი თქმულა, ვისაც აქ  
სახელი არ დარჩენა..“

ჩვენს მიერ მოტანილი ამონარიდები წვეთია ზღვაში ილია ჭავჭავაძის პოეტური, პროზაული თუ პუბლიცისტური შემოქმედებიდან.

ახლა ორ-ორი სიტყვა „მამული, ენა, სარწმუნოების“, მეორე და მესამე წევრების შესახებაც ვთქვათ. დავინცოთ ენით: ენით იმიტომ, რომ ქართული ენის გარეშე არ არსებობს ქართველი. ენით იმიტომ, რომ „რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს“, /გრიგოლ ორბელიანი/, ან „მტრობა ენის არს მტრობა ქვეყნის/, /ილია ჭავჭავაძე/.

ყველას კარგად მოეხსენება, რომ ილიამ თავისი რევოლუციური იდეების გატარება ენის რეფორმით დაიწყო. პეტერბურგიდან ახალდაბრუნებული ილია წერს წერილს: „ორიოდე სიტყვა რევაზ შალვას ძე ერისთავს კოზლოვის, შეშლილის“, თარგმნაზედა“, რომელშიც იგი არა მარტო იმას საყვედურობს რევაზ ერისთავს, ამ უდიდესი ლიტერატურის ქვეყანაში ეს უსუსტესი ნანარმოები რომ გათარგმნიაო, არა-მედ ენასაც უწუნებს. მოგეხსენებათ, რომ ამას მოტყვა მამათა და შვილთა ცნობილი ბრძოლა. უმთავრესი საყვედური მამებისადმი ის იყო, რომ მათ ვერ მოუკარეს ქართულს. „ის არ ხართ თქვენა რომ ღვიძლი ენა ბრძანებით დასთმეთ აღმოსაფხვრელად? მაშინ არც კარში და არცა სახლში, მას აღარ ხმარობთ თქვენდა სარცხვენლად.“

აქვე უნდა გავიხსენოთ ილია ჭავჭავაძის ბრძოლა /იაკობ გოგებაშვილთან ერთად/ გიმნაზიებში ქართული ენის სწავლებისათვის. ამ მხრივ არაჩვეულებრივად საინტერესოა „ბატონი იანოვსკის წერილის გამო“.

რაც შეეხება სარწმუნოებას, მასზე იმიტომ ამახვილებს ყურადღებას ილია ჭავჭავაძე, რომ მან კარგად იცის, თუ როგორ არის ურთიერთობაგადაბუნილი, ურთიერთგადახლართული ქართველობა და ქრისტიანობა. იცის ისიც, რომ ქრისტიანობაზე უარის თქმა ქართველობაზე უარის თქმას ნიშნავდა ავტომატურად.

იმის საიდუატრაციოდ, თუ რამდენად დაუცილებადია სარწმუნოებისა და ქართველობის ცნებები ერთმანეთისგან, რამდენად იდენტურ ცნებებად არიან ისინი ქცეულნი, კარგად გამოდგება დავით ალმა-შენებლის სიტყვა, დიდგორისის მისი წინ საომრად განყობილ ქართველ ურქთა, ეშმაკის ამა მიმდევართა, არამედ თვით ეშმაკის მხედრობასაც ადვილად დავამარცხებთ. მაშინ, ვილოცოთ სამშობლოსა და ქრისტესათვის..“

ილიას დამოკიდებულება ქრისტიანობისადმი კარგად ჩანს „აჩრდილში“, სადაც საქართველოს გადარჩინისათვის ლოცვას აღავლენენ ნინო, თამარი და ქეთევანი. ამ სამი წმინდანის ლოცვას მაშინვე შეისმენს მაცხოვარი და ნიშნად იმისა, რომ საქართველო არ დაიღუპება, ცაზე ცისარტყელას გამოსახავს.

იგივე განწყობილების გამომხატველია ლექსი „ლოცვა“, რომელიც „მამაო ჩვენოს“, მიბაძვით არის დაწერილი.

დასასრულ გვინდა ვთქვათ შემდეგი: მსოფლიო ლიტერატურის სატორიაში, ცხადია, ბევრმა უმღერა თავის მამულსაც, ენასაც და სარწმუნოებასაც, მაგრამ, ალბათ, მეორე ისეთი მწერალი არ მოიპოვება, ილია ჭავჭავაძის გარდა, რომელმაც რეალურად გააცოცხლა საკუთარი მიძინებული ერი, გაუღვივა მას ეროვნული ცნობიერება, ეროვნული ლირსება და სიამაყის გრძნობა. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ილიამ მკვდრეთით აღადგინა საკუთარი ერი და ის, რომ დღემდე ასე თუ ისე მაინც ვინაჩუნებთ ჩვენს ეროვნულ მეობას, ეროვნულ თვითმყოფადობას და თავისთავადობას, ეს, უპირველეს ყოვლისა, ამ ღვთივგაბრძობილი ადამიანის უდიდესი დამსახურებაა, რომელიც ასეთი დაუცირკული სიტყვებით გამოთქვა შეორე მისმა გენიალურმა თანამედროვემ, მისმა მეგობარმა და თანაგუნდელმა აკაკი წერეთელმა; „თუ საქართველოს სიკვდილი არ უწერია, მაშინ იმასთან ერთად შენც უკვდავი იქნები.. ილია, ცხადია, დღესაც ჩვენი გზის მაჩვენებელი და ზნებრივი ორიენტირია. უკვდავია მისი პედაგოგიური იდეებიც.“



### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ვახტანგ გურული, თეა წითლანაძე, გიორგი ქავთარაძე, ბოჩო შურდაია, ილია ჭავჭავაძე და ქართული ეროვნული ცნობიერება, 2009
2. აკაკი ბაქრაძე, ილია წავჭავაძე, 1984
3. ნოდარ ტაბიძე, ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტიკა 1988

### თემურ ჟლენტი

„მამული ენა, სარწმუნოება“, როგორც სამი უმაღლესი ლირებულება  
ილია ჭავჭავაძის პედაგოგიკურ შემოქმედებაში

### რეზიუმე

საქართველოს მაშინდელი სოციალურ-პოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით ილია ჭავჭავაძე სამ უმაღლეს ლირებულებად მიიჩნევს მამულს, ენასა და სარწმუნოებას. ესაა თავისებური სამება ერთარსება, სადაც დანარჩენი ორი ლირებულება მამულის გარშემო იყრის თავს. თუ არა მამული, არც ენა და სარწმუნოება არ იარსებებენ. სწორედ მამულის სიყვარული აყალიბებს ეროვნულ ცნობიერებას, ეროვნული ლირსებისა და სიამაყის გრძნობას, რაც ნებისმიერი ერის არსებობის პირობაა.

**Temur Zhghenti**

**„Motherland, Language and Faith“ as Three Highest Values in  
Ilia Chavchavadze Pedagogical Heritage**

### Summary

Considering social and political situation of that time in Georgia, Ilia Chavchavadze recognizes three highest values: „Motherland, Language and religion“. This trinity is considered to be one entity where language and Faith are gathered around the motherland. If there is no motherland, there won't be language or faith. This is the love of motherland that develops national conscience, national dignity and pride that is the primary condition for the existence of any nation.



## თამარ ფაცულაია

### საიცორმაციო გარემო და მისი ზემოქმედება აღამიანის ფსიქოლოგიური უსაფრთხოების პროცესი

XXI საუკუნე ინფორმაციისა და ახალი ტექნოლოგიების საუკუნეა. საზოგადოების ინფორმატიზაციის პროცესის გლობალური განვითარების შედეგად მსოფლიოს ყველა განვითარებულ, ასევე განვითარებად ქვეყნებში ყალიბდება სრულიად განსხვავებული საინფორმაციო გარემო და ცხოვრებისა და პროფესიული საქმიანობის ახალი საინფორმაციო წესი. საზოგადოების საინფორმაციო გარემო დიდ ზეგავლენას ახდენს ადამიანის ფსიქიკაზე, მისი ქცევების სტრუქტიზებზე საზოგადოებასა და პირად ცხოვრებაში, მორალურ ნორმებზე, ზნეობრივ კრიტერიუმებსა და სულიერ ღირებულებებზე. დღეს უკვე საუბრობენ XXI საუკუნის ახალ გლობალურ პრობლემაზე - ადამიანის საინფორმაციო-ფსიქოლოგიური უსაფრთხოების პრობლემაზე. ინტერნეტის ქსელში არსებობს „ფსიქოლოგიურ უსაფრთხოებაზე“, შექმნილი 2,5 ათასზე მეტი სპეციალური საიტი.

ადამიანის ფსიქიკაზე საინფორმაციო-ფსიქოლოგიური ზემოქმედების რამდენიმე სახეობას გამოყოფენ: ზეპირი ზემოქმედება, მათ შორის ხმის გამაძლიერებები აკუსტიკური საშუალებებისა და ხმაურის ეფექტის გამოყენება; ბეჭვდითი პროდუქტის გამოყენებასთან დაკავშირებული ზემოქმედება; ტელევიზისა და რადიოს გამოყენებასთან დაკავშირებული ზემოქმედება; კომპიუტერული ტექნოლოგიებისა და ინტერნეტის გამოყენებასთან დაკავშირებული ზემოქმედება. დღეს უკვე არავის ეპარება ეჭვი, რომ ზემოქმედება, რომელიც კომპიუტერსა და ინტერნეტს შეუძლია მოახდინოს მომხმარებლის პიროვნებაზე, ყველა ტექნოლოგიურ სისტემაზე ბევრად სისტემური და სილრმისეულია.

ინტერნეტი ტელეკომუნიკაციის პრინციპიალურად ახალი საშუალებაა, რომელიც ინფორმაციის გაცვლის მაღალი სისწავით გამოირჩევა. ამასთან დაკავშირებით, იცვლება და ყალიბდება სხვა დონის ურთიერთობები ადამიანებს შორის, ადამიანსა და კომპიუტერს შორის. გამოიკვეთა ადამიანის ფსიქიკაზე ინტერნეტის ზემოქმედების ორი სახე: პოზიტიური და რეალური სამყაროსათვის პრობლემური, ნეგატიური ზემოქმედება. ინტერნეტის (ან თუნდაც ზოგიერთი ვიდეოთამაშის) გონივრულ ფარგლებში, როგორც ლოგიკის, ყურადღების კონცენტრაციისა და აზროვნების განვითარების საშუალების, მოხმარებას უდავოდ სარგებლობა მოაქვს ადამიანისათვის. ბევრი კომპიუტერული თამაში შემეცნებითი ხასიათისაა, ინტერნეტში კი შეგვიძლია მოვიპოვოთ უამრავი საინტერესო და სასარგებლო ინფორმაცია. პრობლემები წარმოიშვება მაშინ, როცა კომპიუტერთან გატარებული დრო ყველა დასაშვებ ზღვარს აღემატება (თუმცა სინამდვილეში არავის დაუდგენია ეს ზღვარი) და უკვე აშკარად არის გამოხატული კომპიუტერთან ურთიერთობის პათოლოგიური მოთხოვნილება და დამოკიდებულება.

ტექნიკური თავისებურებებიდან გამომდინარე, საინფორმაციო ტექნოლოგიებს რეალურად შესწევთ ძალა, უზრუნველყონ ინდივიდის ცნობიერებასა და ქვეცნობიერზე, მის ფსიქოლოგიურ და ფიზიოლოგიურ მდგომარეობაზე აქტიური ზემოქმედების ფართო შესაძლებლობები. ასეთ ზემოქმედებას, უპირველეს ყოვლისა, ექვემდებარება მოსახლეობის, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, ყველაზე დაუკველი სოციალური ფენები, კერძოდ, ბავშვები და მოზარდები. ცნობილია, რომ ბავშვები ბევრად უკეთ და სწრაფად ეგუებიან გარემომცველ სამყაროს, კომპიუტერულ სამყაროს მათ შორის. ბავშვის ფსიქიკაში მიმდინარე ცვლილებების შემჩნევა საკმაოდ რთულია, განსაკუთრებით არაპროფესიონალისათვის. ეს შეიძლება იყოს შეცვლილი ემოციური ფონი, გაზრდილი აგრესიულობა, ძალადობის გამოვლინებები. კიდევ ერთი, არანაკლებ მნიშვნელოვანი შედეგი - ბავშვები ალარ ფანტაზიორობენ, ველარ ქმნიან საკუთარ ვიზუალურ სახეებს, მოზარდებს უფრით ინფორმაციის განზოგადება და ანალიზი. მშობლების შემდინარე კომპიუტერის გაუკონტროლებელმა გამოყენებამ ბავშვის ფსიქიკურ და ინტელექტუალურ განვითარებაში შეიძლება შეუქცევადი ცვლილებები გამოიწვიოს. ე.ნ. „კომპიუტერული თაობის, წარმომადგენლებისათვის დამახასიათებელია მეხსიერების ზოგიერთი სახეობის დარღვევა, ემოციური უმნიფარობა, უპასუხისმგებლობა.

კომპიუტერული დამოკიდებულების ორი ტიპი არსებობს: „ინტერნეტ-დამოკიდებულება“, (სეტილოგიზმი) და კომპიუტერულ თამაშებზე დამოკიდებულება (კიბერადიცია).

ინტერნეტ-დამოკიდებულების პირველ სტადიაზე აღინიშნება მეტ-ნაკლებად ადვილად დასაძლევი დარღვევები. ადამიანი ჯერ-ჯერობით მხოლოდ გატაცებულია „ახალი სათამაშოთი“. თანდათანობით მდგომარეობა რთულდება - ცივდება ურთიერთობები ახლობლებთან, მეგობრებთან, პრიორიტეტად უკვე იყვეთება „მსოფლიო ქსელი“. როგორც წესი, მომხმარებელი უმაღავს ახლობლებს (ან თანამშრომლებს) საიტებთან გატარებული დროის ხანგრძლივობას. მეორე სტადიაზე სიმპტომების რაოდენობა იზრდება. მომხმარებელს ეფანტება ყურადღება, უქვეითდება შრომისუნარიანობა, ანუხებს უძილობა, უჩნდება აკვატებული აზრები, მოთხოვნილება ისეთი „მატონიზირებელი საშუალებებისადმი“, როგორიცაა ყავა, სიგარეტი, სპირტიანი სასმელები, ნარკოტიკები, თანაც ზოგჯერ ნარკოტიკების მოხმარებას იწყებენ ისინი, ვისაც ცხოვრებაში არ გაუსინჯიათ ნარკოტიკების არცერთი სახეობა. ფსიქიკურ აშლილობებს თან ერთვის თავის ტკივილები, არტერიული წნევის ცვალებადობა, თვალების წვა, სახსრების ტკივილი. მესამე სტადია სოციალური დეზადაპტაცია. მომხმარებელი ინტერნეტ-ურთიერთობებიდან ვეღარ ღულობს სიამოვნებას, მარტინ „ჩამოკიდებულია“, საიტებზე. დეპრესიული მდგომარეობა აუარესებს ურთიერთობებს სამსახურში, ოჯახში, იწვევს სერიოზულ კონფლიქტებს. მხოლოდ ძლიერი ნების-



ყოფის მქონე პირებს კიდევ შესწევთ ძალა (რა თქმა უნდა, თუ მოინდომებენ) ყურადღება გადაიტანონ სხვა რამეზე, მაგალითად შეიყვარონ ვინმე, მოძებნონ ახალი სამსახური.

თანამედროვე მეცნიერები, რომლებიც იყვლევენ ინდივიდზე ვირტუალური ურთიერთებების ზე-გავლენას, აღნიშნავენ, რომ საინფორმაციო — საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გლობალური დანერგვის პირობებში ხდება პიროვნების ახალი ტიპის ჩამოყალიბება. ინდივიდი თანამედროვე საზოგადოების ქცევის პატერნებს, სოციალურ ნორმებსა და ლირებულებებს, ძალიან ხშირად ვირტუალურ სივრცეში ითვისებს. ზოგიერთ ავტორს, ადამიანის ფიზიკურ და სოციალურ განვითარებასთან ერთად, შესაძლებლად მიაჩნია ვირტუალური პიროვნების ჩამოყალიბებაზე საუბარიც — ვირტუალურ რეალობაში ჩაფლული, პოსტმოდერნისტული ეპოქის ადამიანი, რომელიც გატაცებით “ცხოვრობს იქ”, აცნობიერებს მის პირობითობას, მისი პარამეტრების მართვისა და მისგან გამოსვლის შესაძლებლობას.

ვირტუალურ სინამდვილეში ჩართულობის ერთ-ერთ სახეს კომპიუტერული თამაშები წარმოადგენს. აღნიშნება კომპიუტერული თამაშებით აქტიურად გატაცებული ადამიანების რიცხვის ზრდა. ასეთი გატაცება ზოგჯერ კომპიუტერულ დამოკიდებულებაში გადაიზრდება (არა მხოლოდ ბავშვებთან მიმართებაში!) — ჩნდება სურვილი, რომ თავისუფალი დროის უმეტესი ნაწილი მონიტორის ეკრანთან გაატარო და ითამაშო. კომპიუტერული თამაშებით გატაცებამ ზოგიერთ ქვეყანაში ეპიდემის სახე მიიღო. მაგალითად, კომპიუტერული ბრძოლებისათვის სამხრეთ კორეაში სპორტული მოედნებიც კი ააშენეს, ხოლო ორი ტელევიზიური და სოციალური მოედნების განახლებაში უწყვეტად აჩვენებს გეიმერების საუკეთესო ბრძოლებს. კომპიუტერული თამაშების ფენომენის შესასწავლად დამოუკიდებელი კვლევების ჩატარებაა საჭირო, რომლებშიც მონაწილეობა უნდა მიიღონ არამარტო ფსიქოლოგებმა და მედიკოსებმა, არამედ პედაგოგებმა, კულტუროლოგებმა და სოციოლოგებმაც.

სოციოლოგიაში “გეიმერებს” განსაკუთრებულ სოციალურ ჯგუფად გამოყოფენ. ამ ჯგუფში გაერთიანებული არიან ის ადამიანები, რომლებიც გატაცებულნი არიან არამარტო კომპიუტერული თამაშებით, არამედ თავისუფალი დროის გატარებისა და გართობის სხვა სახეებითაც, თუკი ეს ხელს არ უშლის მათზე დაკისრებული მოქალაქეობრივი მოვალეობებისა და სოციალური ფუნქციების შესრულებას. გეიმერები სხვა ადამიანებისაგან განსხვავდებიან როგორც კომპიუტერულ თამაშებში ჩართულობის ხარისხით, ასევე ჯგუფური კულტურით, ცხოვრების წესით, საკომუნიკაციო კავშირების იერარქიული სისტემით და სოციალური სინამდვილისადმი თავისებური დამოკიდებულებით. თამაშების ტიპი, რომლებშიც გეიმერები მონაწილეობენ, მათში ჩართულობის ხარისხი, სირთულის დონე და ა.შ., განაპირობებს გეიმერებს დიფერენციალისა.

კველაზე ხშირად თამაშს განიხილავენ როგორც სოციალური სინამდვილისა და მისდამი დამოკიდებულების იმიტციოს ფორმას; როგორც ინტელექტუალური უნარების განვითარების ფორმას; როგორც ადამიანის მიერ მისი ცხოვრების ნაწილის გატარების ფორმას, სადაც იგი ახდენს საკუთარი შესაძლებლობებისა და მოთხოვნილებების რეალიზებას. თამაშის არსის ბოლო ინტერპრეტაცია ყველაზე უკეთ ასახავს განსახილველ პრობლემას. ასეთი მიდგომის დროს თამაში ერთდროულად განიხილება როგორც საქმიანობის სახე, შემეცნებითი პროცესი და პიროვნების თვითორეალიზაციის ფორმა. თამაშს ძირითადად ახასიათებს პროცესის დაუსრულებლობა, შედეგების დაუსახველობა, აქტიურობის ღია ფორმა, საკუთარი თავის სხვებთან გაიგივება (სხვისი როლის მიღება-მორგება). ამგვარად, კომპიუტერული თამაშებით გატაცება დაკავშირებულია ადამიანის თვითორეალიზაციის მოთხოვნილების დაკავყოფილებასთან. ამასთან ერთად, თამაში ზიანს არ აყენებს გეიმერის პიროვნებას, პირიქით — ხელს უწყობს მის აქტუალიზაციასა და განვითარებას. ეს განსაკუთრებით ეხება სასწავლო თამაშებს, რომლებიც მოსწავლეებს სხვადასხვა პროფესიულ უნარ-ჩვევებს უვითარებენ.

კომპიუტერული თამაშები, მათი ინტერაქტიურობის, მულტიმედიურობისა და სანახაობრიობის საფუძველზე, მაქსიმალურად ააქტიურებენ ადამიანურ გრძნობებს და, მაშასადამე, პიროვნებაზე ზემოქმედების ფართო სპექტრი გააჩინიათ. ადამიანი ავითარებს რეაქციის სისწრაფესა და აზრის სისხარტეს, გამოიმუშავებს სიმტკიცეს, მიზანდასახულობას, მოხერხებულობას. კომპიუტერული პროგრამებიდან ყველაზე ადრე თანამედროვე ადამიანი სწორედ თამაშებს ითვისებს. მათი შესწავლა მიმდინარეობს საკმაოდ სწრაფად, თავად თამაშის პროცესი უდავოდ საინტერესოა, კარგ ფსიქოლოგიურ განმუხტვას იძლევა და სხინის მუშაობით გამოწვეულ დაღლილობას.

ვირტუალური რეალობის კვლევა შემდეგი დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა — კომპიუტერულ თამაშებს უნარი აქვთ დააკმაყოფილონ ადამიანის გასართობი და რეკრეაციული მოთხოვნილებები; არსებობს ფაქტორების ფართო სპექტრი, რომლებიც განაპირობებენ ვირტუალური თამაშების მიმზიდველობას. კერძოდ, ფსიქოლოგი ა.გ. მაკალათია გამოყოფს კომპიუტერზე თამაშის შემდეგ მოტივაციებს: (1) სიუჟეტური ან ემოციურ — ესთეტიკური ასპექტი — მიმზიდველია გრაფიკის ესთეტიკური სტილი და ხარისხი, გამოკვეთილია ინტერაქტიულობა და მოვლენების განვითარებაზე ზეგავლენის შესაძლებლობა; (2) თვითგანვითარება — ვირტუალური უნარ — ჩვევების გაუმჯობესება, თამაშის პროცესში ახალი შესაძლებლობების ათვისება, გაძლიერება, კომპიუტერული თამაშების სამყაროზე უფრო მეტი გავლენის მოხდენის საშუალებების დაუფლება, ამოცანების ამოხსნისათვის ახალი, უფრო ეფექტური და ქმედითი საშუალებების მოძება; (3) მიღწევა — მონინააღმდეგებზე გამარჯვება, მიზნის მიღწევა (დავალების შესრულება), მისის დასრულება და სხვა მსგავსი), შეჯიბრი; (4) ინტელექტუალური სიამოვნება — თავად ამოცანის გადაწყვეტის პროცესი — ინტელექტუალური მოღვაწეობისა და ინტელექტუალური შედეგების მიღწევა — ანიჭებს ადამიანს სიამოვნებას; (5) კოლექციურ — კვლევითი ასპექტი — თავად თამაშის, კომპიუტერული თამაშების სამყაროს, წესებისა და ობიექტების კვლევის შესაძლებლობა; (6) შემოქმედება —



თამაშის ფარგლებში რაღაც ახლის, ინდივიდუალურის შექმნის შესაძლებლობა; (7) თამაშის მიღმა არსებული ასპექტები — სოციალზაფია, თავისუფალი დროს გატარება, ემოციების განტვირთვა, ესკაპიზმი - რეალობიდან გაქცევა და ვირტუალურ სამყაროში ჩაძირვა.

ასეთი ტიპის გეიმერებს აღნიშნებათ აგრესიულობა, გამღიზიანებლობა. მათ სოციალურ გარემონაში ხშირია ახლობლებთან კონფლიქტი, პრობლემები სამსახურში; ისინი თამაშის პროცესის კომფორტულობის უზრუნველსაყოფად ხარჯავენ სოლიდურ თანხებს; დაფიქსირებულია გადალლილობისა და დაუძლებებისაგან იმ ადამიანების სიკვდილის რამდენიმე შემთხვევა, რომლებიც ხანგრძლივი დროის მანძილზე, შესვენების გარეშე სარგებლობდნენ კომპიუტერით. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნერილია შემთხვევები, როდესაც „კომპიუტერულ მოთამაშებს აღნიშნებათ „ზეიგარინიკის ფენომენის“ მსგავსი მოვლენა: დავალების შეუსრულებლობა „არ ასვენებს“ მოთამაშეს; ადამიანი, ვიდრე მიზანს არ მიაღწევს, ვიდრე არ გადავა შემდეგ დონეზე, ვიდრე არ დაასრულებს მისიას, თავს ვერ ანებებს თამაშის. თუ თამაში მისგან დამოუკიდებელი მიზეზებით შეწყდა, მისი ფიქრები აკვიატებულად უბრუნდება თამაშის შეუსრულებელ მოქმედებას“.

სამეცნიერო გამოკვლევებში შემოტანილია ცნება — „კომპიუტერული ადიქტები“. იგი აღნიშნავს ადამიანებს, რომლებიც რეგულარულად და ხანგრძლივი დროის განმავლობაში იმყოფებიან კომპიუტერული თამაშების ვირტუალური სამყაროს ზეგავლენის ქვეშ და ამ თამაშების მიმართ პათოლოგიურ ლტოლვას განიცდიან, რაც, საბოლოო ჯამში, ფსიქოსოციალურ დეპრივაციას იწვევს (მსგავსი გადახრები აღმოჩენილია გეიმერებთანაც, რომლებიც დღე—დღამის განმავლობაში თვრამეტ საათს ატარებენ კომპიუტერთან). ასეთ შემთხვევებში კომპიუტერულ ადიქტს შეიძლება განუვითარდეს პანიკური შიშის შეტევები, საერთო დეპრესია, სუიციდური მცდელობები.

გამოკვლევები ადასტურებენ, რომ თამაშებზე დამოკიდებულება პიროვნების დესტრუქციული განვითარების საფუძველს წარმოადგენს, რაც გამოიხატება ახლობლებთან ურთიერთობების გაუარესებით, ცოცხალი ურთიერთობებისა და რეალობისადმი ინტერესის დაკარგვით. თამაშებისადმი ლტოლვას ადამიანები იყენებენ როგორც სერიოზული სოციალური პრობლემებისაგან თავის არიდების შესაძლებლობას. კომპიუტერული ადიქტების საშუალო ასაკი 28—33 წელს შეადგენს. ისინი გამოცდილი კომპიუტერული მოთამაშები არიან და კარგად აცნობიერებენ მთელი თავისუფალი დროს თამაშში გატარების უსარგებლობასა და პრაქტიკულ უაზრობას. ხშირად მათ აღნიშნებათ კოგნიტური დისონანსი — წინააღმდეგობა ადამიანის შეხედულებებს „ნორმალურ“, სოციალურად გამართლებულ ცხოვრებასა და საკუთარ ცხოვრებას შორის. გეიმერების უძირითადესი მოთხოვნილების, თამაშის მოთხოვნილების დაუკმაყოფილებლობა იმიტომ იწვევს მათში ფრუსტრაციის მდგომარეობას, რომ მრავალფეროვანი და მართვადი ვირტუალური სამყაროს სანინააღმდეგოდ, რეალურ სამყაროში ისინი პირის რჩებიან ცხოვრებისულ სირთულეებთან, იძულებული არიან დაკავდნენ ყოველდღიური აუცილებელი საქმიანობით, იზრუნონ თავის რჩენაზე. რეალურ სამყაროში ადიქტები მუდმივად იმყოფებიან ფრუსტრაციისა და დაქვეითებული განწყობის მდგომარეობაში. თამაშის პროცესში განწყობა არსებითად უხალისდებათ, ეუფლებათ დადებითი ემოციები; მაგრამ თამაშის დასრულების შემდეგ, ე.ი. ვირტუალურ სამყაროდან გამოსვლის შემდეგ, განწყობა უარესდება, უბრუნდება საწყისს მდგომარეობას, ვიდრე ადამიანი ისევ არ „შევა“ ვირტუალურ სამყაროში.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება ინტერნეტის მოხსმარებლის ჯანმრთელობაზე, როგორც ფიზიკური, ასევე ფსიქიკური თვალსაზრისით, ინტერნეტ—ურთიერთობის ზევლენის გამოკვლევას, აგრეთვე მისი ჯანმრთელობისათვის საშიში ფაქტორებისა და არასასურველი ზეგავლენისაგან დაცვის საშუალებების განხილვას. ფილოსოფიურ და სოციალურ—ფსიქოლოგიურ კვლევებში ურთიერთობა განხილება ადამიანების ურთიერთებულების, მცირე და დიდ სოციალურ ჯგუფებში მათ ერთობლივი საქმიანობის, ურთიერთდამოკიდებულების კონტექსტში. გამოდევნის რა ურთიერთობის ჩვეულ ფორმებს, ინტერნეტი ცვლის მათ ახალით, რაც ხელს უწყობს ადამიანის გარე სამყაროსთან ურთიერთობის კარდინალურად ახალი ფორმების წარმოშობას.

კომპიუტერული თამაშების განვითარების ზემოაღნერილი სოციალური შედეგები ემყარება ახალი ფსიქოლოგიური დამოკიდებულების — კომპიუტერულ თამაშებზე დამოკიდებულების — გავრცელებას. ამ მოვლენის მასშტაბებზე მოწმობს ის ფაქტი, რომ აშშ—ს 189 მლნ. ინტერნეტ—მომხმარებელთაგან 6—10% დაავადებულია ამ დამოკიდებულებით. ამერიკის სამედიცინო ასოციაციას განზრახული აქვს ოფიციალურად დიაგნოსტირებად დაავადებათა ჩამონათვალში შეიტანოს კომპიუტერული თამაშებით გატაცება. ექიმების აზრით, კომპიუტერულ თამაშებზე დამოკიდებულება შეტანილი უნდა იყოს “გონებრივი აშლილობების დიაგნოსტიკური და სტატისტიკური სახელმძღვანელო” — ში (Diagnostic and Statistical Manual of Disorders). ასეთი სახის ფსიქიკური აშლილობების სამკურნალოდ 2004 წელს პეკინში გაიხსნა სპეციალიზირებული კლინიკა. მსგავსი დაწესებულებები აქტიურად მოქმედებენ ჰოლდანდიაში, აშშ—ში. ვინაიდან რუსეთში, უკრაინაში, ბელორუსიაში, ასევე საქართველოში კომპიუტერულ თამაშებზე დამოკიდებულება ფსიქიკურ აშლილობებათა ჩამონათვალში შეტანილი არ არის, შესაბამისად ასეთი სპეციალიზირებული კლინიკებიც ამ ქვეყნებში ჯერ—ჯერობით არ არსებობს. უდავოა, კომპიუტერული დამოკიდებულება სერიოზულ საზოგადოებრივ პრობლემას წარმოადგენს და იგი სპეციალურ შესწავლას საჭიროებს.



## გამოყენებული ლიტერატურა:

1. მაკალათია ა.გ. მოტივაცია კომპიუტერულ თამაშებში. მ., 2003 წ.
2. კომპიუტერული თამაშების როლი სწავლების პროცესში. სრულიად რუსეთის XV გაერთიანებული კონფერენციის შრომები. „ინტერნეტი და თანამედროვე საზოგადოება“, (IMS-2012). სანქტ-პეტერბურგი, 2012.
3. შაპკინი ს.ა. კომპიუტერული თამაში: ფსიქოლოგიური კვლევების ახალი სფერო. ფსიქოლოგიური ჟურნალი, 2007, N1.

### თამარ ფანცულაია

**საინფორმაციო გარემო და მისი ზემოქმედება ადამიანის ფსიქიკაზე**

### რეზუმე

დღეს უკვე არავის ეპარება ეჭვი, რომ ზემოქმედება, რომელიც კომპიუტერსა და ინტერნეტს შეუძლია მოახდინოს მომხმარებლის პიროვნებაზე, ყველა ტექნოლოგიურ სისტემაზე ბევრად სისტემური და სილრმისეულია. კომპიუტერისა და ინტერნეტის, როგორც ლოგიკის, ყურადღების კონცენტრაციისა და აზროვნების განვითარების საშუალებების, გონივრულ ფარგლებში მოხმარება უდავოდ სასარგებლოა ადამიანისათვის. მაგრამ ტექნიკური თავისებურებებიდან გამომდინარე, საინფორმაციო ტექნოლოგიებს ძალა შესწევთ არასასურველი ზემოქმედება მოსხდინობ ინდივიდის ცნობიერებასა და ქვეცნობიერზე, მის ფსიქოლოგიურ და ფიზიოლოგიურ მდგომარეობაზე და პიროვნების დესტრუქციული განვითარების საფუძველი გახდნენ. ამდენად, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ინტერნეტის მომხმარებლის ჯანმრთელობაზე ინტერნეტ—ურთიერთობის ზევლენის გამოკვლევას, აგრეთვე მისი ჯანმრთელობისათვის საშიში ფაქტორებისა და არასასურველი ზეგავლენისაგან დაცვის საშუალებების განხილვას.

**Tamar Pantsulaia**

**Informational Environment and its Impact on Human Mentality**

### Summary

Today nobody doubts that the impact, computer and Internet can produce on the user's personality is much more systemic and deep than any other technological system. Use of computer and Internet as the method of development of logic, concentration of attention and thinking in reasonable limits is certainly useful for a person. But following technical peculiarities, informational technologies are capable of producing undesirable impact on individual's consciousness and sub-consciousness, his/her psychological and physiological condition and form the basis of person's destructive development. Thus, great importance is given to the research of the impact of Internet communication on the Internet user's health, as well as consideration of protection methods against factors, hazardous for health and undesirable impact.



Marine Chagelishvili

## Second language acquisition through culture (on the example of Georgian language)

Today much is spoken about cultural awareness of the language or about socio cultural knowledge.

What is it? - simply it is knowledge of the society and culture of the community in which a language is spoken. Cultural awareness becomes central when we have to interact with people from other cultures. People see, interpret and evaluate things in a different ways. What is considered an appropriate behavior in one culture is frequently inappropriate in another one. Misunderstandings arise when I use my meanings to make sense of your reality.

There are several levels of cultural awareness that reflect how people grow to understand cultural differences.

**Parochial stage** - At the first level, people are aware of their way of doing things, and their way is the only way.

**Ethnocentric stage** - At the second level, people are aware of other ways of doing but still consider their way as the best one.

**Synergistic stage** - This is my way and your way of doing things, and they chose the best way according to the situation. At this stage people realize that cultural differences can lead both to problems and benefits and are willing to use cultural diversity to create new solutions.

**The fourth and final stage** - Participatory Third culture stage brings people from different cultural background together in order to create a culture of shared meanings. People have a conversation with each others, create new meanings, new rules to meet the needs of a particular situation.

. Since everyone is the product of their own culture, we need to increase both self-awareness and cross-cultural awareness

In order to understand another person, we need to try standing in his/her shoes. What does it mean?

Georgian are passive and American hyperactive? No, it means that the meaning that people give to certain activities, like having lunch or dinner, could be different according to certain cultures. In Georgia where relationships are highly valued, lunch, dinner or simple pauses for coffee have a social connotation: people get together to talk and relax, and to get to know each other better.

Cultural awareness shouldn't be understood simply as a behavior, manner or custom of different people. It has an important place in English language teaching and language studies. Of course, there are different kinds of aspects but it is thought that culture and language are used and considered as a unit. For critical thinking, information is not enough and useful. There should be cultural awareness.

Cultural awareness and language teaching are some of the keywords of this study. Everybody knows that to understand a language completely it is essential to know not only knowledge of the grammar, phonology and lexis but also a certain features and characteristics of the language culture. To communicate internationally requires communicating intercultural as well, which probably leads us to encounter factors of cultural differences and features. These differences and features exist in every language.

There is a strong relationship between culture and language. Language is the soul of country and people who speak it. Language and culture are interdependent.

Actually, there is a threat to the native values when we are learning about the target language. For learners, it is hard to appreciate the importance of learning the cultural aspects of communication if they do not visit or have a close contact with a foreign country and experience the difficulties. I think nowadays Georgia is one of the most suitable countries for English language teaching because our country is in the centre of many cultures. Learners in ELT departments in Georgia have chance to get cultural values easily.

However, there is a problem about culture and language. It is miscommunication. It is because of the lack of cross-cultural awareness. Also, signals, postures, mimics and another ways of behavior can cause miscommunication.(ex . of Turkish , Indian students) .

If language learners are to communicate at a personal level with individuals from other cultural backgrounds, they will need not only to understand the cultural influences at institutions in the behavior of others, but also to recognize.

People who identify themselves as members of a social group (family, neighborhood, professional or ethnic affiliation, nation) acquire common ways of viewing the world through their interactions with other members of the same group. These views are reinforced through institutions like the family, the school, the workplace, the church, the government, and other sites of socialization through their lives. Common attitudes, beliefs and values are reflected in the way members of the group use language-for example, what they choose to say or not to say and how they say it. for eg. ღმერთობ ჩემ-we are not talking about our **GOD father**, but we express our surprise or anger and adequate phrase for it is **OH MY GOD**

McKay (2003) contends that culture influences language teaching in two ways: linguistic and pedagogical. Linguistically, it affects the semantic, pragmatic, and discourse levels of the language. Pedagogically, it influences the choice of the language materials.

Culture classes have a humanizing and a motivating effect on the language learner and the learning process. They help learners observe similarities and differences among various cultural groups. Today, most of L2 students



around the world live in a monolingual and monocultural environment. They need to know how language is used by members of a speech community to accomplish their purposes. Communicative competence has mainly two aspects: ***linguistic knowledge and ability to use vocabulary of a language*** and ***pragmatic-concerned with the user/learner's knowledge of the principles according to which messages are organized structured, used to perform communicative function and sequenced.***

Ellis identifies three types of social structure which can affect the acquisition of second languages: sociolinguistic setting, specific social factors, and situational factors.

**Sociolinguistic setting** refers to the role of the second language in society, such as whether it is spoken by a majority or a minority of the population, whether its use is widespread or restricted. It is also very important to get to know if language is learned in a natural or an educational setting.

**Specific social** factors include age, gender, social class, and ethnic identity.

**Situational factors** are those which vary between each social interaction. For example, a learner may use more polite language when talking to someone of higher social status, but more informal language when talking with friends.

Vocabulary learning has often been one of the major issues in the study of L2. No matter how well learners learn grammar, no matter how successfully sounds of L2 are mastered, without words, expressing a wide range of meanings during communication in an L2 cannot take place in any meaningful way. Therefore, L2 learners need to know as much vocabulary as possible and be able to use it appropriately

For example; if at a table you will tell an English man “pour me some coffee”- it will be offensive for him without using following statements ***COULD YOU?.. PLEASE....***

Sometimes a speaker uses phrases or idioms in her/his speech to show herself or himself off, but he/ she finds out herself/ himself in an uneasy situation. If speaking with a person who you don't know quite well and you'll say he/she is **poking her/ his nose into your business**, you will appear in a very awkward situation, as in this case you should use a phrase like: ***sorry but it is not your business***.

Learning to understand a foreign culture should help students of another language to use words and expressions more skillfully. Most learners find positive benefits in cross-cultural living on learning experiences. However, some have psychological blocks and other inhibiting effects of the second culture. So teachers are important here because teachers should help students to turn such an experience into self awareness.

In modern life in order to express ourselves effectively we frequently use idioms. According to Johnson Laird(1993)it is difficult to speak spontaneously without lapsing into idiomatic usage. Idioms are important for language, reading and social communication. Learners want to know which idiom to use and in what situation.

We know that idioms are phrases , expressions whose figurative interpretations are not derived from their literal meaning. The meanings of the words that make up the idiom and the idiom itself is different . So it is also a culture of a word that has got his literal meaning and with combination of other words it gets totally different one. For example-***Break the news,( to inform), birds of feather flock together,( people of the same type or with the same ideas can get on well) it's no use to cry over spilt milk( don't cry over an error for which there is no remedy), hold your horses(wait patiently),a piece of cake, no cross, no crown , all talk and no cider etc.***

Sometimes meanings are easily understandable. For example: ***Do in Rome as the Romans do To hold one's tongue, from top to bottom, to change one's mind, sleep like a log, eat like a horse, look before you leap etc.***

According to above-mentioned we can divide idioms into two types: ***Transparent***- whose meaning can be easily recognizable and ***Opaque***-whose words do not contribute to the understanding of the idioms' meaning.

Nowadays we have a lot of foreign students who learn English in Georgia or Georgian language as a foreign one. And while teaching idioms we always try to translate them, give them relevant definitions in English and in Georgian as well, in order to clarify if the meaning of the given phrase or an idiom is relevant to the ones existed in their native language. For instance ,when Georgian say “გენაცვალე” ( genacvale) or “შემოგევლე” (shemogevel)-they have no adequate translation in english or in any other languages, as these words are idioms in our language which have no word by word translation but “my darling”.

“Every Jack has his Jill”-ყველას თავისი შესაფერისი მოეძებნება-(yvelas tavis shesaperisi moezebneba)it is like ***birds of feather flock together***.

“with a silver spoon in his mouth”- ქუდბედიანი(kudbediani)- lucky, which cannot be considered as an adequate translation as ქუდბედიანი Georgian word is idiom itself and we use it when we want to say that a person is fortunate.

“Apple of my eye”-ჩემი თვალის ჩინი”-(chemi tvalis chini)also idiom in Georgian, we use when we adore or love somebody very much.

Studying idioms by means of comparison students study the culture of a language. Through translation they notice differences or similarities in meanings which give them ability to implement these phrases in their speech.

English language is rich in idioms. Studying them you study the soul of the language.

Guessing the meanings of phrases, idioms or words are complicated as far as the sphere of business ,economy, politics or ecology concerns. For example: ***Assets and liabilities (profits and debts) clock in (to sign the time you come)***

***Clock out ( to sign the time you go), target product sales target (=the amount of something that you want to sell) work in shifts(work in particular period of time)***



**Toxic debt(debt that has little chance of being played), step up(to increase), domestic economy ( country economy), game of chance(gambling), pay through the nose(pay a lot of money)**

**Source of revenue( source of income),reasonable price( relevant price),real estate(property like land, building).etc.** These phrases are given to students through context and than in debates and problem solving activities they try to implement them in speech.

There are idioms also which are widespread according to their cultural and historical origins.

Reading the texts based on these idioms, or describing pictures students get aware of history and culture of target language.

“Achilles heel”- is used to describe a weak and vulnerable spot.

“To Tilt at Windmills”- is used to refer to an unrealistic person who undertakes an absurd attack against an imaginary foe.(Cervantes 1547-1616,Don Quixote).

“Pandora’s box “takes its roots from mythological tales. It is an interpretation of the beginning of society, and explains every aspect of controversy in the world.

“Hannibal’s Vow”-a firm and unshakable decision(in his boyhood Hannibal a Carthaginian general swore his oath to annihilate Rome which had turned Carthage into a colony).

From researches we can say that culture classes have a great role because learners like culturally based activities role playing, doing research on countries and peoples, etc. The study of culture increases learners' not only curiosity about and interest in target countries but also their motivation. Teachers should choose materials(idioms ,sayings proverbs, phrases) based on cross cultural studies and involve their students in pair and group works. Debates and jugsments work well in this case. Visualization arise motivation in students. Due to comparison students can easily find out differences or similarities between cultures and can adapt something valuable for them.

### Literature:

1. Cultural aspects in ELT . Submitted by RHN 79 0mn 17 February 2011-23.04
2. Patrizia Tabossi Idioms: Processing, structure, and interpretation. (Eds) pp.249-270.
3. Sprenger,SA,& Levelt,WJM, & Kempen,G.(2006). Lexical access during the production of idiomatic phrases.
4. Titone,DA, Connine,CM(1994b).Comprehension of idiomatic expressions effects of predictability and literality.
5. Colombo,L The comprehension of ambiguous idioms in context. 1993.

### მარინე ჩაგელიშვილი

#### მეორე ენის შეძენა კულტურის გზით

#### რეზიუმე

სტატიაში ავტორი ყურადღებას ამახვილებს მეორე ენის შესწავლასთან დაკავშირებულ პროცესებზე. კერძოდ, იმ ლექსიკური ერთეულების, იდიომების და ფრაზეოლოგიის სწავლებაზე, რომელთა მნიშვნელობის აღქმა და მათი მეტყველებაში დანერგვა წარმოადეგენს ერთგვარ სირთულეს სხვა ენის მატარებელთათვის. აქვე ავტორი სახავს გზებს მათი დანერგვის გასამარტივებლად.

### Marine Chagelishvili

#### Second language acquisition through culture (on the example of Georgian language)

#### Summary

The present article deals with the problems of second language acquisition. Main accent puts on understanding of meanings of lexical and phrase logical items In target and native language. L2 learners need to know as much vocabulary as possible and be able to use it appropriately. Learning to understand a foreign culture should help students of another language to use words and expressions more skillfully.



## ცუცუ ჩარკვიანი

### ნინადაღების ცევრთა ცყობის ტიპები მოკლე მოთხოვები (ქართველ და ამერიკელ ავტორთა მოკლე მოთხოვების მიხედვით)

ენათმეცნიერება, როგორც პოზიტიური ჰუმანიტარული დისციპლინა, მხოლოდ მეცნიერებულ საუკუნის ოციან წლებში ჩამოყალიბდა ისტორიულ-შედარებითი გრამატიკის სახით. შედარებითი მეთოდი ისტორიულით რომ არ ყოფილიყო ზურგგამაგრებული, ენათმეცნიერება ვერასოდეს დაიმსახურებდა პოზიტიური მეცნიერების სახელს. ისტორიულმა-შედარებითმა ენათმეცნიერებამ შექმნა ფონეტიკა, სრულიად ახალი დისციპლინა, ენათმეცნიერების ეს ქიმია; ფერი ეცვალა მეტყველების ნაწილების შესახებ მოძღვრებას: მორფოლოგია გაიმიჯნა ძველი ეტიმოლოგიისაგან; იშვა სემასიოლოგია.

სხვა გზით წარიმართა სინტაქსის ბეჭდი; ტრადიციას აქ უფრო ღრმად ჰქონდა გადგმული ფესვი, უფრო ძნელი იყო აზროვნების მეთოდოლოგიის გადაყვანა ახალ ლიანდაგზე; განსაკუთრებით ეს წინა-დადების შესახებ ითქმის: აქ ტრადიციას უწინარეს ყოვლისა კვებავდა ობიექტის სირთულე: წინადადების სახით მეტყველება მჭიდროდ არის გადაქსოვილი აზროვნების სინამდვილეს. სწორედ ამიტომაც ჯერ კი-დევ სადაც სინტაქსის მთავარი საკითხები, არ არის მიღწეული თანხმობა ფუძემდებელ საკითხთა გაგებაში.

„წინადადებისა და მისი ნაწილების კვალიფიკაციისა შეიძლება იქნეს წამოყენებული სამი ძირითადი თვალსაზრისი: ლინგვისტური, ფსიქოლოგიური და ენობრივ-გრამატიკული. ლინგვისტურია ყოველი კლასიფიკაცია, რომელიც წინადადებაში ლოგიკის მსჯელობის გამოხატულებას ხედავს, ხოლო კვემდებარე - შემასმენელს ისევე განსაზღვრავს, როგორც ტრადიციული ლოგიკა სუბიექტსა და პრედიკატს. მსჯელობის მაგივრობა შეიძლება დაეკისროს აზრსაც, - ამ სიტყვის ყოველდღიური გაგებით.

ფსიქოლოგისტურია ყოველი კვალიფიკაცია, რომელიც წინადადებას განსაზღვრავს ცნობიერების იმ პროცესების მიხედვით, რომლებიც წინადადებას თან ახლავს; კვემდებარე-შემასმენლის განსაზღვრებასაც ამ წინადადებების იძლევა. ენობრივ-გრამატიკულია ყოველი კვალიფიკაცია, რომელიც წინადადებისა და მისი ნაწილების განსაზღვრისას მხოლოდ ენობრივ წიმენებს მოიხმარს.“ (არნ. ჩიქობავა, 1968:2).

ფორტუნატოვი წინადადების შესახებ მსჯელობას იწყებს არა შესატყვებათა ზოგადი ანალიზით, არა-მედ იმ ფსიქოლოგიური ოდენობის რკვევა-ძიებით, რომელიც წინადადებას საფუძვლად უდევს და მხოლოდ შემდეგ იხილავს წინადადებას, ვითარცა მეტყველების ფაქტს და აკეთებს დასკვნებს ფსიქოლოგიურისა და მეტყველების ერთეულების ურთიერთობის შესახებ. ფსიქოლოგიურ მსჯელობასთან დაკავშირებით წყდება საკითხი სრულ და უსრულ წინადადებათა შესახებ. სრულ წინადადებაში მსჯელობის ყოველი ნაწილი აღნიშნულია სათანადო სიტყვით, არაფერობა ნაგულისხმევი, ხოლო უსრული წინადადება არის „ისეთი ფსიქოლოგიური მსჯელობის გამოხატულება, რომელშიც მისი შემადგენელი ორი ნაწილისაგან მხოლოდ ერთი შეიცავს სიტყვის ან სიტყვათა წარმოდგენებს, მაშინ როდესაც მეორე ნაწილს არ გააჩნია სიტყვიერი წარმოდგენა და შედგება, აზრის საგნის ან მისი ნაწილის უშუალო წარმოდგენისაგან“ (4:61).

საგულისხმოა ფორტუნატოვის შეხედულება იმასთან დაკავშირებით, რომ მსჯელობის ნაწილთა თანამიმდევრობის მიხედვით წინადადების ნაწილთა თანამიმდევრობა არ შეიძლება იქნეს გათვალისწინებული: „ფსიქოლოგიურ მსჯელობაში ანუ წინადადების აზრში“... კვემდებარე შეადგენს პირველ ნაწილს, შემასმენელი - მეორე ნაწილს, პირველის მომდევნოს, მაგრამ ჩვენ არა გვაქს უფლება აქედან გავაკეთოთ დასკვნა სიტყვათა განლაგების შესახებ სრულს წინადადებები მეტყველებისა“ (4:63).

პეშკოვსკის შეხედულებამ ჩვენთვის საინტერესო საკითხში გარკვეული ევოლუცია განიცადა. იგი წერს „გადამწყვეტი მნიშვნელობისა ეს წარმოდგენები კი არ არის, არამედ მათი თანამიმართება (cootnooshenie); ამ თანამიმართების შეგნებაა ამ წარმოდგენებს რომ აქცევს აზრის წევრებად, და, მაშასა-დამე, აზრს რომ ქმნის. (4:70).

იმ მიზნით, რომ გაგვერკვია მოკლე მოთხოვებისა და მათში მარტივი წინადადების პრობლემის საკითხები მიგვმართეთ როგორც მოთხოვნის, ასევე წინადადების თანამედროვე განმარტებას:

რა არის მოთხოვნის მოთხოვნია? მოთხოვნია არის წინადადებათა რიგი, რომელიც აღწერს ან ერთ ან რამდენიმე მოვლენას, რომელსაც მივყავართ დასკვნამდე.

რა არის წინადადება? წინადადება იმ სიტყვათა თანმიმდევრობაა, რომელიც მიზნად ისახავს აზრის გადმოცემას. ეს ის აზრია, რომელიც ავითარებს იდეას და დებულებას და არ არის აუცილებელი ჰქონდეს წერითი ფორმა, რადგან იგი გადმოსცემს სიტყვის სიმბოლურ გამოხატულებასაც, იმ მნიშვნელობას, რა-საც ეს სიტყვა გულისხმობს.

სინტაქსი გვეხმარება განვესაზღვროთ წინადადების წევრთა თანამიმდევრობა და მათი თანმიმდევრობა არის პირველული არჩევანი, რომელიც დამოკიდებულია იმ მესიჯზე, რომელიც გადმოიცემა. ასახელებების 3 ტიპის სინტაქსებს: თავისუფალი, რომელიც ქვემდებარესა და ზმნას ათავსებს წინადადების თავში, დასაწყისში, პერიოდული, ციკლური - რომელიც წინადადების ყველაზე მნიშვნელოვან ახალ ამბავს წინადადების ბოლოში განიხილავს და კომუნიკაციური-თავისუფალი, რომელიც ფუნქციონირებს ასევე შესაბამისად.

ზემოთდასახელებული ძველი თუ თანამედროვე მეცნიერთა განმარტებანი წინადადების შესახებ უფლებას გვაძლევს ვიზუალო, რომ მოკლე მოთხოვების მნიშვნელობა უმეტესობა იყენებს წინადადების წევრთა გარკვეული ტიპის წყობას, რომ ამბავი ყველა დეტალით დასაწყისიდან დასასრულამდე 500-დან



3000-მდე სიტყვით გადმოსცე ნაწარმოებისათვის დამახასიათებელი კომპონენტებით. როგორც ამერიკელი, ასევე ქართველი მწერლები მოკლედ და დიდი ემოციური დატვირთვით გადმოსცემენ სათქმელს; ამაში მას ეხმარებათ რთულ წინადადებაზე მეტად მოკლე სრული თუ უსრული წინადადების სხვადასხვა ტიპი (თხრობითი, კითხვითი, ძახილის, კითხვით-ბრძანებით და ა.შ.) გარდა ამისა, აღსანიშნავია მოკლე ნაწარმოებების წინადადების წევრებისათვის დამახასიათებელი შემდეგი თავისებურებანი:

1. მარტივი წინადადებათა კრებული გარკვეული პუნქტუაციით.
2. წევრნაკლული მარტივი წინადადებები (უქვემდებარო, უშემასმენლო, შემასმენლის სახელადი ნაწილის გარეშე და ა.შ.).

3. მარტივი წინადადების წევრთა ინვერსიული წყობა

4. მარტივი წინადადების წევრთა გახლეჩა

5. მარტივი წინადადების წევრთა გამეორება

6. მარტივი წინადადების წევრთა არჩევანი

რამდენიმე მარტივი წინადადებით ავტორი ვრცელ ინფორმაციას გადმოსცემს:

მაგ.: 1) Thus did my uncle. He next tried brickats. After pitting up a vast former difficulty supervened; his great heart broke again, he sold out his soul's idot to the retired brewer (8:56).

2) „ყელს ამ ცეცხლმოკიდებულ გზაზედაც კი შერჩენოდა ყირმიზის ფერი... თვალს ვეღარ უჭერდი... სალამი გადმოგვეცა... სადილი მოვატანინეთ ლარიბული... (2:85)."

მოკლე მოთხრობებში წევრნაკლული წინადადების შედარებით ხშირი გამოყენებით ხასიათდება ქართული ენა, რადგან, როგორც ცნობილია, უქვემდებარო წინადადების გაგებას აადვილებს ზმის ფორმაში მოცემული აფიქსები, რომლებიც სწორედ მომტქმედი სახელის პირის ნიშნებს გადმოსცემენ. რაც შეეხება ამერიკულ-ინგლისურ უქვემდებარო წინადადებას უმეტესად პირობითი "it"-ით გამოიხატება. გარდა ამისა ვხვდებით შედგენილი შემასმენლის მაკავშირებელი ზმნების ნაკლებობას.

მაგ.: 1) გადაიარა ეზო (2:168)

1) Wrong again, for indubitably he does support, himself (9:42)

2) "Afraid of folks" old Mrs Tilley said to herself. (9:85)

3) "Better in body perhaps" (9:123)

„სირცხვილი! ... (2:169).

გრამატიკულ სახელმძღვანელოებში ვხვდებით ერთნევრიან წინადადებასაც, ისინი შედგებიან ან მარტივი არსებითი სახელისაგან, ან არსებითი სახელს+განსაზღვრება. მას ნომინატივურ ან სახელდებით წინადადებას უწოდებენ. ისინი ელიპტიკული წინადადებისაგან განსხვავდება, რამეთუ ეს უკანასკნელი შეიცავს წინადადების მეორეხარისხოვან წევრებსაც.

ჩვენს შემთხვევაში ქართულ ენაში საკმაოდაა სახელდებითი წინადადება ელიპტიკულთან ერთად, ხოლო ამერიკულ ინგლისურში ელიპტიკური მეტია სახელდებითთან შედარებით (ესეც ქართულის ფლექ-სიურობის დამსახურებაა).

მაგ.: 1) დუმილი (2:95)

2) No answer (9:43).

3) ზამთარია (5:156).

4) "A grave and dark - dad company", - quoth Goodmen Drown (9:8).

დამატების უქონლობას მარტივ წინადადებაში ამერიკულ ინგლისურში ინფინიტივის მხოლოდ "to" ნაწილაკი აღნიშნავს, სადაც დამატება იგულისხმება წინა კონტექსტით. ქართულ ენაში შეიძლება ობიექტური პირის ნიშნები დაგვეხმაროს.

მაგ.: 1) I don't want to (9:121)

2) Aხლა კი გლეხებსაც უკვირდათ (2:126)

3) გაჩუმდი, ვინმე ყურს მოკრავს (2:89)

ისეთ წინადადებებსაც ვხვდებით, სადაც არც ქვემდებარეა და არც დამატება. რასაკვირველია, მათ ვგულისხმობთ წინა წინადადების კონტექსტიდან.

მაგ.: 1) "Be glad to", - he said slowly (9:227)

2) „ინებე, ოლონდ ჩქარა“ (2:95).

ზემოთდასახელებული თვისებები შეიძლება დიდი წინარმოებების მარტივ წინადადებებსაც ახასიათებდეს, განსაკუთრებით დიალოგურ მეტყველებაში, მაგრამ შემდეგი თვისება, წევრთა ინვერსია სპეციფიკურია მოკლე მოთხრობების მარტივი წინადადებისათვის. ეს იმით არის განპირობებული, რომ მწერალი წინადადების წევრთა ადგილის განადაცვლებით უფრო ახერხებს მეტითხველის ყურადღება გადაიტანს მკითხველში. ამ კუთხითაც დიდ განსხვავებას ვაწყდებით შესადარებელ ენებში. ქართული ენის ფლექ-სიურობა შესაძლებლობას იძლევა წინადადების წევრების თავისუფალი წყობა წარმოვადგინოთ, რასაც ვერ ვიტყვით ინგლისურზე. (ჩვენს შემთხვევაში ამერიკულ ინგლისურზე), სადაც წევრთა წყობა მკაცრია.

„საზღვარგარეთელი ლინგვისტები ჯ. კერმი, პ. სუიტი, ლ. ბლუმფილდი, ო. ესპერსენი თავიანთ ნაშრომებში ამტკიცებენ, რომ ისტორიული განვითარების შედეგად ინგლისური ენისათვის დამახასიათებელი გახდა სიტყვათა გაფორმება ფლექ-სიურობის გარეშე; გაჩნდა სხვა სამუალებები, სადაც დიდი ადგილი უკავია სიტყვათა რიგს. ქართულში კი სიტყვათა რიგის კანონზომიერების დადგენისას საჭიროა შევისწავლოთ სიტყვათა ურთიერთობის შესწავლა სიტყვათა რიგის დადგენის ერთადერთ კრიტერიუმს წარ-140



მოადგენს. ასეთ შემთხვევაში სიტყვათა რიგის კანონზომიერებას ქართულში შემდეგი თვალსაზრისით ვადგენთ: წინადადების წევრთა განლაგება აზრობრივ სუბიექტში (ე.ი. წინადადების იმ ნაწილში, რომელიც კონტექსტით არის (ცნობილი) და აზრობრივ პრედიკატში) (ე.ი. წინადადების იმ ნაწილში, რომელიც წარმოადგენს სიახლეს და გამონათქვამის საბოლოო მიზანს")

მ. ალხაზიშვილი აკეთებს დასკვნას, რომ ქართულში ძირითადად განასხვავებენ სიტყვათა რიგის ორ ტიპს, პირველს მიეკუთვნება სიტყვათა რიგი არაემფატიკური წინადადებისა, მეორეს - სიტყვათა რიგი ემფატიკური წინადადებისა.

წინადადების წევრთა ინვერსიას რომ ვასახელებთ ინგლისურში, არ ვგულისხმობთ არც კითხვით წინადადებას და არც "thene is" და "there are" კონსტრუქციებით აგებულ წინადადებებს. უმეტესად ქვემდებარისა და შემასმენლის ადგილმონაცვლეობას ვხვდებით რთულ დროებში (როცა შემასმენელი რამდენიმე სიტყვით გადმოიცემა).

მაგ.: 1) Had there been the least uneasiness, anger, impatience in his manner (9:25).

2) მოაგონდა ლევანს ძმა (2:12)

3) გამხიარულდა მიყრუებული დარბაზი (2:17)

ვხვდებით შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილისა და პირობით ქვემდებარეს ("it") ადგილმონაცვლეობას ამერიკულ წინადადებაში:

მაგ.: So true it is, and so terrible too (9:33)

რაც შეეხბა დამატება-ობიექტის ადგილს ქართულ ენაში, ინვერსიის შემთხვევაში წინადადების თავშია, როგორც პირდაპირი დამატება, ასევე ირიბი. ამ ენაში წინადადების წევრთა თავისუფალი წყობის წყალობით. ამერიკულ წინადადებებში კი მხოლოდ ვნებითი გვარის ფორმებში თუ გვექნება არამოქმედი წევრი (გრამატიკული სუბიექტი) წინადადების თავში.

მაგ.: 1.. კარი სალომემ გააღო (პირ. დამატ.) (2:160)

2. გელათს და მცხეთას ორ-ორი კომლი გლეხი შესწირა გარდაცვლილი სულის საოხათ. (ირ. დამატ.) (2:90)

3. ჭხვარი კიდევ ეყარა. ვნ. გვარი (2:44)

ორივე ენაში ემფატიკური წინადადების საუკეთესო მაგალითებია, როცა გარემოებები წინა პლანზე წამოწეული.

მაგ.: 1. For a particular reason the words made our young man change colour (10:21). (21)

2. გულამოსკვნით ლრიალებენ თინა და კეკე (3:109).

1. Never before that night had I felt the extent of my own powers - of my sagacity (14).

2. Outside it was getting dark (9:240)

3. რომ გართულიყო, მაბეზარი სურათი რომ წაეშალა, წამოდგა ფეხზე.... (85)

ქართულში მიზნის გარემოება დამოუკიდებელი წინადადებით გადმოიცა. ე.ი. მარტივი წინადადება აღარა გვაქვს.

ქართულშიც და ამერიკულ-ინგლისურშიც უმეტესად ვხვდებით მიზნისა და მიზეზის გარემოებას წინადადების თავში, მხოლოდ ისინი აღარ წარმოადგენენ მარტივი წინადადებას და გვაქვს მიზნის ან მიზეზის გარემოებითი დამოუკიდებული წინადადების რთულ ქვეწყობილში.

ამერიკულ-ინგლისური ემფატიკურებას არა მარტივ წინადადების წევრთა გადაადგილებით გადმოსცემს, არამედ "do" ზმნის სხვადასხვა შესაფერი დროით, ქართული კი „მხოლოდ“ „კი“ „სწორედ“ - სიტყვებით.

მაგ.: 1) In this very attitude did I sit ... (9:25)

2) I did write for a whill in spite of them; but it does exhaust me a good deal.... (9:116).

წინადადების წევრთა უჩვეულო წყობით გამოირჩევა ამერიკული მოთხოვების ზოგიერთი კითხვით წინადადება.

მაგ.: 1) Why there's John at the door (9:129)

2) How he does call and poured (9:129)

ორივე შესადარებელ ენაში ვპოულობთ მაგალითებს, სადაც წინადადების წევრთა რიგს ერთი სიტყვა ან რამდენიმე სიტყვა არღვევს. ამას წინადადების წევრთა გახლებას უწოდებენ ((splitting)). ძირითადად ეს სიტყვები წარმოადგენენ გარკერძოებულ სიტყვებსა და გამოთქმებს, რითაც უფრო მეტ ინფორმაციას აწვდის ავტორი მკითხველს მარტივი წინადადებით.

მაგ.: 1) As yet I had never, of my personal knowledge, known him to be outside of my office (27)

2) My understandig with the publishers, as I have dready ninted, had been... (9:144)

1) როცა მუშაობა გათავდება - მუშაობა კი მეტად ადრე თავდება, დამპატიურებეს ნახევარში (5:157).

წინადადების წევრთა გამეორება წანარმოების მხატვრული ხერხის ერთ-ერთი სახეობაა, რომელიც მკითხველის ყურადღებას კიდევ უფრო ამახვილებს ამა თუ იმ მოვლენის გარკვეულ პროცესზე ან ობიექტზე.

1) იცის თევდორემ, იცის, უნახავს და გაუგია (5:156).

2) "Yes, married. I 'm married", said Potter, distinctly (9:67) ვხვდებით წინადადების გამეორებასაც.

მაგ.: 1) "Tried to sneak up on me", he said

Tried to sneak up on me" (66)



უარყოფითი ემოციის გადმოსაცემად ორივე ენა უარყოფითი ნაცვალსახელთა დიდ არჩევანს აკეთებს.

მაგ.: 1) ნუ, სიდონია, ნუ ისივებ უკვე გასიებულ გულს (5:86)

2) არც იხრჩობა, ალარც იჭყლიტება (5:87)

3) არავითარი აზრი, არავითარი ფიქრი, მხოლოდ სიტყვები (48)

1) There was no vulgar bullying, no bravado of any sort, no cheric nectoring and (9:37)

2) There was nothing to wash out - no strain of any kind - no blood - spot whatever (9:16)

შესატყვის მაგალითებზე დაკვირვებამ კიდევ უფრო დაგვარწმუნა ქართული ენისათვის დამახასიათებელი სინთეზური ფორმების ეფექტურობაში - სიტყვათა ნაკლები რაოდენობით გადმოსცეს აზრი. შეიძლება აქვე დავისახელოთ ამერიკულ-ინგლისურის თვისება ლაკონურად გადმოსცეს საქმელი, თუმცა ეს უფრო მეტად ეხება არა მარტივ წინადადებას, არამედ რთულს, რომელშიც დამოუკიდებელი წინადადებები მიმღებიანი და ინფინიტივური კონსტრუქციებით გამოდის.

ასე რომ ქართული მოკლე მოთხრობები ბევრად მდიდარია მარტივი წინადადებით (სრული არასრული), რომელიც საინტერესოდ გადმოსცემს აზრს მკითხველისათვის გასაგებსა და მისაწვდომს. მარტივ წინადადებაში სიტყვათა ნაკლები რაოდენობით გადმოსცეს სათქმელი, ისე რომ მკითხველი გახადოს მისი ემოციების თანამოაზრე უფრო ქართველ ავტორებს ძალუძს ვიდრე ამერიკულს, ეს კი მისი ფლექსიური ბუნების დამსახურება.

I) მხოლოდ მსაზღვრელ-საზღვრულით

მაგ.: 1) ნელმაგარი კომლი (2:43)

2) სავსე ოჯახი! (2:40)

II. მსაზღვრელ-საზღვრული + ადგ. გარემოება

მაგ.: 1. გაპრიალებული ნაჯახი სახელმწიფო ტყეში (2:43)

2. უვარგისი სხვენზე

ფურეჩი - სავარძელში (2:43)

III ერთდროულად გვაქვს

1) ხან ოფლი, სიცხე, ბოდვა

ხან სცივა, კანკალებს, სამი საბანი სიყვითლე (2:43) (სახელდებითი წანილი)

ქართულ მარტივ წინადადებებში გამოვლენილია კონტრაქტი

მაგ.: 1) ექიმი და მარჩენალი

წამალი და შელოცვა (2:43)

2) იმატა ობლების მტერმა, იკლო მოყვარემ (2:44)

ქართველ და ამერიკელ ავტორთა მოთხრობებში მარტივი წინადადებებზე დაკვირვებამ დაგვანახა მსგავსება და განსხვავება, რაც ახასიათებთ შესადარებელ ენებს გადმოსცენ ვრცელი, ემოციებით დატვირთული ინფორმაცია მოკლე ფორმატში და დააინტერესონ მკითხველი მასში წარმოდგენილი გმირთა ავითა და კარგით, ცხოვრებისეული მოვლენებით.

მწერლის მიერ სინამდვილის ასახვა მათ ინდივიდუალურ სტილზეა ხშირად დამოკიდებული, თუმცა დიდი მნიშვნელობა ენიჭება რამდენად აძლევს ავტორს საშუალებას ესა თუ ის ენა გაამდიდროს მკითხველის წარმოდგენები მისი წანარმოების კითხვისას.

მსგავსება საკვლევ ენებში ემოციის გამოხატვასთან დაკავშირებით სავსებით ბუნებრივია და შეესაბამება ზოგადადამიანური ფსიქიკური აქტივობისათვის დამახასიათებელ კანონზომიერებებს, რაც შეეხება განსხვავებებს, მათ კულტურული თავისებურება (ინდივიდუალურიც) განსაზღვრავს, რაც ენაშიც აისახება.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. გაბისონია თ. ინგლისური მარტივი წინადადების ზოგიერთი სტრუქტურული თავისებურება ქართულ-თან მიმართებაში, "უცხოური ენები სკოლაში", 1971, №1.
2. ლორთქიფანიძე ნ. - 1990. მოკლე მოთხრობები - გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო”, ბათუმი, 1990.
3. ქართული პროზა, 1989, მოთხრობები, „საბჭოთა საქართველო”, თბ., 1989.
4. ჩიქობავა არნ. - 1968. მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, I, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, მეცნიერების ინსტიტუტი, გამომც. „მეცნიერება”, 1968, თბილისი.
5. ჯავახიშვილი მ. - 1959. მოთხრობები, სახელმწიფო გამომცემლობა, „საბჭოთა საქართველო”, თბილისი, 1959 ნ.
6. ალაზანიშვილი ა. - 1957, Порядок слов и интонация в простом повествовательном предложении грузинского языка. сб. "Фонетика". Т. I. Тб. 1957.
7. I. Lyish B, 1971 - the Structure of modern English, 1971, Изд. "Просвещение", Лен. 1971.
8. Twain M, 1970, The Conrassier's Tall, N. Y. 1970.
9. Great American Short Stories - 2002 - edited by Paul Negri - Dover Publications, INC. Mineola, New York.
10. James H. - 1982. - Short Stories, Moscow Vysshaja Škola, 1982.



## ნუნუ ჩარკვიანი

**წინადადების წევრთა წყობის ტიპები მოკლე მოთხრობებში  
(ქართველ და ამერიკელ ავტორთა მოკლე მოთხრობების მიხედვით)**

### რეზიუმე

სტატია ეხება წინადადების წევრთა სპეციფიკურ არჩევანსა და წყობას, რაც დამახასიათებელია ქართულ და ამერიკულ მოკლე მოთხრობებისათვის.

მოკლე მოთხრობებიდან მაგალითების ანალიზმა ცხადყო, რომ შესადარებელ ენებს (ქართულ და ამერიკულ-ინგლისურს) აქვთ მსგავსება და განსხვავება მარტივი წინადადების გამოყენების არეალში. ყველაზე მკვეთრ სხვაობად შეიძლება ჩაითვალოს სახელდებითი წინადადების ხშირი გამოყენება ქართულში ამერიკულ-ინგლისურთან შედარებით. ეს კი განპირობებულია ქართული ენის სინთეზური ბუნებით.

**N. Charkviani**

### The Types of Sentence Part Order in Short Stories (On Georgian and American Short Stories)

#### Summary

The article deals with the specific selection and order of sentence parts that is characteristic to Georgian and American short stories.

Analyzing some short stories makes it clear that source languages (Georgian and American English) have similarities and difference in the usage of simple sentences.

The most distinct difference is frequent usage of nominal sentences in Georgian language due to its synthetic character.



## დიანა ჯანერაძე

### როგორ სხავლობენ და ასრულიან საფრანგეთში პროცესი ურნალისტიკას

«თანამედროვე დროის უურნალისტს მუდამ უნდა ახსოვდეს ის, რომ ამბავი სრულიად დამოუკიდებლად თავისით იქმნება, მას არ ქმნიან უურნალისტები, ისინი მხოლოდ კარგ დროს და კარგ ადგილას იმყოფებოიან, რათა თვალი ადვონონ და შემდეგ სიტყვასიტყვით გადასცენ თუ როგორ შეიქმნა ეს ამბავი».

პატრიკ პუავრ-დავრო. ფრანგი მწერალი, უურნალისტი და საზოგადო მოღვაწე.

მრვალის წლის წინ, მაშინ როდესაც უურნალისტიკა როგორც პროფესია შეიქმნა, ამ საქმეს მხოლოდ ის ხალხი ართმევდა თავს, ვისაც კალმის ხმარება ეხერხებოდა და საოცარ ლიტერატურულ შედევრებს ქმნიდა. საფრანგეთში პირველი გაზეთი “ლა გაზეტ” 1631 წელს მეფის ლუი მე 8-ის დროს მის კარზე მომსახურე მეცნიერ-ლიტერატორმა ტეოფასტ რენოდომ დაარსა [1]. ცხადია ეს გაზეთი ხელნაწერი გახლდათ და მხოლოდ მეფის ინტერესებს ემსახურებოდა. მოგვიანებით გაზეთის ტირაჟი ხალხის მოთხოვნით გაიზარდა და წლების მსვლელობასთან ერთად ახალმა გაზეთებმაც იმრავლა. ფრანგი ხალხი თანდათან უფრო ინუსხებოდა პრესით და როგორც ინფორმირების ერთადერთმა საშუალებამ, პრესამაც მათი გავლენის ქვეშ მოქცევა ადვილად მოახერხა. სწორედ ამის თავიდან ასაცილებლად უკვე მოგვიანებით 1918 წლის 10 მარტს საფრანგეთის მაშინდელმა სახელმწიფო პროფ-კავშირებმა უურნალისტიკის ეთიკის კოდექსი [2] შექმნეს, ხოლო 1927 წლიდან მათ ამ კოდექსის ფრანგულ მედიაში მუდმივი კონტროლი უურნალისტთა ეროვნულ კომისიას დააკისრეს.

გასულ საუკუნეებში შექმნილ კანონებს ფრანგი უურნალისტები დღემდე იცავენ და მათი მედიის დღევანდელი ანარეკლიც სწორედ ამ კანონების გატარებით გადმოიცემა.

მსოფლიოში ტექნიკური საშუალებების რევოლუციამ პროფესია უურნალისტიკის დახვენა და სწრაფი განვითარება მოითხოვა. დღეს ნებისმიერ ფრანგ უურნალისტს თავისუფლად შეუძლია ერთდროულად იმუშაოს როგორც ტელევიზიაში ასევე რადიოსა და პრესაში. იგი ასეთივე ეფექტურობით ეწყობა ინტერნეტ მედიის მოთხოვნებსსაც და ფლობს, ინფორმაციის არა მხოლოდ მოპოვება-დამუშავება, არა-მედ უსწრაფეს დროის მონაკვეთში გადაღება, დამონტაჟება, განთავსების უნარსაც.

რატომ ესაჭიროება დღეს ფრანგ უურნალისტს მედიის ყველა საშუალების ერთნაირად შესწავლა და რაც მთავრია გამოყენება? რატომ ევალება ტელევიზიას უურნალისტს დიდი პროფესიონალიზმით რადიოს ხმის ჩამწერი ტექნიკური საშუალებების მართვა? როგორ და რამდენი წლის მახილზე სწავლობენ ფრანგები გახდნენ პროფესიონალი თანამედროვე დროის უურნალისტები ისე, რომ ამავდროულად 1918 წელს შექმნილი უურნალისტიკის ეთიკის კოდექსი დაიცვან ? ამ კითხვებზე პასუხების მისაღებად საფრანგეთში პროფესია უურნალისტიკის განვითარების ეტაპებს გვერდს ვერ ავუვლით.

ოფიციალური ცნობების თანახმად დღეს საფრანგეთში 30 000 პროფესიონალი, ხოლო 20 000 დამყები უურნალისტია [3].

1976 წლის 1 ნოემბერს გამოვიდა დადგენილება იმის შესახებ რომ ორი სასწავლო დაწესებულება : პარიზის უურნალისტიკის სასწავლო ცენტრი და ქალაქ ლილში არსებული უურნალისტიკის კერძო სასწავლებელი, იქნებოდნენ აღიარებული როგორც ამ პროფესიონალიზმით რადიოს ხმის ჩამწერი ტექნიკური საშუალებების მართვა? როგორ და რამდენი წლის მახილზე სწავლობენ ფრანგები გახდნენ პროფესიონალი თანამედროვე დროის უურნალისტები ისე, რომ ამავდროულად 1918 წელს შექმნილი უურნალისტიკის ეთიკის კოდექსი დაიცვან ? ამ კითხვებზე პასუხების მისაღებად საფრანგეთში პროფესია უურნალისტიკის განვითარების ეტაპებს გვერდს ვერ ავუვლით.

უმაღლეს სასწავლებლებში ყოველწლიურად კომისია « CNPEJ » ამონტებს : თუ რამდენწლიანი გამოცდილება აქვს სასწავლებელს, პროფესორების მაღალკვალიფიკაციურობა და სამუშაო გამოცდილება, შესასწავლი საგნების საჭიროობა და ეფექტურობა, უურნალისტისთვის აუცილებელი საბაზისო გაანათლების მიცემის დონე, გარემო, სასწავლებლის ინვენტარი თუ პირობები სადაც სტუდენტები იმყოფებიან, ტექნიკური აღჭურვილობა, მოწვეული პროფესიონი მოქმედი უურნალისტების კომპეტენტურობა, სავალდებულო სტაჟირების ხანგრძლივობა და ეფექტურობა, სწავლების ღირებულება (რის თუ არა გადაჭარბებული დაწესებული თანხა) და ბოლოს რაც სტუდენტებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია ეს გახლავთ



მაქსიმალური გადამოწმება იმისა თუ როგორ ზრუნას სასწავლებელი უკვე კურსდამთავრებულზე იმისათვის რომ ის დაუსაქმებელი არ დარჩეს. 13 ზემოთნახესენებ სასწავლებელს შორის 8 სპეციალიზირებული უნივერსიტეტია, სადაც სწავლება ასევე ორი წელი მიმდინარეობს და იქ მოსახვედრად სტუდენტს აუცილებლად სამი ან ოთხ წლიანი ბაკალავრის დიპლომი უნდა გააჩნდეს. სწავლების ფასი აქ შედარებით ხელმისაწვდომია, წლინადში გადასახდელ 350 ევროში სამედიცინო დაზღვევაც შედის.

დანარჩენ 5 სასწავლებლიდან ყველა კერძო დაწესებულებაა და აქაც სწავლების ხანგრძლივობა იმის წელია, (მხოლოდ ტულუზის კერძო უურნალისტიკის სკოლა სთავაზობს 3 წლიან სწავლებას). კერძო სწავლებლებში ყოველწლიური გადასახადი 4000 იდან 5000 ევრომდე მერყეობს [4].

თითოეულ უმაღლეს სასწავლებლებში მოსახვედრას ყოველწლიურად დაახლოებით 7 000 აბიტურიენტი ცდილობს. ამათგან კი მხოლოდ 40-ამდე ხდება სტუდენტი. მისაღები გამოცდების კონკურსი საკმაოდ დიდი და კონკურენტუნარიანია. აბიტურიენტები გადიან შემდეგ გამოცდებს :

ფრანგული ენა (წრითი)  
სტატიის დაწერა (გამოცდაზე სთავაზობენ სტატიის სახელწოდებას)

აქტუალური ამბების ანალიზი  
კრეატიულობა (მხატვრული ჩანაწერი)

ზოგადი განათელების შემონვება (ისტორია, გეოგრაფია)

ჩამოთვლილი საგამოცდო საგნებიდან მხოლოდ ფრანგული ენა ბარდება საერთო საგნად სტუდენტის მიერ არჩეულ რამდენიმე სასწავლებელში. თუ სამი ჩამოთვლილი სასწავლებლიდან სტუდენტმა ერთგან წარმატებით გაიარა ფრანგული ენის გამოცდა, მას მხოლოდ იქ შეუძლია ჩაბაროს მომდევხო საგნებიც. ხოლო თუ სამიერანო ერთნაირად მაღალი ქულები აიღო, ის თავად ირჩევს სად სურს მოხვედრა და იქ აბარებს მომდევნო გამოცდებასაც. საგამოცდო ციებ-ცხელებას ფინანსური დანახარჯებიც საგრძნობლად ემატება, მისაღებ გამოცდებზე ჩასაწერად სავალდებულოა 180° ევროს გადახდა, რომელიც წარუმატებლიბის შემთხვევაში ცხადია აბიტურიენტს უკან არ უბრუნდება. გარდა ამისა მგზავრობისა თუ საცხოვრებლის ხარჯები მისაღები გამოცდების დროს აბიტურიენტებსთვის საკმაო თანხებთანაა დაკავშირებული, სწორედ ამ გადაადგილებების თავიდან ასაცლილებლად 2006 წელიდან შესაძლებელია რამდენიმე სასწავლებლისათვის ერთი და იმავე დროს, ერთი და იგივე ადგილას ჩაბარდეს მისაღები გამოცდები. ამას ასევე ემატება სოციალურად დაუცველი ოჯახის პრობლემების გათვალისწინებით მისაღები გამოცდების ხარჯების შეკვეცა და იმ შემთხვევაში თუ აბიტურიენტმა გამოცდები წარმატებით გაიარა, სასწავლებელი (კერძო თუ სახელმწიფო) სწავლებას სრულიად უფასოდ სთავაზობს სტუდენტს [5].

როგორ მიმდინარეობს სწავლება და არის თუ არა საკმარისი ორი წელი პროფესიონალ უურნალისტად ჩამოყალიბებისათვის .

საფრანგეთის 13 უმაღლეს სასწავლებელში :

CELSA – Centre d'Etudes Littéraires et Scientifiques Appliquées (სამეცნიერო-სალიტერატურო სასწავლებელი)

CUEJ - Centre Universitaire d'Enseignement du Journalisme (საუნივერსიტეტო ცენტრი უურნალისტიკის მიმართულებით)

EJCM - Ecole de Journalisme et de Communication de Marseille (მარსელის უურნალისტიკისა და კომუნიკაციების სასწავლებელი)

EJDG - Ecole de Journalisme de Grenoble (გრენობლის უურნალისტიკის სკოლა)

IFP - Institut Français de la Presse (საფრანგეთის პრესის ინსტიტუტი)

IJBA - Institut de Journalisme de Bordeaux Aquitaine (ბორდოს უურნალისტიკის ინსტიტუტი)

Iut Lannion (ლანნის ტექნიკური უურნალისტიკის სასწავლებელი)

Iut Tours (ტურის ტექნიკური უურნალისტიკის სასწავლებელი)

CFJ - Centre de Formation des Journalistes (ფორმაცია უურნალისტიკის ცენტრი)

EJT - Ecole de Journalise de Toulouse (ტულუზის უურნალისტიკის სკოლა)

ESJ - Ecole Supérieur de Journalisme (ლილის უმაღლესი უურნალისტიკის სკოლა)

IPJ : Institut Pratique de Journalisme (პრაქტიკული უურნალისტიკის ინსტიტუტი)

L'école de Journalisme de Science Po (Paris) (პარიზის პოლიტოლოგიური უნივერსიტეტი უურნალისტიკის სკოლა)

მისაღები გამოცდების წარმატებით გადალახვის შედეგად აბიტურიენტი ან მის მიერ შერჩეულ სასწავლებელში ხვდება ან იქ სადაც ქულები ეყოფა (ყველა სასწავლებელს სხვადახვა შეფასების სისტემა გააჩნია). სწავლების პირველი წელი ზოგად განათლებას ეთმობა, სტუდენტები გადიან ისეთ საგნებს როგორიცაა : უურნალისტიკის ისტორია, სამართლო, გეოპოლიტიკა, მედიის ეკონომიკა, პოლიტიკა, ეკონომიკა, უცხო ენები, მქოფლიო აქტუალობა თუ პროფესიული ინგლისური. კურსზე მოხვედრილი 40-ამდე სტუდენტიდან ყველა ერთნაირ რეჟიმში გადის სასწავლო პროგრამას. ზოგადი განათლების შემძენ საგნებს ძირითადად პირველი კურსის პირველი სემესტრი ეთმობა, ხოლო პირველი კურსის მეორე სემესტრიდან ასევე ზოგადად იწყებენ პრესის, ტელევიზიის, რადიოსა და ინტერნეტ მედიის შესწავლას. წლის ბოლოს კი მთელი ზაფხულის განმავლობაში თითოეული სტუდენტი დირექციის მიერ შერჩეულ სავალდებულო სტაურიებას გადის.

მეორე კურსი გაცილებით შრომატევადი და სამუშაო გამოცდილების მიღებაზე დამყარებულია. სტუდენტებს ემატებათ ისეთი სპეციალიზირებული საგნები როგორიცაა : პოლიტიკის უურნალისტიკა, ეკონომიკის უურნალისტიკა, აქტუალური ამბები, უურნალისტიკის ეთიკის კოდექსი, კულტურისა თუ სპორტის უურნალისტიკა. ამ საგნებს მთელი კურსი ერთნაირად შეისწავლის და ისინი ასევე ერთნაირად სპეციალიზირდებიან, ტელე-რადიო, ინტერნეტ თუ პრეს-მედიაში. სასწავლებელი მაქსიმალურად ქმნის საოჯახო გარემოს სტუდენტებისთვის, გამომდინარე იქიდან რომ სწავლება დილას 8 საათზე იწყება და სალამოს 9 საათამდე ვრძელდება, დირექციის განცხადებით აუცილებელია სტუდენტებისთვის საოჯახო პირობების შექმნა. ამიტომაც არავის უკვირს სასწავლებლებში, კომფორტულად მოწყობილ მისაღებ ოთახებში მოსახვენებელი კუთხეების მოწყობა ან სამზარეულო-სასადილოები, სადაც სტუდენტები თავად ამზადებენ კერძებს ლექციებს მორის.

მეორე კურსის დასახცისში სტუდენტები პროფესიონალი უურნალისტების დაკვირვებით და ხელმძღვანელობით თავად გამოსცემენ გაზიერებს, ქმნიან სატელევიზიო თუ რადიო გადაცემებს. ორმოციონული სტუდენტს შორის, პრესის ლექციებზე ფუნქციები ასე ნაწილდება : რედაქტორი, რედაქტორის მოადგილე, გამომცემელი და რეპორტიორ-ფოტოგრაფები. ამ « თანამდებობებზე » ყოველი ახალი ნომრის გამოცემისთვის სხვადასხვა სტუდენტები ინიშნებიან და ამგვარი « წრეზე ბრუნვა » ეფექტურ შედეგს იძლევა. თითოეული მათგანი რეალურ პრესასთან მიახლოებულ რედაქციებსა თუ სტამბებში უშვებენ სრულიად მაღალ პროფესიულ უურნალებს. იგივე სურათია ტელევიზიისა და რადიოს ლექციების თვალსაზრისით. განსხვავება ისაა რომ თუ მათი გამოშვებული გაზიერები შედასაუნივერსიტეტოა ზოგიერთი სატელევიზიო გადაცემა რომელიც სტუდენტები უშვებენ რეგიონალურ არხებზე/კი გადის.

სტუდენტების დაქვემდებარებაში ყოველდღიურად 50-იოდე პროფესიული კამერა, რადიოსატვის განკუთვნილი ხმისჩამნერი აპარატურა და პროფესიული ფოტო-აპარატებია. ისინი დილას რამდენიმე ლექციის დამთავსერების შემდეგ, ინაცვლებელ სპეციალიზირებულ პერის, რადიოსა თუ ტელე ატელიე-ებში, სადაც გეგმავენ, აწყობენ, წერენ თუ ათავსებენ ინტერნეტ საიტებზე მათ მიერ დამუშავებულ ინ-ფორმაციას. ზედამხედველად პროფესიონალი ჟურნალისტები ყავთ, რომლებიც საკუთარი გამოკლილების გაზიარებით ახდენენ მათ ჩამოყალიბებას. სტუდენტთა განკარგულებაში არის ასევე უფასო სატელე-ფონო კვაშირები და სასწავლო სტრესისაგან თავის დასალწევად შექმნილი სპორტული დარბაზები. ბერ-რე კურსის წლის ბოლოს კი ყოველი სასწავლებელი მეორეკურსელებს სთავაზობს საზღვარდარეთ მოგზაურობის საშუალებას. ამ მოგზაურობას (მთელ კურსს) ცხადია სასწავლებელი აფინანსებს და მიზანი გახლავთ მოგზაურობას მიეძღვნას მთელი ჟურნალი ან სატელევიზიო გადაცემა.

უურნალისტებისათვის საჭირო განათლების მიღებასთან ერთად ფრანგული სასწავლებლები სტუ-  
დენტებს ასევე სთავაზობენ პროფესიულ დონეზე შეისწავლონ ფოტოგრაფია და პრეს-სააგენტო მიმარ-  
თულება. ყოველი სტუდენტისათვის სავალდებულოა რამდენიმე თვიანი სტაუირება, რასაც სასწავლებ-  
ლის დირექტორი თავად არჩევს. სტაუების განმავლობაში დირექტორი ასევე დიდ როლს თამაშობს, რათა  
სტუდენტები სრულფასოვნად გამოიყენოს სტაუირების დრო და ამაზე სპეციალიზირებული სადიპლომო  
ნაშრომი მოამზადოს, რაც კადია დიპლომის აღინაში წინ გადაფრმული ნაბიჯია.

სტაუირებასთან ერთად უმაღლესი სასახავლებლები მსურველი სტუდენტებს სთავაზობენ მიმართულებას « შემსწავლელი კურსები ». ამ კურსებზე მოხვედრისათვის უკვე სასახავლებელი მოხვედრილ სტუდენტებს შორის მსურველებმა, სწავლის დასაწყისში კიდევ ერთხელ უნდა გაიარონ გამოცდები და საჭირო ქულები დააგროვონ. ყოველწლიურად მიღებულ 40 ამდე სტუდენტს შორის დაახლობეთ 10-15 დამატებით « შემსწავლელ კურსებს » გადის. ისინი სავაზლდებულო ლექციების გარდა მთელი ორი წლის განმავლობაში დამატებით ნახევარ განაკვეთზე ოფიციალურად მუშაობენ მედიის სხვადასხვა საშუალებებში. სატელევიზიო არხებს, რადიო სადგურებს, გაზეთებს თუ ინტერნეტ მედიას სასწავლებლის დირექცია თავად სთავაზობს როგორც მომავალ სამუშაოს და სტუდენტები სურვილის მიხედვით იჩქებენ სწავლასთან ერთად მუშაობას. ისინი შესრულებულ სამუშაოში ცხადია გასამრჯველოსაც იღებენ. უფრო მეტიც ორნლიანი სწავლებისა და სამსახურის დროებითი კონტრაქტის დამთავრების შემდეგ ის მედიის საშუალებები სადაც მუშაობდენენ დროებითიდან მუდმივ სამუშაო კონტრაქტებს სთავაზობენ სტუდენტებს, რაც მათთვის დიდი ჟურნალისტური კარიერის დასაწყისია.

თთოვეული უმაღლესი სასწავლებელი ყოველი წლის ბოლოს შიდა კვლევებს ახორციელებს, კითხვები რომელსაც ისინი სვამენ ძირითადად შემდეგში მდგომარეობს : რა ფასი აქვს დღეს უურნალისტის შრომის ბაზარზე? არის თუ არა სავალდებულო უმაღლესი სასწავლებლის დამთავრება პროფესიონალ უურნალისტად ჩამოყალიბებაში? რა განსხვავებაა სწორედ ამ უმაღლეს სასწავლებლებსა და უნივერსიტეტში არსებულ უურნალისტების მაგისტრატურებს შორის? რას სთავაზობს სასწავლებელი ახალს და განსხვავებულს სტუდენტებს? როგორ უნდა ჩამოყალიბდეს ევროპელი უურნალისტი და რა განსხვავებაა ევროპულ-ამრიკულ მედიას შორის? რა კრიტერიუმებით ასაქმებენ მედია საშუალებები და ბოლოს ინტერნეტ-მედიას საფრთხე თუ საჭიროობა დღევანდელობაში? დირექცია სწორედ ამ კითხვებზე პასუხებიდან გეგმავს და ანახლებს მომავალ სასწავლო პროგრამას. ისინი ასევე ყოველწლიურად ანახლებენ სასწავლებლის ტექნიკურ სასუალებებს, სამუშაო კომპიუტრებს, კამერებსა თუ ტილი და რადიო სტუდიებს.

პროფესია უურნალისტიკის შესწავლის საშუალებას ახალგაზრდებს საფრთანებელის სახელმწიფო უნივერსიტეტებიც სთავაზობენ. მართალია საკმაოდ მცირე რაოდენობით მაგრამ მაინც შესაძლებელია უნივერსიტეტში სამიდან-ხუთ წლამდე სწავლების შემდეგ უურნალისტიკის ფაკულტეტის დამთავრება. გამომდინარე იქიდან რომ ამ ფაკულტეტებს ბევრი მსურველი აბიტურიენტი არ ყავს უნივერსიტეტები ხშირ შემთხვევაში ორი დაკულტიტიტის ფუნქციებს აერთიანებს და ქმნიან ისეთ დაკულტიტიბს როგორი-



ცაა მაგალითად : «მედიის მართვა და კომუნიკაციები». მიუხედავად იმისა რომ მსგავს ფაკულტეტებზე ნაკლები პრაქტიკული სამუშაოები ტარდება სწორედ მრავალ წლიანი სწავლების გამო უნივერსიტეტი სტუდენტებს საკმაოდ მრავალფეროვან და მყარ განათლებას სთავაზობს. საიმედო და მრავალფეროვანი განათლება არის თუ არა საკმარისი მომავალი შურნალისტებისათვის, სწორედ ამ კითხვის გარშემო ტრიალებს პოლემიკა, რომელიც მაინც მეტ რეალურ მედია გამოცდილებებსა, პრაქტიკასა და სტაჟირებებზე დამყარებულ უმაღლეს სასწავლებებს მატებს პრივილეგიებს. რეპუტირებული სასწავლებლის დამთავრება ხომ გარანტირებულ სამუშაოს უდრის ფრანგი სტუდენტებისთვის. სწორედ კონკურენციის გამო უნივერსიტეტში არსებული შურნალისტიკის ფაკულტეტები სტუდენტთა მოსაზიდად, მედია საშუალებებში 3-4 თვითან სავალდებულო სტაჟირებებს აწესებენ და პრაქტიკული ცოდნის გასაღრმავებლად პროფესორებად მოქმედ შურნალისტებს იწვევენ, თუმცა დღევანდელი ფრანგული საგანმანათლებლო სისტემა მაინც შურნალისტიკის უმაღლესი სასწავლებლების პოპულარობას უსვამს ხაზს.

თანამედროვე ტექნიკური საშუალებების მრავალფეროვნება და დიდ პრაქტიკაზე დამყარებული პროფესია ურნალისტიკის შესწავლა მართლაც რომ მიმზიდველი ფრანგი სტუდენტებისთვის. გამარტივებული სოციალური პირობების ფონზე (მაღალი სტიპენდიები, სტუდენტური საერთო საცხოვრებლები თუ სამედიცინო დაზღვევები) მათ სწავლების საფასურის ხელმისაწვდომობის საშუალებას აძლევს, ამიტომაც კერძო და უმაღლეს შურნალისტიკის სასწავლებლებს ყოველწლიურად უფრო და უფრო ემატება აბიტურიენტთა რაოდენობა.

სასწავლებლის დამთავრებების პირველივე დღიდან როგორც კურსდამთავრებულის ასევე სასხვა-ლებლის დირექციის ამოცანა მისი მედიაში დასაქმება ხდება. წლების განმავლობაში დამყარებული კავშირები უმაღლეს სასწავლებლელს საშუალებას აძლევს მარტივად დაასაქმინ ახალგაზრდა დიპლომირებულები, რომლებიც თავის მხრიდან ურნალისტური ფუნქციების აღების პირველივე დღებიდან სამუშაო ხარისხს იგივე დონეზე აჩვენებენ როგორც ადგილზე დამხვედრი წლების მანძილზე მომუშავე შურნალისტები. უდიდესი სატელევიზიო არხებისა თუ რადიო სადგურების ფუნქციებში არ შედის ახლად შეძენილი თანამშრომლის დაკვალიანება თუ მიმართულებების მიცემა. სწორედ იმის თავიდან ასაშორებლად რომ ახალგაზრდა დიპლომირებულმა თავი მუშაობის პირველივე დღებიდან გაართვას დაკისრებულ მოვალეობებს, სასწავლებლები მათ ორი წლის განმავლობაში ყოველდღიურად აყენებენ რეალური შურნალისტიკის წინ. კურსდამთავრებულების ტექნიკურ სრულყოფილებას, მრავალთვიანი და მრავალფეროვანი სტაჟირებების დროს მიღებული გამოცდილებაც ემატება, რაც მათ მეტ პროფესიულ გამბედა-ობას მატებს. პროფესიონალიზმის გარდა ფრანგული მედიის დღევანდელი ინოვაცია გახლავთ ის რომ შურნალისტები ერთდღოულად მუშაობენ როგორც ტელევიზიებსა და რადიოში, ასევე პრსასა თუ ინტერ-ნეტ-მედიაში. ამიტომაც მულტიმედიას შურნალისტობა აუცილებელი პირობა გახდა ამ პროფესიის განსახორციელებლად. ეს კი ცხადია უმაღლეს სასწავლებლებს არ გამოპარვიათ და მომავალ შურნალისტებს მაქსიმალურად ახელოვნებენ მედიის ყველა საშუალებაში. თუ ადრე სტუდენტი თავად ირჩევდა მედიის რომელი სფერო შეესწავლა და მოგვიანებით ამ სფეროში ემუშავა კიდეც, დღეს მას არჩევანი არ აქვს, სასწავლებელი ერთნაირად მოითხოვს ტელე, რადიო, პრესა თუ ინტერნეტ მედიის სპეციალიზირებული განათლების მიღებას.

ყველაზე მთავარი კი ფრანგული მედიისთვის შურნალისტთა პასუხისმგებლობაა, ნაჩვენებსა, დაწერილსა თუ ნათევამზე. ამიტომაც მომავალი შურნალისტები სწავლების ორზღვიან მანზილზე ინტენსიურად გადიან და იზეპირებენ იდესადაც დაწესებულ შურნალისტიკის ეთიკის კოდექსს. ანაბანივით ფლობენ საკუთარ უფლებებს და მომავალში მათ განსახორციელებლად ორი წელითავდაუზოგავად მუშაობენ. თუ კვლავ დავვესესხებით ფრანგებისთვის კარგად ნაცნობ შურნალისტს პატრიკ პუავრ-დავროს : « შურნალისტიკა არ არის პრივილეგია, იგი რიგითი პროფესია, ისეთივე როგორც ინჟინერობა ან მასწავლებლობა, ამიტომაც არ არსებობს ამ პროფესიაში « მე » ან « შენ » ობიექტურობა მთავარი და ერთადერთი იარაღია».

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. «საფრანგეთის მედიის ისტორია» ავტ. უან-მარი შარონი. პარიზის ახალი გამოცემლობა, 2007.
2. [fr.wikipedia.org/wiki/Histoire\\_de\\_la\\_presse\\_écrite\\_en\\_France](http://fr.wikipedia.org/wiki/Histoire_de_la_presse_écrite_en_France) (1918 წელს ოფიციალურად დაარსდა შურნალისტთა ეროვნული კომისია, რომელმაც დაწესა ფრანგულ მედიაში შურნალისტიკის ეთიკის კოდექსის კონტროლი).
3. Refondue le 27 octobre 1987. კომისია, რომელიც დამყარებულია სხვადასხვა პროფესიონალური შურნალისტების ინიციატივაზე, ყოველწლიურად დაითვალისწინებული შურნალისტი ინცეპტორი მუშაობას ფრანგულ მედიაში, ამათვან ვინაა დამწყები და ვინაა პროფესიონალი. მათი სტატიისტიკა კი ემყარება « საფრანგეთის სამუშაო ეროვნული ცენტრის » მონაცემებს.
4. Cf. [http://www.snj.fr/article.php3?id\\_article=209](http://www.snj.fr/article.php3?id_article=209)
5. Cf. [www.education.gouv.fr](http://www.education.gouv.fr), Repères et statistiques 2007.



## დიანა ჭანკოტაძე

### როგორ სწავლობენ და ასწავლიან საფრანგეთში პროფესია ჟურნალისტიკას

#### რეზიუმე

საფრანგეთში ჟურნალისტური სწავლების განვითარება ყოველწლიურად მიმდინარეობს. ამ განვითარების ხელისშესაწყობად დაარსებულია სახელმწიფო ორგანიზაციები, რომელიც მკაცრად ადევნებენ თვალ-ყურს იმას, თუ რას და რა მეთოდებით ასწავლიან მომავალ ჟურნალისტებს. პროფესია ჟურნალისტიკა ევროპის ამ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ქვეყანაში აღქმულია როგორც ყველაზე დელიკატური პროფესია, რომელიც სპეციალურად მისთვის შექმნილ ეთიკის კოდექსებს უნდა ემორჩილებოდეს.

საფრანგეთში აუდიო მედიის უმაღლესი მაკონტროლებელი საბჭო 1989 წლიდან მოყოლებული მოუწოდებს ფრანგულ ტელე-რადიო სამუალებებს ჟურნალისტური ეთიკის კოდექსის დაცვას. ამ მოწოდებების უგულველყოფის შემთხვევაში კი საბჭო მკაცრ სანქციებს აკისრებს კონკრეტულ ჟურნალისტებსა თუ მედია სამუალებებს. საბჭოს არსებობას დიდი გავლენა აქვს ჟურნალიტური სწავლებაზეც. ჟურნალისტური განათლების მიმცემი უმაღლესი კერძო სასწავლებელები თუ უნივერსიტეტები პრიორიტეტად სწორედ ეთიკის კოდექსის შესწავლას ისახავენ. მათვის ასევე მნიშვნელოვანია სტუდენტებისათვის პროფესიული ტექნიკური სამუალებების შესწავლა-გამოყენება და თეორიულთან შედარებით უფრო მეტი პრაქტიკული ცოდნის გადაცემა. ორნლიანი სწავლების განმავლობაში ფრანგი სტუდენტები მრავალთვიან სტაჟირებებს გადიან, ისინი პარალელურად თავად ამზადებენ გაზეთებს და სატელევიზიო თუ რადიო გადაცემებს. სასწავლებლის არქივის გასამდიდრებლად კი ხშირად საზღვარგარეთ მიემგზავრებიან დოკუმენტური ფილმებისა თუ საუნივერსიტეტო ჟურნალების შესაქმნელად. საფრანგეთში პროფესია ჟურნალისტიკა მცირე რაოდენობით შეისწავლება სახელმწიფო უნივერსიტეტებში, ამ პროფესიას ძირითადად კერძო უმაღლეს სასწავლებლებში ეუფლებიან.

Diana Chankotadze

#### The Ways of Teaching the Profession of Journalism in France

#### Summary

In France, the development of the journalism training is carried out annually. For supporting this development, there are number of organizations that strictly observe what ways are used to train the future journalists. Profession of the journalism, which follows the specific code of ethics, is considered to be the most delicate in this European country.

In France, since 1989 the Supreme Board of controlling of the audio-media has been calling for following the code of ethics of the journalism. In case of ignoring this "call" the Board imposes severe sanctions on the certain journalists or Mass Media. Existence of the Board has a great influence on the training of the journalism. The main priority at private schools and universities is the code of ethics. According to their interests, teaching and using the professional-technical skills of the journalism is essentially important. Moreover, the main goal is to provide the practical knowledge. During two-year education, French students are trained at different kinds of Mass Media selected by the schools. At the same time they write reports for newspapers and make television and radio programs. Frequently, in order to enrich the archive of their educational institution, the students travel abroad to make documentary films and write reports. In France, the profession of journalism is studied at the State Universities but there are specially founded higher private schools to master this profession.



**Lia Jangebashvili**

### **Grigol Robakidze's Comprehension about the World**

The interest towards Grigol Robakidze's creation has not deescalated since his appearance as a writer. We should also mention that at the same time he was attractive and charming writer as for Georgians, where was written his first book as for German population, where he passed his major period of life. Grigol Robakidze wrote many fiction books in German. He was known as a writer, introducing western tendencies in Georgia by naming himself as an admirer of eastern exotic ecstasy of Dionis. He was always selfcontrolled and used to speak a little. He often used artistic words full of eroticism and lead ascetic personal life. Motherland was his main conception and he passed his biggest period of life abroad.

Grigol Robakidze's comprehension about the world provokes interest to us. This is shown in mystic. The main idea of mystic tradition is to have a direct relation with the God. According to the Greek historians, old Egyptian priests used to express their ideas in three ways: by direct meaning, symbolically and in sacral way. Heracle explained these very three types of speech as a speaker, denominator and secret. Such types of three layers, speech was used for esoteric education of God's commandments in Bable and Egypt. This knowledge about the world's creation to the old Jewish was spread by Moses to the old Jewish teaching. Ancient philosophers introduced the teachings of mystic schools based on abovementioned knowledge.

This was "hidden" knowledge obtained only by the men blessed from God.

According to Edward Shiure's statement capitalistic wisdom expressed in closed books made Grigol Robakidze to take interest in it, so he himself applied it. This is mystic wisdom, knowledge that under Grigol Robakidze's saying "is to be found by yourself".

This phrase is extraordinary among the other expressions of Grigol Robakidze.

Mystic understanding of God was the most important aspect of writer's ideology mentioned in his fiction.

Imminent source of world is typed by Grigol Robakidze under the name of "nameless". The first part of idea and essence includes the whole "life of cosmos, its internal principle. To the writer "God" is "ego" - the supreme and the deepest. Also the God is not only "ego", but "other" person always existed with "ego". All the time it creates "itself from its being" ... It presents by itself "others" It is the basis of nature" (I.51).

Robakidze's ideology is inspired by neoplatonism. The first emanation of "absolute one" under Plato's statement is the mind including the principle of "original doubling". Ones cognitive mind represents him as separate one, but himself as the second "ego". Exposure of cosmic mind ("Nies") in materialism is a human mind.

Esoteric essence of God with Robakidze is shown in every object and event, "it is difficult to apply it", albeit "even it is sweet if you don't apply it ... if you feel it" (2.270). WE should also note that besides the fact that Robakidze represents reality as the basis and reason of our land, the God is "far" on the other side from writer. In this case, to writer's mind the God is transcendental towards the world. Robakidze calls it "nameless". It is the very influence of old Jewish casalistic, stating that it is entirely forbidden for Jewish people to name the God, like Indians who do not name their mantra. According to the understanding of "demon and mythos" it is impossible to be deeply aware about the essence of God. That is why it is "nameless". "Old Testament" God was as "Elohyrn", "Elohim" in old Jewish language is as "God" Thus, God is not to be existed in "closed monada", it is spread everywhere. So, the God's world is in "Elohim" so it is in "God" (I.51). This mystic conception became Libo. Joint essence of God was taken under its three kinds: in divine mind ("great existence), nature and human being.

Grigol Robakidze relates to men in antroposophic way. "Each men have astral body that time by time is separated from it" (2.323) - writes the writer in "Palestra".

According to Shtainer's mind human mind is not at once able to understand the sphere of inspirited wisdom. Men gradually place cosmic reality in mind. "Its spiritual feeling" (5.76). Archibald Mekesh "Snake's Shirt" is gradually developed, evolution of spirits of prince George, "Guards of Grail" and in other books of Robakidze. Lasting to celestial motherland being in rude objective reality. Differently from them, spiritual evolution of Tamaz Enguri's (Killed Soul") and Mindia's ("Lamara") is that very change stated by Edward Shiure: "In order to understand, first you should forget and again remember, for to love first you should loose and gain again" (6.130).

The heart of Tamaz Enguri in "Killed Soul" "Its ruined part of mystically tom God".

Deity being in itself is macro-cosmos in micro-cosmos. The mind of Tamaz Enguri considers metaphysical field as the basis of cognition and merges to divine logos in gaining "cosmic secret". Though under the influence of rotting power of Bolshevism like a "hell" Tamaz loses his "open heart" with God." ("Where are you, God?"). His body leaves the principle of world and is decomposed as atom. Tamaz Enguri knows that men is full of occult power when his blood is sacrificed to God". (3.52). But Soviet Union is Godless Monster, why should men sacrifice if there is no God?! The soul of Tamaz Enguri lost that divine t~rone, the very one where his soul "existed" fell, but his soul still remembers the God, he revives this memory and by its second understanding reforms himself. At the end of novel he takes



absolution from Christ's blood drop bleeding from his wounded ribs (Symbolically). Thus, he is near his original being, again remembers forgotten and by the help of spiritual understanding finds the way towards physically perceptional world.

World's development, its essence in drama "Lamara" is discussed as lasting cognition. As for Mindia, cognition is not only knowledge for him. It is mystic wisdom by which enthroned ones in ancient civilization satisfy their spiritual needs. Mindia declares to himself as a man, who passed the gate of death and is awaken for a new spiritual life. He is a man for whom a person is only his reflection. Namely, a bestowed man is himself, is born within him.

To Rudolf Shtainer's mind men's moral life is stimulated not only by feelings, but impulses having above feelings. Such kind of "impulses" form eternity is Grigol Robakidze's person. "having fertilizing reaction of eternal one, adopts to eternity." (1.157) Such impulse is Lamara for Mindia. By the help of such woman spiritua part of Mindia is deepened, as a writer recalls "Radiated powers of woman", "Energy radiated by waves grows occultc power" (3.52). After Targvai kidnapped Lamara, Mindia lost his power of divination. God died in Mindia and he is to again gain lost one by his divine cognition. Having known that there is not yet lost his mystic wisdom at all. "Time after time it arises" (4.188). While opposition of hatred (Targvani) and love (Lamara) Mindia again finds the lost. His face is like that every man who again understands one time existed and at present asleep mystic wisdom. "When you live with God, nobody will ever take your life" (3. 134) - writes the author of "Killed Soul" - "It is the supreme support of human being". "God is inside every men, besides "Men is itself God" (4.29). When men are near the God, harmonious order is gradually found, first in itself, then in the world, if it is understood by universal world.

Mystic dependence to the world shown in writer's fiction is found, first as in internal orders of men as to the oppositional powers' relation. So, mystic nature of writer's creation is shown in two main phenomenon: performance of occultic union with the world's creative power and men's spiritual renaissance.

### Applied Literature:

1. G. Robakidze - "Demon and Myth" Translated from German by Sergei Okropiridze, Tbilisi, 200 1
2. G. Robakidze - "Snake's Shirt", "Palestra", Tbilisi, 1989
3. G. Robakidze - "Killed Soul", Tbilisi, 1991, Translated from German by Alexander Kartozia.
4. G. Robakidze - "Dramas", Tbilisi, 1926
5. R. Shtainer - "The Way of My Life", Tb., 1994
6. E. Shiure "Pitagora" from the book "Blessed Ones", Magazine "Apra", 1996, # 4, Translated from Russian by Mzia Gelashvili.

### ლია ჯანგებაშვილი

### სამყაროს გრიგოლ რობაქიძისეული გააზრება

#### რეზიუმე

სამყარო გრიგოლ რობაქიძის მხატვრულ შემოქმედებაში მისტიკურ-მეტაფიზიკურ ჭრილშია დანახული. მნერალმა იგი ერთიან განზომილებაში წარმოიდგინა, როგორც დიალექტური ქმნადობა, კანონზომიერი განვითარების პროცესი. სამყაროსადმი მისტიკური დამოკიდებულება მნერალთან ვლინდება, ერთი მხრივ, ადამიანის შინაგან წესრიგში და, მეორე მხრივ, სამყაროს, როგორც დაპირისპირებულ ძალთა ერთიანობაში.

გრიგოლ რობაქიძისეული სამყაროს მისტიკურ-მეტაფიზიკური ხედვა სხვადასხვა დროის ფილოსოფოსთა და მისტიკოსთა სიბრძნითაა შთაგონებული. არჩიბალდ მექეშის, თამაზ ენგურის, თავადი გიორგის, მინდიასა და სხვათა სულისმიერი გზა გოეთეს „პირველსაწყისთან“, ზიარებული გონია, შტაინერისეული „სულიერი სამყაროა“, რომელიც შიურესეული ევოლუციითაც საზრდოობს და, გარკვეულ ასპექტში, ნიცეს ზეკაცსაც ემეზობლება. მნერლის ადამიანი, კოსმიურ სუბიექტად ქცეული, სულის შინაგანი შრების მეტამორფოზით ღვთაებრივი სუბსტანციის ნაწილი ხდება. ასე იქმნება გრიგოლ რობაქიძესთან კოსმიური მთელის ჰარმონია, დაპირისპირებულ ძალთა ერთობლიობა, როდესაც „მთელში“, „ცალკეული“, არ იკარგება, ხოლო „ცალკეულთა“ ურთიერთჭიდილი კოსმიურ ჰარმონიას ვერ არღვევს.

**Lia Jangebachvili****Grigol Robakidze's Comprehension of the World****Summary**

The world in Grigol Robakidze literary works is shown in the light of mystics and metaphysics. The author presented it in complete dimension, as dialectic creature, process of even development. Mystical attitude of the author is expressed in internal order of human on the one hand and in the world as entity of contradiction forces on the other hand.

In his mystical and metaphysical vision of the world Grigol Robakidze was inspired by the wisdom of philosopher and mystics of different generations. Spiritual ways of Archibald Mekesh, Tamaz Enguri, Giorgi, Mindia and others are perceived by Goethe's "initial source", Stainer's "spiritual world" that is fed with Shiure's evolution and neighbors Nietzsche's supermen. Man becomes a cosmic object, a part of Deific Substance. This is a harmony of a cosmic unity, entity of opposing forces in Grigol Robakidze works, when "one" is not lost in "whole" and battles of 'individuals 'cannot disharmonize a cosmic harmony.



## ნათია ჯიპია

### ჰაუსის კასუების მიმღების თეორიის ავტორი

ამერიკული ურნალისტიკა და მისი ისტორიული განვითარების ეტაპები იცნობს მრავალ საინტერესო ფაქტსა და მოვლენას როგორც ურნალისტური თეორიებისა და ცალკეული მიმდინარეობების შექმნის, ჩამოყალიბებისა და შეცვლის თვალსაზრისით, ასევე იმ პერიოდის ურნალისტთა მოღვაწეობის მნიშვნელობით, როგორიცაა, პენი პრესის წარმოშობა, ახალი „ურნალიზმის წარმოშობა, ოქსის ეპოქა და ხარისხიანი ურნალისტიკის ჩამოყალიბების საწყისები, ყვითელი პრესა და პულიტიკერი, პერსტი და სენსაციური ურნალისტიკის წლები, მაკრეკერული ურნალისტიკა (ანუ ნაგვისმქექავთა ხანა), და ასე შემდეგ,

მაგრამ თავისი მნიშვნელობის მიხედვით ყველაზე აქტუალური და უპრეცენტო გახლდათ ამერიკული საზოგადოების და მისი თვალსაჩინო წარმომადგენლის - მომზადებითა და მისწრაფებით მოსამართლის, ჩიკაგოს უნივერსიტეტის რექტორის - ფილოსოფოს რ. ჰაუსტინსის მიერ საგანგებო კომისიის შექმნა 1947 წელს, მეორე მსოფლიო ომის დამთავრებიდან ორი წლის თავზე, რომლის მიზანი იყო პრესის შესწავლა და მეცნიერული დაკავნების გამოტანა. კომისიის შექმნის იდეა კი თავიდან ეკუთვნის ჰენრი ლუის, „Time and life“-ის გამომცემელს, რომელმაც თავად მოახდინა ამ პროექტისათვის საჭირო ძალების კონსოლიდაცია და გადაიბირა ჰაუსტინსი ამ კომისიის თავმჯდომარეობაზე. ჰაუსტინს ღრმად ჰქონდა გასიგრძეგანებული ის ფაქტი, რომ პრესა არის არსებითად სოციალური განვითარების ინსტიტუტი, განსაკუთრებით კი უწყვეტი განვითარების სფერო და ამიტომ ის მოხარული იყო ამ დანიშვნისა. მანვე დანიშნა კომისიის

12

ნევრი,

რომელ

თაგან უკლებლივ ყველა იყო ნამყვანი ინტელექტუალი და არცერთი - ურნალისტი.(1-14)

რობერტ მენიარდ ჰაუსტინსი დაიბადა 1899 წლის 17 იანვარს, ის იყო ფილოსოფოსი, იელის სასამართლო სკოლის დეკანი, ჩიკაგოს უნივერსიტეტის პრეზიდენტი, უფრო ადრე კი - კანცლერი, იყო ვილფის სათავო საზოგადოების თანათავმჯდომარე, ასწავლიდა ლეიკ-ფლასიდის უმაღლეს სკოლაში, ნიუ-იორკში, ისტორიასა და ინგლისურს, სულ 20 წლის ასაკში იგი გახდა იელის სახსამართლო სკოლის დეკანი და ამ დროიდან იგი აღიარებულია ეროვნულ ფიგურად.

როგორც პროფესორი, ის მუშაობდა ფსიქოლოგიის, სოციოლოგიისა და ლოგიკის ინტეგრაციასა და დანერგტიკაზე იურისპრუდენციაში. აქ მას უერთდება უილიამ ო. დუგლასი, რომელიც ტოვებს კოლუმბიის სასამართლო სკოლას, რათა იმუშაოს ჰაუსტინსათან ერთად იელში. ჰაუსტინსმა ითამაშა უმთავრესი როლი როკფელერის ფონდის დაარსებაში. მან დაარსებული ეს ფონდი იელში საზოგადოებრივი ურთიერთობების ინსტიტუტის დაარსებაზე.

30 წლის ასაკში იგი ილინიოსში ჩიკაგოს უნივერსიტეტის პრეზიდენტი და მოზარდთა განათების ფონდის ხელმძღვანელი, რომლისგანაც ჩამოყალიბდა ეროვნული საგანმანათლებლო სატელევიზიო არხი, შემდგომში ცნობილი პი-ბი-ესი.(PBS).

ასევე, ფორდის ფონდის დაარსებისთანავე, მან დააარსა დემოკრატიული ინსტიტუტის შესწავლის ცენტრი 1959 წელს.

ის გახლდათ ამერიკაში გამომავალი დიდი წიგნების სერიათა ერთ-ერთი გამომცემელთაგანი აღმოსავლეთ მსოფლიოს, ასევე, თანარედაქტორი წიგნების სერიისა „დიდი იდეები დღეს“ და თანათავმჯდომარე ენციკლოპედია ბრიტანიკის გამომცემელთა ბორდისა 1943-1974 წლებში. (2)

1947 წელს ჰაუსტინსის კომისიამ გამოაქვეყნა დასკვნა იმასთნ დაკავშირებით, რომ მან შეისწავლა (გამოკვლია) პრესის მდგომარეობა მეორე მსოფლიო ომის განმავლობაში და მის შემდეგ. ამ კომისიამ საყვედური გამოთქვა ურნალისტიკის მიმართ, როგორც უპასუხისმგებლო მიმართულებისადმი, ამის შემდეგ კი მთელმა რიგმა კრიტიკოსებმა დააყენეს საჭიროება პრესის პასუხისმგებლობა გაზრდილიყო.

განცხადებაში გამოიყოფოდა ორი ძირითადი დასკვნა: პირველი ის, რომ პრესას პასუხისმგებლობა უნდა ჰქონდეს საზოგადოების მიმართ და მეორე, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ლიბერტანიზმული პრესა არ ასრულებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობას და არ იყო პასუხისმგებლობით განმაჭვალული საზოგადოების წინაშე. სწორედ ამ მიზეზთა გამო დადგა საჭიროება შექმნილიყო ახალი ურნალისტური თეორია.

ჰაუსტინსი ექსტრემალურად იყო დაინტერესებული პრესის დამოუკიდებლობით, ის ცხადად წარმოიდგინდა, როგორც ძირითად თავისუფლებას „კარგის ქმნისას“- პოზიტივური თავისუფლების გამოვლინებას, რომელიც გადაჯაჭვული იქნებოდა ისეთი სახის პასუხისმგებლობასთან, რომელსაც უნდა გამოენვია სოციალური პროგრესი. ის გვათრთხილებდა, რომ თუ პრესა არ იქნებოდა პასუხისმგებლიანი, მისი წარმომადგენლებიც უეცრად აღმოაჩენდნენ, რომ ძალები საზოგადოებაში, კერძოდ, მთავრობაში უთუოდ შებოჭავდნენ მის თავისუფლებას. და კიდევ ერთი: თუკი პრესა არ იქნებოდა პასუხისმგებლიანი, „თვით პირველი შესწორებაც კი ვერ დაიცავდა მათ ხელისუფლების კონტროლისაგან.“

განცხადების გამოქვეყნებას მომდევნო წლებში მძიმე ბრალდებული მოჰყვა, ამერიკელი გამომცემლების დიდი ნაწილი დიდი სკეპტიციზმით უყურებდა ამ გამოწვევას, ამ ფარულ მინიშნებებს, რომელიც ისევ და ისევ მათი დაცვისათვის იყო გამიზნული. მიუხედავად ყველაფრისა, საინტერესოა, რომ გაკეთებული განცხადება ისევ ძალაში რჩებოდა.



წიგნმა და მის ირგვლივ შექმნილმა დისკუსიამ პრესაში და აკადემიურ წრებში აღნიშნა უურნალისტური ძირითადი საკითხების აქცენტირების სამაგალითო ცვლა: პრესის თავისუფლებიდან პრესის პასუხისმგებლობამდე. კომისიის წევრთა შეხედულებით, პრესამ უნდა შეწყვიტოს ტრივიალური და საჭორიკნო (არაფრისმომცემი) საკითხების გამომზეურება და თავი შეიკავოს ძირითადი ნეგატიური თუ სენსაციური ორიენტაციისაგან.

ჰატჩინსის კომისიამ წამოჭრა პრესის ხუთი, საზოგადოებისათვის საპასუხისმგებლო მოთხოვნა:

1. მედიამ უნდა უზრუნველყოს ნამდვილი, ამომზურავი და გონივრული ანგარიშის წარმოდგენა დღის მოვლენებთან დაკავშირებით იმ კონტექსტით, რასაც იგი მნიშვნელობას ანიჭებს.
2. მედია უნდა ემსახურებოდეს, უნდა იყოს ფორუმი კომენტარებისა დაკრიტიკის გაცვლა-გამოცვლისა
3. მედიამ უნდა ასახოს საზოგადოებაში ამომრჩეველთა ჯგუფების წარმომადგენლობის სურათი
4. მედიამ უნდა გაარევიოს და წარადგინოს საზოგადოების მიზნები და ღირებულებები
5. მედიამ უნდა უზრუნველყოს დღის იმფორმაციის მისაწვდომობა. (3-16;17)

ქართული პრესის დღევანდელი სავალალო მდგომარეობა: ყვითელი ბულვარული პრესის მოძალება, ხარისხიანი პრესის დეფიციტი და მასკულტურის ფართო გავრცელება, მიკერძოებულობა ერთი რომელიმე კონკრეტული მხარისა და პოზიციისადმი, რაც ძნელად თუ გვაპოვნინებს პასუხებს კითხვებზე, კერძოდ, თუ სად არის პრესის, როგორც მეოთხე ხელისუფლების ადგილი და როლი თანამედროვე ქართულ საზოგადოებაში, რა მარეგულირებელი ბერკეტები აქვს მის ფუნქციონირებას, რამდენად იცავს უურნალისტთა მიერ შემუშავებული ქარტია ეთიკის სტანდარტების შესახებ მის დამოუკიდებლობას. იქნებ, დადგა სწორედ ის დრო, როდესაც სწორედ სწავლულებმა, ექსპერტებმა და აკადემიური სივრცის წარმომადგენლებმა მიიღონ სერიოზული დასკვნები პრესის თავისუფლების საკითხთან დაკავშირებული პრობლემების გაშუქებისას, რათა ერთხელ და სამუდამოდ გათავისუფლდეს პრესა იმ წესისა და ტენდენციებისაგან, რომელიც ძვირფას და განუყრელ მემკვიდრეობასავით მოჰყვება მის დიდ ნაწილს საპჭოეთიდან გამოსვლის დროიდან.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. Journalistic Ethics, Philosophical Foundations for News Media, John C. Merrill, University of Missouri- Columbia, St. Martin's press, New York
2. Wikipedia, free electrodictionary;
3. Hutchins Commission (Commission of freedom of the press). A Free and Responsible Press. Chicago; University of Chicago Press, 1947.

### ნათია ჯიქია

#### ჰატჩინსი- პრესის სოციალური პასუხისმგებლობის თეორიის ავტორი

##### რეზიუმე

ჰატჩინსის ლრმად ჰქონდა გასიგრძეგანებული ის ფაქტი, რომ პრესა არის არსებითად სოციალური განვითარების ინსტიტუტი, განსაკუთრებით კი უნივერტი განვითარების სფერო და ამიტომ ის მოხარული იყო ამ დანიშვნისა. მანვე დანიშნა კომისიის 12 წევრი, რომელთაგან უკლებლივ ყველა იყო წამყვანი ინტელექტუალი და არცერთი - უურნალისტი.

1947 წელს ჰატჩინსის კომისიამ გამოაქვეყნა დასკვნა იმასთნ დაკავშირებით, რომ მან შეისწავლა (გამოიკვლია) პრესის მდგომარეობა მეორე მსოფლიო ომის განმავლობაში და მის შემდეგ. ამ კომისიამ საყვედური გამოთქვა უურნალისტიკის მიმართ, როგორც უპასუხისმგებლო მიმართულებისადმი, ამის შემდეგ კი მთელმა რიგმა კრიტიკოსებმა დააყენეს საჭიროება პრესის პასუხისმგებლობა გაზრდილიყო. წიგნმა და მის ირგვლივ შექმნილმა დისკუსიამ პრესაში და აკადემიურ წრებში აღნიშნა უურნალისტური ძირითადი საკითხების აქცენტირების სამაგალითო ცვლა: პრესის თავისუფლებიდან პრესის პასუხისმგებლობამდე. კომისიის წევრთა შეხედულებით, პრესამ უნდა შეწყვიტოს ტრივიალური და საჭორიკნო (არაფრისმომცემი) საკითხების გამომზეურება და თავი შეიკავოს ძირითადი ნეგატიური თუ სენსაციური ორიენტაციისაგან. ჰატჩინსის კომისიამ წამოჭრა პრესის ხუთი, საზოგადოებისათვის საპასუხისმგებლო მოთხოვნა.



Natia Jikia

**R. M. Hutchins – Author of the Press Theory of Social Responsibility**

**Summary**

The Hutchins commission (the official name was the Commission of Freedom of the press) was formed during World War II to recruit a commission to inquire into the proper performance of the media during and after the World War II.

In 1947, after deliberating for four years, the commission came to the following conclusion: the press plays an important role in the development and stability of modern society and, as such, it is imperative that a commitment of social responsibility be imposed on mass media. According to this social responsibility theory, the press has a moral obligation to consider the overall needs of society when making journalistic decisions. There had been journalism ‘codes of ethics’ for decades, however, the commission’s report was considered to be the landmark by some scholars. They believed it was a pivotal reassertion of modern media’s role in a democratic society.



## 300-ი განეკა



### პროფ. გივი ლოგეანიძის ნაშრომი „საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი”

#### რეცეზია

იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის, სრული პროფესორის გივი ლობუანიძის მიერ წარმოდგენილი ნაშრომი, „საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი”, სრულყოფილი სახელმძღვანელოა სამართლის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის. ამასთანავე, იგი სამსახურს გაუწევს საქართველოს შეირალებული ძალების ოფიცირობასა და სამხედრო აკადემიის კურსანტებს. მათ, ვისაც უშუალო შეხება აქვს შეიარაღებულ კონფლიქტებთან. წიგნის მნიშვნელობა მით უფრო აქტუალური ხდება, თუ გავითვალისწინებთ ჩვენი ქვეყნის დღევანდელ რეალობას, როდესაც სახელმწიფოს ტერიტორიის 20% ოკუპირებულია და უცხო ქვეყნის შეიარაღებული ძალების პლატფორმადაა ქცეული. ამიტომ ჰუმანიტარული სამართლის შესწავლა და მისი ძირითადი პრინციპებისა და დებულებების ცოდნა-გაცნობიერება, არსებული პრობლემების გადაჭრის გზების ძიება საქართველოსათვის მეტად საშური საქმეა. ამ თვალსაზრისით წიგნი შინაარსობრივად ახალ განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს.

უნდა აღინიშნოს, რომ მეცნიერული ხედვის გარდა, ნაშრომში იგრძნობა პრაქტიკული ადამიანის თვალებდევაც, რაც განხილულ საკითხებსა და დასმულ პრობლემებს საკმაოდ საინტერესოს და აქტუალურს ხდის.

წიგნის არქიტექტონიკა და საკითხთა დალაგების სისტემა არ ქმნის მხოლოდ თეორიული მასალის გადმოცემის ფონს, არამედ შეიცავს შეიაღებული კონფლიქტების დროს წამოჭრილი პრაქტიკული საკითხების ანალიზსა და ნაწილობრივ მათი გადაჭრის კონკრეტულ გზებსაც.

სახელმძღვანელოში დიდი ადგილი აქვს დათმობილი ჰუმანიტარული სამართლის ნორმათა წარმოშობა-ჩამოყალიბების გროსეროლოგიურ ფესვებს, რაც უფრო ნათელ წარმოდგენას ქმნის იმის შესახებ თუ ომები რა ფასად უჯდებოდა კაციობრიობას. მოცემულია მისი გამომწვევი მიზეზები და სავალალო შედეგები, ამავდროულად, პროფ. გ. ლობუანიძე არ ივინუებს ადამიინის უფლებების სფეროში მოქმედი საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი სამართლის ნორმებს და მათზე დაყრდნობით განსაზღვრავს საერთაშორისო და არასაერთაშორისო კონფლიქტების დროს, როგორც „კომბატანტების”, ისე „არაკობანტების”, სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის სამართლებრივ გარანტიებს.

ნაშრომში ავტორი ყურადღებას ამახვილებს პრძოლის აკძრალული ან შეზღუდული მეთოდებისა და სამუალებების პრობლემებზე. სამართლიანადაა აქცენტი გადატანილი სამხედრო ხელმძღვანელ პირთა პასუხისმგებლობის საკითხებზე, იურიდიული მრჩევლის ინსტიტუტზე.

წიგნში ასევე, განხილულია ეკოლოგიური იარაღის გამოყენების შემთხვევაში ის მოსალოდნელი სავალალო შედეგები, რაც აუზაზღაურებელ ზიანს მიაყენებს კაციობრიობას.

ავტორს ფაქტობრივად დამუშავებული აქვს, როგორც „ჰავაგის სამართლის”, ასევე „ჟენევის სამართლის” ძირითადი კონვენციები და შესაბამისი ოქმები, გაეროს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის წესდებები, ამ სფეროში ეროვნული კანონმდებლობა და შედარებით -სამართლებრივი მეთოდის გამოყენებით იძლევა მათი შეწონადობის საინტერესო მოდელს.

ჩვენი აზრით, პროფ. გ. ლობუანიძის სახელმძღვანელო „საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლი” კარგი შენაძენია თანამედროვე იურისპუდენციისათვის ის დიდ სამსახურს გაუწევს აღნიშნულ პრობლემებით დაინტერესებულ ადამიანებს და მომავალ იურისტებში ჰუმანიტარული სამართლის შესწავლის საქმეს.

## ჩვენი ავტორები:

ბესიკ ალადაშვილი - გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის /გთსუ/ სრული პროფესორი  
ვენედი ბერიძე - გთსუ-ს სრული პროფესორი  
ნანა გოგიჩაშვილი - გთსუ-ს ასოცირებული პროფესორი  
გიორგი ზედგინიძე - ილია ჭავჭავაძის უნივერსიტეტის დოქტორანტი  
ამირან /სიმონ/ თავართქილაძე- გთსუ-ს სრული პროფესორი  
ნუგზარ თევდორაძე - გთსუ-ს ასოცირებული პროფესორი  
თემურ თოდუა - თსუ-ს პროფესორი  
ლია თოთლაძე - გთსუ-ს ასოცირებული პროფესორი  
მამუკა თორია - გთსუ-ს ასოცირებული პროფესორი  
დავით კალანდარიშვილი - გთსუ-ს დოქტორი  
დავით კბილაძე - გთსუ-ს ასოცირებული პროფესორი  
მაყვალა /ბაია/ კოლუაშვილი - გთსუ-ს ასოცირებული პროფესორი  
ლაურა კუტუბიზე-ზუბაშვილი - გთსუ-ს ასოცირებული პროფესორი  
ზურაბ ლაოშვილი - გთსუ-ს ასოცირებული პროფესორი  
დავით ლობჟანიძე - გთსუ-ს ასოცირებული პროფესორი  
გივი ლობჟანიძე - გთსუ-ს სრული პროფესორი  
შალვა მაჭავარიანი - კავკასიის უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტი  
მაია მიქელაძე - გთსუ-ს ასოცირებული პროფესორი  
სოფიო მორალიშვილი - აკაკი წერეთლის უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი  
ალექსანდრე წონეშვილი - გრიგოლ რობაქიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი  
ნატო ონიანი - საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირვენოდებულის სახელობის უნივეტრისიტეტის დოქტორანტი  
თალიკო ქვანია -- გთსუ-ს სრული პროფესორი  
თემურ ქლენტი - - გთსუ-ს სრული პროფესორი  
გიულან რაპიმოვა - აზერბაიჯანის ეროვნული აკადემიის აგროქიმიური ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერ-მუშავი  
პაულ სანკესი - „იუსაიდის“, ექსპერტი სამხრეთ კავკასიაში  
მაია სეთური - გთსუ-ს ასოცირებული პროფესორი  
ჩარლზ მორგან სტრომე - ორეგონის უნივერსიტეტის პროფესორი /აშშ/  
ლაშა ტაბატაძე - გთსუ-ს ასისტენტ პროფესორი  
მაია უკლება - გთსუ-ს სრული პროფესორი  
თამარ ფანცულაია - გთსუ-ს ასოცირებული პროფესორი  
შენგელი ფიცხელაური - გთსუ-ს სრული პროფესორი  
ლიანა ყარალაშვილი - გთსუ-ს დოქტორი  
ლალი ჩაგელიშვილი - გთსუ-ს სრული პროფესორი  
მარინე ჩაგელიშვილი - გთსუ-ს სრული პროფესორი  
ნუნუ ჩარკვიანი - აკაკი წერეთლის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი  
დიანა ჭანკოტაძე - საფრანგეთის უნივერსიტეტის დოქტორანტი  
დავით ხობელია - გთსუ-ს ასოცირებული პროფესორი  
ლია ჯანგებაშვილი - გთსუ-ს ასოცირებული პროფესორი  
ნათია ჯიქია - აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი

## OUR AUTHORS:

Besik Aladashvili - Full Professor of Guram Tavartkiladze Teaching University /GTTU/  
Venedi Benidze \_ Full Professor of GTTU  
Lali Chagelishvili \_ Full Professor of GTTU  
Marine Chagelishvili \_ Full Professor of GTTU  
Diana Chankotadze \_ Doctoral Student of the University /in France/  
Nunu Charkviani \_ Associate Professor of Akaki Tsereteli State University  
Lia Jangebashvili \_ Associate Professor of GTTU  
Natia Jikia \_ Assistant Professor of Akaki Tsereteli State University  
Nana Gogichashvili \_ Associate Professor of GTTU  
David Kalandarishvili \_ Doctor of GTTU  
Liana Karalashvili \_ Doctor of GTTU  
David Kbiladze \_ Associate Professor of GTTU  
David Khobelia \_ Associate Professor of GTTU  
Mayvala /Baia/ Koghuashvili \_ Associate Professor of GTTU  
Laura Kutubidze-Zubashvili \_ Associate Professor of GTTU  
Zurab Laoshvili \_ Associate Professor of GTTU  
David Lobzhanidze \_ Associate Professor of GTTU  
Givi Lobzhanidze \_\_ Full Professor of GTTU  
Shalva Machavariani \_ Vice-President of Caucasus University  
Maia Mikeladze- Associate Professor of GTTU  
Sofio Moralishvili- Assistant Professor of Akaki Tsereteli State University  
Aleksandre Noneshvili \_ Professor of ST. Grigol Peradze Tbilisi Teaching University  
Nato Oniani - Doctoral Student of ST. Andrew The First- Called Patriarchate University  
Shengeli Pitskhelauri - \_ Full Professor of GTTU  
Tamara Pantsulaia \_ Associate Professor of GTTU  
G. Rahimova \_ Soil Science Agrochemistry Institute of Azerbaijan National Academy.  
Paul Sankess- Expert of USAID in south Caucasus  
Maia Seturi \_ Associate Professor of GTTU  
Charles Morgan Stromme \_ Professor in Oregon University USA  
Lasha Tabatadze \_ Assistant Professor of GTTU  
Amiran /Simon/ Tavartkiladze \_ Full Professor of GTTU  
Nugzar Tevdoradze \_ Associate Professor of GTTU  
Temur Todua \_ Professor oF GTTU  
Lia Totladze \_ Associate Professor of GTTU  
Mamuka Toria \_ Associate Professor of GTTU  
Maia Ukleba \_ Full Professor of GTTU  
Georgi Zedginidze \_ Doctoral Student of Ilia Chavchavadze University  
Taliko Zhvania \_ \_ Full Professor of GTTU  
Temur Zhghenti - Full Professor of GTTU

## მოთხოვნები

- მოთხოვნები რომლებიც წაეყენება კრებულში გამოსაქვეყნებელ ნაშრომებს:
- კრებულში გამოსაქვეყნებელი ნაშრომი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:
- სამეცნიერო სტატია შეიძლება დაწეროლი იყოს ქართულ ან ინგლისურ ენაზე.
  - ნაშრომს უნდა ახლდეს რეზიუმე (7-8 სტრიქონი) ორ ენაზე (ქართული, ინგლისური). ორივე ენაზე უნდა ითარგმნოს ნაშრომის სათაური, ავტორის სრული სახელი და გვარი
  - ნაშრომი უნდა იყოს აწყობილი Microsoft Word-ში;
  - ქართული ნაშრომი იწყობა sylfaen შრიფტით;
  - ინგლისური ნაშრომები იწყობა Times New Roman შრიფტით;
  - შრიფტის ზომა 12, ინტერვალი ერთი;
  - ნაშრომის მოცულობა, რეზიუმის ჩათვლით, შეიძლება იყოს 5-დან 10-მდე ნაბეჭდი A4 ზომის გვერდი.
  - ნაშრომს უნდა დაერთოს ავტორის საკონტაქტო რეკვიზიტები: მისამართი (სახლის, სამსახურის), ტელეფონის ნომერი, ფაქსი, ელ-ფოსტა, სრული სამეცნიერო ხარისხი და წოდება, ასევე დაკავებული თანამდებობა;
  - ნაშრომის ელექტრონული ვერსია უნდა მოგვაწოდოთ როგორც დისკეტით, ისე ამონაბეჭდი სახით ერთ ეგზემპლარად A4 ზომის ქაღალდზე;
  - ნაშრომში გამოქვეყნებულ მასალაზე პასუხისმგებელია ავტორი.
  - ნაშრომის რეცენზირება ანონიმური წესით.

პროფ. ამირან თავართქილაძეს: 899537744 125 (შიდა)

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვირეკეთ ტელეფონებზე: 23-20-20; ან 599-90-40-04.  
გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი

რედაქციის მისამართია: 0101 - თბილისი, სამღერეთის ქუჩა 5  
ტელ. /99532/ 2246591; 266 1512

ელ-ფოსტა - GTTU Scientific works

ვებ-გვერდი: [www.GTTU.edu.ge](http://www.GTTU.edu.ge)

## **Requirements**

### **For Publication Format in Scientific Proceedings of Guram Tavartkiladze Teaching University**

For publication in Scientific Proceedings of Guram Tavartkiladze Teaching University, the scientific work, article should satisfy the following requirements:

- Scientific article can be submitted either in Georgian or English.
- The work should be followed by the abstract (7-8 lines) into two languages (Georgian and English). The title of the article and author's full name must be into two languages (Georgian and English).
- The work should be presented in Microsoft Word format;
- Georgian work should be presented in Acadnusx, 12 pt. font;
- English work should be presented in Times New Roman 12 pt. font;
- Line spacing 1.0;
- The work, including the abstract should be 5-10 printed page, paper size A4.
- In the body of the text, in-text citation should be done in brackets, in the following order: reference and page number of the used source in the bibliography attached to the work. At the end of the work, the list of the used literature (bibliography) should be arranged in the following order: Author, title of the source and the year of publication.
- Contact info and requisites of the author should be submitted on the separate paper. This info should include: the address, (home, work), academic degree, title, position, tel, fax number and e-mail address.
- The work should be handed in electronic version on CD disc, as well as 2 hard copies on A4 size paper;
- The author is responsible for the authenticity of the material provided by him/her for publication.
- The work will be reviewed anonymously.

For additional info, please contact us: tel: 2 23 20 20; 599 90 40 04.

Address: Guram Tavartkiladze Teaching University 5, Samghereti str. Tbilisi, Georgia.

## ფასი სახელშეკრულებლო



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ტელ: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30  
E-mail: universal@internet.ge